

სხანი უმჯობესები

დეკემბერი, 2011, №74
ფასი 7 ლარი



ისტორია

**ანა ალექს
ტაბატაძე**

საღმრთო ჯაზი

მერაბ ნინიძე

მამო საბადაშვილი

მუამარ კადაფი

ჯონ ლი ანდერსონი

ესა

უბანი წვიმასი

აკა მორჩილაძე

იანვარმთელი

გიორგი მანისუკაძე

4 სასახლის ქალაქი

შოთა იათაშვილი

ჩემი ბასკეთი

არჩილ ქიქოძე

ჩანაწერები 2010

ბექა შურხული

წერილი

იაკონია 8 თვის შემდეგ

დავით გოგინაშვილი

წარღვა

**ანდრია დოლიძე
დავით ყანდაშვილი**

სტილი

ჯონ ბალიანო

თამარ ალაშვილი

ჯექის ვარდისფერი

კოსტინუმი

ISSN 1512-2220



9771512222006



„სოფლის ნობათის“ ნაბურღული რძის პროდუქცია
აუცილებელია თქვენი პატარავის ჯანსაღი განვითარებისათვის



მთავარი რედაქტორი
 ნინო ჯაფარიძე
 „სტილი“ რედაქტორი
 თამარ ალავედი
 „ლიტერატურის“ რედაქტორი
 რატი ქართველიძე
 რედაქტორის ასისტენტი
 მარიამ სამადაშვილი
 ვებგვერდის რედაქტორი
 ელენე ასათიანი
 არტრედაქტორი
 არჩილ თაბუკაშვილი
 კორექტორი
 თამარ ლონდაძე
 ფოტორედაქტორი
 გიორგი ნადირაძე
 დიზაინი

თორნიკე ლორთქიფანიძე
ნომერზე მუშაობდნენ:

დავით ბუხრიკიძე, ნინო ბექაშვილი, გაგა ნახუცრიშვილი, აკა მორჩილაძე, ანა კორძაია-სამადაშვილი, სალომე ჯაში, ნინო ჩიშკაძე, დავით ჩიხლაძე, კახა თოლორაძე, თამარ სუხიშვილი, დავით გოგინაშვილი, მამო სამადაშვილი, გიორგი მაისურაძე, არჩილ ქიქოძე, ლაშა ბაქრაძე, ნინო ძანძავა, შოთა იათაშვილი, თეო ხატიაშვილი, ალექს ჩილდინაძე, თამარ კვინიკაძე, პაატა შამუგია
ფოტო:

ლევან ხერხეულიძე, დავით მესხი, ლელი ბლაგონრაგოვა, ხათუნა ხუციშვილი, ლევან გიორგაძე, სერგი ბარისაშვილი, მაკა გოგალაძე, სალომე ნარსია, კრისტიან ლეიბერი, ხოსრო აიპარზა.
ილუსტრაციები:

მურმან თაბუკაშვილი, სოფო ელიაშვილი, გიორგი ავალიანი

ბიზნესის განვითარების მენეჯერი

რუსუდან ფურცელაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობა

ლელა შუბითიძე
პლიენტთა მომსახურების მენეჯერი

ნათია რუსაძე
პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერი:

ლევან ჯაბუა, სოფო პაპუნაშვილი, ქეთევან ქავთარაძე, ქეთევან მეგრელიძე, ელენე ხარაზაშვილი, მარიამ მიქელაშვილი, ზურაბ ზანდარაშვილი.

დისტრიბუცია

მიხეილ გედენიძე



გამომცემლობა:

შპს „მედია ჰაუსი დეკომი“
 მისამართი: თბილისი 0183,
 ფლენტის ქ. 35.

ტელ.: 2471007

სხვა გამომცემლობები:

„ლიბერალი“, „ბიზნეს-ადამიანები, მეტოდეები, სტრატეგიები“, „დილოგი“.

სტამბა:

„სეზანი“, თბილისი, წერეთლის 140, ტელ.: 2 357002
შურნალის გამომცემლის მსურველებს დასვამთ:

2962311, 2910151 პრეს-ექსპრესი
 შურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან
 © „მედია ჰაუსი დეკომი“ საავტორო უფლებები დაცულია. შურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

„ცხელი შოკოლადის“ რუბრიკის სპონსორი არ ერევა შინაარსის შექმნაში.

სხანი შოკოლადი

N74, დეკემბერი 2011



ყდაზე ანა ალექს ტაბატაძე ფოტო დავით მესხი

- რედაქტორის სვეტი** 6 ზღაპრები ძლიერებაზე
- ნარდგენა** 10 ანდრია დოლიძე, დათო ყანჩაშვილი
- ანონსი** 12 5 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ **დავით ბუხრიკიძე**
- მიმოხილვა** 14 ჩვენ, პოსტმოდერნისტები, არ ვიცინით **დავით ჩიხლაძე**
- 17 ჯუნიშირო იშიი და მასარუ ივაი – არტისტერიუმის მთავარი „სანიტრები“ **დავით ბუხრიკიძე**
- 18 კიდევ ერთხელ „აკრძალულ“ სიყვარულზე **დავით ბუხრიკიძე**
- 22 „მედვას სიზმარი“ – დაგვიანებული, ბრუტალური, მაგრამ ლამაზი **დავით ბუხრიკიძე**
- 24 მეფეები და პოეტები **ნინო ჩიშკაძე**
- 25 ეგოცენტრული მელანქოლიკის ფეერული ზმანება **თეო ხატიაშვილი**
- რესტორნის კრიტიკა** 26 დუქანში **თამარ კვინიკაძე**
- საავტორო სვეტი** 28 მეძინება **ანა კორძაია-სამადაშვილი**
- 30 შუადღე მიდის **გაგა ნახუცრიშვილი**
- 32 გვანცა ყუფარაძის საქმე **ნინო ბექაშვილი**
- დისკუსია** 35 ახალი პოლიტიკური რეალობა: ქველმოქმედებიდან პოლიტიკაში **ნინო ბექაშვილი**
- ისტორიები** 42 მერაბ ნინიძე ON CALL **მამო სამადაშვილი**
- 50 AA-ს დეკონსტრუქცია **სალომე ჯაში**
- 60 ინტერვიუ ჯეისონ მორანთან **კახა თოლორაძე**
- 66 მეფეთა მეფე: მუამარ კადაფის უკანასკნელი დღეები **ჯონ ლი ანდერსონი, ინგლისურიდან თარგმნა თამარ სუხიშვილი**
- 78 წერილი იაპონიიდან: 8 თვის შემდეგ **დავით გოგინაშვილი**
- 88 ფოტობროექტი: AUTO ELIAVA **სერგი ბარისაშვილი**
- სტილი** 102 სტილი „ცხელ შოკოლადში“ **თამარ ალავედი**
- 104 ტენდენცია 1960-იანი წლები
- 106 შთაგონება: დევიდ კომას ინსპირაცია
- 108 მოდის ისტორია: ჯეის ვარდისფერი კოსტიუმი
- 110 ჯონ გალიანოს ტოქსიკური გზა **თამარ ალავედი**
- ლიტერატურა** 118 უბანი წვიმაში **აკა მორჩილაძე**
- 122 იაჰარმქნელი **გიორგი მაისურაძე**
- 128 ოთხი სასახლის ქალაქი **შოთა იათაშვილი**
- 130 ჩემი ბასკეთი და დიდყურა ლამურები **არჩილ ქიქოძე**
- 136 ჩანანერები 2010 **ბექა ქურხული**
- მუზეუმი ჟურნალში** 144 ფერი შავ-თეთრ ქართულ კინოში **ნინო ძანძავა, ლაშა ბაქრაძე**
- ნიგნები** 146 ლიტერატურული ფოქსტროტი **პაატა შამუგია**
- Occupy Walden! **ალექს ჩილდინაძე**
- მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერების ტოპოლოგია **ნინო ჩიშკაძე**



შეიქმნეთ მხოლოდ
კომპიუტერით



Samsung GALAXY S II



Samsung GALAXY S Plus



Samsung GALAXY ACE

სმარტფონები

Samsung GALAXY მორგებულა შენზე!

სმარტფონების სერია Samsung GALAXY
Android™-ის ბაზაზე

www.samsung.com



ANDROID™
technology



ზღაპრები ძლიერებაზე

ნინო ჯავახიშვილი
მთავარი რედაქტორი

ადამიანები ჩემს გარშემო, ვინც ცდილობდნენ, რომ ძლიერი გავმხდარიყავი, მთელი ცხოვრება იმას მასწავლიდნენ, როგორ ვყოფილიყავი გამარჯვებული. მეც, სამყაროს იმ ბუნების გათვალისწინებით, რომ არაფერია მუდმივი, სხვადასხვა, დიდი და პატარა ბრძოლებთან, ხან გამარჯვებული გამოვდიოდი, ხან დამარცხებული და სულ იმის ფიქრში ვიყავი, როგორ დამეგეგმა ჩემი ცხოვრება ისე, რომ მასში მხოლოდ გამარჯვებები დარჩენილიყო.

თუმცა, ერთ დღეს აღმოვაჩინე, რომ ამ ჯადოსნურ სამყაროში მოგზაურობის მთავარი ხიზლის – ტრანსფორმაციის წყარო, გამარჯვება კი არა, თავად ბრძოლაა.

მაგრამ, ამ ბრძოლაში ისე უნდა ნახვიდე, თითქოს ეს უკანასკნელი ბრძოლა ყოფილიყოს, ამიტომ როგორ დამთავრდება ის, აღარანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

აი, მაგალითად, თუ შეძლებ და წარმოიდგენ, რომ უკვე მკვდარი ხარ, ყველაზე საშინელი რამ, რაც შეიძლება დაგმართნოდა, უკვე მოხდა, გააცნობიერებ, რომ დასაკარგი აღარაფერი გაქვს და თავისუფალი ხდები.

თუ ერთხელ მაინც შეძლებ ამ გამოცდილების გააზრებას, მიხვდები, რომ ილუზორულ გამარჯვებებსა და დამარცხებებზე მიჯაჭვულობა სისულელეა, სიძლიერე იმაშია, რომ პასუხისმგებლობა აიღო თი-

თოეულ შენს ნაბიჯზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში თუ შეძლებ შენი წარმოდგენების შეცვლას და ფარდის უკან გადამალული რეალობის აღმოჩენას.

მგონია, რომ „ცხელი შოკოლადის“ ამ ნომრის ავტორებიც იგივე სულისკვეთებით დახეტილობენ სივრცესა და დროში, საკუთარ თავსა და გარემომცველ სამყაროში, ჩვენ კი გვაძლევენ პრივილეგიას, გავიფართოვოთ წარმოდგენები და ჩაკეტილი, ბრტყელი სივრცე.

სტერეოტიპულ და განზოგადებულ წარმოდგენაში ცა ლაჟვარდში მოლივლივე თეთრი ღრუბლებია. მაგრამ, იქნებ, ის სულ სხვანაირია მაშინაც კი, როცა ჩვენ მას ლურჯად მოლივლივეს ვხედავთ? არავის შეუძლია მისი აბსოლუტური სიზუსტით აღწერა, რადგან უსასრულო და მიუწვდომელ ცას ვერასდროს მოიხელთებ.

„ცხელი შოკოლადის“ დეკემბრის ნომერში ცა, ხან ამომავალი მზის სხივებითაა გაყვითლებული, ხან დაისის წითელი ფერებით; ზოგჯერ სველი, ნაცრისფერი სიცარიელეა, ზოგჯერ – სმოგით დაფარული აპკი, ზოგჯერ – ჭექა-ქუხილით განათებული, აღმოკიდებული ოკეანე, ზოგჯერ კი, ვარსკვლავებით მოჭედილი უკიდევანო სივრცე. ეს ყველაფერი, თითქოს ცაა და ამავე დროს, არცაა. თუმცა, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, „შენი“ ცა გქონდეს, რომელიც, არ დაემთხვევა სხვის წარმოდგენებს.



YOUR COURIER

WHAT WHEN WHERE EVER

2 234560

www.yourcourier.ge

„შენი კურიერი“ შენი კომფორტისთვის

ყველაფერი ერთი წლის წინ წავკისში წვეულებით დაიწყო – მეგობრებს ვისკი შემოავლდათ და თბილისში დარეკვა დაიწყეს. აღმოჩნდა, რომ შუადამისას არცერთ სხვა ახლობელს არ ეხალისებოდა თბილისიდან ვასვლა, არც ისეთი კომპანია არსებობდა, რომელიც ამ თხოვნას შეუსრულებდათ. მოკლედ, იმ დღეს ნიკოლოზ კაპანაძემ იფიქრა, რომ კარგი იქნება არსებობდეს კომპანია, რომელიც კომფორტში გამყოფებს და სასურველ პროდუქტს იქ მოგიტანს სადაც ხარ, რა დროც არ უნდა იყოს.

კვირა საღამოს ჩამოსულს კი ბევრი აღარ უფიქრია და კომპანია „Your Courier“-ის შექმნაზე დაიწყო ზრუნვა. „ჩვენ რას ვაკეთებთ? არაფერს განსაკუთრებულს, უბრალოდ, ხალხს კომფორტს ვუქმნით“, ამბობს ნიკა.

ვისკი, სიგარეტი, საკვები, საყოფაცხოვრებო და საკანცელარიო საქონელი, ბილეთები აბუდაბიში სტივი უანდერის კონცერტზე, ევროპის ჩემპიონატის ფინალის ბილეთები, ფარგალიც კი დილის 4 საათზე – კომპანია „შენი კურიერი“ ადგილზე ემსახურება ყველას, ვინც იცის კომფორტის ფასი, 24 საათი, კვირაში 7 დღე.

პრომო სერვისი: ორგანიზაციებს ვურიგებთ ღონისძიებების მოსაწვევებს, ვუცრცელებთ ფლაერებს, ბუკლეტებს, ჟურნალებს, სარეკლამო ტიპის მასალებს.

კომპანია საჩუქრების გაგზავნასაც უზრუნველყოფს. ყოფილა შემთხვევა, როცა პრადიდან შაილს დევისის ბიოგრაფიული წიგნი ჩამოუტანიათ თბილისში, ყვავილები და სუნამო ბათუმში გაუგზავნიათ, ხანდახან, ანონიმურადაც, შეკვეთა ყოფილა პარიზიდანაც, თბილისიდან ამანათი საფრანგეთის დედაქალაქში გაგზავნეს.

„ყველაზე უცნაური საჩუქარი კურდღელი იყო ღამის 12 საათზე“, იხსენებს ნიკა. „ბიჭმა გაუგზავნა გოგონას. ჩვენ ჩავსვით კურდღელი სპეციალურ ყუთში, ჩავუდეთ კომბოსტო, სტაფილო, შეფუთეთ და გავუგზავნეთ“. ზაფხულში იყო შემთხვევაც, როცა წავკისში 35 ტონა წყალი შეუკვეთეს აუზის ასავსებად.

კომპანიის დირექტორი ამბობს, რომ „შენი კურიერი“ საქმიან სეგმენტზე გათვლილი, იმ ხალხზე, ვინც კომფორტის გემო იცის. საიტიც აქვთ, სოციალურ ქსელებშიც არიან დარეგისტრირებულები, თუმცა ჯერჯერობით არ აქტიურობენ.

„ეს სპეციალურად გავაკეთე. არ მინდოდა ბაზარზე თავიდანვე აგრესიულად შემოვსულიყავით. ეტაპობრივად გავფართოვდებით და გავაცნობთ ჩვენს თავს მომხმარებელს, თუმცა მცირე დოზით ყველგან ვჩანვართ“, აღნიშნავს ნიკა.

ყოველდღიურად 15–20 შეკვეთა კეთდება. კომპანიას ექვსი კურიერი მანქანით ემსახურება. ნომერზე 2 234 560 დარეკვისას, ოპერატორი გპასუხობთ, აწერიანთ შეკვეთას, ის დაითვლის შეკვეთის ღირებულებას, ამატებს მომსახურებას და გატყობინებთ, თქვენი თანხმობის შემთხვევაში შეკვეთა სრულდება – ესაა მარტივი პროცედურა, რომელიც დღე-ღამის განმავლობაში ხორციელდება. რაც შეეხება დროის ფაქტორს, ეს შეკვეთის სირთულეზე დამოკიდებულია. არამალფუჭებად პროდუქციას, როგორცაა სასმელი, სიგარეტი, უშუალოდ ოფისშიც ინახავენ.

კომპანია მხოლოდ ქართველ მომხმარებელზე არაა გათვლილი. შექმნის დღიდან მათი მომხმარებლების 10% უცხოელია. შეკვეთები საზღვარგარეთიდანაც ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში შეკვეთა უფრო ძვირად ჯდება, ზოგ მომხმარებელს მაინც „შენი კურიერის“ სერვისი ურჩევნია.

„ჩემი სურვილი არის, რომ ყველას ტელეფონში ეწეროს ნომერი 2234560“.

„მინდა მეტი კომფორტი“ – ესაა ჩვენი სლოგანი, რომელიც ქართულ, ინგლისურ, არაბულ და ივრითულ ენებზე გვაქვს. არაბებისა და ებრაელების შერიგებას ვაპირებ“, ხუმრობით აღნიშნავს კომპანიის დირექტორი.





არჩილ ქიქოძე

მგონი, რამდენმე თვის წინ, ჩვენი მოგზაურობის დროს, უკვე ვიცოდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად დავეწვდით რამეს ორი ბასკის და ორი ქართველის თავგადასავლის შესახებ, იმიტომ, რომ მართლა უცნაური იყო ჩვენი მოგზაურობა, ჩვენი საქმიანობა, ჩვენი საუბრები და ამ ყველაფრის აღწერა ნამდვილად ღირდა.

მე არასოდეს არ ვაკეთებ ჩანაწერებს, არ ვანარმოებ დღიურს, ამიტომ რაღაც მუდმივად მავიწყდება, რაღაც მუდამ აკლდება ჩემს მოყოლილ ამბავს. დრო გადის და ხუნდება ზოგი ამბავი და ზოგი ადამიანის სახეც.

ის ორი კვირა კი საოცრად კარგად მახსოვს. ბევრი რამ მახსოვს ისეთი, რაც ჩემს მონაყოლში ვერ მოხვდა და ისეთი, რასაც ვერ გავამხელდი, რადგან ჩემი ამბავი პირველ რიგში, მამაკაცების მეგობრობაზეა. მეგობრები კი ერთმანეთს ბევრ ისეთ რამეს უამბობენ, რისი დანერაც და სხვისთვის გამხელა, შეუძლებელია. როგორც ყველა სისხლსავე თავგადასავალი, ჩვენი ამბავიც რუტინული ყოფიდან ამოგლეჯილია და თითქოს ჰაერში ჰკიდია, მაგრამ მას აუცილებლად აქვს გაგრძელება და ეს მომწონს ყველაზე ძალიან, გაგრძელებაზე ფიქრი იმედსა და ჯანს მმატებს.

ჩემი ბასკეთი და დიდყურა ღამურები
გვ. 122



დავით ბოზინაშვილი

იაპონიაში პირველად 6 წლის წინ მოხვდი, ორკვირიანი გაცნობითი პროგრამით. აეროპორტიდან გამოსვლისთანავე კულტურული შოკის პირველი „დარტყმა“ მივიღე, როდესაც ჩემს წინ გაჩერებული ტაქსის კარები თავისით გაიღო და თეთრ ხელთათმანებში გამონყობილი მძღოლი თავაზიანად მომესალმა... ალბათ, სწორედ იმ ორკვირიანი ვიზიტის დროს განცდილმა შთაბეჭდილებებმა განმმტკიცა სურვილი, რომ ამ ქვეყანასთან დამეკავშირებინა ჩემი ცხოვრება. ამდენი ხნის მერეც კი, ჩემთვის ეს ქვეყანა ამოუხსნელ საიდუმლოებად რჩება.

იაპონია ყოველთვის მაცებდა თავისი კულტურით, განვითარებითა თუ საზოგადოებრივი მენტალობით, მაგრამ, ყველაფერთან ერთად, როგორც თითქმის ყველა უცხოელს, ასევე, მეც უსაზღვროდ მზიბლავდა იმ უსაფრთხოების, აბსოლუტური დაცულობის და სტაბილურობის შეგრძნება, რომელიც ამ ქვეყანაში გეუფლება. იაპონიაში, თითქოს არაფერი არ გემუქრება, აქ ყველაფერი არის, ყველაფერი ხარისხიანია და ყველაფერი თავის დროზეა!

მაგრამ წელს, 11 მარტს, უძლიერესმა მიწისძვრამ და ცუნამიმ ჩემი ეს წარმოდგენები სრულიად გააცამტვერა, ისევე, როგორც ბევრი პატარა ქალაქი და დასახლება ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონის სანაპიროზე. ცუნამიდან ორ დღეში, ამერიკელ ჟურნალისტებთან ერთად მოვახერხე მომეველო ეს ადგილები. იქ ნანახი და განცდილი ღრმად ჩამბეჭდა გონებაში და ალბათ, არასოდეს დამავიწყდება. მაშინ გადავწყვიტე პირველად, დამეწერა ჩემი იაპონური შთაბეჭდილებების შესახებ.

კატასტროფიდან 8 თვის შემდეგ იგივე ადგილებს დავუბრუნდი...

წერილი იაპონიიდან
გვ. 78



სალომე ჯაჟი

ანა ალექს ტაბატაძე ჩემთვის ორი რამის გამოა გამორჩეული: ერთი – როგორც ადამიანი, და მეორე – როგორც არტისტი. 23 წლის ანა ჩემთვის იმის მაგალითია, თუ როგორ შეიძლება, საკუთარი იდენტობის საპოვნელად უცხო გარემოში დასახლდე და მეორე პლანზე გადანიოს სხვა ყველაფერი. დღეს, მსოფლიოში, ეროვნული იდენტობა თითქმის აღარაფერს ნიშნავს. კოლექტიური არსება ერთგვარი ეთნოგრაფიული ეგზოტიკაა. დღევანდელი ევროპა მულტიკულტურული სივრცეა, სადაც ადამიანები მომთაბარეებივით მუდამ მოძრაობენ, მუდამ გზაში არიან. ჭიანჭველებივით გაბნეულნი, საკუთარ პიროვნულ იდენტობას ეძებენ. ანა ერთ-ერთი მათგანია, – ღია საკუთარი თავის, შეხედულებების და შემოქმედების ცვლილებისთვის. მუდამ პროცესშია. ამბობს კიდევ, რომ მისთვის პროცესია მნიშვნელოვანი და არა შედეგი.

AA-ს დეკონსტრუქცია
გვ. 50



KÉRASTASE
PARIS

GEORGIA'S BEST BEAUTY SALONS
INVITE YOU INTO THE WORLD
OF LUXURY HAIR CARE

ALDO COPPOLA
41, Abashidze Str.
Tel.: 2 251053

EXCELLENCE
88, Paliashvili Str.
Tel.: 2 232584

MELANGE
72, Paliashvili Str.
Tel.: 2 235452

ARTE
9-a, Napareuli Str.
Tel.: 2 252642


FRANCK PROVOST
28, Pekini Str.
Tel.: 2 386068

VART BEAUTY
49-a, Paliashvili Str.
Tel.: 2 183688

ELITE
1, Berdzenishvili Str.
Tel.: 2 231810

LADY SHARM
56, Abashidze Str.
Tel.: 2 252675

ALEX / Batumi /
27, D.Tavdadebuli Str.
Tel.: 842 2 279392



ანდრია ღოლიძე მხატვარი

ანდრია 23 წლისაა, ერთი შეხედვით, ეგონ შილეს ჰგავს, თუმცა არც ექსპრესიონისტი და არც გუსტავ კლიმტის მოსწავლე ყოფილა; ჯერ იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ კი – სამხატვრო აკადემიაში, ოლეგ ტიმჩენკოს სახელოსნოში. ამჟამად მაგისტრატურის I კურსზეა. „ტიმჩენკო იდეების გენერატორი იყო, თუმცა სრულ თავისუფლებას გვაძლევდა. მან დაგვანახა, რომ ხელოვანი ყოველთვის დროის ადეკვატური და ახალი ტექნოლოგიებისადმი გახსნილია“, – ამბობს ანდრია.

კარლო კაჭარავას აზრით, მხატვრობა სოციუმში გაგზავნილი სიგნალებია. ოთხწლიანი სწავლისა და საკუთარ თავზე მუშაობის შემდეგ, ანდრიასთვის ხელოვანის მთავარი მიზანი სიმბოლოების შექმნაა, რომელიც ადრესატამდე უნდა მივიდეს. მისი ნახატები უკვე ძვირად ფასობს, თუმცა კომერციასთან ხელოვნების ხარჯზე კომპრომისზე არ მიდის და გვპირდება, ეს არც მომავალში მოხდება. მისთვის ხატვა, პროფესიასთან ერთად, არის ჰობი, დასვენების საუკეთესო საშუალებაც და საერთოდ, ყველაფერი. თითქმის მთელი დღე, გონებაში აწყობს კომპოზიციას; არჩევს ფერებს, მასალას; ალაგებს ქაოტურ ფიქრებს და ასე, ნელ-ნელა, საბოლოო შედეგს იღებს ტილოზე. მუზის არსებობის არ სჯერა – ინსპირატორი, ღრმა განცდები და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემებია, შესაბამისად, ნამუშევრებიც რაციონალურ სათქმელს ატარებენ. იგი ამბობს, რომ მხოლოდ საღებავების შეზავება, ესთეტიკური ნამუშევრის შექმნა ხელობაა და არა – ხელოვნება.

ანდრია არასდროს მუშაობს ერთი მასალით (იყენებს, როგორც წყლისა და ზეთის საღებავებს, ასევე – ტუშს), არ ჩერდება ერთ ჟანრზე – მუდმივად ეძებს სიახლეს, აქტიურად აკეთებს ვიდეო-არტებს, ითვისებს კომპიუტერულ პროგრამებს იმ შემთხვევისთვის, თუკი ხატვით ცხოვრებას ვერ შეძლებს.

სამომავლოდ სწავლის გაგრძელებას ბერლინში გეგმავს, იქ სწავლის გადასახადიც ადამიანურია და ხელოვანთა ცხოვრებაც მუდმივად დულს.

ანდრიას ბოლო პერიოდის ნამუშევრები თითქოს დამძიმდა, მონოქრომული (შავი) გახდა, მათში ჩანს მისი პოზიცია, ცხოვრებისეული შეხედულებები და გარკვეული პრეტენზია, ანდრია თვლის, რომ შთაბეჭდილებების დასაგროვებლად საუკეთესო საშუალება ინდოეთში მოგზაურობა იქნებოდა.

ამჟამად ანდრიას ნამუშევრების ნახვა მხოლოდ პირად ფეისბუქ-გვერდზეა შესაძლებელი. აქამდე არაერთ ჯგუფურ გამოფენაში მიუღია მონაწილეობა. პირველი პერსონალური გამოფენა გაზაფხულზე გაიმართება. იყოს გამორჩეული, ანდრიას თვითმიზანი არაა, თუმცა, თუ მოყვარულთა და კრიტიკოსთა აღიარებას მოიპოვებს, ძალიანაც გაუხარდება.

დათო ყანჩაშვილი

პოეტი

სიტყვა „თანამედროვე“ პოეტს ავალდებულებს, თვალი გაუხსნოს იმ დროსა და სივრცეს, რომელშიც არსებობს, როგორც ინდივიდი და გარემოს ნაწილი. ამდენად, იგი შემოქმედებით პრიზმაში ატარებს რეალობას, რომელიც „ტკბილხმოვან“ ლექსებად როდი გარდაიქმნება – კალამი ხდება სკალპელივით მჭრელი; „სკალპელი“ ხან ადამიანის შინაგან, ეგზისტენციალურ ნიაღვრას დასმული, ხანაც – გარემო რეალობას „ოპერირებს“. შინაგანი და გარეგანი, ეს ორი მხარე ხომ ასე ურთიერთდაკავშირებულია – „რაც მთავრდება, ჯერ შიგნიდან მთავრდება მუდამ, და მერე გარეთ“... წარმოგიდგინებ ციტატის ავტორს – დათო ყანჩაშვილს, რომელსაც პოეტთან ერთად, თამამად შეგვიძლია ვუნოლოთ თანამედროვეც.

ლექსის თავისუფალი ფორმა მოქნილია სწორედ სოციალური თემატიკისთვის, რომელიც იორიკის (პოეტური ფსევდონიმი) შემთხვევაში ხშირი ასახვის საგანია. ავტორიც მაქსიმალურად იყენებს მის ტევადობას – გვაბრუნებს დასავინწყებლად და მისაჩქმალად განწირულ მნიშვნელოვან დეტალებთან და ცდილობს, არც ის დუმილი გამოჩვენოს, საგნების მიღმა რომ „მეტყველებს“. მხილებითი ტონალობის მიუხედავად, ლირიკული პერსონა დაცლილი არის აგრესიისგან – რეალობის აღქმა ხდება „თბილი“ მზერით; მისივე სიტყვებით რომ ითქვას:

„ანწყომი გამორიყული ახალგაზრდა კაცია, მლაშე წყლით საცხე, რომელიც თუ გადარჩება, ზუსტად ასე უნდა გადარჩეს, რომ ხელისგულზე ხელი ედოს და მის თვალებში ჩანდეს, ვის გამოც გადარჩენა არასოდეს არ არის გვიან.“

დათო ყანჩაშვილის ლექსების პირველ წიგნს, რომელიც 2010 წელს გამოიცა, სათაურიც ნიშანდობლივი აქვს: „სიფხიზლის გემო“. მანამდე, 2007 წელს, მისი ლექსები შევიდა პოეტური დაჯგუფების „ვარდისფერი ავტობუსი“ წევრთა საერთო კრებულში. ავტორი 28 წლისაა.

გვერდები: 46;124;126; 134.





-10-50%

სახალწლო
ფასდაჯობება

PSP COSMETIC

მუსიკა

ჭირვეული, მაგრამ ნიჭიერი



დეკემბრის მეორე ნახევარში თბილისის კონსერვატორიაში ტრადიციული „სახალწლო მუსიკალური შეხვედრები“ და ნოემბრის ბოლოს დაგეგმილი, ლექსო თორაძის საქველმოქმედო კონცერტები მხოლოდ აკადემიურ სიმშვიდეს თუ აღძრავს. თუმცა, არტი-ინტრიგას მოდარაჯე უურნალების თვალი ყველგან დაინახავს სიახლეს.

გნებავთ მაგალითი: 24 დეკემბერს, „მუსიკალური შეხვედრების“ ფარგლებში, ბორის ბერეზოვსკის სოლო კონცერტი გაიმართება... ბარემ, დავაკონკრეტებ, რომ პიანისტი ბერეზოვსკი ოლიგარქი ბერეზოვსკი არ არის! ამიტომ ზოგიერთი ჩემი ნაცნობის მსგავსად, ნულა იკითხავთ – „ის რა, უკრავს კიდევ?“

ბერეზოვსკის სოლო კონცერტი იმიტაც არის გამორჩეული, რომ პროგრამაში მითითებული არ არის, რას უკრავს ექსცენტრულობით ცნობილი ვირტუოზი. და ეს გამართლებულიცაა. მაგალითად, თბილისში, გასულ წელს გამართულ სოლო კონცერტზე, ლისტის „მეფისტო-ვალსი“ არც დაასრულა... დაკვრა შეწყვიტა და გამოაცხადა, ფინალი, უბრალოდ, უინტერესოაო. ამდენად, წინასწარ არვინ უწყის, რა ნაწარმოებებს და როგორ შეასრულებს ბერეზოვსკი.

მსოფლიოს ერთ-ერთ გამორჩეულ პიანისტს, ალბათ, ეპატიება ამგვარი კაპრიზები. კრიტიკოსები ბორის ბერეზოვსკის „უნიკალური განჭვრეტისა და გრძნობის მქონე მუსიკოსს“ უწოდებენ, ხოლო მისი გავლენა მსოფლიოს მუსიკალურ წრეებზე, ლამის ჰოროვიცის მითის ტოლფასია. ბერეზოვსკი მოსკოვის კონსერვატორიაში, სახელოვან ქართველ

პიანისტთან და პედაგოგთან, ელისო ვირსალაძესთან სწავლობდა.

პიანისტი რეგულარულად გამოდის მსოფლიოს სახელოვან ორკესტრებთან, თუმცა, ძირითადად, თანამშრომლობს ლონდონის ფილარმონიულ ორკესტრთან, რომელთან ერთადაც გასულ წელს შეასრულა ბრამსის ორივე საფორტეპიანო კონცერტი.

2009 წელს მისი სოლო კონცერტები პირველად გაიმართა დუბლინის ეროვნულ საკონცერტო და სამეფო საფესტივალო დარბაზებში. ბერეზოვსკის ჩანაწერებიდან კრიტიკოსების აღიარება და პრიზები მოიპოვა ბეთჰოვენის ყველა საფორტეპიანო კონცერტმა (შვედეთის კამერულ ორკესტრთან ერთად) და შოპენის, შუმანის, რახმანინოვის ნაწარმოებებმა. თანამშრომლობს ისეთ ცნობილ ხმის ჩამწერ სტუდიებთან, როგორებიცაა: „ემი კლასიკს“ და „დოიჩე გრამაფონ“.

ბორის ბერეზოვსკის გარდა, მუსიკის მოყვარულები სახელოვან ქართველ მევიოლინეს, ლიანა ისაკაძესაც მოუსმენენ, რომელიც ელგარისა და მენდელსონის კონცერტებს შეასრულებს. ლისტის დაბადების 200 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს იტალიელი პიანისტი, ალბერტო ნოზე კომპოზიტორის ვირტუოზულ რაფსოდებს დაუკრავს; „საქართველოს სიმფონიეტა“ ჰაიდნს, ბეთჰოვენსა და შოსტაკოვიჩს (დირიჟორი ლევ მარკიზი); ხოლო ცნობილი ქართველი სოპრანო, იანო ალიბეგაშვილი სოლო კონცერტს გამართავს, რომელზეც, ძირითადად, „ვერისტი“ კომპოზიტორების – მასკანის, პუჩინის, ჩილემას საოპერო არიებს შეასრულებს.

ლექსო თორაძის დაბვიანებული პიზიტი

თბილისს მალე ბერეზოვსკიზე არანაკლებ სახელოვანი პიანისტი, ლექსო თორაძეც ეწვევა. ნიუ-იორკის, ჩიკაგოსა და ბოსტონის საგასტროლო ტურნეს შემდეგ, ის თბილისში ჩამოდის! 30 ნოემბერს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში აღიარებული ქართველი პიანისტი საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად (დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი) დაუკრავს.

შესრულდება დიმიტრი შოსტაკოვიჩის პირველი და მეორე საფორტეპიანო კონცერტები, „საზეიმო უვერტიურა“ და პირველი სიმფონია (კარგა ხანია, ჩვენს საკონცერტო ესტრადას ამდენი შოსტაკოვიჩი ერთად არ ღირსებია!).


ლექსო თორაძე ამჟამად ინდიანას შტატის ქალაქ საუზ ბენდის უნივერსიტეტში საფორტეპიანო ფაკულტეტის კათედრის გამგეა და რამდენიმე გამორჩეული, ნიჭიერი მოწაფეც ჰყავს. მათ შორის არიან ქართველებიც, რომელთაც საკონცერტო კარიერის გაკვლევაში ეხმარება. 2011 წლის გაზაფხულზე ნიუ-იორკში გაიმართა იგორ სტრავინსკის მუსიკისადმი მიძღვნილი საღამოები, რომელშიც მის მოწაფეებთან ერთად, ცნობილი პიანისტი ალექსანდრე კორსანტიაც მონაწილეობდა.

სახელოვან პიანისტსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის 2009 წელს ფინეთში გამართული კონცერტის შემდეგ ბზარი გაჩნდა. როგორც პრესაში აღინიშნა, ლექსო თორაძემ საქართველოს ხელისუფლების მიერ „შერისხულ“ დირიჟორთან, ვალერი გერგიევთან და სანკტ-პეტერბურგის ფილარმონიის ორკესტრთან ერთად გამართა კონცერტი, რასაც ჩვენი ხელისუფლების უკმაყოფილება მოჰყვა.

... ქარიშხალი უკვე კარგა ხანია ჩავლილია, და ოდესღაც ასევე „შერისხული“ პაატა ბურჭულაძის ფონდი „იავნანა“ და ცნობილი პიანისტი პუბლიკას ორ დაუვიწყარ კონცერტს ჰპირდება. ვიდრე გვარიანად დავინყებულები შოსტაკოვიჩის მუსიკისადმი ვნება ჩაცხრება, ამასობაში, ვასო აბაშიძის ნაწილობრივ მუსიკისა და ნაწილობრივ დრამის თეატრი მორიგ პრემიერას წარმოგიდგენთ. სპექტაკლის სახელწოდებაა: „წერილები ღმერთს“.



თეატრი
„ვარდისფერი“ მონოლოგი
სიკვდილზე



სპექტაკლი დღეს ერთობ მოდური ფრანგი ფილოსოფოსის, მწერლისა და დრამატურგის, ერიკ ემანუელ შმიდტის პიესის, „ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონის“ მიხედვით დაიდგა. პიესა თარგმნა გია ჯოხაძემ; დამდგმელი რეჟისორია მამუკა ტყემალაძე; სცენოგრაფიის, კოსტიუმების და ანიმაციის ავტორია ნინო თათარაშვილი.

შმიდტის პიესები 30-ზე მეტ ენაზეა ნათარგმნი და წარმატებით იდგმება მსოფლიოს ცნობილი თეატრების სცენებზე. „ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი“ ტრილოგიის ბოლო ნაწილია. პიესა ლეიკემიით დაავადებული 10 წლის ბიჭუნას, ოსკარის ისტორიას მოგვითხრობს, რომელსაც საავადმყოფოში ყოველდღიურად ექთანი როუზი სტუმრობს. ექთანს ვარდისფერი ქალბატონი ჰქვია, რომელიც ოსკარს ღმერთისთვის წერილების დაწერას სთავაზობს. მთავარი ინტრიგა ისაა, რომ ექთნის დახმარებით ოსკარის დარჩენილი ცხოვრების ყოველი დღე ათ წელს უტოლდება! ასე რომ, 10 წლის ოსკარი პიესის ბოლოს 130 წლისაა. ოსკარის ცხოვრების უკანასკნელი დღეები, ექთან როუზის დახმარებით, მართლაც, დაუფინყარი ხდება.

თუ ამ პოეტურ, ოდნავ ნაივურ და ლამაზ სპექტაკლზე ნახვალთ, აუცილებლად გაითვალისწინეთ ზღაპრის ჟანრის წინაპირობა, და ისიც, რომ ბავშვებსა და მოზარდებს (თუ ისინი ჯერ კიდევ არ იქცნენ ცინიკოსებად) პიესა სიკეთის აუცილებლობაზე დააფიქრებთ. უნდა აღინიშნოს რეჟისორის მიერ ზუსტად შერჩეული მსახიობები – განსაკუთრებით ნინელი ჭანკვეტაძე დედა როლის როლში და კახა კინწურაშვილი (ოსკარი).

ფრაგმენტი პიესიდან: „დაბადების დღეს გილოცავ, ღმერთო. ვარდისფერი დედიკო ამბობს, რომ მშობლებთან შერიგება შენ-

თვის ყველაზე მაგარი საჩუქარი იქნებოდა. ჩემი აზრით, ეს ნამდვილ საჩუქარს ვერ შეედრება, მაგრამ რადგან შენს ძველ დაქალს ასე სურს... მოკლედ, შევერიგდი. ასე ვუთხარი: მამატიეთ, დამავინყდა, რომ ერთხელ თქვენც მოკვდებით მეთქი. შეიძლება ამან გაამხნევა... არ ვიცი, მაგრამ ისინი ძველებურად მოიქცნენ. ხვალამდე. გოცნი, ოსკარი“.

„ქუსლები ჭერში“ და
თანაბრდნობა დარბაზში

თეატრალებს ვურჩევ, არ გამოტოვონ კიდევ ერთი პრემიერა, რომელიც სამეფო უბნის თეატრში ნოემბრის ბოლოს და დეკემბერში გაიმართება; თანამედროვე შვედი დრამატურგის რასმუს ლინდბერგის პიესა „ქუსლები ჭერში“ მაყურებელს გულგრილს, ალბათ, არ დატოვებს. ჯერ ერთი, ისინი რეჟისორ სალომე ჯოგლიძის არცთუ ურიგო გემოვნებაში დარწმუნდებიან, მეორე – ნიკა ფასურის კარგ მუსიკას მოუსმენენ (რომელიც, სხვათა შორის, დამოუკიდებლადაც კარგად ჟღერს) და მესამე – კარგად „ნაკეთი“ და ნაკვეთი ირონიის მქონე ახალგაზრდა მსახიობის, შაკო მირიანაშვილის თამაშს ნახავენ. სპე-



ქტაკლში აგრეთვე მონაწილეობენ: ქეთა შათირიშვილი, გიორგი ყორანაშვილი, მაგდა ლებანიძე. პიესა შვედურიდან თანამედროვე დასავლური დრამატურგის დაუცხრომელმა პროპაგანდისტმა, დავით გაბუნიაშვილმა თარგმნა.

„ქუსლები ჭერში“ ეს არის სავარძელს მიჯაჭვული გოგონასა და მისი მომვლელი ბიჭის რომანტიკული ამბავი. მათ თითქოს არაფერი აქვთ საერთო, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი აღმოაჩენენ, რომ ერთნაირად განიცდიან, ბრაზობენ და უხარიათ... რასმუს ლინდბერგის პიესაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების პრობლემები ყოველგვარი ჭკუისდამრიგებლური მორალის გარეშე,

არასწორხაზოვნადაა გადმოცემული. პიესის პერსონაჟები არ ითხოვენ თანაგრძობას და სიბრალულს. ისინი თანასწორობას ითხოვენ, რაც გაცილებით რთულია და ყოფით წვრილმანებზე მნიშვნელოვანია.

ფერადი სცენოგრაფია და უბრალო მიზანსცენებით აგებული რეჟისურა თეატრში მისულ მაყურებელს გაცილებით რთულ კითხვებს დაუსვამს, ვიდრე ის მოელის. მაგალითად, როგორ ექცევა საზოგადოება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს? სადამდე მიდის მისი გულგრილობა და რამდენად ძნელია რთულ ვითარებაში ადამიანმა მოახერხოს ძალების მობილიზება და საკუთარ თავში სასიცოცხლო ენერჯია მოიძიოს.

ლექსია / დისკუსია
ასე ამბობდა პან პავლოვსკი...

თუ თეატრალებს სპექტაკლებისა და სახანაობის გარდა, თეორიული დისკურსიც დაინტერესებთ, შეუძლიათ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ცნობილი პოლონელი კრიტიკოსისა და პროფესორის, რომან პავლოვსკის ლექციებს დაეწნონ. ლექციები ნოემბრის ბოლოს ჩატარდება. იმედია, შეხვედრა პროფესიონალების გარდა, თეატრალური ხელოვნების მოყვარულებსაც დაინტერესებთ.

პოლონელი კრიტიკოსი უაღრესად საინტერესო თემებს შეეხება: „პოლიტიკური თეატრი პოლონეთში“ და „წარსული და მესხიერება თანამედროვე პოლონურ დრამატურგიაში“. ლექციების გარდა, დამსწრე საზოგადოება ცნობილი თანამედროვე პოლონელი რეჟისორების, იან კლატასა და გჟეგოჟ იაჟინას სპექტაკლების ვიდეო ვერსიასაც იხილავს.

რომან პავლოვსკი თეატრისა და კულტურის კრიტიკოსია; პოლონური გამოცემის, „გაზეტა ვიბორჩას“ ჟურნალისტი. თეატრმცოდნეობას კრაკოვის იაგელონიის უნივერსიტეტში სწავლობდა. თეატრისა და კულტურის შესახებ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული წერს. თავის შრომებში კრიტიკოსი ყურადღებას თანამედროვე პოლონურ დრამატურგიასა და კულტურის პოლიტიკაზე ამახვილებს. გამოცემული აქვს ახალი პოლონური დრამის ორი კრებული: „პორნო თაობა და სხვა უგემოვნო თეატრალური ქმნილებანი“ და „დამზადებულია პოლონეთში“. ორივე კრებულმა პოლონეთში ახალი დრამატურგიის განვითარებას მისცა ბიძგი.



„ლოკვა“, საბა შენგალია

ჩვენ, პოსტმოდერნისტები, არ ვიცივით

„არტისტარიუმის“ IV საერთაშორისო გამოფენა

ავტორი ლავით ჩიხლაძე
ფოტო სალომი ნარსია

ამალამ სახლისკენ სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისას „არტისტარიუმის“ მეოთხე საერთაშორისო გამოფენის შესახებ ვფიქრობდი. „თავისუფალი ვარდნა“, ასეთი სათაური ჰქონდა წელს ამ გამოფენას, ანუ მონაწილე არტისტებს თემა თავისუფალი ჰქონდათ. სამარშრუტო ტაქსოში ჩემი ერთი მეგობარი, ნინო, დამემგზავრა, მანამდე სწორედ ამ გამოფენაზე გადავყვარეთ ერთმანეთს და ამიტომ საუბარიც იქიდან გაგრძელდა. მითხრა, ისე მომბეზრდა ამ არტისტების ტვინის ქვლეტის შედეგების ყურება, ვერ აღვინერო. თან, როგორი ამბიციურია ყველა და ნამუშევრებიც ძირითადად მხოლოდ მათ განცდებს და ფსიქოლოგიურ პრობლემებს ეხება. ამ განცდების მაყურებელთან მიტანისას კი ცდილობენ დაგვარწმუნონ, თითქოს ეს ყველასთვის საერთო იყოსო. სულაც აღარ მივალ გამოფენებზეო, – ასე მითხრა.

ყველა დაიღალა პოსტმოდერნიზმით, მით უმეტეს, რომ ზოგადად გამოფენებზე და აქაც პოსტმოდერნიზმი ისედაც ცოტა და ყველა ისევ რაღაც მოდერნისტულ ფორ-

მებს ეძებს, ან საკუთარი თავის გამოხატვა სურს. „არტისტარიუმი“ ერთადერთი მოვლენა თბილისში, რომელიც საერთაშორისო მასშტაბის თანამედროვე ხელოვნების დიპაზონს გეთავაზობს და მიმჩნია, რომ დევალვაციისა და კრიზისის პრობლემაც სწორედ მან უნდა წამოჭრას. ამიტომაც, ასეთი რეაქციები სულაც არ მიმჩნია ნაკლად. დიახ, სადღაც, მეც ვეთანხმები, რომ ვარდნაა, თანაც, თავისუფალი და არა მხოლოდ აქ, საერთოდ მსოფლიოში. და ყოველთვის მიკვირს ხოლმე ბოლოს, როგორ ზუსტად უსადაგებს სათაურს მისი კურატორი, მაგდა გურული, მიმდინარე კონტექსტს.

თუ დღევანდელ არტში პოსტმოდერნისტული ხარისხია განმსაზღვრელი, მაშინ გამოფენაზე ჩემთვის ტოპ ჩოისი იყო ქარვასლაში გამოფენილი „ფლოტის ჯგუფის“ ნამუშევარი, სადაც კოკა ვაშაკიძე, ვასო მაჭარაძე და ბესა ქართლელიშვილი ერთიანდებიან. ეს ჯგუფი წელს დაარსდა, თუმცა ამ არტისტების თანამშრომლობა ახალი არ არის, ორი მათგანი კი, ადრე ასევე წარმატებული „ბესა და ლალელის“ ჯგუფიდანაა.

გაფეტების საშუალებით თანამედროვე ხელოვნების ფრაგმენტულად გაცოცხლება, არტისტების ერთგვარი იმედის კუნძული გახდება ხოლმე, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ტექნიკით თავის მოწონების გარდა, სხვა რამე რომ არ ყოფილიყო მათ ნამუშევარში, ეს ჩვეულებრივი, ქართული ამბავი იქნებოდა. ჩვენთან უფრო ხშირია იმიტაციები ციფრულზე, კოდზე და სხვა გიკი პრეტენზიებზე, – ქვეყანაში, სადაც საკაბელო ტელევიზორიც არ იჭერს არსებს წესიერად. „პერსონალური როტაცია“, ასე ერქვა ამ მრავალარხიან აუდიო/ვიზუალურ ინტერაქტიულ ნამუშევარს, მინი ფლემ თამაშს, რომელიც უკვე იმით იყო სასაცილო, რომ 18+ კატეგორიაში თავსდებოდა. ხელოვნების გალერეაში პორნოგრაფიის შეტანა მარტივი საქმე არ არის, იმიტომ, რომ მნახველთა უმეტესობამ უკვე ვიცით ეს და აღარ გვინტერესებს ასეთი პლემბური ტრიუკები. სკანდალის გვერდის ავლით, იუმორით და მორიდებით თურმე შესაძლებელია პორნოგრაფია აჩვენო გალერეაში, ისე, რომ ხალხი ამით გაერთოს, არც არავინ შეწუხდეს



ავეჯი, რომელიც გილამაზებთ სხოვრებას



ავეჯის სალონი „პაპილონი“
თბილისი, აკ.ბაქრაძის 6
ბათუმი, ბავრათინის 109
ტელ: 2540990, ფაქსი: 2540993
www.papillon.ge





და არც არავინ აიძულონ, უკვირდეს ვილაცის გამბედაობა ან სიგიჟე. ეს „იძულება“ გაკვირვებაზე ჩვენი დროის ახალ პათეტიკად ჩამოყალიბდა, განსაკუთრებით კულტურულად განვითარებად ქვეყნებში.

ეს იყო პატარა თაჩ სკრინი და უნდა დაგეჭირათ თითო ლილაკზე PLAY. შემდეგ ყურსასმენებში გესმოდათ პორნო ფილმის ფრაგმენტის ხმა და უნდა გამოგეცნოთ, თუ რომელი ქვეყნის პროდუქცია იყო — ამერიკის, ბრაზილიის, იაპონიის თუ კიდევ რაღაც იყო მეოთხე, მე მგონი, გერმანიის და ეკრანზე გამოსახული ოთხი დროშიდან, შესაბამისი ამოგერჩიათ. ამისთვის თაიმერი 1 წუთს გაძლევდათ და გამოცნობის შემთხვევაში ეს პორნო ფრაგმენტი ჩაირთვებოდა. არტისტები ზუსტად მიხვდნენ, რომ თამაში და პორნო აუტიზმი დღეს მთავარი საკითხია. მიხვდნენ იმასაც, რომ ამაზე დარდს აზრი არა აქვს, პირიქით, სჯობს ასეთი გასართობი მოიგონო და იქნებ იყიდოს კიდეც რომელიმე მსხვილმა პორნო ინდუსტრიამ, გაღერებებს ამის ფული სად აქვთ, მით უმეტეს, საქართველოში. ეს სრულიად უდარდელი, აუდიტორიაში ნებაყოფლობით პოპულარული და სუპერ ლაკონური ნამუშევარი ამტკიცებდა, რომ პოსტმოდერნიზმი და დემოკრატია მართლაც თანხვედრია ერთმანეთის, დღეს უკვე არავის სჭირდება ვილაცის ემოციური ან ეგზისტენციური პათეტიკური დემაგოგია. მათი სტიტიმენტი ასეთი იყო: „პერსონალური როტაცია არის მცდელობა გამოიკვლიოს ადამიანის კულტურული ფონის გავლენა მის ექსტატურ განცხადებაზე და პიროვნების სოციო-კულტურული დეტერმინაციის სიღრმე“.

„არტისტერიუმზე“ ჩემი მეორე არჩევანია სოფი ჰოფერის, ბესა ქართლელიშვილის და მარიან ოპლიგერის „ნამდვილი ქართული ქათმის კვერცხი“, რომელიც ლიტერატურის მუზეუმში ვნახე. ეს ნამუშევარი საქართველოს და შვეიცარიის ტერიტორიაზე შეიქმნა 2011 წელს. ეს იყო ბესა ქართლელიშვილის ლექცია-პერფორმანსი იმის შესახებ, თუ როგორი პარალელები არსებობს ქათმის კვერცხის წარმოებასა და არტისტებსა და კურატორებს შორის ფულის განაწილებას შორის, ამ მცირე ბიზნესის შედეგად კი, ქათმის ფორმებში გამოწყობილი ორი შვეიცარიელი მხატვარი ქალი თბილისში აღმოჩნდა. ბესა ქართლელიშვილმა დაიწყო გამოკვლევა შვეიცარიაში, თუ როგორ შეიძლება არტისტს მოეძებნა ალტერნატიული ფინანსური გზები კურატორების და გაღერების გვერდის ავლით. კვერცხის ბიზნესის შედეგად, მგონი, 2,000 ლარი დაგროვდა, მაგრამ ხარჯებთან ერთად, პროექტი, მაინც მცირე მინუსებით დამთავრდა. ეს პერფორმანსი აღსავსე იყო სოციალური კრიტიკით არა მხოლოდ არტისტის ფინანსური დილემების, არამედ თვით ამ დილემებთან არტისტების დამოკიდებულებების მიმართ. პოსტმოდერნისტული ნამუშევრები პრობლემებს არ წყვეტენ, ეს ნამუშევრები იცინიან და სხვებსაც აცინებენ. მე მართლა პირველად ვნახე ერთდროულად ასეთი სერიოზული და თან გულლიად სასაცილო ინგლისურ/ქართული ლექცია, საიდანაც არავის უნდოდა გასვლა და, რომელსაც, კონტემპორარი არტისტის სრულიად მოულოდნელი ბალეტის დივერტისმენტის ოვაციები ჰქონდა — პერსონალური, კომერციული გეგმებისა

და სქემების ჩანახატებით, ცხრილებითა და სამომხსენებლო პანელის ფოტოებით, რაც ცალკე პარალელურ, ულამაზეს და ირონიულ ექსპოზიციას ქმნიდა.

ამერიკელი არტისტების გამოფენა ასევე საყურადღებო აღმოჩნდა, ელიზაბეთ კლეი თანამედროვე კერამიკას და მის მოხატულობას ახალ საგალერეო მნიშვნელობას ანიჭებდა და ეს ის ილზიანი შემთხვევა იყო, როცა ეთნიკური ან ხალხური მთილანად ნეიტრალურ და არქეტიპულ დიზაინად გადაიქცეოდა. ნამდვილად გამიკვირდა, როდესაც კერამიკას ასეთი ინსპირაციით ვათვალისწინებდი.

კიდეც ორ ნამუშევარს დავასახელებდი, რამაც გადამწყვეტინა ჩემი მეგობარი გოგონა, ნინო, დავითანხმო, რომ მომავალ წელსაც აუცილებლად მივიდეს „არტისტერიუმზე“: ეს იყო მამუკა ჯაფარიძის „თვალეზიანი ხე“ და ნიკო ცეცხლადის „სივრცე, რომელიც იცინის“. მამუკა ჯაფარიძის ეს ნამუშევარი ახალი არაა, მაგრამ ახალი ის იყო, რომ მას ექვე, ქარვასლის მეორე იარუსის აივანზე, ხის ტოტების დიდი ბუჩქი მოეთავსებინა და დამთვალეერებლებს ამ ცოცხივით ტოტებს ჩუქნიდა. ულამაზესი აქტი იყო. ნიკო ცეცხლადემ კი, აუდიო სენსორი დაამონტაჟა კედელზე და მიახლოებისას დამთვალეერებელს სიცილი ესმოდა, ისე კი ცარიელი თეთრი კედელი იყო, როგორც კატალოგში აუდიო ნამუშევრის ამსახველი თეთრი ფურცელი. ნამდვილად, ნიკო ცეცხლადე შამანის ტიპის მხატვარია, იმ მნიშვნელობით, რომ მასთან იდეა და მომავლის პროგნოზირებაა მთავარი და იქნებ, „კაცი, რომელიც იცინოდა“, დღეს, მართლაც, სივრცედ გადაიქცა, რომელიც ასევე იცინის.



მასარუ ივანის პერსონალი

ჯუნიშირო იშიი და მასარუ ივანი – არტისტერიუმის მთავარი „სანიტრები“

ავტორი ღაბია ბუხრიძე
ფოტო ლევან ტულუში

ქვეყანაში, სადაც „არტი“ ჯერ კიდევ „გაუხედნავ“ მოვლენას აღნიშნავს, „არტისტერიუმის“ მთავარი თემა „თავისუფალი ვარდნა“ ჩვენს არტისტულ „ლანდშაფტს“ ნელა, მაგრამ მანაც ცვლის.

ცვლილების ნათელი მაგალითი ორმა იაპონელმა ხელოვანმა – ჯუნიშირო იშიიმ და მასარუ ივანიც მოგვცეს, რომლებიც „არტისტერიუმზე“ ერთვარ „სანიტრებად“ მოგვევლინენ.

მასარუ ივანი თავის ნამუშევრებში ნაგვისა და დასუფთავების თემებს პოეზიანარევი ცეკვით აერთიანებს. დევიზი „დამლაგებლები ყველგან და უპირველეს ყოვლისა!“ – მთავარ მოტივად იქცევა, რისთვისაც, იგი, სხვადასხვა მედია-საშუალებებს იყენებს: ინსტალაციას, ვიდეორტს და პერფორმანს... ხელოვანი, ყოველდღიურ ყოფაში ჩაფლული ადამიანების სისუფთავისკენ მიდრეკილებას ენერგიული შესტიკულაციით, ცეკვითა და მოძრაობებით გამოხატავს.

„სისუფთავის ცეკვა“ იაპონიაში გადაღებული ვიდეონამუშევარია, რომელშიც ცეკვა და დასუფთავება, ლამის, მიუზიკლივით არის გართიმული. რაც შეეხება ვიდეოს, სახელწოდებით – „სისუფთავის ცეკვა – თბილისი, ქართული ცეკვა“, იგი ერთმანეთთან აკავშირებს ირონიის ზღვარზე მოცეკვავე გოგო-ბიჭს ცოცხით ხელში!

მასარუს ივანის გზავნილი ცხადი და

ცოტა ირონიულია – „რაც უფრო სუფთა ხარ, მით უფრო ამაღლებული ხარ“, რაც, ალბათ, ძენ-ბუდიზმის ტრანსფორმაციად უნდა მივიჩნიოთ და თან არც ტრადიციული იაპონური პოეზია დავივიწყოთ. განსხვავებულ შთაბეჭდილებას ტოვებს დაახლოებით ათწუთიანი ვიდეონამუშევარი, სახელწოდებით „გალაქტიკის რეცხვა“.

ავტორი ყველაფერს რეცხავს: ბოსტნეულს, ჭურჭელს, ნიგნებს... საგამოფენო დარბაზში, ვიდეოპროექციების გარდა, ივანი ლიტერატურის მუზეუმში „ნაპოვნი“ დამტვერილი სკულპტურებიც მოიძია და ექსპოზიციის გახსნის დღეს საგულდაგულოდ განმინდა. გაოგნებულ მყურებლებს მხატვარი აუღელვებლად და ლაკონურად პასუხობდა: „ვნმენდ იმიტომ, რომ ჭუჭყიანია“.

მუზეუმში აგრეთვე წარმოდგენილია ჯუნიშირო იშიის ინსტალაცია „ბნელი ოთახი“. ხელოვანი მხატვრულ და სოციალურ ასპექტებს აერთიანებს. იგი, ადგილის მიმართ განსაკუთრებული შთაბეჭდილებების წარმოსაჩენად, არ იყენებს რაიმე წინასწარ განზრახულ თუ აკვიატებულ მეთოდს, არამედ კულტურულ თავისებურებებსა და სიმბოლოებს მიმართავს. ასახავს, რასაც განიცდის და ამავე დროს, განცდებს ძლიერ, სოციალურ და პოლიტიკურ დატვირთვას ანიჭებს.

ინსტალაცია „ბნელი ოთახი“, ბნელ და ჩუმ გარემოშია მოქცეული. 2011 წელს ფუკუშიმაში მომხდარი ატომური ელექტროსადგურის ავარია მხატვრისთვის გადატანილი შოკის შემდეგ ინსპირაციის წყაროდ იქცა. „ჩვენ კარგად ვიცით, რას ნიშნავდა იაპონიის ატომური კატასტროფა, განსაკუთრებით ჰიროშიმასა და ნაგასაკის ისტორიული გამოცდილების შემდეგ“, – ამბობს ჯუნიშირო იშიი.

ბნელი და ცარიელი ოთახის შუაგულში მაგიდა დგას, რომელთანაც მიახლოებისას სინათლე ირთვება. დაფაზე ქართულ ენაზე დაწერილი წინადადება იკითხება: „სინათლის ქვეშაც არაფერია“. მოშორებით კი, ხისგან დამზადებული ლამაზი ყვავილი დგას...

„ფუკუშიმას კატასტროფა მომხმარებლური საზოგადოების უპერსპექტივობაზე მიუთითებს. საზოგადოებაში სოციალური მგრძობელობა ჩლოუნდება და ის, უბრალოდ, უსარგებლო ხდება. ბირთვული პროგრამებისა და განვითარების სულ უფრო არანორმალური ტემპები და კაპიტალიზმის დაუნდობელი კონკურენცია არჩევანს არ გვიტოვებს“ – ამბობს ჯუნიშირო იშიი.

მსგავსი აპოკალიფტური განცდები თანამედროვე იაპონელი ხელოვანის დიდ სოციალურ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს.



კიდევ ერთხელ „აკრძალულ“ სიყვარულზე

რუსული კინოს მეორე ფესტივალი – ახალი „სამიზნე“ და ძველი „მწუხარე უბრძოლობა“

ავტორი ღაბიატ ბუხრიკიძე

კალრი ფილმის „სამიზნე“

ძნელია საქართველოსადმი რუსული კინემატოგრაფის „აკრძალული“ სიყვარულის ზუსტი და მკაფიო რეცეპტი გამოწერო; ან, ზოგადად, ამ სიყვარულ-სიძულვილის გლობალური მიზეზები კიდევ ერთხელ საჯაროდ გამოიკვლიო. განსაკუთრებით, როცა ცნობიერებას აგვისტოს ომის შემდგომ დატოვებული „ტრავმა“ ხელს უშლის, ხოლო საუკუნეების განმავლობაში მოდარაჯე მართლმადიდებლობა „თერაპიის“ საპატიო როლის შესრულებას ველარ ახერხებს.

რუსული კინოს ფესტივალი, რომელიც ნოემბრის დასაწყისში, კინოთეატრ „რუსთაველში“ მეორედ გაიმართა, დიპლომატიურ არტ-ფუნქციას მხოლოდ დროებით, რამდენიმე დღის განმავლობაში ასრულებდა. 25-მდე ფილმის ნახვისა და განსჯის შემდეგ გარკვეული ტენდენციები მაინც თვალსაჩინოა.

პირველი – ახალი სახელების, თემების, ფილმების წარმოჩენა და რეკლამირება; „ახალი რუსული“ კინოს საფესტივალო თუ საავტორო კინოს იმიჯის შექმნა მთელ მსოფლიოში, რაზეც საკმაოდ დიდი თანხები იხარჯება (მაგალითად, ალექსანდრ ზელდოვიჩის, ალექსეი პოპოგრებსკის, ანდრეი ზვიაგინცევის საავტორო კინო). გარდა ამისა, სულ უფრო პოპულარული ხდება პატრიოტული და ისტორიული ფილმები, რომლებსაც, ხშირად, რუსული ტელევიზია აფინანსებს და რაც ირიბად სოციალურ-პოლიტიკურ დაკვეთას წარ-

მოადგენს (ასეთი ფილმები თბილისში არ უჩვენებიათ).

მეორე – მკვეთრი თემატური დაყოფა საავტორო კინოს, არტ-ჰაუზს, სოციალურ ფილმებს, ნაციონალურ მენისტრის თუ დასავლურ ფესტივალებზე წარდგენილ ფილმებს შორის. თბილისში რუსული კინოს მართლაც ჭრელი და მრავალფეროვანი პროგრამა ვიხილეთ, თუმცა ეს „მრავალფეროვნება“ სრულიად განსხვავებული ხარისხის ფილმებს გულისხმობს და ზოგჯერ ხელოვნურია.

მესამე – ვარსკვლავ-რეჟისორებისა და ვარსკვლავ-მსახიობების შექმნის მცდელობა, რაშიც ჩართულნი არიან არა მხოლოდ გავლენიანი თუ ინტელექტუალური პროდიუსერები და სტუდიები, არამედ ცნობილი კრიტიკოსები და ხშირად უცხოური ტელევიზიებიც.

მეოთხე – რუსეთი ინტერნაციონალური და მულტი-კულტურული ქვეყანაა, სადაც ნებისმიერი ეროვნების რეჟისორს შეუძლია წარმატების მიღწევა. მაგალითად, წლევანდელ ფესტივალზე აჩვენეს ქართველი რეჟისორების – დიმიტრი მამულაის სოციალური იგავი „სხვა ზეცა“ (2010), ბაკურ ბაკურაძის „მონადირე“ (ფილმი მონანილეობდა კანის ფესტივალის სპეციალურ პროგრამაში, ასევე დაჯილდოებულია პრიზით რეჟისურისათვის სოჭის „კინოტავრზე“) და ნიკოლოზ ხომერეკის მოსკოვური დრამა „ბუმერანგი გულისა“.

კლასიფიკაცია უფრო გრძელი და ხელოვნური რომ არ მოგეჩვენოთ, რამდენიმე საინტერესო და გამორჩეული ფილმით შემოვიფარგლები. ფესტივალის გახსნის დღეს ნაჩვენები, ალექსანდრ ზელდოვიჩის „სამიზნე“ (2010) ფუტურისტულ-ინტელექტუალური კინოს პრეტენზიებს მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს. ცნობილი ოპერატორის, ალექსანდრ ილხოვსკის კამერა 2020 წლის რუსეთს აღბეჭდავს, რომელშიც სამყაროს გლობალიზმში მთავარი მოვლენა – ავტობანებზე ჩინეთიდან მომავალი გიგანტური სატვირთო ავტომობილები დაქრია; დასავლური გავლენა კიდე უფრო საგრძნობია, ხოლო სასარგებლო ნიაღისეულის სამინისტროში მხოლოდ „ამერიკულ საუზმეს“ მიირთმევენ.

უკეთესი ჟანრობრივი დახვეწილობის შემთხვევაში, შესაძლოა, რეჟისორ ზელდოვიჩის ნამუშევარი სოციალურ უტოპიად მოგეჩვენებოდა, მაგრამ რეჟისორი უტოპიურ ვექტორს საბჭოთა კლასიციზმით ცვლის. ცნობილი ეპატაჟური მწერლის, ვლადიმერ სოროკინის ალაგ-ალაგ ნაცნობი იუმორი უფრო მოსაწყენია და ნაკლებად შეიცავს კინოსცენარისათვის დამახასიათებელ დინამიურ ელემენტებს. ერთი მხრივ, ფილმის დუნე რიტმი და მეორე მხრივ – მსახიობთა ანემიური თამაში, გაიძულვებთ გონება დაძაბოთ და ინტელექტუალურ, მოსაწყენ რეჟისურას ვიზუალური გამართლება მოუძებნოთ. ობიექტურობისათვის უნდა ითქვას, რომ

გორის ბავშვთა კვების საკონსერვო ქარხანა

Kula



საუკეთესო ქართული ტრადიციები

გასინჯე ხარისხი!

ფაქი

ნილი



100%
ბუნებრივი
გვენი





კადრი ფილმიდან „კუნაული“

ოპერატორის ნამუშევარი მართლაც გამორჩეულია.

ბაკურ ბაკურაძის „მონადირემ“ მოახერხა კანში კრიტიკოსებისთვის ვენებები როგორღაც აეშალა. ფილმი უფრო 40-50-იანი წლების ამერიკულ სოციალურ დრამას მოგაგონებთ – კარგი სცენარით, მსახიობთა ნამუშევრით (მიხაილ ბარსაკოვიჩი, ოქსანა სემიონოვა) და გამოკვეთილი კონფლიქტით. ფერმერ დუნაევს სუფთა და მოვლილი მეურნეობა აქვს და კარგადაც შრომობს, ხოლო ღორის ხორცს ბაზარში აბარებს. თუმცა, მეზობლად მდებარე კოლონიის პატიმარი ქალები მის ცხოვრებაში ქარიშხალივით შეიჭრებიან. ლამის ნატურალისტურად გადაღებული ნადირობისა და ღორის დაკვლის სცენები კინომანებს ალბათ გაახსენებს პეტერ ფლაიმანის ფილმს „ნადირობის სცენები ქვემო ბავარიაში“.

გერმანელი რეჟისორისგან განსხვავებით, ბაკურაძის ფილმში საბჭოთა „აჩრდილები“ მაინც ჩნდებიან. ამ საბჭოთა ნოსტალგიური ნოტების მიღმა, მაინც ადამიანური ყოფის სიმშვიდე და მიუღწეველი სიყვარულის სევდა იკითხება.

პაველ ლუნგინის „კუნძული“ რელიგიური დრამაა, რომელშიც „დანაშაულისა და სასჯელის“ მარადიული პრობლემა, თითქოს სახარებისეული ლალატისა და მონანიების ახლებური ვარიაციაა. 1942 წელს გათამაშებული ტრაგიკული დრამა (ახალგაზრდა მატროსი ანატოლი ტყვედ ჩაუვარდება გერმანელებს და თავის გადასარჩენად დახვრეტს ამხანაგს) პირდა-

პირ უკავშირდება პიროვნების მორალური თუ რელიგიური პასუხისმგებლობის საკითხს. ანატოლი ხვდება, რომ ცოდვა არ მიეტევება და ხსნას მხოლოდ ღმერთისგან ელის. სოლოვეკების მკაცრი და პირველქმნილი ბუნება პაველ ლუნგინის ფილმში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. თავისი შეურყევლობით და ბუნებრიობით ის უფრო მალა დგას (შეშლილი ლირიც ამას იმეორებს – „ბუნება ხელოვნებაზე მალა დგას“), ვიდრე დანაშაულისა და მონანიების მტანჯველი ტვირთი, რომელიც ზედმეტად ამძიმებს ისედაც რთულად აღსაქმელ ფილმს.

რუსული კინოს მეორე ფესტივალის დახურვის პატივი, ალბათ, ყველაზე პოპულარულ თანამედროვე რუს კინორეჟისორს, ანდრეი ზვიაგინცევს ხვდა წილად. ფილმს მთავარი გმირის სახელი ჰქვია – „ელენა“.

რეჟისორი ამბობს, რომ „ელენა“ არც მხოლოდ სოციალური ფილმია და არც ფილოსოფიური – „მანტერესებდა ამ უბრალო ქალის შინაგანი ცვლილება მას შემდეგ, რაც მეუღლე დახმარებაზე უარს ეუბნება. ელენაში თვითგადარჩენის ცხოველური ინსტინქტი იღვიძებს. ის მხოლოდ საკუთარ მემკვიდრეებზე ზრუნავს და საერთოდ ივინყებს ზნობას“. ზვიაგინცევის ფილმს, რომელიც 2011 წლის გაზაფხულზე გამოვიდა, დასავლეთში კარგი რეკლამა ჰქონდა. ცინცხალ ფილმს ჯერ სანდენსის კინოფესტივალზე საუკეთესო სცენარისთვის პრიზი გადასცეს, ხოლო კანის კინოფესტივალზე, პროგრამაში „განსაკუთრე-

ბული მზერა“, ერთბაშად ორი პრემიით დააჯილდოვეს: საუკეთესო რეჟისურა და საუკეთესო ოპერატორული ნამუშევარი (მიხაილ კრიჩმანი). კრიტიკოსებმა „ელენას“ „ძლიერი და ნათელი ფილმი“ უწოდეს. სიმართლე ითქვას, ვერც კრიჩმანის შესანიშნავი, მაგრამ ფორმალური „მზერა“ და ვერც პოპულარული თანამედროვე კომპოზიტორის, ფილიპ გლასის (მისი მუსიკა მრავალ ცნობილ ფილმში ჟღერს) ტექტები შველის ევროპული ეგზისტენციის პრეტენზიულობით გადაღებულ ნამუშევარს. „ელენას“ უმთავრესი – სიცოცხლე და ვნება აკლია, რაც ასე ძალუმად იგრძნობა ნებისმიერი აღმოსავლელი რეჟისორის (ირანი, კორეა, ჩინეთი) ნამუშევარში.

მრავალმნიშვნელოვანი, მაგრამ არაფრის მთქმელი; ცხადი, მაგრამ მიუღწეველი; პერფექციონისტული, მაგრამ მხოლოდ ფორმალური; სრულყოფილი, მაგრამ ცარიელი – ასე შეიძლება დავახასიათოთ ანდრეი ზვიაგინცევის ახალი ფილმი, რომელსაც დიდი შანსი აქვს 2011 წლის დეკემბერში ბერლინში ევროპული კინოაკადემიის პრიზებიც მიიღოს.

რუსული კინოს ფესტივალის დასასრული მაინც საპატიოა – „სამიზნეც“ ნათელია (დიადი მეგობრობის აჩრდილები) და „მწუხარე უგრძნობლობაც“ გასაგები. ეს ალექსანდრ სოკუროვის ერთ-ერთი ფილმის სათაურია, რომელიც ჩვენი ქვეყნების ომისშემდგომ ურთიერთობას ყველაზე ზუსტად გამოხატავს. მესამე ფესტივალის კიდევ უფრო მეგობრული იქნებაო, ასე ამბობენ ორგანიზატორები.

KUGA-ს ოთხივე საბურავის დამოუკიდებელი მოჭიდება რელიეფზე, გაძლევთ მართვის შეუდარებელ განცდას.

ერთწლიანი უპროცენტო განვადება!

გარანტია: 2 წელი არალიმიტირებული გარბენით!

Trade in – ჩააბარე ძველი, გაიყვანე ახალი!

მოქნილი პირობები, მაღალი ხარისხის მომსახურება!

FORD KUGA

www.ford.com.ge



Feel the difference



დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი. ტელ: 259 50 00; 259 67 96

E-mail: info@ford.com.ge

„მედეას სიზმარი“

დაბვინებული, ბრუტალური, მაგრამ ლამაზი

ავტორი დავით ბუხრიჩიძე



ცნობილი ფრანგი ქორეოგრაფის, ანჟელენ პრელჟოკაჟის სპექტაკლი „მედეას სიზმარი“, რომლის ვიდეოვერსია „ევროპის სახლში“ უჩვენეს, პუბლიკისთვის ვერმილწეული Contemporar dance-ს შესხენებას ჰგავდა. პრელჟოკაჟის „მედეა“, არა მხოლოდ მტკივნეულად მშობლიური მითის შესხენებაა, არამედ, თანამედროვე ქორეოგრაფიის ენის შესწავლის „ერთჯერადი კურსებიც“.

უცნაურ „ნიადაგზე“ აღმოცენებული პროექტის „ერთი და მრავალსახოვანი ევროპა მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების ბალეტის ფონზე“, დიუმას სახელობის ფრანგული ინსტიტუტის მხარდაჭერით განხორციელდა. წამყვანმა, ფილოსოფოსმა და დამოუკიდებელმა ჟურნალისტმა, ხათუნა მზარელუამ ვრცელი კვლევა ჩაატარა მედეას მითისა და თანამედროვე ქორეოგრაფიის შესახებ და დამსწრე საზოგადოებას ბალეტის მოზრდილი ნაწყვეტები წარუდგინა.

„ამბობენ, რომ ევრიპიდეს მიერ შექმნილი სახე სრულყოფილია და მას, ვერც ვერაფერს დაამატებ და ვერც ვერაფერს მოაკლებ. პრელჟოკაჟის დადგმულ ბალეტში სანყის წერტილად სიზმარია აღებული, რომლის ფონზეც ბოლომდე იშლება მედეას ქვეცნობიერი. მედეა ვერ ახერხებს

წონასწორობის დაცვას დედასა და შეყვარებულ ქალს შორის, ამიტომაც კლავს შვილებს“, – ამბობს ხათუნა მზარელუა და აღნიშნავს, რომ საქართველოში ეს თემა გაცილებით მეტ გამოკვლევას საჭიროებს.

ანჟელენ პრელჟოკაჟის „მედეას სიზმარი“ პარიზის „ოპერა გარნიეში“ 2004 წელს დაიდგა. მაურო ლანცის მინიმალისტური მუსიკა და ტიერი ლეპრუსტის უამრავი ვერცხლისფერი „ვედროთი“ მოპირკეთებული სცენოგრაფია თავიდანვე მომწუსხველი და შთამბეჭდავია, თუმცა, ირონიულიც.

ალბანური წარმოშობის ქორეოგრაფის დახვეწა-გაკეთილშობილებაში დიდი წვლილი მიუძღვით სახელოვან ამერიკელ მერს კენინჰემს და ფრანგული ქორეოგრაფიის „პატარა პრინცს“, ადრეულ ასაკში გარდაცვლილ, დომინიკ ბაგუეს. 90-იან წლებში ის ექს-ან-პროვანსში გადადის, სადაც საკუთარ ქორეოგრაფიულ დასს აყალიბებს, ხოლო რამდენიმე წლის მერე პარიზის ოპერა „გარნიეს“ წამყვანი ქორეოგრაფი ხდება. სწორედ „გარნიეს“ სცენაზე დგამს პრელჟოკაჟი ვენების, ბრუტალურობისა და პოეზიის ნაზავს – „მედეას სიზმარს“, რომელშიც წამყვან პარტიებს მარი-აგნეს ჟილო (მედეა), ვილფრიდ რომოლი (იაზონი) და ელეონორა აბაგნატო (კრეუზა) ასრულებენ.

თანამედროვე დასავლურ ქორეოგრაფიაში პრელჟოკაჟს ეროვნული იდენტობისთვის მუდმივად მეტრძოლი ალბანელი ხალხის თანდაყოლილი ამბოხი და დამალული, რეპრესიული თუ სექსუალური ძალადობა შემოაქვს. ეს აისახება მეტრძოლი სულისკვეთებისა და პოეტური ხატების რიტმში; მოულოდნელ, გაუმართლებელ და ბრუტალურ ეროტიკაში, რაც ხშირად კრიტიკოსების გაღიზიანების მიზეზი ხდება.

„მედეაში“ მთავარი მოტივი მამაკაცურ-ქალური სანყისის ჭიდილია, რომელსაც სიყვარული (ბავშვები, პოეზია) ეწირება. ქორეოგრაფიის მთავარი ღირსება, ჩემი აზრით, შესანიშნავად დადგმული დუეტებია, რომელშიც მახვილგონივრული, ეროტიკული და ირონიული ფესვები დაუბრკოლებლად მონაცვლეობენ და თანამედროვე ქორეოგრაფიის ჯერ კიდევ მიუღწეველ შესაძლებლობებს გვაცნობენ.

...პრელჟოკაჟის „საბალეტო ტერორიზმი“ ერთდროულად ბნელი და გამჭვირვალეა; ხოლო, ქორეოგრაფიის შესაძლებლობები, აუცილებელ დიქტატურასთან ერთად, ლირიზმის უსასრულობას გულისხმობს. ასე რომ, „ევროპის სახლში“ ნანახი „მედეას სიზმარი“ დაგვიანებული და ბრუტალური, მაგრამ მაინც თვალსაჩინოდ ლამაზია.

creative home



საქართველო, თბილისი
ჭავჭავაძის 34 სავაჭრო ცენტრი პიქსელი
ალ.ყაზბეგის 24 სავაჭრო ცენტრი აქსისი
ქავთარაძის 1 ჰიპერმარკეტი გუდვილი
ტელ:2312620, 2183507



მეფეები და პოეტები

ავტორი ნინო ჩიხაძე

„ამჟამინდელ საქართველოში თითქმის ყოველი მეორე მხატვარი „ავანგარდისტია“. როგორც ჩანს, სიტყვა „ავანგარდი“ ჩვენში გაიგივებულია მთელ დასავლურ თანამედროვე ხელოვნებასთან და მცდარადაა მიჩნეული ყოველგვარი პროფესიული გამოცდილების უარყოფასა და განუკითხაობასთან. ამგვარი გაგება მართლაც სიმპტომატურია ქვეყნისთვის, რომელიც სრულ განუკითხაობას მოუცავს“, — წერს კარლო კაჭარავა 1993 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „თანამედროვე ხელოვნება და ქართული ავანგარდი“.

ერთ-ერთი ავანგარდისტული გაერთიანების, „მეათე სათულის“ სულისჩამდგმელი, ყოველთვის აკრიტიკებდა ზედაპირულ ფორმალიზმს და გააზრებული ქმედებების მაგალითს თავისი შემოქმედებით უჩვენებდა, რომელიც დაცლილია ზერელე იმიტაციებისა და უშინაარსო იმიჯებისგან.

კარლო კაჭარავა ბოლო პერიოდის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ინტელექტუალური არტისტია. მხატვრობა, პოეზია, არტ კრიტიკა — მან ყველაგან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა. 4000-მდე ნახატის, 1500-მდე ლექსის და 40-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორის შემოქმედება ჯერ კიდევ არაა ბოლომდე შესწავლილი.

ნახატები, რომლებიც თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმში გამოიფინა, ასევე არ იყო ცნობილი დამთავალიერებულთა უმეტესობისთვის. „მეფეები და პოეტები“ — სიმბოლურად, ასეთი სახელწოდება ჰქონდა გამოფენას, რომელიც კარლო კაჭარავას ლექსის და ნახატის „მეფე და პოეტი“ მიხედვით შეირჩა. აქ კარლო კაჭარავას 1986-92 წლებში შექმნილი სხვადასხვა თემატიკისა და სტილის ნახატები იყო გამოფენილი. თუმცა, ბევრი მათგანი სხვადასხვა ცნობილ პოეტს, მწერალს თუ პოპ აიკონს ეძღვნება.

მაგალითად, ემირ კუსტურიცასადმი მიძღვნილი ზეთის საღებავებში შესრულებული ნამუშევარი, პიტერ გებრიელისადმი მიძღვნილი ნახატი მიწანერით „In Your Eyes“, რომელიც მისი სიმღერის სათაურია. კარლო კაჭარავას გმირებში მოხდენენ ასევე მერილინ მონრო, ბრიტანელი აბსტრაქციონისტი ტერი ფროსტი და რუსი ანარქისტი პიტერ კროპოტკინი. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ზომის ტილოზე კი ამერიკული ლიტერატურის მოყვარულები ადვილად ამოიცნობენ ამონარიდს ალენ გინსბერგის ცნობილი პოემიდან The Howl.

კარლო კაჭარავას შემოქმედება არაერთ მიმდინარეობას აერთიანებს: ტრანს ავანგარდი, აბს-

ტრაქცია, კონცეპტუალიზმი... თუმცა ყველაზე დიდი გავლენა მასზე მაინც გერმანულმა ექსპრესიონიზმმა იქონია. ამ თემაზე მას არაერთი სტატია აქვს დაწერილი, მათ შორის, ცნობილ ექსპრესიონისტებზე: იოზეფ ბოიზე, რობერტ რაუშენბერგსა და ერნსტ ბარლახზე. ამ მიმდინარეობის კონცეფციის თანახმად, მთავარი ადამიანის მიერ აღქმული სუბიექტური რეალობა, მისი შინაგანი სამყარო და განცდებია. მისგან მომავალი ენერგია კი ხშირად მჭახე და დამჯდარი ფერების შეხამებით გადმოიცემა.

ცალკე განხილვის საგანია კარლო კაჭარავას კრიტიკული ესეები: თანამედროვე ქართული ხელოვნება, პოპ არტი, გერმანული ექსპრესიონიზმი, ამერიკული ლიტერატურა, მხატვრობის სოციალური ასპექტები — მის ანგარიშზე არაერთი საინტერესო ანალიტიკური სტატიაა. კაჭარავას ვრცლად აქვს განხილული 70-80-იანი წლების ქართველი არტისტების შემოქმედებაც და ხშირად მათ მძაფრ კრიტიკასაც არ ერიდება. კიდევ უფრო უკომპრომისო და პირდაპირია ის თანამედროვე ქართული საზოგადოების და მასში დამკვიდრებული სტერეოტიპების კრიტიკის დროს:

„ჩვენ უნდა გამოვემშვიდობოთ მითს ჩვენი განსაკუთრებულობის შესახებ“, — განაცხადა კარლო კაჭარავამ 1992 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე. იმავე წელს დაწერილ სტატიაში კი ქართული საზოგადოების ნეკროფილიასა და კონფორმიზმზე საუბრობს.

„მკვდრები, ყველანი, ერთიანად გაკერპებულები არიან, მათ შორის არავინაა დამნაშავე, ყველანი ერთად ომანინი ცეკვა — თამაშით მიუძღვებიან „ტაძრისკენ მიმავალ გზას“ ... „დღეს ჩვენ ყველაზე პასიური, ყველაზე „რესპექტაბელური“ ახალგაზრდობა გვყავს. ის არაფრით, სრულიად არაფრით გამოირჩევა მამებისა და დედებისაგან. მას ძალიან ადრე, ყრმობისას უჩნდება კეთილდღეობის იერი, რომელიც თითქმის ყოველთვის გადადის ცუდ სიამაყესა და არაადამიანობაში“, — წერს კარლო კაჭარავა.

ამ ეტაპზე კარლო კაჭარავას მხოლოდ ერთი ლექსების და ერთი სტატიების კრებულია გამოცემული. მისი არქივის ნაწილის გამოცემა უახლოეს მომავალში იგეგმება. რაც შეეხება მის ნახატებს, მათი დიდი ნაწილიც ჯერჯერობით არსად გამოფენილა, თუმცა კარლო კაჭარავას არაერთი ნამუშევარი დღეს ევროპისა და ამერიკის გალერეებში, მუზეუმებსა და კერძო კოლექციებშია დაცული.



კარლო კაჭარავას ილუსტრაციები



„მელანქოლია“

ეპოქენტრული მელანქოლიკის ფაერიული ზმანება

ავტორი თეო ხატიაშვილი

ლარს ფონ ტრიერის ფილმებს შორის, ალბათ, ყველაზე მეტად მისი სამნუთიანი ფილმი მომწონს - უფრო სწორად, ერთ-ერთი ნოველა მისი ავტორობით, ფილმიდან „ყველა თავის კინოზე“, რომელიც 30-მდე რეჟისორმა გადაიღო კანის საიუბილეო მე-60 ფესტივალისთვის და სადაც უნდა აესახათ ყველაზე უფრო ამაღლებული ისტორია, რაც მათ მასსოვრობაში ან წარმოდგენაში კინოთეატრს უკავშირდება: რეჟისორი თავისი ფილმის პრემიერაზე გვერდით მჯდარ აბეზარ მაყურებელს, რომელსაც საერთოდ არ აინტერესებს, რა ხდება ეკრანზე და გაუთავებლად ელაპარაკება მას, თავს გაუჩივებს. ლარს ფონ ტრიერი გულწრფელია, როგორც არასდროს – მისთვის დამახასიათებელი და ჩემთვის მასში ყველაზე დასაფასებელი პირქუში იუმორით გვეუბნება თითქოს: ყველამ ძალიან დამალა; სიამოვნებით გამოგასალმებდით სიცოცხლეს და დავრჩებოდი მარტო მშვიდად...

„თუ ერთი გაღვებით დასრულდება სამყარო და გაქრება ჩვენი ტანჯვა და დარდი, მზად ვარ, მე თვითონ დავაჭირო ღილაკს თითი. თუ არავის აღარ ეტკინება...“ – თითქოს ამგვარი კეთილშობილური მისია ამოძრავებს ტრიერს თავის ბოლო ფილმში „მელანქოლია“, რომელიც ადამიანის მარადიულ ტანჯვაზე და სამყაროს დასასრულზეა.

ჟუსტინასთვის (კრისტინ დანსტი) სამყაროს დასასრული, უკვე, მისივე ქორწილში იწყება, როდესაც მოჩვენებითი ბედნიერების სიყალბით გაჟღერებულ რიტუალში საბო-

ლოდ გაიზარებს, რომ ყველაფრის მიღმა მხოლოდ სიცარიელეა. რიტუალის მსაგავსად, მთელი სამყარო და, შესაბამისად, ჩვენი ცხოვრებაა მნიშვნელობას მოკლებული. ამიტომაც მონდომებით ვცდილობთ, რაც შეიძლება ლამაზი იყოს ეს რიტუალი (ამ შემთხვევაში, ქორწილი), თითქოს, ამით, სიცარიელის შევსებას ვცდილობთ. თუმცა, ეს სილამაზეც, რაღაცნაირად ყალბია, ხელოვნური, ისეთივე გლამურული და ხაზგასმულად ეფექტური, როგორც სარეკლამო გამოსახულება (სარეკლამო კომპანიაში მომუშავე ჟუსტინა, თითქოს რეკლამის „ენაზე“ უყურებს და აღიქვამს სამყაროს). ჭარბი ვაგნერიც უფრო კიჩურს ხდის ფილმს, ვიდრე ამაღლებულ და ამაღლებულ განწყობას უქმნის მას.

„ყველა შემთხვევაში ფილმი ჰეპი-ენდით სრულდება“ – ცინიკურად აცხადებს ტრიერი ინტერვიუებში.

ორ ნაწილად (დების სახელებად) გაყოფილ ფილმში, ჟუსტინა და კლერი ადგილებს უცვლიან ერთმანეთს – მანამდე მშფოთვარე და აფორიაქებული ჟუსტინა აპოკალიფსის მოლოდინში მშვიდდება და ზრუნავს აქამდე მუდმივად განწონასწორებულ, რაციონალურ, ამჯერად კი, აფორიაქებულ კლერზე (მარლოტა გინსბურგი). ისინი, ფაქტობრივად, ერთი მთლიანის ორი პოლუსია, ამიტომაც არიან მთელი ფილმის განმავლობაში ერთმანეთზე მიჯაჭვულნი – რადიკალურად განსხვავებულნი, მაგრამ ერთმანეთზე კონცენტრირებულნი, რომლებიც ფინალში ერთიანდებიან კიდევაც: „ისინი იყვნენ ორნი და გახდნენ ერთი“, –



ლარს ფონ ტრიერი

ამბობს ტრიერი. ორი პლანეტა, რომელიც ეჯახება ერთმანეთს და ორი და, რომელიც შეერწყმის ერთმანეთს. იქნებ, ეს პლანეტებიც, კი არ ნადგურდებიან, არამედ ერთიანდებიან ახალ პლანეტად, რაც ახალი სიცოცხლის დასაწყისად იქცევა? მაგრამ, ჩვენ (აპოკალიფსის შედეგად განადგურებულს) ამის დანახვა აღარ შეგვიძლია. ეგოცენტრიკი რეჟისორი, რომელიც უკვე არა მხოლოდ ჟუსტინაში, არამედ გამთლიანებულ დებში ხედავს საკუთარ ალტერ-ეგოს, მარტო რჩება ამ პლანეტაზე – დანარჩენი, ყველა მკვდარია. ირგვლივ სიჩუმე და სიმშვიდეა. ისტორიის გაგრძელება მხოლოდ თავად ლარს ფონ ტრიერმა იცის, რომელიც ალტაცებით უყურებს და ტკბება შთამბეჭდავი დასასრულით. უპირველეს ყოვლისა კი, იმით, რომ მაყურებელიც ჩაითრია თავის ვნებაში, მონუსხა და დააჯერა, რომ კატასტროფა, ანუ „დასასრული – ეს, მშვენიერია“.



დუქანში

ავტორი თამარ კვინიტაძე
ფოტო სარგი ხარისაშვილი

ამაღლების ქუჩა სოლოლაკში ერთი ფართო აღმართია, ძველი, მეტწილად დაბალსართულიანი სახლებით, პატარ-პატარა უბნის მარკეტებით, თონით და ხილ-ბოსტანის მაღაზიებით. პრინციპში, არატიპური სოლოლაკური ქუჩაა – უფრო შიდა ეზოების მიღმა მალავს ამ ძველი უბნისთვის დამახასიათებელ სილამაზეებს. რესტორანი „შავი ლომი“ ასეა – გარედან არ ჩანს, შიგნით კი კარნავალია.

როგორ უნდა მიაგნო „შავ ლომს“:

წარმოიდგინე, ის დროა, როცა დღე თანდათან მუქი ნაცრისფერი ხდება, ადამიანები ნელ-ნელა იწყებენ სახლებში შუქის ანთებას და ქუჩაც ამ ფანჯრებიდან გამოსული მოყვითალო განათებით თბება. ამ ბინდ-ბუნდში შეიძლება, ვერც შენიშნო ერთ-ერთი სახლის აგურის კედელზე გამოკიდებული აბრა და შავი ლომის ფიგურა, ამიტომ ნათურების შუქს მიჰყევი და როცა ტროტუარის ზედაპირის ქვეშ, ერთ-ერთ სარდაფში თბილი ყვითელით განათებულ ჭრელ ფარდაგებსა და სუფრებს მოჰკრავ თვალს, ესე იგი, უკვე მოსულხარ – ამაღლების ქუჩის საიდუმლო განძისთვის მიგიგნია.

რატომ და როდის „შავ ლომში“?

თუ იქით არ ცხოვრობ, ან რამე საქმე არ გაქვს, „შავ ლომში“ გზად ვერ შეივლი – იქ სპეციალურად უნდა წახვიდე. რესტორანს იმდენად კეთილგანწყობილი მიმტანი გოგონა ჰყავს, რომ დარწმუნებული ვარ, სარდაფის ქვის კიბეებზე დაუფეგმავადაც რომ ჩაბორიალდე, მეგობრულად მიგიღებს და არც კერძების განმარტებებს დაგზარდება. თუმ-

ცა, მაინც სჯობია, ჩემსავით იმარჯვო და „შავ ლომს“ ვინმე არტისტთან, ანდა, მწერალთან ერთად ესტუმრო – აქაურობა, მგონი, რომ მათი „ნავსაყუდელია“ და სწორედ მათ წრეში სადილობით, მათი და რესტორნის ხელმძღვანელობის ურთიერთობით მიხვდები იქაურობის ნამდვილ ხიბლს.

აქ ძველთბილისური დუქნის მდაბიური აურა მომწონს, მუჟე ლუდის სუნი მომდის თითქოს და ბევრ კარგ რაღაცას მახსენებსო, მითხრა ჩემმა მეგობარმა მწერალმა.

მართლაც, ამ წითელი აგურით ნაგებ სარდაფში „მაღლა“ და შორს რჩება ქალაქური თბილისი; ზაფხულობით აქ სიგრილე და ამ სიგრილეში პიტნისა და რეჰანის ლიმონათები მიგიზიდავს (მგონი, ეს ლიმონათები აქაური „დელიკატესებია“), ცივ ზამთარში კი – ღვინითა და სიგარეტის სუნით გაჯერებული დუქნის ოხმივარი, რია-რია, სულ ნაცნობი სახეები და „დედა-შვილური“ დახვედრა. მენიუში ამოკითხული „ნანიკოს აჯიკა“ თუ „ხილის კომპოტი“ კი, ამ შინაურ განწყობას კიდევ უფრო გაგიმძაფრებს.

რა შემთხვევაში არ უნდა წახვიდე „შავ ლომში“:

არ უნდა წახვიდე, თუ არ გაინტერესებს ინოვაციური ვარიაციები თემაზე – „ქართული სამზარეულო“; თუ უკვე მობეზრებული გაქვს გუგა კოტეტიშვილის ძველმანებზე აწყობილი ინტერიერის დიზაინი; თუ დუქნურ-ოჯახურ კი არა, თანამედროვე რესტორნის ფუსფუსს დაეძებ – თავისი ქათქათა ინტერიერით, ჭაღების შუქზე აელვარებული ჭურჭლით და

გატყინებულ უნიფორმებში გამოწყობილი, თავაზიანი მიმტანებით.

„შავი ლომი“ ამ ყველაფრის ანტიპოდი. აქ აგურის კედლები ცივია. რკინისა და ხის მაგიდები, ძველი და დაფხაჭნილია, ნათურები ხელნაკეთი და უცნაურია, სარდაფის ნესტის სუნს კი ძველი ფარდაგებისა და სუფრების სპეციფიკური სუნიც ეზავება და თუ ალერგიული ხარ, აუცილებლად აგატეხინებს ხველებას.

რას დაგახვედრებენ „შავ ლომში“:

რას და, ნოსტალგიასაც ბებოს კერძებზე და ახალ, საინტერესო გამოგონებებსაც. აი, მაგალითად, წრუპავ ბრონეულის მარგარიტას (ძალიან ინტენსიური ბრონეულის გემოთი) და ამ დროს მოგიტანენ წინილას მაყვლის წვენი. თუკი, ჩემსავით იმერელი ხარ, გამორიცხულია, არ დაგახსენდეს შენი კარგი მზარეული ბებო, რომელიც, ალბათ, ჩემი ბებოს მსგავსად, ამ კერძს ხშირად ამზადებდა, თვითონ კი თითქმის სულ ქინძისა და შაშველავის სუნი ასდიოდა. აქ ხაჭაპური არ აქვთ, სამაგიეროდ აქვთ „ხაჭაპურიტო“ ქათმის სატენით, რომელიც ბულგარული წინაკის სოუსში უნდა ამოავლო და ისე მიირთვა. არ მოგიტანენ მწვადს (კლასიკური გაგებით), მაგრამ გასინჯავ სტიკს ადესის სოუსში – ესეც ქართულისა და უცხოურის კიდევ ერთი სახალისო კომბინაცია, და მაშინვე დაასკენი: „შავი ლომის“ სამზარეულოს გამორჩეული კომპონენტი მრავალფეროვანი სოუსებია.

„ხო, კარგი იყო, გოგოებო?! მოდი, რა კიდევ!“ – ისე გამოგვაცდილეს ბოლოს, როგორც კარგ მეგობარს გამოაცილებ. დამშვიდობებისას კიდევ ერთხელ ვიფიქრე, რომ აქ აუცილებლად დაგბრუნდები მაშინ, როცა ამოინდებ, რომ თბილად დამხვდნენ და გემრიელად დამაპურონ.



აღნიშნეთ ახალი წელი თქვენს ოჯახთან, მეგობრებთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად სასტუმრო შერატონ ბათუმში!



შემოთავაზების ღირებულება



შასი 5 ღამისთვის
ოთახი
ერთი ღამით



შასი 3 ღამისთვის
ოთახი
ერთი ღამით



შასი 2 ღამისთვის
ოთახი
ერთი ღამით

შემოთავაზება შეიცავს:

- განთავსება სასტუმროს ორადგილიან ნომერში
- ბუფეტის ტიპის საუზმე ორ პირზე
- უგემრიელესი სადილი ორ პირზე
- 10% ფასდაკლება უცვებისა და სასმელის მომსახურებაზე
- SPA მომსახურებით სარგებლობა : გამაჰანსალებელი ცენტრი, დახურული და ბავშვთა აუზები, საუნა, ორთქლის ოთახი ჭაკუზი, ჰამამი - თურქული აბანო
- 30% ფასდაკლება ყველა SPA მომსახურებაზე
- ერთჯერადი ზურგის მასაჟი ზრდასრულისათვის*

პირობები:

- ფასები მოცემულია თითო ოთახზე, ერთი ღამით, ორადგილიანი დაკავებულობის შემთხვევაში
- პაეტურ ფასზე არ ვრცელდება სხვა სპეციალური შემოთავაზებები
- პაეტრი გულისხმობს ორ ზრდასრულსა და ორ ბავშვს, 6 წლის ასაკამდე
- დამატებითი ადამიანისათვის, თანხა შეადგენს 39 აშშ დოლარს
- ზემოხსენებული ფასები არ შეიცავს 18% დღგ-ს
- შემოთავაზება ძალაშია 2011 წლის 29 დეკემბრიდან, 2012 წლის 14 იანვრამდე

* მომსახურება ვრცელდება მხოლოდ 5 ღამიან პაეტზე



მეძინება

ჩემი მეგობარი დიდი ფადიშახი, ბრძენი კაცი, თავისუფალი მხატვარი და ცივი ფილოსოფოსი იყო. ქვაზე იჯდა, ენეოდა, ყვითელ თვალებს ჭუტავდა და მსჯელობდა:
„მოვა ახალი საუკუნე და ყველაფერი აჩქარდება...“

ანა კორძაია-სამადაშვილი

გვიანი შემოდგომა იდგა, პირველი თოვლი უკვე ჩამოეყარა. მალე დაბნელდება, მოყინავს...

„ბიჭო, დავანთოთ?“

„მოიცა, რა. რა გეჩქარება?“

და მეც ვიფიქრე: რა მეჩქარება?

მრავალ ჭირნახულ საძილეზე ვგორავდი, ცივ მზეს ვეფიცებოდი და არაფერს ვფიქრობდი.

„აი, ნახავ, ბრიყვისკარტავ,“ განაგრძობდა ჩემი მეგობარი, „სამყარო აჩქარდება, და ვინც ვერ დაეწევა, გაგიჟდება.“

ის არც წინასწარმეტყველი იყო და არც მისტიციზმში გადავარდნილი. იმ დღეს - წელიც მასხოვს, 1988 - ისევე ერთობოდა, როგორც მუდამ: იჯდა, ენეოდა და ლაპარაკობდა. თუ მოუსმენდი - ძალიან კარგი, თუ არა - არც ამას იდარდებდა. ის ვაჩე იყო, შარახვეტია, დიდი ფადიშახი. ბრიყვისკარტებს თავს არ უყადრებდა. უბრალოდ, მე - მიკვირს კია - მოსმენა ვიცი და კარგი მეხსიერება მაქვს, და ახლა, ათასი წლის მერე, მაინცდამაინც ის დღე გამახსენდა და თითქოს იმ უგვანოდ დანთებული ცეცხლის სუნიც ვიგრძენი - დიდად არ გაგვიჩაღებია, ჯერ რად გვინდოდა, რა გვეჩქარებოდა.

...

სამყარო აჩქარდა, მე ვერ დავენიე და გავიჟდი. აშკარად გავიჟდი, თორემ, აბა, რა კავშირია „შრიმად ბჰაგავატამსა“ და ჩეხოვის პატარა მოთხრობას შორის? მე კი ორივე მაგონდება და ხან ერთით ვიმართლებ თავს, ხან - მეორით. თავს რომ ვიმართლებ, ესეც სიგიჟია. რა მოხდა ამისთანა, მეძინება, ბავშვებს

ხომ არ ვხოცავ?

„შრიმად ბჰაგავატამში“ ერთი ამბავია მოყოლილი, როგორ დაედევნა უფალი კრიშნა ვილაც საზიზლარ დემონს. დემონი გარბოდა, კრიშნა მისდევდა. ირბინა დემონმა, ირბინა, და უსიერ ტყეში გამოქვაბულს მიაგნო. იფიქრა დემონმა, რა კარგია, აქ ვერავინ მომაგნე-

**სამყარო აჩქარდა,
მე ვერ დავენიე და
გავიჟდი. აშკარად
გავიჟდი, თორემ,
აბა, რა კავშირია
„შრიმად ბჰაგავატამსა“
და ჩეხოვის პატარა
მოთხრობას შორის?
მე კი ორივე
მაგონდება და ხან
ერთით ვიმართლებ
თავს, ხან -
მეორით.**

ბსო, გამოქვაბულში შევიდა - და აი, სად დაილუპა! რადგან გამოქვაბულში დიდი მეომარი დახვდა. მეომარს ეძინა.

ამ მეომარს უფლის სადიდებლად და კაცობრიობის დასაცავად მრავალი საუკუნე უბრძოლია, და როცა საბოლოოდ დაუმარცხებია ბოროტი და ურჯულო, უფალს უკითხავს:

რას ინატრებ? მეომარს უთქვამს: ჩემო უფალო, ამდენმა ომმა ძალიან დამღალა, და მხოლოდ ამას გთხოვ - დამაძინე. ადგილი მიბოძე, სადაც დავიძინებ და არავინ გამაღვიძებს.

უფალმა ის უსიერ ტყეში, გამოქვაბულში დაანვინა.

ძილინებისა, გმირო!

და აი, ვილაც დემონი გამოქვაბულში შევარდა და მეომარი გააღვიძა! მეომარი ისე განრისხდა, რომ ჩხუბიც არ დასჭირვებია - ერთი შეხედა დემონს და ადგილზე დაფერფლა.

მე ვერავის ვეფერფლავ, ჩემი არავის ემინია და ამიტომ ყველა და ყველაფერი მაღვიძებს: მეგობრები, რომლებსაც ღამით უსკდებათ ხოლმე სიყვარულის ქოთანს, ჩემს ჭერქვეშ მცხოვრებნი, რომელთაც კვირის დღეები ერევათ და ალიონზე დარდი კლავთ, ანას ლექციაზე არ დააგვიანდესო. მე მაღვიძებენ ჯართის ჩამბარებლები და სადარბაზოს დამლაგებელი, რომელსაც იდიოტი ვგონივარ და თვლის, რომ წელიწადში ოთხი ოქტომბრის არსებობას დამაჯერებს. მე მათ ვერაფერს ვაკლებ, რადგან უფლის სადიდებლად და კაცობრიობის დასაცავად არ მიომია და მხოლოდ ბრაზიანი თვალებით ვერავის ვერევი.

სამაგიეროდ, ჩეხოვის გმირი გოგო და მე არაფერმა გაგვყო. გახსოვთ „მეძინება“? ისიც სულ მუშაობდა, სიზიფესავით, ტყუილად. იმუშავა, იმუშავა და არასოდეს რომ არ დაძინეს, სწორედ ის მოკლა, ვინც ყველაზე უსუსური იყო, არაფერს აშავებდა, უბრალოდ, აღვიძებდა.

„ხომ გეუბნებოდი, ბრიყვო,“ მეტყოდა ჩემი ბრძენი მეგობარი, „ვერ დაეწევი და გაგიჟდები.“



ნახეფახი
 ანთროპული ისტორიის
 ქართული კომპანია

ჯანმრთელობის საიდუმლო თვით ბუნებაშია

უკვე მეორე ათწლეულია, მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით პოპულარული ხდება ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული საშუალებებისგან დამზადებული პრეპარატები და მათზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება. ამ ტენდენციას არც საქართველო ჩამორჩება. კომპანია „ნატურფარმი“ უკვე ათი წელია ქართულ ფარმაცევტულ ბაზარს მცენარეული სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებებით ამარაგებს. გარდა იმისა, რომ მცენარეული საშუალებებისგან დამზადებული მედიკამენტები ეფექტიანია, მათ გვერდითი ჩვენებები პრაქტიკულად არ გააჩნია, რაც პრეპარატების მიღების შედეგად გამოწვეულ დამატებით გართულებებს გამორიცხავს. ზამთრის მოახლოებასთან ერთად განსაკუთრებით აქტუალური ხდება გაციების, ხველებისა და ანთების საწინააღმდეგო საშუალებები, რომლებიც გარდა ყველასთვის ცნობილი ქიმიური და სინთეზური სამკურნალო პრეპარატებისა, „ნატურფარმის“ მცენარეულ პროდუქციაშიც შეგიძლიათ მოიძიოთ. წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს:

ევალიანის ფოთოლი

ანტისეპტიკური და ანთების საწინააღმდეგო საშუალება.

ახასიათებს ამოსახველებელი და დამამშვიდებელი თვისებები.

ჩვენება: გამოიყენება პირის ღრუს და ლორწოვანი გარსის ანთებითი და სასუნთქი გზების რესპირატორული დაავადებების, ლარინგიტების დროს.

გამოიყენება ინფიცირებული ჭრილობების, აბსცესების, ფლეგმონის, ჩირქოვანი მასტიტის, ქალთა სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების შემთხვევებში.



კულმუსის ფესვი და ფესურები

ამოსახველებელი საშუალება.

პრეპარატი ხელს უწყობს ნახველის გადაადგილებას ქვემო სასუნთქი გზებიდან სასუნთქი ტრაქტის ზემო ნაწილში და შემდგომში მის ევაკუაციას.

ჩვენება: გამოიყენება ბრონქიტის, ზედა სასუნთქი გზების ანთებითი დაავადებების – ტრაქეიტების და ბრონქიტების მკურნალობისას, რომელთაც თან ერთვის დიდი რაოდენობით ლორწოს გამოყოფა. ეფექტიანია გასტროენტერიტების და არაინფექციური წარმოშობის ფალარათის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის და ღრძილების ანთების, თავის ტკივილის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ქალის სასქესო ორგანოების და ღვიძლის დაავადებების, ბუასილის დროს.



ვირისტარვას ფოთოლი

ამოსახველებელი საშუალება.

პრეპარატს ახასიათებს პირის ღრუს, ყელის ლორწოვანი გარსის შემომგარსველი მოქმედება, იცავს მათ გალიზიანებისაგან და არბილებს ნახველს, აჩქარებს მის ევაკუაციას.

ჩვენება: ეფექტიანია კომპლექსურ თერაპიაში ლარინგიტების, ტრაქეიტების, ქრონიკული ბრონქიტის, ბრონქული ასთმის, ფილტვების ანთების, გაჭიანურებული ხველის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, თირკმლის, შარდის ბუშტის ანთებისა და ფილტვების აბსცესის დროს.

ინფიცირებული ჭრილობების, ფურუნკულოზისა და კანის წყლულოვანი დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება საფენების, კომპრესების და აბაზანების სახით. ქერტლისა და თმის ცვენის დროს მცენარის ნახარში გამოიყენება შესაზელად.



ქირტაპილას ფესვი და ფესურები

ამოსახველებელი საშუალება.

ასტიმულირებს ტრაქეისა და ბრონქების ეპითელიუმის აქტივობას, აგრეთვე, აძლიერებს ზედა სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის სეკრეტორულ ფუნქციას. პრეპარატი გლუვ კუნთებზე ახდენს სპაზმოლიზურ მოქმედებას, რაც განპირობებულია ფლავონური ნაერთების, კერძოდ, ლიქვირიტოზიდის არსებობით. გააჩნია ანთების საწინააღმდეგო მოქმედება.



ბრონქონატი

ამოსახველებელი, ანთების საწინააღმდეგო საშუალება.

შემადგენლობა: ტუხტის ფესვები, ვირისტარვას ფოთოლი, თავშავას ბალახი.

პრეპარატის შემადგენლობაში შემავალ კომპონენტებს გააჩნიათ ამოსახველებელი, ანტიმიკრობული და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება. ბრონქონატს ახასიათებს პირის ღრუს, ყელისა და ხახის ლორწოვანი გარსის შემომგარსველი მოქმედება და იცავს მათ გალიზიანებისაგან, ათხიერებს და არბილებს ნახველს, აგრეთვე, აჩქარებს მის ევაკუაციას.

ჩვენება: გამოიყენება ზედა სასუნთქი გზების მწვავე და ქრონიკული ანთებითი დაავადებების – ბრონქიტის, ტრაქეიტის, პნევმონიის, ბრონქოექტაზიის დროს.



ცაცხვის ყვავილი

ანთების საწინააღმდეგო და სპაზმოლიზური საშუალება.

პრეპარატი ხასიათდება ანტიმიკრობული, ანთების საწინააღმდეგო, ოფლმდენი და სიცხის დამწვევი მოქმედებით.

ჩვენება: გამოიყენება გინგივიტების, ანგინის, ბრონქიტების, მომატებული ნერვული ალგზნებადობის დროს, აგრეთვე, საჭმლის მონელებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევების პროცესებში. რეკომენდებულია ნერვული ალგზნების, კრუნჩხვების, უძილობის შემთხვევაში. ეფექტიანია თირკმლების, ღვიძლის და ჰიპერტონული დაავადებების დროს. იყენებენ დამწვრობის, წყლულების, ბუასილის და რევმატიზმების შემთხვევაში.





შუადღე მიღის

გაბა ნახუსრიძელი

გუშინ, დილით ჩემი ბავშვობის მარმ-რუტი გავიხსენე, – ჩემი სახლიდან 53-ე სკოლამდე ფეხით გავისეირნე. უეცრად, მალლა ავიხედე, ადამიანები ხომ ხანდახან მალლაც იყურებიან. მხოლოდ კორპუსები – მალალი, უშნო, უფორმო კორპუსები; ტროტუარზე ვერ ეტეოდნენ, თავხედურად იდგნენ, თითქოს მიბღვერდნენ და რალაცას მემართლებოდნენ. უცხო ვიყავი მათთვის, ისინი კი ჩემთვის.

– ეს ჩემი გზაა, – გაბრაზებულმა გავიფიქრე, – თქვენ სად იყავით, როცა ყოველ დილით ამ გზით სკოლაში მივდიოდი?! მერე რა, რომ ხშირად ვაგვიანებდი, მაინც ჩემია!..

ცაც აღარ ჩანდა. შემოდგომის თბილისის ცა, ჩემი ცა... ცა სადღა წაიღეთ, თქვე, შობელძალელებო!.. უკანა გზაზე, მამიდაჩემის სახლის სახურავზე ავედი. თითქოს დავმძიმდი და არ მინდოდა შინ დაბრუნება. ქვემოთ არ ჩამიხედავს. ახლა იქ აღარაფერი იყო ჩემი. არც არავისი. იქ რალაც თავისთვის არსებობდა... ცა კი, კარგად ჩანდა, შემოდგომის ცა. სიგარეტს მოუუკიდე. რატომღაც უხდებოდა შემოდგომას სიგარეტი. გამახსენდა, რომ პირველად აქ გავაბოლე. მე და ჩემმა ბიძაშვილმა მამიდაჩემს „მტკვარი“ მოვპარეთ. „მტკვარი“ – უძრობის ხანის ერთ-ერთი გამორჩეული სიმბოლო, თავისებურად, გვერდულად რომ იწვოდა, უცნაურად მხრწოლავი. როგორ ტკბილად მახსოვს, მისი აკრძალული, მწარე გემო.

ვწევარ და ვწნევი. ისევ ისე ხარბად, როგორც ბავშვობაში.

ბავშვობის კადრები...

გურამ რჩელიშვილის შავყდიანი წიგნი, თეთრი ცხენით. წარწერა – „ძვირფას შალვას მიხეილისაგან“. გურამის მამამ აჩუქა

**ნავთსაყუდელი. გვიანი
შუადღე. მზის ღრუბელი
ნელ-ნელა ეფარება.
ბნელდება. არა, უფრო
სწორად, სხვანაირი
ბინდი, სხვანაირი
სიმუქე იპარება. ეს არ
არის მხოლოდ მზისთან
გამოთხოვება.
ეს არის
გამოთხოვება
ბავშვობასთან,
ახალგაზრდობის
ხმაურიან
დღეებთან,
მეგობრებთან,
საყვარელ ქალთან...**

პაპაჩემს. სიცხე მაქვს, ვწევარ. ოთახში პაპა შემოდის. შუბლზე ხელს მადებს და ამ წიგნს მჩუქნის. მას შემდეგ, გურამი

ჩემი ერთ-ერთი უახლოესი მეგობარია.

კარლო კაჭარავა წერდა, რომ გურამ რჩელიშვილის გულუბრყვილო პათეტიკამ ერი გამოაფხიზლა. ძნელია ახალგაზრდობისას არ იყო პათეტიკური, თანაც, როცა პროზას ჰქმნი. მიყვარს გურამის გულუბრყვილობა. ჩემს სიყმანვილეში მბრუნებს. თითქოს ძვირფას და დაკარგულ რამეს ვიბრუნებ, ხელახლა შევიგრძნობ. ეს სიყვარულია, რომელიც წავიდა, დროს გაჰყვა, მაგრამ, სადღაც, თავისთვის მაინც არსებობს. ხანდახან, ცოტახნით ვიბრუნებ... ან თვითონ მიბრუნდება, რომ მერე ისევ წავიდეს...

სიგარეტი თითქმის ჩაიწვია...

მაგონდება, როგორ ვისხედით მე და ჩემი მეგობარი, კოტე ჯანდიერი, ჩემთან, სასტუმრო ოთახში და სინიაკის სურათის შესახებ, შეზარხოშებულები, რატომღაც დიდხანს ვსაუბრობდით.

სინიაკის სურათი: ნავთსაყუდელი. გვიანი შუადღე. მზეს ღრუბელი ნელ-ნელა ეფარება. ბნელდება. არა, უფრო სწორად, სხვანაირი ბინდი, სხვანაირი სიმუქე იპარება. ეს არ არის მხოლოდ მზისთან გამოთხოვება. ეს არის გამოთხოვება ბავშვობასთან, ახალგაზრდობის ხმაურიან დღეებთან, მეგობრებთან, საყვარელ ქალთან... მაგრამ, სრულიად არ გთრგუნავს. ენით აუწერელი, უცნაური სინანული გეუფლება და თბილი ჟრუანტელი გივლის. ასეთი სინანულის აღძვრა, ალბათ, მხოლოდ ფერებს ძალუძს, როცა შუადღე მიდის...

როგორ შევინარჩუნოთ ჯანმრთელი კანი, თმა და ფრჩხილები

საიდუმლო არაა, რომ სუფთა, ლამაზი, ჯანმრთელი, მოვლილი კანი, თმა და ფრჩხილები ქალის სილამაზის ძირითადი მახასიათებელია. მრავალი მიზეზი იწვევს კანის, თმის და ფრჩხილების დაზიანებას: გენეტიკური წინასწარგანწყობა, ჰორმონალური დისბალანსი, კანის და მისი დანაშაუტების დაავადებები, არახელოვნად სისხლმომარაგება... ყველაზე ხშირი მიზეზი კი ორგანიზმში კვებითი ნივთიერებების უკმარისობაა.

კანის სილამაზის შესანარჩუნებლად სახურველია დღის განმავლობაში 1.5-2ლ არაგაზირებული მინერალური წყლის ან უშაქრო ხაის მიღება. ძალი ხელს უწყობს კანის უჯრედების განახლებას. მოძრაობა და მასაჟი აუმჯობესებს სისხლმომარაგებას და კანი ჯანმრთელ ფერს აჩვენებს. მზის სხივები აუცილებელია ორგანიზმისთვის, მაგრამ ხშირი ვარუჯვა საადრევედ აბერებს კანს.

თმის სილამაზის შესანარჩუნებლად საჭიროა შამპუნი შეარჩიოთ თქვენი თმის ტიპისთვის. სველი თმა პანსახიციოთ შეიფუთეთ და მხოლოდ ნაწილობრივად შემშრალი თმა დაივარცხნეთ და გაიშრეთ. შეძლებისდაგვარად ურიდეთ თმის ფენით გაშრობას. დაივარცხნეთ თმა ნაზად ყოველდღე ფართოკბილებიანი სავარცხლით. ეს აუმჯობესებს კანის სისხლმომარაგებას.

ფრჩხილების ხამავრეხა და სილამაზეზე დიდ გავლენას ახდენს ვარუშო ფაქტორები. შეეცადეთ საქმარობის დროს გამოიყენოთ სელენოზინი. ვაქლიბეთ ფრჩხილები ერთი მიმართულებით - ნაბინიდან ცენტრისკენ. ღაქის მისამართებლად გამოიყენეთ უაცეტონი ღაქის მისამართებელი ხითები, რომლებიც შეიცავენ ფრჩხილის გასამავრებელ ზეთებს.

"შერცის სპეციალური დრაჟე" - შეიცავს სავანებოდ შერჩეულ და იდეალურად შერწყმულ ვიტამინებს, მიკროელემენტებს და ამინომკავეებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კანის, თმებისა და ფრჩხილების ოპტიმალურ კვებას და ბუნებრივ სილამაზეს.

მერსის სპეციალური დრაჟე

ღღაფი მხოლოდ
2 ღრაჟე!

"უზადოდ ჯიხაღა ჯანი"



მეხცის სპეციალური დრაჟე ფოხმეღა B-ვიტამინების ჯომღლექით და B-ჯახოტინით, განაჰიხოზებს ჯანის უჯრედების ყოველღიუ ჯღგენა-განახლებას.

"ჯანსაღი, მზინავი თმა"



მეხცის სპეციალური დრაჟე შეიცავს ვიტამინ A-ს, ჯაცოემის ჰანთოთუნატს და ფოღის მეღვას, ჯაც უზრუნველყოფს თმის ძიხების ჯვებას და თმის სტრუქტურის ჯღგენას.

"ღამაზი, მტეიცე ფრჩხილები"



მეხცის სპეციალური დრაჟეში შემავალი ბიოტინი, ჯინასთანდა ამინომეღავებთან ჯომზინაციაში განაჰიხოზებს ფრჩხილების სნჯაფ ზხდას, ზეღაჰიხის სიღლევეს და იცავს მათ განშევეებისაგან.

გამოამეღავნეთ თქვენი სიღამაზე





გვანცა ყუფარაძის საქმე

გვანცა ყუფარაძის შესახებ მესმოდა, ვკითხულობდი, ვბრაზობდი, მაგრამ მის დასაცავად არაფერი გამიკეთებია. რა შემდეგ გამეკეთებინა? სტატია დამენერა, ან საპროტესტო აქცია მომენყო, ან... არ ვიცი.

ენო ბაქიშვილი

თუკი ოდესმე სასამართლო გვანცას უდანაშაულობას დაამტკიცებს და აღმოჩნდება, რომ ჩემი შვილების ტოლი გოგონა სულ ტყუილად იჯდა საპრობილეში, გამოდის, რომ მის წინაშე დამნაშავე მეც ვარ.

მეც ისევე, როგორც მთელი ქართული საზოგადოება.

გვანცას არ ვიცნობ, მხოლოდ მისი ერთი, ციხიდან ტელეფონით მიცემული ინტერვიუ მაქვს მოსმენილი და ერთი პატარა სატელევიზიო სიუჟეტიც – ნანახი. მაგრამ ის, რაც მოვისმინე და ვნახე, საკმარისია, რომ დავიჯერო – რასაც მიზნად დაისახავს, ყველაფერს მიაღწევს.

მისი ისტორია აი, ასეთია:

2006 წელს, სწორედ მაშინ, როცა პრეზიდენტმა საპარლამენტო ტრიბუნლიდან ნულოვანი ტოლერანტობა გამოაცხადა, 14 წლის გოგონა თანაკლასელის განზრახ მკვლელობისთვის დაპატიმრეს და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

დაჭრილმა თანაკლასელმა გვანცას დაადო ხელი. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არ ჩანდა დანაშაულის მოტივი, და მეტიც – ექსპერტიზის დასკვნაში ეწერა, რომ დაჭრილ თორნიკე ტყემალაძეს 30 ჭრილობა ორი სხვადასხვა დანით მიაყენეს, სასამართლომ მაინც ჩათვალა, რომ დამნაშავე გვანცა იყო. სუსტი გოგონა ერთი ხელით მის ტოლა ბიჭს აკავებდა, ხოლო მეორეთი – ორი დანა ეჭირა.

გვანცა ყუფარაძე დამნაშავედ ცნო ყველა ინსტანციის სასამართლომ, ყველამ, გარდა – უზენაესისა. უზენაესმა თქვა, რომ ეს საქმე პრეცედენტული სამართლისთვის, ანუ,

თავად სასამართლოსთვის არ იყო საინტერესო და საერთოდ არ მიიღო წარმოებაში.

გვანცამ ხუთწლიანი სასჯელი სრულად მოიხადა, ციხიდან უკვე გათავისუფლდა და ახლა ხუთი წელი პირობითი სასჯელი აქვს – პრობაციონერია.

ის ციხიდან გახდა სტუდენტი და პროფესიად იურისტობა აირჩია. საპრობილი-

თუკი ოდესმე სასამართლო გვანცას უდანაშაულობას დაამტკიცებს და აღმოჩნდება, რომ ჩემი შვილების ტოლი გოგონა სულ ტყუილად იჯდა საპრობილეში, გამოდის, რომ მის წინაშე დამნაშავე მეც ვარ.

დან გათავისუფლებული გვანცა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს განაჩენს ელოდება. ის მხოლოდ ერთს ითხოვს – საქმის ხელახალ გამოძიებას და საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობს.

ციხიდან მიცემულ ინტერვიუში გვანცამ თქვა „შენწყალბაზე თხოვნა არ დამინერია,

არ ვითხოვ შეწყალებას, მე ჩემი საქმის სამართლიანი გამოძიება მინდა!“

სწორედ ამიტომ, გვანცამ პროკურატურის მიერ შეთავაზებულ საპროცესო გარიგებაზე უარი თქვა. ეს ჩვენში ძალიან იშვიათია – ის ოპოზიციონერებიც კი, რომელთაც საგაზაფხულო და საშემოდგომო მიტინგების შემდეგ აკავებენ და ხან იარაღს უდებენ და ხანაც – ნარკოტიკს, როგორც წესი, თანხმდებიან საპროცესო გარიგებას, აღიარებენ დანაშაულს, იხდიან ფულს და გარეთ გამოდიან.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ასეა – გვანცა ამბობს, რომ ციხეში შიში დაამარცხა, ახლა კი უნდა, იურისტი გახდეს და ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ საქართველოში სასჯელალსრულების სისტემაში მოხვედრილ ადამიანს აღარასდროს მოექცნენ ისე უსამართლოდ, როგორც მას.

ძნელი სათქმელია, რატომ დასაჯეს ასე სასტიკად 14 წლის არასრულწლოვანი. ამ კითხვაზე პასუხი დღეს არა გვაქვს. თუმცა, მჯერა, ოდესმე აუცილებლად გავიგებთ.

გვანცა ყუფარაძე საპრობილიდან თავისუფალია, მაგრამ მას ახლაც სჭირდება ჩვენი მხარდაჭერა. ჩვენც მასთან ერთად უნდა მოვითხოვოთ გამოძიების თავიდან დაწყება.

P.S. ნაფიცი მსაჯულების პირველი სასამართლო სწორედ ახლახან გაიმართა. მე ვფიქრობ, რომ უმჯობესია ადამიანის ბედი პროფესიონალმა იურისტებმა განსაჯონ. თუმცა... ხუთი წლის წინ ნაფიცი მსაჯულები რომ ყოფილიყვნენ, იქნებ გვანცა ყუფარაძის ბედი სულ სხვანაირად წარმართულიყო.

გაგანოლი

ნიმუსული 100გ

იდეალური გამოსავალი ტკივილისა და ანთების დროს

შეიძლება თუ არა ერთდროულად დაგამარცხოთ ტკივილი და ანთება?

თანამედროვე მედიცინა მიმართულია ისეთი მედიკამენტების შექმნისკენ, რომლებიც მცირე დროში ეფექტურად ახდენენ დაავადების ამა თუ იმ სიმპტომის კუპირებას. განსაკუთრებული მოთხოვნა დღეს წაყენება ტკივილგამაყუჩებელ და ანთების საინინალმდეგო საშუალებებს. ტკივილის დროს ძირითადი მოთხოვნაა მისი სწრაფი მოხსნა, ხოლო ანთების მკურნალობისას მნიშვნელოვანია, რომ პრეპარატს შეეძლოს მინიმალური გვერდითი მოვლენები, ანთების საინინალმდეგო თერაპია ხომ გაცილებით ხანგრძლივ დროს მოითხოვს.

პრეპარატი, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს როგორც ტკივილის, ასევე ანთების საინინალმდეგო მკურნალობის მოთხოვნებს არის უნიკალური ტექნოლოგიით დაშვადებული მედიკამენტი - "გაგანოლი".

"გაგანოლის" ტაბლეტი პირის ღრუში მოხვედრისთანავე წყლის გარეშე იხსნება. მისი შენოვა პირის ღრუდან იწყება, რის გამოც ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი უმოკლეს დროში დგება. მალალსელექტიური მოქმედების გამო, მინიმუმამდეა შემცირებული მისი გვერდითი ეფექტები ხანგრძლივი გამოყენების შემთხვევაშიც (მათ შორის კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მხრივ). ზოგიერთ ადამიანს ჩვევად აქვს ტკივილგამაყუჩებელი საშუალების წყალში გახსნა და ისე მიღება, რაც "გაგანოლის" შემთხვევაშიც შესაძლებელია. თუმცა მისი მთელი უპირატესობა ის არის, რომ "გაგანოლის" მიღება შეიძლება ნებისმიერ სიტუაციაში და არ არის საჭირო ჭიქა წყლის ძებნა.




დავით აღმაშენებლის 148/2
საინფორმაციო სამსახური 2 967 227
პრეპარატს მიღებს წმ. გივონი ძმების
ეკლესიაში მდებარე მუდმივი ფელაქური
ფარმაცევტული პუნქტი

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!



ახალი მსოფლიო,
ახალი ხედვა,
ახალი შესაძლებლობები



THEMATV

უკვე კავკასიაშია

ახალი HD არხები FTV, MCM & MEZZO-ს შემეყმნელებისაგან

THEMATV-ის წარმომადგენლობა კავკასიაში:

მობ.: +995 599 56 23 65

ელ ფოსტა: ladob@thematv.com

www.thematv.com

დისკუსია

ახალი პოლიტიკური რეალობა: ქველმოქმედებიდან პოლიტიკაში

მოღვათარი ნიშო ბაქიშვილი



ილუსტრაცია: სოფო ელიაშვილი

მონაწილეები:

ქეთი ხუციშვილი

„ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი

თათა ცოფურაშვილი

ილიას უნივერსიტეტის პროფესორი

გია ნოღია

ფილოსოფოსი და პოლიტოლოგი

ლევან ბერძენიშვილი

„რესპუბლიკური პარტიის“ წევრი

ზიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებამ ჩართულიყო პოლიტიკურ ბრძოლაში ქართულ პოლიტიკაში ვითარება რადიკალურად შეცვალა. „ცხელი შოკოლადის“ რედაქციაში გამართულ დისკუსიაზე ფილანთროპიისა და პოლიტიკის მიმართებაზე და ახალ პოლიტიკურ რეალობაზე ვისაუბრეთ.

რას გულისხმობს და რა სახე აქვს დღეს ფილანთროპიას საქართველოში?

ქეთი ხუციშვილი – საქართველოში დღემდე არ არის დაზუსტებული ტერმინები – charity (ქველმოქმედება) და philanthropy (ფილანთროპია) რით განსხვავდება ერთმანეთისგან. თუმცა, ბოლო წლებში ჩვენთანაც დაიწყო ქველმოქმედებისა და სტრატეგიული ფილანთროპიის გამიჯვნა. ნელ-ნელა ქართულ ბიზნესშიც ჩნდება კორპორაციული პასუხისმგებლობა – ადგილობრივი ბიზნესი იღებს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას, მოახდინოს გარკვეული სოციალური ინვესტიცია საზოგადოებაში და დაეხმაროს ამა თუ იმ ჯგუფს და ფენას.

საქართველოში ისტორიულად უფრო მეცენატობა იყო განვითარებული, როცა ბიზნესი ადამიანებს ან ადამიანთა ჯგუფს ეხმარებოდა. სტრატეგიული ფილანთროპია ქართულ ბიზნეს-სექტორში ჯერ მხოლოდ ჩანასახის სახით არსებობს. საქართველოში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ, დასავლური მოდელით იმოქმედონ – როცა განმსაზღვრელია გარკვეული თემები, რაღაც საკითხი წინ წამოიწევა და ფილანთროპია ისე იგეგმება, რომ ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფმა შეძლოს მონაწილეობა. ამას გარდა, ვფიქრობ, საქართველოში უკვე იკვეთება ცვლილებები – რამდენიმე ბიზნესკომპანია სტრატეგიულ ფილანთროპიას მისდევს, მაგალითად, თიბისი ბანკი, რომელმაც შექმნა საქველმოქმედო ფონდი და განერილი აქვს სტრატეგიული გეგმა.

ბიძინა ივანიშვილმაც, როგორც ჩანს, გარკვეული ეტაპები გაიარა. მისი ქველმოქმედების შესახებ სრულ ინფორმაციას ჯერაც არ ვფლობთ. ვფიქრობ, რომ ის უფრო როგორც მეცენატი, ისე მოღვაწეობდა და არ ჰქონდა განსაზღვრული მიმართულებები... ჩვენ მართლა არ ვიცით მისი ქველმოქმედების ბევრი დეტალი, მაგრამ ცნობილია, რომ მას ჰქონდა გარკვეული პრიორიტეტები, მაგალითად, კულტურის სფერო – თეატრები, მუზეუმები და ა. შ. ეს ნაკლებად ხორციელდებოდა გრანტების სახით, უფრო სოციალური დახმარება ან პირდაპირი ინვესტიცია იყო.

ივანიშვილის შემთხვევაში ფილანთროპია უზარმაზარ პოლიტიკურ კაპიტალად იქცა. არა მხოლოდ სოციალურ ქსელებში, არამედ, მედიაშიც გამოითქვა მოსაზრება, რომ ივანიშვილისთვის ქველმოქმედება პოლიტიკაში მოსვლის საშუალება იყო...

ქეთი ხუციშვილი – მგონია, რომ მას ეს განსაზღვრული არ ჰქონდა. ასე რომ ყოფილიყო, 10 წლის მანძილზე გაცილებით მეტი გვეცოდინებოდა მისი ქველმოქმედების შესახებ. ის ნამდვილად ცდილობდა, არ გამოჩენილიყო.

ლევან ბერძენიშვილი – ქველმოქმედებისთვის პოლიტიკური ბრალდება ისეთივე ძველია, როგორც თავად ქველმოქმედება. მეცენატს, საიდანაც მოდის ეს ყველაფერი, სწორედ ამ ბრალდებას უყენებდნენ – ძველი ავტორები ამაზე ბევრს წერდნენ.

უკანასკნელი სამი წელია, ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ ნამდვილად გახსნილია ინფორმაცია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საზოგადოებას ეს ინფორმაცია არ აინტერესებდა. ეროვნულ ბიბლიოთეკაში, მუზეუმებში, თეატრებში არაფერი დაფარული არ ყოფილა, ვისაც შეეხება ჰქონდა ამ დარგებთან, მან ყველაფერი იცოდა.

„ქართუ“ ბანკთან რამდენიმე ფონდია. ცხადია, ეს ფონდები არ არის ისე აწყობილი, როგორც სოროსის ფონდი, ეს უფრო

პირველყოფილ ქველმოქმედებას, მეცენატის ქველმოქმედებას ჰგავს. ფაქტია, რომ ბევრი რამ თვითონ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებებზე იყო დამოკიდებული.

როდესაც „ქართუ“ ფონდის დირექტორი ვიყავი, პატარა გრანტი გავეცით ფრენსის ფუკიამას წიგნის გამოსაცემად. ბატონ გიას შეუძლია დაადასტუროს, რომ ის ივანიშვილის ფონდის გრანტიორი იყო. ასეთი რამეც ხდებოდა. მაგრამ ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედება მიმართული იყო სულ სხვა სფეროსკენ – ეს იყო ხელოვნების და ხელოვანთა მხარდაჭერა.

არ მჯერა, რომ ივანიშვილს სურდა ქველმოქმედება შემდეგ პოლიტიკაში გამოეყენებინა. ჯერ ერთი, არ ახლდა შესაბამისი პიარი, მეორეც, ხელოვანები პოლიტიკურად არ არიან საინტერესონი – არცერთი მწერალი ხმას არ მოგცემს იმიტომ, რომ დაეხმარე. ეს სხვა პასუხისმგებლობის მქონე ხალხია და შედეგმაც იგივე გვაჩვენა. თანაც, წარმოუდგენელია, ივანიშვილს ჰგონებოდა, რომ ის ხალხი, ვისაც საჭმლის ფულიც კი არ ჰქონდა, საზოგადოებაზე დიდ გავლენას მოახდენდა.

გია ნოდია – როცა პოლიტიკაში მოდის ადამიანი, რომლის პოლიტიკური კაპიტალი, ერთი მხრივ, არის ფული, როგორც რესურსი, ხოლო მეორე მხრივ – ქველმოქმედის რეპუტაცია, ბუნებრივია, იკითხო, ხომ არ იყო ეს 10-15 წელი მზადება პოლიტიკაში მოსასვლელად? იგივე ეხება ბადრი პატარკაციშვილსაც. ამ თემაზე მხოლოდ ვარაუდებით საუბარი შეიძლება. მე ღია ვარ ორივე შესაძლებლობისთვის და არ მგონია, რომ ჩვენ შეგვიძლია ზუსტად ვთქვათ, რა და როგორ იყო სინამდვილეში.



ქეთი ხუციშვილი

სოროსს საქართველოში პოლიტიკური მიზნები არ ჰქონია, იმიტომ, რომ პოლიტიკური მიზანი ხელისუფლებაში მოსვლაა. სოროსს ძალიან გაცხადებული მიზნები აქვს ყველა ქვეყანაში, სადაც მოღვაწეობს – ესაა ღია საზოგადოების შექმნის ხელშეწყობა. ვერც იმაში დაგეთანხმებით, რომ სოროსი რევოლუციას აფინანსებდა. რაც შეეხება რევოლუციის შემდგომ პერიოდს, რადგანაც ჩაითვალა, რომ საქართველოში მოვიდა სრულიად ახალი დემოკრატიული ხელისუფლება, გადანყვიტეს, დახმარებოდნენ.



გიორგი ნოდია

პრობლემაა ის, რომ ივანიშვილი მოდის ფულით, და მისი პოლიტიკური ძალა მხოლოდ ეს ფულია. თუკი დავიჯერებთ ჰიპოთეზას, რომ მისი ქველმოქმედება პიარი იყო, რომლითაც ის იქმნიდა კაპიტალს, ეს მაინც არ ჰგავს სოროსის მაგალითს, იმიტომ, რომ სოროსს არც საქართველოში და არც გვატემალაში ხელისუფლებაში მოსვლა არ უნდოდა. როცა ადამიანი ცდილობს ფულის კაპიტალი აქციოს პოლიტიკურ კაპიტალად, ეს ნამდვილად პრობლემაა, მაგრამ ეს არ არის ქველმოქმედების პრობლემა.

როცა პატარა ქვეყანაში არის ადამიანი, რომლის პირადი ქონება შედარებადია ამ ქვეყნის ბიუჯეტთან, როცა ის მთელი ამ კაპიტალით მოდის პოლიტიკაში, რაციონალური დისკუსიის საგანი ფულის და პოლიტიკის მიმართება შეიძლება გახდეს. ქველმოქმედება მხოლოდ ერთი ნაწილია იმისა, თუ როგორ შეიძლება ეს ფული პოლიტიკურ კაპიტალად აქციოს. მაგრამ სპეკულაცია თემაზე, თითქოს ივანიშვილი იმიტომ ეხმარებოდა ამდენ ხალხს, რომ მერე მათი ხმები მოეპოვებინა, რაციონალური განსჯის საგანი ვერ იქნება. თუ ნეგატიური განწყობა გაქვს მის მიმართ, იტყვი, რომ ეს წინასწარი პიარი იყო; თუ პოზიტიური განწყობა გაქვს – იტყვი, რომ პოლიტიკაში მოსვლის გადანეგეტილება სპონტანურად მიიღო. თუმცა, დასაბუთება არც პირველი ვარაუდისა შეიძლება და არც – მეორისა.

ჯორჯ სოროსი „ვარდების რევოლუციას“ აფინანსებდა. ეს ფილანთროპია იყო თუ პოლიტიკური ცვლილებების მხარდაჭერა? როცა ივანიშვილი თანხებს გაცემდა სამების ასაშენებლად, ალბათ, იცოდა, რომ მომავალში ეს ხმებს მოუტანდა... რა არის ამგვარი ქმედების ნამდვილი მიზეზი, რა ამოძრავებთ ამ ადამიანებს?

ქეთი ხუციშვილი – სოროსს საქართველოში პოლიტიკური მიზნები არ ჰქონია, იმიტომ, რომ პოლიტიკური მიზანი ხელისუფლებაში მოსვლაა. სოროსს ძალიან გაცხადებული მიზნები აქვს ყველა ქვეყანაში, სადაც მოღვაწეობს – ესაა ღია საზოგადოების შექმნის ხელშეწყობა. ვერც იმაში დაგეთანხმებით, რომ სოროსი რევოლუციას აფინანსებდა. ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ 2002 და 2003 წლებში აფინანსებდა

არაერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელთაგან ზოგი ადამიანის უფლებებს იცავდა, ზოგი უმცირესობების, ზოგიც – რელიგიურ უფლებებს, და თუ რამდენიმე მათგანი შემდეგ რევოლუციაში ჩაერთო, ეს არ იყო ამ დაფინანსების აუცილებელი შედეგი.

რაც შეეხება რევოლუციის შემდგომ პერიოდს, რადგანაც ჩაითვალა, რომ საქართველოში მოვიდა სრულიად ახალი დემოკრატიული ხელისუფლება, გადანეგეტიც, დახმარებოდნენ. კარგია, რომ ივანიშვილმა თვითონ თქვა, სოროსთან ერთად მეც ვაფინანსებდი ხელისუფლებასო. სოროსმა ჩადო გარკვეული თანხა იმ ფონდში, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამამ შექმნა. ერთი წლის შემდეგ ეს პროგრამა დამთავრდა. როგორც აღმოჩნდა, ივანიშვილი უფრო დიდ ხანს და ინტენსიურად განაგრძობდა ხელისუფლების დახმარებას.

სოროსს თავისი პოლიტიკური მიზნები არ ჰქონია, მაგრამ ფიქრობდნენ, რომ მაშინდელი ხელისუფლება რეალური დემოკრატიის მშენებლობას დაიწყებდა. შესაბამისად, სიტუაცია როცა შეიცვალა, ფონდმაც შეცვალა თავისი პრიორიტეტები, მაგრამ პოლიტიკა არ შეუცვლია – ისევ განაგრძობთ ადამიანის უფლებების, უმცირესობების, დაუცველი სოციალური ჯგუფების და დამოუკიდებელი მედიის მხარდაჭერას.

ლევან ბერძენიშვილი – სოროსი არსად მოსულა ხელისუფლებაში, მაგრამ მისი სიტყვებია – „მიშა და ზურა, მე მოგიყვანთ ხელისუფლებაშიო“. ეს სიტყვები ნამდვილად თქვა. „კმარა“ არ ფინანსდებოდა სოროსის ფონდით საქართველოში, კანონიერი წყარო იყო, მაგრამ არა – საქართველოდან. ვიტყვი, რომ „კმარას“ დაფინანსება არ იყო მთლად გამჭვირვალე და ბოლომდე დაცული არ ყოფილა ფონდის ყველა პრინციპი.

გია ნოდია – მგონია, რომ ეს პარალელი არ არის საფუძვლიანი. მითია, რომ სოროსმა „ვარდების რევოლუცია“ დააფინანსა. კი ბატონო, „კმარაში“ რაღაც ფული ჩადო, მაგრამ ძალიან მცირე. მითია, რომ ფულით რევოლუციები კეთდება, რომ ვიღაც ფულს ხარჯავს და რევოლუცია ხდება. როცა ვამბობთ, რომ „ვარდების რევოლუცია“ ფულით მოხდა, ეს, უპირველეს ყოვლისა, ამ რევოლუციის შეურაცხყოფაა. როგორც წესი, ამას ისინი ამბობენ, ვინც რევოლუციის დისკრედიტაციას ცდილობს.

რაც შეეხება ივანიშვილს, თუკი დავიჯერებთ, რომ ქველმოქმედება ცალკე იყო და მან მართლაც, უცებ გადანეგეტიც პოლიტიკაში მოსვლა, მაშინ სულ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე. პრობლემაა ის, რომ ივანიშვილი მოდის ფულით, და მისი პოლიტიკური ძალა მხოლოდ ეს ფულია. თუკი დავიჯერებთ ჰიპოთეზას, რომ მისი ქველმოქმედება პიარი იყო, რომლითაც ის იქმნიდა კაპიტალს, ეს მაინც არ ჰგავს სოროსის მაგალითს, იმიტომ, რომ სოროსს არც საქართველოში და არც გვატემალაში ხელისუფლებაში მოსვლა არ უნდოდა. როცა ადამიანი ცდილობს ფულის კაპიტალი აქციოს პოლიტიკურ კაპიტალად, ეს ნამდვილად პრობლემაა, მაგრამ ეს არ არის ქველმოქმედების პრობლემა.

ივანიშვილს საქართველოში, სწორედ რომ, ქველმოქმედის იმიჯი ჰქონდა, მისი მთავარი დივიდენდი სწორედ ისაა, რომ ის ქველმოქმედი...

გია ნოდია – ქველმოქმედი იმიტომაა, რომ ფული აქვს. აქ სწორედ ფულია განმსაზღვრელი. პრობლემაა ფულის და პო-

ლიტიკის მიმართება და არა პოლიტიკისა და ქველმოქმედების მიმართება. საქართველოს არცერთი პრეზიდენტი არ მოსულა პოლიტიკაში დიდი ფულით. ადამიანი პოლიტიკურ კარიერას იკეთებს პოლიტიკური მოღვაწეობით, პრესტიჟით და ა. შ. და შემდეგ ხდება პოლიტიკოსი. სულ სხვაა, როცა ჯერ აკეთებ ძალიან დიდ ფულს და მერეც ცდილობ ეს ფული პოლიტიკურ ძალაუფლებად აქციო.

ლევან ბერძენიშვილი – საფრთხე ისაა, როცა ღარიბი სააკაშვილი დღეს მილიონერი გახდა. კანონში არსად წერია, რომ მდიდარს არ შეუძლია პოლიტიკაში მოსვლა. პაველ კუბლაშვილს არ უნდა აეშენებინა რამდენიმესართულიანი სახლი. როგორ ააშენა? იპარავს. სხვანაირად ვერ ვხსნი, ნამდვილად არა აქვს ამხელა ხელფასი. სახელმწიფოს გამოყენება პირადი მიზნებისათვის საშიშია.

მდიდარი კაცის პოლიტიკაში მოსვლა გარკვეულ საფრთხეს მართლაც შეიცავს – სწრაფად ხდება მისი პოზიციონირება, სწრაფად მოიპოვებს პოპულარობას და სხვა. აქ არის ხალხი, რომელიც ამბობს, რომ არ იყიდება ფულზე და რატომ გვგონია, რომ სხვაგან, სხვა ოთახებში სხვა ხალხი ცხოვრობს? თუმცა, მიხეილ სააკაშვილმა იმდენად გარყვნა ადამიანები, რომ გააჩინა ასეთი ბაზარი და ყველა, ვისაც ფული აქვს, საშიში ხდება.

ფულს შეუძლია რაღაც იდეები დათრგუნოს, მაგრამ უფრო დიდ საფრთხეს დაგინახავდი, ბიძინა ივანიშვილი თავის იდეებს რომ მახვევდეს თავს. მაგრამ, როცა ეს კაცი მეუბნება, მომწონს შენი პარტიის იდეები და მოდი, ერთად ვიაროთო, მე მხოლოდ მადლობას ვამბობ. ჯერჯერობით, ვერ ვხედავთ ჩვენი იდეოლოგიისთვის და პოლიტიკისთვის რაიმე ისეთ საფრთხეს, რაც სხვა დროს არ გვქონია.

როგორ ფიქრობთ, როდის არის გულწრფელი ივანიშვილი, როცა თქვა, რომ პოლიტიკაში მოსვლა მისთვის გარკვეულწილად „პირადი ტრაგედიაა“, თუ როცა ამბობს: „ბედნიერი ვარ,

რომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მივიღე, სხვა გზა არც მქონდა. დღეს ვხედავ, რომ ამისთვის ვარ დაბადებული“...

ლევან ბერძენიშვილი – ეს ესთეტიკის საკითხია, მე იმ სფეროდან ვარ, სადაც ესენი – ტრაგედია და ბედნიერება, ერთად ცხოვრობენ, ასე რომ, გადაუჭრელი წინააღმდეგობა აქ არ არის. ჩვენ წინაშეა პოლიტიკაში შესული კაცი, რომელიც, ამ ერთი თვის მანძილზე, ჩვენს თვალწინ იცვლის შეხედულებებს. თუ ვინმე პოლიტიკაში შესულა, ის ამას ნლებს ანდომებს ხოლმე. სასიამოვნოა, რომ ეს ასე სწრაფად ხდება. ჩვეულებრივ, პოლიტიკაში ადამიანები მოდიან ძალიან მკაფიო მესიჯებით, მაგრამ მერე ნელ-ნელა ეს მესიჯები ბუნდოვანი ხდება, რადგან პოლიტიკა სხვა პარტიებთან თანამშროლობასაც გულისხმობს. წარმოუდგენელიც იქნებოდა, რომ ეს მესიჯები ისეთივე ხისტი დარჩენილიყო.

რაც შეეხება ბრძოლაში ბედნიერების განცდას – ეს ჯერ კიდევ გოეთემ გვასწავლა, „ფაუსტის“ ფინალი სწორედ ამაზეა. ივანიშვილმა იგრძნო აზარტი და ბედნიერი სწორედ ამითაა. უბედურია, რომ ამ აზარტის გამოყენება დასჭირდა. მას ნამდვილად შეეძლო აზარტიც და ფინანსებიც სხვა რამეებისთვის მოეხმარებინა.

ქეთი ხუციშვილი – საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში დიდი აღფრთოვანება და მოლოდინია, რაც შეიძლება, პოლიტიკოსისთვის პრობლემად იქცეს. დღეს დავესწარი ივანიშვილის შეხვედრას არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ამ შეხვედრაზეც ვთქვი, რომ ივანიშვილს სწორედ ახლა მოუწევს საკუთარი ქველმოქმედებისა და პოლიტიკის ერთმანეთისგან გამიჯვნა. იმიტომ, რომ ის ვერ შეძლებს იყოს ქველმოქმედი და დააფინანსოს იმ არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა, ვინც აპირებს, რომ არჩევნებზე დაკვირვება მოახდინოს. ასეთ შემთხვევაში, ეს არასამთავრობო ორგანიზაცია უკვე ობიექტური ველარ იქნება. თუკი ქმნის დიდ მოძრაობას, უნდა ვიცოდეთ, ვინ შედის ამ მოძრაობაში, ვინ თანამშრომლობს. ახლო წარსული რომ გავიხსენოთ, მაშინაც იყო არასამთავრობო სექტორში გარკვეული აღფრთოვანება და ამან მაინცდამაინც კარგ შედეგებამდე ვერ მიგვიყვანა. როგორც ჩანს, ჯერ ივანიშვილს ამაზე არ უფიქრია, თუმცა, თქვა: ვეცდებით, რომ ისე იყოს ყველაფერი, როგორც საჭიროაო. ამაზე უნდა დაფიქრდნენ არასამთავრობოებიც. მგონი, ეს გამიჯვნის პროცესი ძალიან საინტერესოა. ისიც გასაგებია, რომ ბევრ არასამთავრობო ორგანიზაციას სურს, მიუერთდეს მის მოძრაობას.

თათა ცოფურაშვილი – იქნებ, სწორედ ესაა ქართული სამოქალაქო საზოგადოების ტრაგედია. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, იმ აღფრთოვანების გამო, რაც მაშინდელ პროცესებს ახლდა, ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია ნაციონალური მოძრაობის ნაწილი გახდა. მას შემდეგ, სამოქალაქო საზოგადოებამ ძალები მოიკრიბა, დღეს კი ისევ დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა. შეიძლება, ფინანსურად ორგანიზაციებისთვის მომგებიანი იყოს, მაგრამ ნეიტრალური, კრიტიკულად განწყობილი მასის არარსებობა საზოგადოებაში, რაც დემოკრატიისთვის აუცილებელი პირობაა, ჩვენ ისევ უკან დაგვხვეს.

გია ნოდია – მე არ ვთვლი, რომ პოლიტიკურ და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ჩინეთის კედელია. ამ ორ სექტორს შორის მოძრაობა და როტაცია ყოველთვის ხდება. ის, რომ



თათა ცოფურაშვილი

ისევ ერთ ადამიანს ვირჩევთ, როგორც ოცი წლის წინ და ვერ ვაკეთებთ არჩევანს პოლიტიკურ პარტიებს შორის – ისევ მოდის მესია, რომელსაც ახლა უკვე ფილანთროპიაც კარგად ახასიათებს. ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, რას გააკეთებს ივანიშვილი, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული საზოგადოება ვერ იქცა საზოგადოებად, რომელიც პოლიტიკურ დოქტრინებს შორის გააკეთებდა არჩევანს.



ლევან ბერიძე

მდიდარი კაცის პოლიტიკაში მოსვლა გარკვეულ საფრთხეს მართლაც შეიცავს – სწრაფად ხდება მისი პოზიციონირება, სწრაფად მოიპოვებს პოპულარობას და სხვა. აქ არის ხალხი, რომელიც ამბობს, რომ არ იყიდება ფულზე და რატომ გვეკონია, რომ სხვაგან, სხვა ოთახებში სხვა ხალხი ცხოვრობს? თუმცა, მიხეილ სააკაშვილმა იმდენად გარყვნა ადამიანები, რომ გააჩინა ასეთი ბაზარი და ყველა, ვისაც ფული აქვს, საშიში ხდება. ფულს შეუძლია რაღაც იდეები დათრგუნოს, მაგრამ უფრო დიდ საფრთხეს დავინახავდი, ბიძინა ივანიშვილი თავის იდეებს რომ მახვევდეს თავს.

ორმა ორგანიზაციამ, „თავისუფლების ინსტიტუტმა“ და „ალპემ“ დაკარგა სახე, იმიტომ, რომ მათი ლიდერები ხელისუფლებაში აღმოჩნდნენ, არც ცუდია და არც სამარცხვინო. ეს ჩვეულებრივი ვითარებაა. ძალაუფლებაში მოსვლა არ ნიშნავს იდეალებზე უარის თქმას, ეს იდეალებისთვის ბრძოლაა სხვა მეთოდებით.

ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ თუკი მას მოქალაქეობას არ აღუდგენენ, მაშინ მის პოლიტიკურ მოძრაობას მისი უფროსი შვილი ჩაუდგება სათავეში. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა საფრთხის შემცველი ამგვარი განცხადება?

ლევან ბერიძე – ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი ძმა მინისტრი იყო, მეორე – სენატში იჯდა, მესამე – პრეზიდენტი გახლდათ და ამერიკას ამით არანაირი საფრთხე არ შექმნია. რობერტ კენედი იმიტომ კი არ გახდა იუსტიციის მინისტრი, რომ პრეზიდენტის ძმა იყო, არამედ იმიტომ, რომ ძალიან მაგარი იყო. ის, რომ ივანიშვილის შვილი მის პარტიას, არანაირი საფრთხე არ არის. მიხეილ სააკაშვილს არ ვდებ ბრალს იმაში, რომ ნათესავები დაანინაურა, მაგრამ მერჩვენა, პავლე კუბლაშვილი მისი ძმა ყოფილიყო. მივხვდებოდი მაინც, რატომ წამონია წინ! ბიძინა ივანიშვილმა ახსნა, რომ თუ პოლიტიკურ მოღვაწეობას აუკრძალავენ, ასეთი გზით მოხვედება პოლიტიკაში მისი გვარი, მოდი, ამის უფლებას ნურავის წავართმევთ. გავიხსენოთ, რა ერქვა ნაციონალურ მოძრაობას – „საკაშვილი – ნაციონალური მოძრაობა“.

თათა ცოფურაშვილი – ეს რთული საკითხია, საქართველოში, ზოგადად, დგას ეს პრობლემა. მით უმეტეს, ივანიშვილის ერთი შვილი, ბერა, უკვე ჩართულია მამის პოლიტიკურ კამპანიაში. ის არასრულწლოვანია და შეიძლება, ვერ მოვთხოვით სწორი პოლიტიკური აზროვნება, მაგრამ მის სიმღერაში „ქართული ოცნება“, რომელთანაც ივანიშვილმა თავის თავის იდენტიფიცირება მოახდინა, უკვე გაისმა ეთნოცენტრული ფრაზები – „ქართული კაცობა“ და „ქართული გაგება“, რაც უსიამოვნო ასოციაციებს იწვევს. მე მინდა ისეთი პოლიტიკური კლიბი, რომელიც არ მეტყვის „დარია თუ ავდარია, მიშა მაგარია“, ან, ისეთი „ქართული გაგება“ რომ უნდა მომახვიოს თავს. ფაქტია, რომ პოლიტიკურ კონოტაციას ეს კლიბი ატარებდა.

ქეთი ხუციშვილი – ამერიკას ყველა მივიჩნევთ დემოკრატიულ ქვეყნად, მაგრამ იქ, არა მხოლოდ კენედების, არამედ – ბუშების და კლინტონების ოჯახიც ვნახეთ. თავისთავად, ოჯახის ბევრი წევრის პოლიტიკაში აქტიურობა კლანურობას არ ნიშნავს. ივანიშვილების ოჯახის ორ წევრს გადაუკეტეს პოლიტიკაში მოსვლის გზა, ბუნებრივია, რომ ერთგვარად შვილი, რომლისთვისაც ჯერ მოქალაქეობა არ ჩამოურთმევიათ.

გია ნოდია – ერთ ადამიანს, მის პირად გადაწყვეტილებებს, მთელ პოლიტიკურ სპექტრში დისპროპორციულად დიდი როლი ენიჭება. რესპუბლიკური პარტია და ალასანის პარტია, რომელთაც 1-3% აქვთ რეიტინგი, ერთი ადამიანის პოლიტიკური გადაწყვეტილების საშუალებით შეიძლება ხელისუფლებაში კოალიციური უმრავლესობით მოვიდნენ. ჩვენთან ერთ ადამიანზეა დამოკიდებული პოლიტიკური სპექტრის ბედი. როცა ეს ასეა, გინდა ბიძაშვილს მოიყვანს, გინდა მამიდაშვილს, და გინდა – პირად მძღოლს დანიშნავს მინისტრად. რეალურად, არ ვიცით, როგორ მოიქცევა. პრობლემაა ის, რომ ერთ ადამიანზეა ბევრი რამ დამოკიდებული.

თათა ცოფურაშვილი – ისევ ერთ ადამიანს ვირჩევთ, როგორც ოცი წლის წინ და ვერ ვაკეთებთ არჩევანს პოლიტიკურ პარტიებს შორის – ისევ მოდის მესია, რომელსაც ახლა უკვე ფილანთროპიაც კარგად ახასიათებს. ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, რას გააკეთებს ივანიშვილი, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული საზოგადოება ვერ იქცა საზოგადოებად, რომელიც პოლიტიკურ დოქტრინებს შორის გააკეთებდა არჩევანს.

ლევან ბერიძე – ზუსტად ამაშია საქმე: ერთმა ადამიანმა რომ შეჭამა და შეხრა ქვეყანა, მან მოუმზადა ნიადაგი მეორე ადამიანს, რომელსაც ახლა მასზე გაცილებით უფრო დიდი რესურსი აქვს. კეთილი ინებონ და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა აქ ეძებონ დამნაშავე. თუკი 2013 წელს მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრი გახდება, ის იქნება მმართველობაში მანამ, სანამ ამის საშუალება ექნება. ამ შემთხვევაში საქართველო დაემსგავსება უზბეკეთს და ევროპულ არჩევანზე საუბარი დამთავრდება. ოქტომბრამდე გადაწყვეტილი იყო, რომ ეს ასეც იქნებოდა. პოლიტიკური სპექტრი ბიძინა ივანიშვილს ჩაეჭიდა, როგორც საშუალებას, რათა ეს არ მოხდეს. მოვახერხებთ თუ არა, აღმოგვაჩნდება თუ არა უნარი, რომ ივანიშვილისგან ახალი საფრთხე არ შევქმნათ, ამას მომავალი გვიჩვენებს. ეს ქართული საზოგადოების სამომავლო ამოცანაა.



American Express®-ი და საქართველოს ბანკი წარმოგიდგენთ



2 444 300

www.amex.ge





სხვათა
შეკრები
ისტორიები



მერაბ ნინიძე
ON CALL

ისტორია
AA-ს დეკონსტრუქცია

ინტერვიუ
ჯეისონ მორანი

ბეფათა ბეფა
მუამარ კადაფის უკანასკნელი დღეები

წერილი იაკონიიდან

ფოტორეპორტაჟი





მერაბ ნინიძე ON CALL

ავტორი მამო სამადაშვილი
ფოტო: ლელი ბლაგოჩერაშვილი, მაკა გოგალაძე



მერაბ ნინიძე თბილისში სულ სამი დღით ჩამოვიდა. ამჯერად, „რუსული კინოს ფესტივალის“ მონაწილე. ეს ინტერვიუ 8 ნოემბერს, მასთან სახლში, მწვანე ჩაის თანხლებით შედგა.

მერაბ, ამჯერად, სულ სამი დღით ჩამოხვედით თბილისში, რა გეგმები გაქვთ, რის მოსწრებას აპირებთ?

მგონი უკვე ყველაფერი მოვასწარი. დღეს გამოძინების დღეა. წელს „მონანიებას“ 25 წელი შეუსრულდა და პირველი დღე ამ ამბავს დავუთმე. ავთო მახარაძე, მიშა აგრანოვიჩი (ფილმის ოპერატორი) და მე „რუსული კინოს ფესტივალზე“ მიგვიწვიეს. ერთი შეხედვით, მარტივი დავალება მქონდა: უნდა ჩამეცვა გაუთოებული პერანგი, კოსტიუმი, კარგი ფეხსაცმელი და ორწუთიანი სიტყვა მეთქვა, მაგრამ მაინც ძალიან ვინერვიულე.

ეს ფილმი, ჩემთვის, გარკვეულწილად, ბედად გადაიქცა და მთელი ჩემი ცხოვრება განსაზღვრა. ჰოდა, როცა გინდა რაიმე განსაკუთრებული თქვა, თან ორ წუთში ჩაატიო, არაფერი გამოგდის.

როგორ მოხვდით იმ ფილმში, რომელმაც, როგორც თქვენ ამბობთ, „თქვენი ცხოვრება განსაზღვრა“?

„მონანიებაში“ თორნიკეს როლს გეგა კობახიძე თამაშობდა, თუმცა, გადაღებები გასაიდუმლოებული იყო და ამის შესახებ არავინ იცოდა. გეგას ტრაგედიის შემდეგ, როლზე მისი შემცვლელის შერჩევა თეატრალურ ინსტიტუტში დაინიშნა. მაშინ 17 წლის ვიყავი, მეორე კურსზე ვსწავლობდი. როცა კინოსტუდიაში მივედი, უამრავი დაკუნთული ბიჭი დამხვდა და მეგონა, არავითარი შანსი არ მექნებოდა. როცა რეჟისორმა თენგიზ აბულაძემ, სინჯებისას მითხრა, შენს ასაკთან შედარებით დიდს გავხარო, გავიფიქრე – სახლში წასვლის დროა-მეთქი.

როდესაც რამდენიმე დღეში კინოსტუდიაში ჩვენი მეზობელთან დარეკეს, ჩემოდნები ჩალაგებული მქონდა, ზაფხულში ბებიასთან ერთად გურიაში მივდიოდი. ტელეფონზე ქალბატონი მეუბნება: როლზე დაგამტკიცეთ, ალბათ, ძალიან გინარიათ, ხვალ რეპეტიციაზე გელოდებითო. მე მშვიდად ვუპასუხე: გამიხარდა, მაგრამ ახლა გურიაში მივდივარ, ორ კვირაში ჩამოვალ და მერე დამირეკეთ-მეთქი. მიხვდა, რომ ჩემთან საუბარს აზრი არ ჰქონდა და თენგიზ

აბულაძეს გადასცა ყურმილი. ბატონმა თენგიზმა მშვიდად მითხრა: „გურია მოიცდის. სცენარი ხმამაღლა უნდა წავიკითხოთ და ფილმზე ვისაუბროთ“.

ამ ფილმის, თითქოს უხეშმა, რალაც-ნაირად ბიბლიურმა სიუჟეტმა, ჩემზე ძალიან იმოქმედა. ვფიქრობდი, ნუთუ არ შეიძლება კომედიაში მეთამაშა და კოკაკოლა დამელია, მაგრამ ალბათ ესეც ბედი იყო, მაშინ აქ კოკა-კოლას არავინ სვამდა. „მონანიებისგან“ დიდხანს ვერ ვთავისუფლდებოდი, სულ ტრაგიკულ, დრამატულ პერსონაჟებს ვანსახიერებდი. ესეც თავისებურ დაღს გამჩნევს, შენი გმირის და საკუთარი განცდების გამოიჯვანა გიჭირს. გულწრფელად ვიტყვი, დღეს სხვა რამდენიმე ნამუშევართან ერთად, ამ ფილმით ვამაყობ. როგორც მსახიობი მის შემდეგ დავიბადე.

როცა „მონანიება“ ეკრანებზე გამოვიდა, მე დაბადებულიც არ ვიყავი, არ ვიცი, როგორ მიმდინარეობდა გადაღებები, რა რეზონანსი ჰქონდა ამ ფილმს.

ფილმი უნიკალურ სიტუაციაში იქმნებოდა. ეს იყო გასაიდუმლოებული, ძალიან ხანგრძლივი გადაღების პერიოდი.

17 წლის ასაკში ბევრი რამ არ მესმოდა, მაგალითად, რატომ უნდა მოიკლას თავი ბაბუის არასწორი საქციელის გამო ბიჭმა, რომელსაც ცხოვრება წინ აქვს, როცა შეუძლია მშობლებს გაეცალოს და თავის საქმეს მიხედოს. უფროსები მოთმინებით მისმენდნენ და მიხსნიდნენ, რომ არავინ ცოცხალი თაობებს გადაეცემა და ერთადერთი გამოსავალი გასროლაა. დღეს, როცა 46 წლის ვარ უკვე ვიცი, რატომ სჭირდებოდა ფილმს ასეთი ფინალი, ეს ამ ისტორიის ერთადერთი ლოგიკური დასასრული იყო. წერტილი, რომელიც აუცილებლად უნდა დასმულიყო.

უკვე მეორე წელია, თბილისში ჩამოსვლისას ლიტერატურის მუზეუმში ცისფერყანწელების ლექსებსა და პუბლიცისტიკას კითხულობთ. შარშან, ექსპრომტად ვალერიან გაფრინდაშვილის საღამო მონაწილე, წელს პაოლო იაშვილის ლექსები და მასზე მოგონებები წაკითხეთ. რით არის თქვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტი „ჰაშიშით მთვრალი დეკადენტები“?

„ჰაშიშით მთვრალი დეკადენტები“ ჩემი და ლაშა ბაქრაძის წელიწადნახევრიანი საუბრების შედეგია. როცა ლაშამ გაიგო, რომ ვალერიან გაფრინდაშვილი მიყვარს,

ერთი უნიკალური ფოტო მაჩვენა. ფოტოზე ვალერიან გაფრინდაშვილი და ტიცინა ტაბიძე ხელგადახვეულები დგანან, ფოტოს უკანა მხარეს ალექსანდრე ქუთათელის მინანური აქვს – „ჰაშიშით მთვრალი დეკადენტები“. მომეჩვენა, რომ ეს პროვოკაციული, ცოტა ხულიგური მინანური კარგი სათაური იქნებოდა პროექტისთვის. ფოტო კი ჩვენი პროექტის სიმბოლოდ – ერთგვარ ლოგოდ იქცა. მოგვიანებით ლაშამ პაოლო იაშვილის მუზეუმში დაცული ორტომეული მომანოდა, რომელიც მცირე ტირაჟით დაიბეჭდა. ეს წიგნი არასდროს გაყიდულა, შესაბამისად, თითქმის არავის ჰქონდა წაკითხული. მისი ფილოსოფიური და სფეციპიკური პუბლიცისტიკა ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მსმენელისთვის.

მინდა, რომ პროექტი „ჰაშიშით მთვრალი დეკადენტები“ ერთგვარ მოძრაობად გადაიქცეს. ახლა ნიკოლო მინიშვილს უნდა ჩავუღრმავდე, მერე კოლაუს და ცამეტივე ცისფერყანწელს. მათ შემდეგ თანამედროვე ახალგაზრდა ავტორებს წავიკითხავ ხმამაღლა.

პროექტზე ფიქრისას ერთი იდეა გამიჩნდა, თბილისში რომ ვცხოვრობდე გავაკეთებდი სერვისს: „მსახიობი ნინიძე შეკვეთით“, რომელიც მოვა და საყვარელ წიგნს სახლში, ბუხრის პირას წავიკითხავთ, თავიდან გამეცინა, მაგრამ მეორე დღეს ეს იდეა ჭკუაში დამიჯდა, ვთქვათ, პროზა ნახევარი საათი – 60 ლარი. პოეზია უფრო რთულია, შესაბამისად უფრო ძვირიც. რუსულად გნებავთ? – კი ბატონო! – 200 ლარი, ეს ყველაფერი მარტივად! სრულიად სერიოზულად გეუბნებით.

მივხდი, რომ არაფრისგან შემიძლია რალაც გავაკეთო, უბრალოდ ავიღო წიგნი, დავიწყო კითხვა და სხვა სამყაროში მოვხვდე. ეს არის მხოლოდ წიგნის, რამდენიმე მსმენელის და წამკითხველის ურთიერთობა. პრინციპული საკითხია, რომ შეიძლება წარმოდგენა განათებების, კოსტიუმების, კორდებალეტის და ორგანიზატორების გარეშე გააკეთო.

საქართველოში წამოსვლის წინ თქვენს განრიგს დეტალურად გეგმავთ თუ სპონტანურად მოქმედებთ ხოლმე?

არაფერს ვგეგმავ, მხოლოდ ჩამოსვლის და წასვლის დრო ვიცი. მე არ ვარ საზოგადო მოღვაწე, რალაც ღონისძიებებში ნაკლებად ვმონაწილეობ, დაუგეგმავად ყოველთვის მეტს ვასწრებ. ვხვდები მე-

მივხდით, რომ არაფრისგან შემიძლია რაღაც გავაკეთო, უზრალოდ ავილო წიხნი, დავიწყო კითხვა და სხვა სამყაროში მოვხვდი. ეს არის მხოლოდ წიხნის, რამდენიმე მსმელის და წამკითხველის ურთიერთობა. პრინციპული საკითხია, რომ შეიძლება წარმოდგინა ბანათეხების, კონსტიტუციის, კორდებალეტიის და ორგანიზატორების გარეშე გააკეთო.



გობრებს, ერთმანეთისთვის სათქმელი ყოველთვის გვაქვს, ჩემი მეგობარი ნინო თარხან-მოურავი ამბობს, მერაბი რომ ჩამოდის, ყველანი ჩამოვდივართ და მერე ყველა უკან მივდივართო.

ოც წელზე მეტია ვენაში ცხოვრობთ, რა შეიცვალა თქვენთვის აქ, იმ ადამიანებს ვინც აქ დატოვეთ, ისევე ესმით თქვენი?

ვისიც არ მესმის, მასთან ურთიერთობა აღარ მაქვს. შეიცვალა ის, რომ ჩემი შეილი 20 წლისაა. უკვე მეგობარია და ცოტა პატრონიც. რა თქმა უნდა, სიტუაცია შეიცვალა, მაგალითად, უშუქობა და ლობიო ახლა რომანტიკულად მახსენდება, თუმცა აქ მეუბნებიან, რომ ამაში რომანტიკული არაფერია.

ავსტრიაში ახლა რაზე მუშაობთ?

ამჟამად, კინოთეატრებში ჩემი მონაწილეობით ორი ფილმი გადის, საკმაოდ წარმატებულად. „მაისის ოთხი დღე“ და „ზამთრის ქალიშვილი“. მე თვითონ კმაყოფილი ვარ. იანვარში ეკრანებზე გამოდის ჩემი ახალი ფილმი, რომელშიც მორის ბლაიბტროსთან ერთად ვთამაშობ.

სამივე როლი ეპიზოდურია, მაგრამ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული და ძალიან საინტერესო. ჩემთვის აღმოჩენა იყო, რომ 4-5 დღეში შეიძლება ისეთი პერსონაჟის შექმნა, რომელსაც სულ 3-4 სცენა აქვს, მაყურებელს კი ის არასდროს დაავიწყდება. რაც შეეხება ჩემს ამჟამინდელ როლს, გაბურძგნულწვერიან, უღმობელ მკვლელს ვთამაშობ, სულ მე ხომ არ ვიქნები და პაოლო.

25 წლისას ყველაფრის დაწყება, ფაქტობრივად, თავიდან მოგიხდათ, ალბათ, თავის

დამკვიდრებისთვის ბრძოლაც გინევდათ. ყოფილხართ იძულებული უინტერესო, მაგრამ კომერციულად მომგებიანი კინოს სასარგებლოდ გაგეკეთებინათ არჩევანი?

არაფერსაც არ ვირჩევდი, უბრალოდ ისიც კი მიხაროდა, თუ ვინმე დამასაქმებდა, თუმცა, მე ისევე ანდერგრაუნდი ვარ. სად გინახავთ ჩემი კომერციული ფილმი? თავიდან დინებას წავეყვი, მთავარი იყო ენა მესწვალა და თამაში შემძლებოდა. აქედან რომ წავედი, არ ვფიქრობდი მთების გადადგმაზე, იმიტაც კმაყოფილი ვიყავი, რომ პროფესიის დათმობა არ მომიხდა. ჩემი ფილმები ხან არტ-ჰაუსია, ხან ნაკლებად კომერციული, ხან მეტად, ხან ცუდია, ხან კარგი. მე კინო მიყვარს და ამას გარდა, ელემენტარული შემოსავალიც მჭირდება. მიხარია, რომ თუ ძალიან ცუდ ფილმში ვითამაშებ, საქართველოში ამას არავინ ნახავს და თუ კარგი გამოვა, მისი წარმატების ამბავს აუცილებლად ყველა გაიგებს.

თქვენ თვითონ უყურებთ თქვენს ნამუშევრებს?

რაღაც ფილმებს წინასწარ ვიცი, რომ არ უნდა ვუყურო, რაღაცებს სიხარულით ველოდები.

რა პროცესს გადიხართ სცენარის ნაკითხვიდან კინო-პრემიერამდე, როგორ იქმნება თქვენი პერსონაჟები?

ხან მეტს ვფიქრობ, ხან ნაკლებს. არასდროს ვცდილობ გავაკეთო ის, რაც მანამდე არ გამიკეთებია, სულ ვეუბნები ჩემს თავს: უფრო მარტივად, უბრალოდ. რეჟისორთან, კოლეგებთან ურთიერთობა და სიახლისთვის მუდმივი მზადყოფნა ქმნის პერსონაჟს. შენთვის ოთახში რაღაც იდეები გაქვს, მაგრამ გადასაღებ

მოედნაზე ყველაფერი სხვანაირადაა, სწორედ ესაა ყველაზე მიმზიდველი. მარტივად გეტყვი: მაგალითად, ჩემი პატარა ძმისშვილის გაუმართავი სიარული ვაქციე მოხუცი შეილოკის სიარულის მანერად, ხანდახან არაადეკვატური რაღაც მაძლევს შთაგონებას. ყოველ ჯერზე სხვადასხვანაირად ვმოქმედებ.

ორი წლის წინ, „მედიატორის“ პრემიერაზე პირადად დაპატიჟეთ მაყურებელი. პრემიერიდან მესამე დღეს კინოში მისულს მხოლოდ 7 ადამიანი დამხვდა. გწყინთ, როდესაც საქართველოში თქვენი ფილმების სანახავად არ დადიან?

ფილმის ბედს წინასწარ ვერასდროს განსაზღვრავ. ეს ფილმი უნიკალურია: სცენარი აკა მორჩილაძემ დაწერა, დიტო ცინცაძე დიდი ხნის შემდეგ საქართველოს დაუბრუნდა, ბევრი უცხოელი მსახიობი მონაწილეობდა, ფილმს საინტერესო სიუჟეტი ჰქონდა. პირველი ჩვენების შემდეგ კი პრესკონფერენციაზე მხოლოდ იმაზე საუბრობდნენ, რომ ორსული ქალი, რომელიც კაცს 10 000 დოლარისთვის კლავს, არ ჯდება ქართულ რეალობაში, ლახავს ქართველი ქალის ღირსებას. მაშინ ავდექი და ვთქვი: რომ ეს არის კინო, ხელოვნება, რომელიც იმ სურათს გაჩვენებს, რომელსაც შენ ვერ ხედავ, ან არ გინდა რომ დაინახო. მგონია, რომ „მედიატორი“ რამდენიმე წლის შემდეგ ბუმერანგივით დაბრუნდება.

წელს დიტო ცინცაძემ კიდევ ერთ ფილმში გადაგიღოთ. არც ესაა გასართობი ფილმი. ამ ფილმისადმი როგორი მოლოდინი გაქვთ?

როგორი გამოხმაურება ექნება, ჩემთვის ძალიან რთული სათქმელია. „შეჭრა“ კამერული დრამაა ხუთი მოქმე-

ოჯახის ინსტრუქცია

შენ გამოდგები სიყვარულისთვის
და თანდათან დაემსგავსები
იმ სასვენ ნიშანს,
აუცილებელს და ხანდახან გამოტოვებულს —
არაშემთხვევით.
შენ იქონიებ ინსტრუქციას, როგორ უნდა გიყვარდეს იგი,
ავადნამყოფს როგორ მოექცე,
ავადმყოფს როგორ მიუტანო სანოლში ჩაი
და ცოლივით როგორ აკოცო.

ცოლები ხომ სხვანაირად კოცნიან კაცებს,
ხოლო სიყვარულს მურაბასავით აკონსერვებენ
და ცივ დღეებში
თითო კოვზად უხსნიან წყალში
ქმრებს, რომლებსაც თავიანთი ინსტრუქციები
სიტყვა-სიტყვით არასოდეს ამახსოვრდებათ.
და ცოლები იწყებენ სევდას.

მათი სევდა თხევადია, ასველებს ზენრებს,
ზენრები ისე იფლითებიან, რომ თანდათან ემსგავსებიან
მეთევზის ბადეს.

და ცოლები ისვრიან ბადეს,
თევზაობენ საკუთარ ქმრებზე,
სანოლამდე ექაჩებიან.

მაგრამ ქმარი ყოველდღე დაღლილი მოდის
და სამსახურს იმიზეზებს.

სინამდვილეში ის დაღლილია სიყვარულით,
რომელსაც მოჰყვა ინსტრუქცია
და ამ დროს ქმრები იწყებენ სევდას.

მათი სევდა ტლანქია და აწვება მუხლებს,
და შეიძლება მოეკეცოს სულ სხვა სანოლთან,
სადაც ქალები სხვანაირად კოცნიან სხვის ქმარს.

მერე ზამთარი იწვლება და ყოველდღე
დაკონსერვებულ სიყვარულს ასე,
რიგ-რიგობით და ძალით ყლაპავთ,
ერთი კოვზიც გამსუფებთ ხოლმე.

ხოლო ქმარი
ინსტრუქციას ჩახედავს და
საგულდაგულოდ გადაინახავს,
რომ არ უპოვო.

ვინაიდან, თუ ვერ უპოვნი,
ის ქმრად ივარგებს, შენ კი – ცოლად,
და თანდათან ემსგავსები სასვენ ნიშანს,
აუცილებელს, და ხანდახან გამოტოვებულს —
არაშემთხვევით.

დათო ყანჩაშვილი, 2009

დი პერსონაჟით. ფილმი ამ ადამიანების ურთიერთობაზე მოგვითხრობს. სიუჟეტი თითქოს მეორეხარისხოვანია. მე ვთამაშობ ევროპაში და ევროპულად მცხოვრებ, ქართველ ბიზნესმენ კოტე სააკაძეს. მჯერა, რომ ეს ფილმი თავისას იტყვის, რადგან დიტოს არცერთ ფილმს არ ჰგავს.

აგვისტოში ითამაშეთ რეზო გიგინეიშვილის ქართულ-რუსულ ფილმში „სიყვარული აქცენტი“. ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ისმის ამგვარი ფრაზები: „არ გვინდა რუსეთი, არც დოსტოევსკი, არც დალი“. ასეთი პოლიტიკური კონიუნქტურა თქვენთვის არ გამხდარა ბარიერი?

შეიძლება რუსეთის ნოსტალგიაში ჩამითვალონ, მაგრამ ვფიქრობ, ეს ნაწყენი ერის პოზიციაა. სინამდვილეში ეს არის დიდი და პატარა მონსტრის ურთიერთობა. ყველამ თავისი წილი დანაშაული უნდა გაიაზროს და აღიაროს. შემოტანილი, პროპაგანდისტული ტენდენციაა „ვაფურთხოთ რუსეთს“. კი ბატონო, ვაფურთხოთ, ამით ვის რა აკლდება. ბუნებით პაციფისტი ვარ, მჯერა, რომ ომის გარეშეც შეიძლება ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა. როცა მუშაობა დავინწყე, არ მიფიქრია, რომ ეს რუსული პროექტია და ამიტომ უარი უნდა მეთქვა მასზე, რეზო წლების წინ გავიცანი, ძალიან მომწონს მისი ენთუზიაზმი და მუშაობის სტილი, როცა სცენარი გამომიგზავნა, სიხარულით დავთანხმდი.

როდესაც კონკრეტულ როლზე მუშაობთ, ვინ ან რა შეიძლება გახდეს თქვენი შთაგონების წყარო, დაგეხმაროთ პერსონაჟის შექმნაში?

კომიკოსი პიტერ სელერსი ჩემთვის ინსპირაციაა, მის ფილმებს ძალიან ხშირად ვუყურებ. კონკრეტული მსახიობის გაიდება მუშაობაში ხელს მიშლის. ახლა ჩემი შთაგონება პაოლო იაშვილია, ის მაძლევს ბიძგს. ფოტო, ნახატი, საერთო ატმოსფერო, სატიჯეტ რეის 50-იან წლებში ინდოეთში გადაღებული ფილმები – ეს ყველაფერი ინსპირაცია შეიძლება გახდეს. როგორც წესი, დინებას მივყვები და რაღაც ძალას მივყავარ შედეგამდე. არავითარ სისტემას არ უნდა დაემორჩილო, ყოველთვის გეძლევა შანსი ეს სისტემა იმ წუთას მოიგონო, როცა კამერის წინ დგები.

მარიამი 20 წლისაა, მახარე 8-ის, მათგან ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობ. მარიამის ღრმა ბავშვობამ ჩემ ბარემ ბაიარა, მერა მოგვიჩინა ამ დანაკლისის აღდგენა. რა თქმა უნდა, ვხელავდით ერთმანეთს, მაგრამ სხვადასხვა ქალაქში ვსწავლობდით, მის ყოველდღიურობაში არ ვმონაწილეობდი როგორც მამა, ეს ჩემთვის ძალიან რთული იყო, ალბათ, მისთვის უფრო.



ოდესმე გინანიათ, რომ მსახიობი გახდით?

სულ ცოტა ხნით, ისიც გაღიზიანების მომენტში. როცა ჩემი შვილები დროდადრო ამ პროფესიით იხიბლებიან და ამბობენ, რომ მსახიობობა უნდათ, ვბრაზდები და ვეუბნები, რომ ამისთვის არ მემეტებიან და ისიც საკმარისია, რომ მე გავიარე ეს გზა. ამ პროფესიას აქვს ერთი არაჩვეულებრივი თვისება – მოგცეს თავისუფლება. თუ გაგიმართლა, ყოველთვის გექნება შანსი წინ წახვიდე, თუ არა, ცხოვრება გამტვრევს და მუდმივად ამ შანსის მოლოდინში ხარ. იმისთვის, რომ საკუთარი თავით კმაყოფილი იყო და ბედნიერებისთვის ათობით კინოროლი არ გჭირდებოდეს, ძალიან დიდი შრომაა საჭირო. მე, ახლა ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, კიდევ რამდენ ფილმში გადამიღებენ.

ერთხელ საუბარში ახსენეთ, რომ სიმღერა ძალიან გიყვართ, მიუზიკლში თამაშზე არ გიფიქრიათ?

მთელი ბავშვობა ამაზე ვოცნებობდი. ახლა რომ დგამდნენ მიუზიკლს, პირდაპირ რეჟისორთან მივიდოდი და მოურიდეებლად ვთხოვდი, როლი მოეცა. აქამდე არასდროს მქონია შემოთავაზება, თორემ დიდი სიხარულით დავთანხმდებოდი.

ფილმმა „არსად აფრიკაში“ 2003 წელს ოსკარი აიღო. „მონანიება“ კანის ფესტივალზე იყო წარდგენილი. არ მეგულება ადამიანი, ვინც ამ ცერემონიალებს გამოტოვებდა. თქვენ არცერთგან ყოფილხართ. რატომ?

ყველაფერი შემთხვევით მოხდა. 2003

წელს თბილისში ვიყავი და თეატრალურ სარდაფში „ვენეციელ ვაჭარში“ ვთამაშობდი. იმ დღეს, როცა ლოს ანჯელესში უნდა გავფრენილიყავი, ერაყში ომი დაიწყო, აეროპორტი დაიხურა, მეორე დღეს აზრი აღარ ჰქონდეს წასვლას, თუმცა გული არასდროს დამწყვეტია. კანში, კი არავის დაეუბრატიყებივარ. ზოგადად, მსგავს სიტუაციებში ნევროზი მემართება, ვიბნევი და კომიკური ვხდები, დაძაბულობისგან მეტის დაღვევას ვიწყებ, ვიდრე საჭიროა. ჩემს თავს სულ ვუმეორებ, რომ „ოსკარები“ კიდევ იქნება. თუმცა ჩემთვის ერთადერთი საოცნებო ჯილდო ნობელის პრემიაა მშვიდობის დარგში. იქნებ „ჰაშიშით მთვრალი დეკადენტების“ მოძრაობამ აიღოს კიდევ ასე 20 წლის შემდეგ.

რა არის ის, რაც ადამიანს მსახიობად აქცევს? რა თვისებებია აუცილებელი ამისათვის?

ექვტი არ უნდა გეპარებოდეს საკუთარ თავში. იყო გაბედული, არ გქონდეს ზედმეტი სირცხვილის გრძნობა, ეს ჩემს, ისევე როგორც, ყველა სხვა პროფესიაში დამღუპველია, რადგან სირცხვილი მოგონილი ცნებაა. თანდაყოლილი ნიჭი უნდა გქონდეს; კარგი პედაგოგი, რომელიც ჩაგახედებს ამ საქმეში, რაშიც მე ძალიან გამიმართლა გიზო ჟორდანასა და ნანა კვასცავაძის სახით საუკეთესო პედაგოგები მყავდა და ბედი, რომ შანსი მოგცეს.

გაღიზიანებთ ის ადამიანები, ვინც კარგ მსახიობებად მიგაჩნიათ, მაგრამ ვისი ცხოვრების წესიც თქვენთვის მიუღებელია?

ადამიანს იშვიათად ვსჯი. ძალიან რთუ-

ლია დარჩე იმად, ვინც ხარ, შენ თავს არ უღალატო და საქმეც გააკეთო, ასეთი რამ იშვიათად ხდება. რეალურად, ხელოვნების ყველა ნაწარმოების მიღმა რიგითი ადამიანი დგას, რომელსაც უნდა, რომ უყვარდეს, ის უყვარდეთ. მარტივი ბედნიერების მოდელი სჭირდება, რომელშიც იცხოვრებს. განცდილი და ნაფიქრი ხელოვნების ნიმუში შექმნის შემდეგ განვილილია, ადამიანი კი რჩება. თუ გარემოს ზიანს არ აყენებ, ყველაფრის შენდობა შეიძლება.

როგორია თქვენი ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, მოუცლელი მსახიობი, რომელსაც ორი შვილი ჰყავს?

მარიამი 20 წლისაა, მახარე 8-ის, მათგან ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობ. მარიამის ღრმა ბავშვობამ ჩემ გარემუ გაიარა, მერე მოგვიჩინა ამ დანაკლისის აღდგენა. რა თქმა უნდა, ვხელავდით ერთმანეთს, მაგრამ სხვადასხვა ქალაქში ვცხოვრობდით, მის ყოველდღიურობაში არ ვმონაწილეობდი როგორც მამა, ეს ჩემთვის ძალიან რთული იყო, ალბათ მისთვის უფრო. ახლა ვხვდები, რომ ისევე ისე საჭირო ვარ, როგორც მამა, როცა ორი თვის იყო, შეიძლება უფრო მეტადაც. მარიამთან ურთიერთობამ როგორც ადამიანი ძალიან დამხვეწა, დამაწყნარა, ბევრი ზედმეტი და ნერვული სტრესისგან გამათავისუფლა.

მივხვდი, რომ რაც უფრო ნამდვილი და უშუალო ხარ, მით უფრო ადვილია, უბრალოდ უნდა მოდუნდე.

მეც ასე გავიზარდე, ჩემს ცხოვრებაში მამა იშვიათად, მაგრამ მძაფრად არსებობდა, ჩემთვის ბაბუა იყო მამობის მაგალითი.

სარკიში ვიყურები და ჩემს თავს ვეუბნები: არ დამტოვო, ახლა მჭირდება! თუ ვილიყავი, მშველის. მშველიან ადამიანები, რომლებიც მაშინაც მხარში მიღებან, როცა შეცდომას ვუშვებ. როცა ვინმე ვინმე შენს რწმენას არ კარგავს და გაბატობს, ამით გამოყავხარ ბნელი კუნჭულებიდან. ძალიან მომწონს დევიდ ლინჩის ფილმები, რომლებშიც ის ზუსტად ჰყვება ადამიანის მიკრო-ჯოჯოხეთების შესახებ. ყველას აქვს მიკრო-ჯოჯოხეთები, შეიძლება ოდესმე ამაზე წიგნიც დავწერო, ჩემი განცდები და ფიქრები ყოველგვარი შელამაზების გარეშე აღვწერო.



რალაც ასაკში ამაზე არ ვფიქრობდი, დანაკლისი 30-ს მიახლოებულმა ვიგრძენი, მანამდე რეალობას ისეთს ვიღებდი, როგორც იყო. ამაზე ფიქრის და წუნუნის დრო არ მრჩებოდა. ერთხელ გიზო ჟორდანიამ თქვა „უმამოები“ ცალკე დასხედითო და აღმოჩნდა, რომ მხოლოდ 3 ბავშვი იზრდებოდა მამასთან. ჯვარზე გაკრული იესოს კითხვა: მამა, რატომ მიმატოვე? მოგვიანებით გამიჩნდა.

რა შეკითხვები გაქვთ სამყაროს მიმართ, რომელზეც პასუხებს ვერ იღებთ?

მე მგონი, ადამიანი ძალიან დაშორდა ბუნებას, არა მარტო ხეებს, არამედ საკუთარ ბუნებას. მაოცებს საქართველოში რელიგიური რიტუალების კარიკატურულობა, მის მიღმა სიღრმის უარყოფა, არცოდნა ან არსაჭიროება. ვფიქრობ, ადამიანი იმდენად დაშორდა რელიგიის ძირს, ბუნებას, რომ არ ესმის რას ამბობს, როცა ლოცვას ხმამაღლა კითხულობენ და პირჯვარს იწერენ, ეტყობათ რომ არ იციან, რას აკეთებენ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ვიცი. სულ ვცდილობ დავსვა კითხვები, რა არის ჭეშმარიტება? სად დევს? საიდან მოდის? მიინდა გავიგო რასაც ამბობს ადამიანი, იმას გულისხმობს თუ ეს ყველაფერი ეფექტის მოსახდენადაა გამიზნული. არასდროს მბეზრდება ცხოვრება, რადგან გამუდმებით კითხვები მიტრიალებს, თუმცა შეგუებული ვარ, რომ ყველა მათგანზე პასუხს ვერ მივიღებ.

ყველა ადამიანს აქვს წუთიერი სისუსტეები, როგორ შევლით ასეთ დროს თავს?

სარკეში ვიყურები და ჩემს თავს ვეუბნები: არ დამტოვო, ახლა მჭირდება! თუ ვილიმები, მშველის. მშველიან ადამიანები, რომლებიც მაშინაც მხარში მიდგა-

ნან, როცა შეცდომას ვუშვებ. როცა ვინმე შენს რწმენას არ კარგავს და გაბატობს, ამით გამოყავხარ ბნელი კუნჭულებიდან. ძალიან მომწონს დევიდ ლინჩის ფილმები, რომლებშიც ის ზუსტად ჰყვება ადამიანის მიკრო-ჯოჯოხეთების შესახებ. ყველას აქვს მიკრო-ჯოჯოხეთები, შეიძლება ოდესმე ამაზე წიგნიც დავწერო, ჩემი განცდები და ფიქრები ყოველგვარი შელამაზების გარეშე აღვწერო.

რატომ ნახვედით საქართველოდან?

უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, რამდენიმე წელში ქვეყანა დაინგრა, თეატრი დაიხურა, კინო-გადაღებები გაჩერდა. არაფერი განსაკუთრებული, უბრალოდ ის საქმე, რომელსაც აქ ვაკეთებდი, სხვაგან გავაგრძელე. გული არ მწყდება, რომ ასე მოვიქციე, რადგან ამით მეტი ძალა და რესურსი დავინახე. უცხო კულტურაში ყველაფერი სხვანაირად გაიშალა. მაშინ ინტუიციას მივენდე და არც მინანია. შეიძლება ყოფილი საკითხები მინანია, მაგრამ მნიშვნელოვანი გადანწყვტილებები, რომლებიც ცხოვრებას ცვლის – არასდროს.

სტუდენტობისას თქვენს საკურსო სპექტაკლებზე „ანა ფრანკის დღიური“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, რომლებიც მოგვიანებით რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე გადაიტანეთ, ყოველთვის ანშლავი იყო. როგორ ახერხებდით ჯერ კიდევ სტუდენტები ასეთი პოპულარულები ყოფილიყავით?

ამ პოპულარობას ძალიან ვაფასებდით, მაგრამ თავში არ აგვეარდნია. არასდროს დამავინწყდება ჩაბარების პროცესი, რომელიც რთულად გავიარე. არ მიღებდნენ, სამსახიობო ოსტატობაში 3-იანი მივიღე, არადა, ჩემს ჯგუფელებს სულ 5-ები

ჰყავდათ. მთელი ეს პროცესი დიდ განცდებთან იყო დაკავშირებული. გიზო ჟორდანიას სჯეროდა ჩვენი, ძალიან შთაგონებული იყო და ჩვენც შთაგვაგონა, ფრთები შეგვასხა. ახლა ვხვდები, რომ მას შემდეგ არცერთ ჯგუფს (სრული შემადგენლობით) ასეთი წარმატება აღარ ჰქონია.

ვიცი, რომ თქვენი სპექტაკლების შემდეგ, თეატრთან თაყვანისმცემელი გოგონების რიგი იდგა...

სახლში რომ მივიღოდი, სადარბაზო სასიყვარულო წარწერებით აჭრელებული მხვდებოდა. გოგონების ყურადღება ძალიან მაკომპლექსებდა, რალაცნაირ პასუხისმგებლობას მაკისრებდა, თითქოს მათი იმედები უნდა გამემართლებინა. თავიდან ცოტა დავიბენი, პატარა ვიყავი და ისეთი შეგრძნება მქონდა თითქოს სპექტაკლების შემდეგაც პროჟექტორი დამყვებოდა თან. ხანდახან ეს სიყვარული ზომიერების ფარგლებს ცდებოდა. საერთო ჯამში, რა თქმა უნდა, ყურადღება ძალიან სასიამოვნო იყო. ეს ჩემი პროფესიის ნაწილია, თუმცა ეს ყველაფერი უკვე წარსულში დარჩა, რალა დროს ეგაა.

საქართველოს ნოსტალგია თუ გაქვთ? აქ დაბრუნებაზე და მუშაობაზე რამდენად სერიოზულად ფიქრობთ?

აუცილებლად! თუ იქნება შემოთავაზება დაუფიქრებლად დავთანხმდები. ნოსტალგიას რაც შეეხება, სულ მაქვს. რა თქმა უნდა, ვენას, სადაც 20 წელი გავატარე, სრულად ვერ მოვწყდები, მაგრამ საქართველოშიც ვიქნები, ოღონდ გურიამში, ჩემს სოფელში – ნაგომარში. მომავალი წლიდან მე და ჩემი ძმა სახლს მივხედავთ, ხელახლა ავაშენებთ, ბოსტანს გავაკეთებ, ეზოს მოვუვლი. მიინდა, სოფელს და ბუნებას დავუბრუნდე.



AAA-ს დეკონსტრუქცია

ავტორი სალომე ჯაში
ფოტო დავით მასხი

*გაისინი: როდესაც ორი გონება ერთმანეთს ხვდება...
ბეროუი: ყოველთვის ჩნდება მესამე გონება...
გაისინი: მესამე და უპირატესი გონება...
ბეროუი: როგორც უხილავი კოლაბორატორი...*

*უილიამ ბეროუ ზთან და ბრაიან გაისინთან საუბრის
ფრაგმენტი, ჟურნალი „როლინგ სტოუნი“, 1972 წ.*

ეს ცხოველი, რომელსაც ცხოველის დამახასიათებელი ჩვეული ნიშნები არ აქვს და ამიტომ უფრო არსებაა, ჩვენ გვერდით გაურკვეველი ხნის წინ რომელიღაც კოსმოსური ობიექტიდან მოხვდა და ალექსი დაერქვა.

ვისაც მისთვის თვალი მოუკრავს, ჰყვება, რომ სახეზე ორი მთავარი თვალი, მარცხენა ლოყაზე კი რამდენიმე მცირე ზომის თვალუკა აქვს. ემოციური მდგომარეობის შესაბამისად, წელს ქვევით საცეცები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სიხშირით უაქტიურდება. როდესაც სიყვარულს გამოხატავს, კეფაზე მოზრდილი ფაფარი მსუბუქად ეჯაგრება, ყურები უგრძელდება და ელფივით ეწვეტება, პირი უპატარავდება და ტუჩები უწვრილდება. მისი გარეგნობის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ოდნავ ჩაპობილი ზედა ტუჩია. გადმოცემის თანახმად, ალექსს ზედა ტუჩი მოგვიანებით ჩაუპო, როდესაც ანას შეუერთდა (ეს ნიშანი, ჩაპობილი ტუჩი, სწორედ ანასგან ერგო) და ამით თავისი კოსმიურ-მელანქოლიური ბუნებით შეერწყა ადამიანს.

*ამონარიდი სახალხო თქმულებათა
ენციკლოპედიიდან (თბილისის კოსმოლოგიურ
მეცნიერებათა აკადემია, ტომი II, 1988)*





ანა ალექს ტაბატაძე [AA] ბერლინში მცხოვრები ქართველი არტისტი. სწავლობს ბერლინის ხელოვნების უნივერსიტეტში, ვიზუალური კომუნიკაციის ფაკულტეტზე, დიგიტალური და გენერატიული არტ/დიზაინის სპეციალობით.

ინტერესებს პროგრამული, ინტერაქტიული და პოტენციურად უსასრულო გრაფიკული დიზაინი. ანუ ისეთი ნამუშევრის შექმნა, რომლის [კომპიუტერული] პროგრამული შესაძლებლობები უსასრულოა – მისი გაზრდა/ცვლილება უსასრულოდ შეიძლება, თან მნახველის ქცევაზე რეაგირებს. ასეთი ინტერაქციის გამო, ნამუშევარი არა პროგრამული კოდით, არამედ შემთხვევის წყალობით იცვლება.

გეგონება, ბერლინი თავის ნებაზეა მიშვებული. აქ იმდენად ცოტა ფული ტრიალებს, თითქოს იგი არავის აქვს. შესაბამისად, აქ ცხოვრებაც იაფი და იოლია. თითქმის არავითარი მატერიალისტური მისწრაფებები. დღეს, ბერლინი ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი და ღია ქალაქია ევროპის ქალაქებს შორის. წლიდან წლამდე მომხდარი ცვლილებები თვალშისაცემია. სადაც ანა ცხოვრობს, იქვე ახლოს, ქუჩის კუთხეში, შარშან თურქების ავეჯის მაღაზია იყო – ჩუქურთმებიან, მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული უზარმაზარი სარკეები, ლომისთათიანი და ასევე ოქროს-სამკლავურიანი სავარძლები, ბროლის ჭაღები მოოქროვილი შანდლებით. ნელს ეს ზიზილ-პიპილოები ბიო-მაღაზიამ ჩაანაცვლა. რაც იმის ნიშანია, რომ უბანი „გასვეცკებას“ იწყებს, და რამდენიმე წლის შემდეგ სტუდენტები და არტისტები აქედან გასახლებას დაიწყებენ.

AA ბერლინის ბოჰემურ და იაფ უბანში, ნოიკოლნში ცხოვრობს, კარლ მარქსის ქუჩისა და მზის ხეივანის პარალელურად. ჯერ კიდევ შარშანწინ, ეს თურქების და არაბების უბანი იყო. სიაფის გამო, უბანმა თანდათან არტისტები და სტუდენტები მიიზიდა. დღეს ნოიკოლნი ერთ-ერთი ყველაზე მულტიკულტურული და შემოქმედებითი ადგილია ბერლინში, კროიცბერგსა და ფრიდრიხსჰაინთან ერთად. ამ უბანში მეორადი ტანსაცმლის მაღაზიები უფრო მეტია, ვიდრე ცნობილი ბრენდების ველოსიპედის შესაკეთებელი სახელოსნოების რაოდენობაც ბევრად აღემატება თვითონ ველოსიპედის მაღაზიებისას.

AA-ს სადარბაზოში ყველა ბინას ერთნაირი წითელი კარი აქვს, თავზე ხუთქიმიანი ვარსკვლავით. ნოიკოლნი ბერლინის კედლის დანგრევამდე ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი იყო. შესაბამისად, ეს სადარბაზოც სპეციფიკური, საბჭოთა, თითქოს ფუნდამენტური იდი-

ლითაა გაუღენთილი. AA კომუნიკატია. კომუნიკატი და ანარქისტი.

AA ბოლო სართულზე ცხოვრობს. ბინას ანტონისთან და მის მეგობარ გოგონასთან ერთად იყოფს. ბინა „კომუნალკა“, სხვა მრავალი ბერლინური ბინის მსგავსად. ანტონი დანიელი მხატვარია. სამზარეულო სავსეა მისი წლების განმავლობაში ნაგროვები და ხელით შეკონინებული წერილმანით. რას აღარ ნახავ აქ: მინის ქილაში გველის მარინადას, ტეტრაედებისგან აწყობილ კონსტრუქციაზე დასკუპებულ პლასტმასის პატარა მეომრებს, გეომეტრიულ ფიგურებს, ბანქოს ცალ ქაღალდს, სათამაშო ცხოველებს, მცენარეებს...

უსხო პლანეტელის ენა

ამ ბინაში და კერძოდ – ანასთვის ტეტრაედსა საკულტო ფიგურაა. ძველი ლეპტოპის ეკრანზე (რომელიც ბებერი ძალღივით იღრინება) თავის პირველ ინტერაქტიულ დიგიტალურ ნამუშევარს მაჩვენებს – რაღაც მწვანე ბადეს, რომელიც, თავის მხრივ, უცხო ცხოველია. ანას თქმით, ეს ლანდშაფტი-ცხოველი ცოცხალი არსებაა. ტეტრაედებისგან აგებული ბადე მნახველის ხმაზე რეაგირებს და ფორმას და ფერს იმის მიხედვით იცვლის, თუ როგორ ეუყრობი მას. თუ დაუყვირე – ნითლდება და ნითლადვე იბუშტება. თუ უღიღინებ ან კატასავით ეკრუტუნები, მწვანდება, ანუ მშვიდდება.

– და რა? – ვეკითხები AA-ს.
– კოსმიური არსებების კომუნიკაციას ჩვენ ვერ აღვიქვამთ. ისინი უცხო ენითა და ნიშნებით ურთიერთობენ. ესეც (მწვანე ცხოველზე მითითებს) ერთი ლანდშაფტია, რომელიც მოძრაობს, რომელსაც, შეიძლება ანუხებს ან ტკივა რაღაცები, მაგრამ ვერაფერს გაუგებ, თუ მისი ენა არ იცი.

ამ შემთხვევაში, ენა არ არის არტიკულირებადი. ის ვიზუალურ ნიშანთა წყობაა.

ვერნერ ჰერცოგის ერთ დოკუმენტურ ფილმშია მსგავსი ამბავი. გაიანას ჯუნგლებში თეთრი საჰაერო ბურთი ფრინდება. მის დანახვაზე ერთი ადგილობრივი ამბობს, რომ ის ბურთი თეთრი ბრილიანტია. საჰაერო ბურთის იდეალისტი მფრინავი, ფილმის ბოლოს, თავის მეგობარს გაკვირვებას უზიარებს: გაიანას ჯუნგლების მკვიდრებს საჰაერო ბურთი თითქოს არც კი დაუნახავთ, თითქოს ასეთი რამის არსებობა მათი წარმოსახვის ფარგლებს გასცდა. უცხო პლანეტელების ენაც ასეთია. ისინი არსებობენ ჩვენს გარშემო, ურთიერთობენ ჩვენს სივრცეში, ჩვენ კი მათ ვერ ვხედავთ, ვინაიდან მათი კომუნიკაცია ჩვენს წარმოსახვაში არსებულ არც ერთ კოდს არ შეესაბამება.



AA ბერლინის ბოქაშური და იაფ უბანში, ნოიჰიოლსში სხონვრობს, კარლ მარქსის ქუჩისა და მზის ხეივანის

პარალელურად. ჯერ კიდევ შარხანინი, ეს თურქების და არაბების უბანი იყო. სიიაფის გამო, უბანმა თანდათან არტისტები და სტუდენტები მიიწიდა.

მე და AA

მე და AA-ს განსაკუთრებული ურთიერთობა გვაქვს, თავისებური სიყვარული. შარშან შემოდგომით დავმეგობრდით, როდესაც ბერლინში ვცხოვრობდი. მაშინ აქ თითქმის არავის ვიცნობდი, მეგობრები არ მყავდა და ანასთან უცბად ბევრი საერთო ვიპოვნე. ორივეს ჩვენ-ჩვენი საქმე გვქონდა. მაგრამ ანას, ჩემს ნაცნობებს შორის, ყველაზე მეტად შეუძლია საკუთარ თავში და საქმეში ჩაკეტვა. მართობა მისთვის უფრო მოტივაციაა, ვიდრე დეპრესიის მიზეზი. მაშინ შავ-თეთრი „დოკ. მარტინსი“, ზედ დაკრული ფერადი „ჩუტყვაკალი“ და შავი, ვარსკვლავებიანი ჟაკეტი ეცვა. ძაღლის საყელსავით კისერზეც შავი, ტყავის ყელსაბამი ეკეთა. ახალგადაპარსულ თავზე მოკლე თმა ოდნავ ამოსვლოდა. საღამოს თავისი ვარდისფერი ველოსიპედით მოვიდოდა ხოლმე სადმე კროიცბერგში შეხვედრაზე

(ხელში, უთუოდ, მატონიზირებელი სასმელი club-mate ეჭირა, ტუჩებზე კი წითელი პომადო ეცვა), საიდანაც, პირველ რიგში, მის საყვარელ იტალიურ Piano Musica-ში მიმართევდა. თურქმა მზარეულმა იცოდა, რაც უნდა მოემზადებინა: „Fantasia“? – იკითხავდა ფარისევლური ლიმლით. „Ja“, – პასუხობდა ანა თავისი ბოხი ხმით და, როგორც ყოველთვის, ტუჩებს კუმავდა, თითქოს იბზეებდა. „ფანტაზია“ სპაგეტის გიგანტური პორციაა, რომელშიც ყველაფერი ერთად ყრია: ხორცი, სოკო, პომიდორი, ზეთისხილი, ბროკოლი, ყველი. მგონი კიტრიც კი. ანა, ხშირად, ახალგაღვიძებული იყო. ღამის მორიგეობა კვირაში ორ-სამჯერ უწევდა. ახლაც ასეა. ღამ-ღამობით ექთანად მუშაობს. შეიძლება, წლების შემდეგაც ასე იყოს, ფული ღამის ცვლაში ექთნობით იშოვოს, დღისით კი, რაც უნდა ის შექმნას.

ფანტაზიისა და ზოგჯერ გიგანტური ტი-

რამისუს შემდეგ, „სკამებში“ მივდიოდით. „სკამებს“ ვეძახით, სინამდვილეში კი ამ ბარს „Madame Claud“ ქვია. აქ ყველაფერი ყირამლა დგას. ორი ფრანგი ბარმენი გოგოს გარდა. ჩაის ტილო, პირსაბანი, საკიდი და შარფი, მაცივარი, მაგიდა, შპალერი... ჭერი იატაკია. „სკამებში“ შესვლა 6 ევრომდე ღირს. გინდა, 1 გადაიხადე, გინდა 2 ევრო, გინდა მეტი, ოლონდ არაუმეტეს ექვსისა. AA „აუგუსტინერს“ იღებს, რომელსაც „აუგუსტინას“ ეძახის და უკვირს, ეტიკეტზე კაცი რატომ ახატია. მე – „როთჰაუსს“, თეთრი ლუდია, მსუბუქი. ალექს ფრჩხილებზე ლურჯი ლაქი უსვია, ბოთლი ყელით უჭირავს.

ხალხით სავსე ბარში ორ თავისუფალ სკამს ვაგნებთ – ვეკვეტებით. ბოთლებს თმაგაჩეჩილ შავკანიან ბიჭთან და ქერა გრძელთმიან გოგოსთან მაგიდაზე ვდებთ. დიჯეი მსუბუქ ელექტრონულ მუსიკას უკრავს, მოკლევადიანი

იაპონელი გოგო თავდავინწყებით ცეკვავს.

„სკამები“ ჩვენთვის მესამე გონების დაბადებულსაა, და არა მარტო „სკამები“.

CUT-UPS

„მესამე გონების“ კონცეფცია უილიამ ბეროუსა და ბრაიან გაიზინს ეკუთვნის. „მესამე გონება“ ცნობიერების მდგომარეობაა, რომელიც ორი ადამიანის დიალოგისას მიიღწევა.

„მესამე გონებას“ უკავშირდება „ნაკუნების მეთოდი“ (the cut-up method). ეს „ნაკუნების მეთოდი“ რალაციით იმ თამაშს ჰგავს, პირველმა ერთი წინადადება რომ უნდა დანეროს, მეორემ – სხვა, მესამემ – კიდევ სხვა, და ა.შ. თუმცა, აქ შემთხვევითობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ქრი სხვადასხვა ტექსტს, შემდეგ კი ამ ფრაგმენტებს, ანუ უკვე კონტექსტიდან ამოგლეჯილ ფრაზებს, ერთმანეთში ურევ. შედეგი სრულიად შემთხვევითი მიღებული შინაარსია. ახლად მიღებული შემთხვევითი შინაარსი ტრი-

გერია ინსპირაციისთვის ან ტექსტის ახლებურად აღსაქმელად, მისთვის ახალი შინაარსის მისაცემად.

„ამ წიგნში წერია, რომ ვინც ამ პროექტს გააკეთებს და განავითარებს, ის ჩვენთან კოლაბორაციაში იქნება“, მეუბნება AA და უჯრიდან ბევრ ერთნაირ ტეტრაედს იღებს, რასაც „ნაკუნების სკულპტურა“ დაარქვა. ქალაქისგან გაკეთებული 150-ზე მეტ ტოლფერდა სამკუთხედს ყველა გვერდზე წარწერა აქვს – მოკლე ფრაზები სხვადასხვა ტექსტიდან და ლირიკიდან. თითოეულ ტეტრაედს ყველა გვერდზე მაგნიტი უნდა ჰქონდეს მიმაგრებული. ამ მაგნიტით ერთი ტეტრაედა მეორეს მიიზიდავს და შეერთებისას ახალ ტექსტს ქმნის, მაგალითად: monopolized / life.

ტეტრაედების შეერთებით ბურთი იწყობა. ყოველი ახალი ბურთის აწყობისას, ტექსტი ახლებურად იკითხება, რადგან ტეტრაედს სხვადასხვა მხარე შემთხვევითობის პრინციპით

ხვდება ერთმანეთის გვერდით. AA მეუბნება, რომ ამ cut-up-ს მკითხავის ფუნქციაც აქვს – როდესაც არ იცი, რა ქნა, როგორ მოიქცე, შეგიძლია, ერთი ბურთი ააწყო და პასუხსაც მიიღებ.

– შემთხვევით აწყობილი ტექსტები რას გაძლევს? – ვეკითხები.

– აბსურდს... მაგრამ ხანდახან შეიძლება რალაც აღმოაჩინო. ზოგი მაგნიტი მეორეს აისხლეს, ვერასდროს მოხვდება ერთად. არასდროს იცი, რა მოხდება, როგორ აწყობა და რა შინაარსს მიიღებ.

მე შემთხვევით აღმოვაჩინე:

we'll be together / against / police

(ერთად ვიქნებით / პოლიციის / წინააღმდეგ)

ამ ტეტრაედებით თამაში საუბარივითაა.

ტეტრაედს თითო გვერდზე რალაც სიტყვა (ან

სიტყვები) წერია, მეორე ტეტრაედს გვერდზე

– სხვა სიტყვა (ან სიტყვები), რომელთა კომ-

ბინაციაც რალაც აზრისკენ გიბიძგებს. და ასე,

ჩემი დაკვირვებით, AA ხშირად სრულიად მარტოა, არაჰინსტირდება საკუთარი თავის გარდა. მისთვის მარტოობა მოსაგონლოა, რომელსაც კი არ ეზრძვის, არამედ ბაზისად იყენებს და მასზე აგებს ყოველდღიურობას.



უსასრულოდ. როცა AA ინყენს გველის დამამნიღებელ ანტონის გვერდით, ტეტრაედას ელაპარაკება.

ახლა, რომ ვისხენებ, AA-სთან თითქმის ყველაფერი „ნაკუნების“ სისტემით მუშაობს. მისი პირველი ყოველდღიური პროექტიც ერთგვარი „ნაკუნებია“. რასაც ახლა აკეთებს, ყველაფერი ამ ყოველდღიური პროექტიდან მოდის. ეს ყოველდღიური პროექტი, ერთი შეხედვით, ერთგვარ ფორმაში ყოფნასავითაა, როგორც დილაობით ძუნძული ან ჰერკულესის ქამა. ეს AA-ს დეიდაშვილის – ელენე ნავერიანის იდეა იყო. „ყოველი დღე პროექტია. ყოველდღე რამეს წერ ან აკეთებ კონკრეტულად ამ პროექტისთვის... იმის დასაფიქსირებლად, რომ რაღაც გააკეთე. ტვინის თავისებური ვარჯიშია. თავდაპირველი ყოველდღიური პროექტი ჩემი ამჟამინდელი რამდენიმე ყოველდღიური პროექტის საფუძველი აღმოჩნდა“.

AA-ს ჩემთვის გამორჩეული ყოველდღიური პროექტი მისი ბლოგია – „END OF THE WORLD MEDIA“.

ეს ბლოგი ინტერნეტში აქა-იქ შეგროვებული იმიჯებისგან შედგება – გრაფიკული დიზაინი, ფოტოები, წარწერები, წიგნის ყდები... ბლოგი უკვე 10000-ზე მეტ იმიჯს შეიცავს და AA ყოველ დღე ახალს ამატებს. „ბოლო დროს ძან პორნო გახდა“, – მეუბნება.

სიყვარული

ჩემი დაკვირვებით, AA ხშირად სრულიად მარტოა, არავინ სჭირდება საკუთარი თავის გარდა. მისთვის მარტოობა მოცემულობაა, რომელსაც კი არ ებრძვის, არამედ ბაზისად იყენებს და მასზე აგებს ყოველდღიურობას.

– გაქვს ხოლმე შეგრძნება, რომ ქალიც ხარ და კაციც? – AA-ს უკან ფანჯრის კუთხეში გაბმულ ობობას ვუყურებ და არ ვიძინე, რადგან ვიცი, შეეშინდება. კითხვა ცოტა სულელურია. პასუხი ისედაც ვიცი.

– ჰო, აბა! მაშ, ალექსი ვინაა?! მარტო ქალი არაა ჩემში. გოგოებიც ძალიან მომწონს.

ამ დიალოგზე ძალიან გვეცინება, რადგან ამაზე დიდი ხნის წინ ვისაუბრეთ, ჯერ კიდევ ორანიენ შტრასეზე, „როუზის“-ში ყოფნისას. „როუზისი“ კიჩური გეი ბარია, სადაც კედლები ვარდისფერი ბენჯითაა დაფარული. პლასტმასის ღვთისმშობლის მანათობელი პორტრეტი და ასევე მანათობელი ჩანჩქერის ილუსტრაცია გვერდიგვერდ კიდია. ეს ვარდისფერი რბილი კედლები და სითბო დიდ მოფლამულ ვაგინას ჰგავს. ვერცხლისფერი „წვიმების“ უკან სავარძელზე ვსხედვართ, საიდანაც ეს-ესაა გეი წყვილი ადგა და ჩვენც უმაღლ ადგილი დავიკავეთ.

– რაში გამოიხატება, რომ ქალიც ხარ და კაციც?

– მხოლოდ შეგრძნებების დონეზე შემოიღია გიპასუხო. რამდენჯერაც შევეცადე, სიტყვებით ჩამომეყალიბებინა აზრი, არაფერი გამოვიდა. მგონი, ძან დიდი სისულელეა სქესებად დაყოფა. ერთგვარი ტაბუა. ქალი თუ ხარ – ასე უნდა მოიქცე, კაცი თუ ხარ – ისე. ამ ორის სინთეზს ვეძახი ადამიანობას, ანუ ადამიანად ყოფნას. მხოლოდ ქალი ან მხოლოდ კაცი როცა ხარ, ამით იმას უსვამ ხაზს, რომ ნახევარი ხარ. თუ ტრაკი გაქვს (თანაც ფუმფულა – ს.ჯ.) ორივე უნდა იყო.

ცოტა სწყინს, როცა სხვებს ლესბი ჰგონიათ. არადა, ამ შემოდგომაზე საკმაოდ ქალურია. დაბალქუსლიანი ყავისფერი სანდლები და შავი ქვედაბოლო აცვია. მეჩვენება, რომ შარშანდლიდან ძალიან შეიცვალა. თითქოს განაზდა. რალაცნაირი „ნეჟნი“ გახდა, როგორც „მაროუნი“.

ეს ბლოგი „END OF THE WORLD MEDIA“ AA-ს ახალ სიყვარულს ეძღვნება. ბოლო დროს სექსი და ანარქიზმი მთავარი თემებია. ჩუბინა სულ სამჯერ ნახა, ამ ზაფხულს თბილისში ყოფნისას. ახლა ჩუბინას მოლოდინშია. ანასთვის თავისებური რიტუალივითაა სიყვარულის მუდმივი მოლოდინი ბერლინში.

– ერთი შეხედვით, თითქოს არავინ გჭირდება. ვინმე რომ გიყვარდება, გიყვარდება შენი თავი. მომწონს საკუთარი თავი სხვაში. ვინმესთან ერთად ყოფნა იქამდე მომწონს, სანამ ჩემი თავი მომწონს მასთან და მასში. და პირიქით. ანუ ჩუბინა მიყვარს ჩემში და ჩემი თავი ჩუბინაში. მინდა, რომ ჩუბინა ისეთი იყოს, ვისთანაც სულ მომეწონება საკუთარი თავი.

პროექტი, რომელზეც AA ახლა მუშაობს, მისი ახალი სიყვარულითაა ინსპირირებული. იმის კვლევა, თუ როგორ სწავლობს AA საკუთარ თავს ჩუბინასთან ურთიერთობისას.

ოთახში ჯერ მხოლოდ მაკეტია გაკრული – კვადრატები. ცენტრში ერთი, კუთხეებზე – სხვა, მათ კუთხეებზე – კიდევ სხვა, და ა.შ. ამ სისტემით, მაკეტს უსასრულოდ ზრდა შეუძლია და ეს შესაძლებლობა პროექტის იდეისთვის ხელსაყრელია.

მაკეტი სამ მთავარ შრედ იყოფა: 1. გაუცხოება. 2. ფსიქონალიზი. 3. მაგია.

ანას ნამუშევრები ფორმაზე ორიენტირებული არასდროსაა. ყოველთვის კონცეპტუალურია, შინაარსზე აგებული. მისი ძველი ნამუშევრებიც, პატარა გამოგონილი ფიგურები, კოსმოლოგიის მითებს და იერარქიას ქმნიდა, ან სიზმრების და ოცნებების ქარხნის წარმოსახვას ცდილობდა. გაველენებს რომ იხსენებს,



„ბავშვობაში დღეებმა რაღაც თაბაში მოიხონა. ნარმოიდებინა, ისეთი სახლი გაქვს, სადაც ლილას თითს რომ დააჭირ, ყველაფერი გარდავაო. მე და ჩემი დეიდაშვილი კოტე ერთად ვთაბაშობდით. უფრო სწორად, არაფარსას არ ვთაბაშობდით. დავხატავდით ხოლმე კარს და ამ კარს ერქვა „მსოფლიოს კარი“, საიდანაც ყველაფრის გამოტანა შეიძლებოდა, რას კი არსებობდა ან არ არსებობდა“.

სხვა ადამიანებთან, წიგნებთან და მუსიკასთან ერთად, ერთ-ერთი – მისი და, სოფო ტაბატაძეა. სოფოც ხელოვანია. 2007 წელს მისი ნამუშევრები ვენეციის ბიენალეს ქართული პავილიონის ნაწილი იყო. სოფოც ბერლინში ცხოვრობს, ანას უბანში. ანა მეუბნება, რომ სოფოსთან ურთიერთობა მეგობრობის ფორმულაა. სხვასთან ურთიერთობის სიღრმეს სოფოსთან ურთიერთობის სიღრმით განსაზღვრავს.

გაუცხოების კვლევა და მისი ასახვა AA-ს ახალი დიდი პროექტის პირველი ეტაპია, რაც მაკეტის განაპირა ნაწილებში იმიჯებით უნდა აისახოს. შეიძლება – ტექსტიტაც.

ბავშვობა

ყოფილი შემცველი სპაგეტი „ფანტაზია“ და დილის 4 საათზე თურქებთან ხორცეულის დიდი ულუფები წარსულს ჩაბარდა. ბოლო რამდენიმე თვეა, AA ხორცს აღარ ჭამს. მანცდამანც აღარც ლუდს ეტანება. ახალი ტანსაცმლის ყიდვაზეც უარი თქვა (შოპინგზე თავგადაკლული ისედაც არასდროს ყოფილა). გაუცხოებაში AA საკუთარი თავისგან გაუცხოებას გულისხმობს. „სკოლაში, ინსტიტუტში და სამსახურში მიღებული ინფორმაცია არა მარტო საკუთარი თავის შეცნობაში გვიშლის ხელს, არამედ გვაშორებს კიდევ საკუთარ თავს“, მეუბნება ანა. გაუცხოების კვლევა გავლენებისგან გათავისუფლებაა, ავტორიტეტების ნგრევაა. „იმდენად უნდა იყო გადართული, რომ რაღაც კრეტიულ წარმატებას მიაღწიო, დაგანინაურონ ან მეტი ფული გქონდეს, რომ რაღაც ჩაიცვა, კარგი სტატუსი გქონდეს, რომ გავინყდებო, ვინ ხარ სინამდვილეში“. ავტორიტეტი, თუნდაც, სარეკლამო ბანერზე გამოსახული მოდელი, რომელსაც რომელიღაც ბრენდის სამოსი აცვია. ავტორიტეტი მასწავლებელი, ავტორიტეტი სატელევიზიო წამყვანი, ავტორიტეტი წიგნის ავტორი, ავტორიტეტი თანამშრომელი, რომელიც დაანინაურეს, ან ვიღაც, ვისაც iPod-ში მუსიკის განსაკუთრებული კოლექცია აქვს.

ვეკითხები: – თუ ავტორიტეტი არ არსებობს, მაშინ, როგორ შეაფასებ, ხელოვნების რა ნიშნები ღირებული და რა – არა?

„მაგ კითხვამდე რომ მივდივარ, ვეღარ ვხედავ, რა იქნება კარგი ფილმი და რა იქნება ცუდი ფილმი, ვინ იქნება კარგი მხატვარი და ვინ – ცუდი. ამასაც ვიკვლევ თანდათან. ჯერ-ჯერობით ყველაზე მარტივ საკითხზე ვფიქრობ – როგორ ჩაგვეკეტა სისტემამ ისე, რომ ამას ვერც კი ვხედავთ. აქაურობის ბრალია ასეთ რაღაცეებზე ფიქრი. ბერლინის მძიმე არქიტექტურამ შეთქმულების თეორიებზე ფიქრი დამანყებინა. „ენტერ შიკარის“ მუსიკის დამსახურებაც დიდია. მათი ტექსტები ძალადობის და ჩაგვრის წინააღმდეგაა, სისტემის წინააღმდეგ. იმის წინააღმდეგ, რომ, მაგალითად, სადაც ბავშვებს ამუშავენ იმისთვის, რომ შენ კარგად ჩაიცვა“.

„ენტერ შიკარი“ ანას ყოფილი საყვარელი მუსიკალური ჯგუფია. ზაფხულში მათ კონცერტზე რომ მოხვდა, იქ მიხვდა, რომ ჯგუფი უკვე წარსულს ჩაბარდა. ახლა ახალ მუსიკას მიეღ-მოედება.

AA, ერთი მხრივ, ავტორიტეტების ნგრევაზე მესაუბრება, მეორე მხრივ, ხშირად საკუთარ ავტორიტეტებს ასხენებს. მეუბნება, რომ გავლენები აუცილებელიც არის. Every act’s a copy (ყველა მოქმედება ასლია) – წერია მისი ბლოგის ერთ-ერთ სურათზე. ურთიერთობა, სიყვარულიც და მეგობრობაც, AA-სთვის გავლენების გაცვლაა.

მარტოობა

ანას ძველ ნახატებში ერთი არსება გამორჩეულად ჩანს. ამ არსებას Superhero ჰქვია. ის უცხო პლანეტაზე ცხოვრობს, ბიჭია და იდეალური, სრულყოფილი არსებაა. ამ გმირს ყველაფერი შეუძლია, მაგრამ მუდმივად სევდიანია და მელანქოლიური. მოკლედ, ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის AA-სეული პატარა უფლისწულია. რაც უნდა პათეტიკურად ფლერდეს, მისთვის „პატარა უფლისწული“ ბიბლიაა.

„იმიტომ ხომ არ იგონებ სუპერგმირს, რომ აქ, ნამდვილ ცხოვრებაში, არ გყავს ის?“ –

ვეკითხები და შემდეგ ვაკონკრეტებ: „ანუ მეგობარი/მეგობრები“.

„ჰო, ეგ პრობლემა მაქვს“, – დაუფიქრებლად მპასუხობს. „იმის მიუხედავად, რომ ძალიანაც მყავს მეგობრები, სულ ვგრძნობ, რომ მარტო ვარ. ეს განცდა არასოდეს მშორდება“.

ანა თვითონაც ყოველთვის სევდიანი და მელანქოლიურია.

„ბავშვობაში დედაჩემმა რაღაც თამაში მომიგონა. წარმოიდგინე, ისეთი სახლი გაქვს, სადაც ლილას თითს რომ დააჭირ, ყველაფერი გაჩნდებაო. მე და ჩემი დეიდაშვილი კოტე ერთად ვთამაშობდით. უფრო სწორად, არაფერსაც არ ვთამაშობდით. დავხატავდით ხოლმე კარს და ამ კარს ერქვა „მსოფლიოს კარი“, საიდანაც ყველაფრის გამოტანა შეიძლებოდა, რაც კი არსებობდა ან არ არსებობდა“.

ანას წარმოსახვითი კარიდან გამოტანილი ფანტაზია უნაცვლებდა ყველაფერს, სხვა ნივთი თუ საგანი არ სჭირდებოდა. მის გარშემო არსებული ხეები, სახლები, ცხოველებიც კი, მისი ფანტაზიის დეკორაცია იყო, რომლებიც რაღაცით ფაიფურის ფიგურებს ჩამოჰგავდა.

„კოტე, ვისთანაც ამ თამაშს ვთამაშობდი, 9 წლის ასაკში კიბოთი მოკვდა. მე მაშინ 11-ის ვიყავი. ნელ-ნელა ვხვდები, რომ იქიდან გამიჩნდა მუდმივი მარტოობის განცდა. მაშინ მარტო მე და კოტე ვიყავით“.

AA-ს თვითქმევა

ეს დიდი პროექტი, კვადრატებისგან აგებული მაკეტი, რომელსაც ასევე უსასრულოდ გაზრდა შეუძლია და რომელშიც, პირველ რიგში, AA-მ სამყაროსგან გაუცხოება უნდა ასახოს, საკუთარი თავის შეძლებისდაგვარად ამომწურავ ანალიზს მოითხოვს. ეს ანალიზი გამომსახველობითია, ინტუიტიური. ამ პროექტში ანასთვის პროცესია მნიშვნელოვანი და არა შედეგი. ეს პროცესი-პროექტი ხაზი იქნება, რომელიც მომავალში ხესავით გაიტოვება და შეივსება. დასრულებისთანავე დროის სხვა მონაკვეთში ახალ თვითკვლევაში, უფრო ბრუტალურ თვითდეკონსტრუქციაში გადაიზრდება, რომელიც სრულიად გამორიცხავს რეკონსტრუქციას.



TBC PrimeCard-ის

საჩუქარი:

მოგზაურობა მსოფლიოს 2012 წლის

ყველაზე გრანდიოზულ სანახაობებზე!

თუ თქვენ ჯერ არ გაქვთ **TBC PrimeCard**, მაშინ მის შესაძენად ახლა სწორედ საუკეთესო დროა: **PrimeCard** ყველაზე ემოციურ და შთაბეჭდილებებით დატვირთულ გათამაშებას იწყებს და მის მფლობელებს სთავაზობს, აიხდინონ ოცნება - იმოგზაურონ მსოფლიოს ყველაზე პოპულარულ და ხალხმრავალ სანახაობებზე.

- ▲ ფეხბურთის ევროპის ჩემპიონატის ფინალი (ივლისი, 2012, უკრაინა)
- ▲ როტერდამის ჯაზ ფესტივალი (ივლისი, 2012, ჰოლანდია)
- ▲ ფორმულა ერთის გრან პრი (მაისი, 2012, საფრანგეთი, მონაკო)
- ▲ ვენეციის კარნავალი (თებერვალი, 2012, იტალია)
- ▲ ჯორჯ მაიკლის კონცერტი (აპრილი, 2012, საფრანგეთი, პარიზი)

ამ საგზურებიდან სასურველს თავად გამარჯვებული აირჩევს, საკუთარი სურვილისა და გემოვნების შესაბამისად. 13 იანვარს, საღამოს 18:30 საათზე, რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გამოვლინდება ის 5 გამარჯვებული, რომლებიც 2012 წლის ყველაზე გრანდიოზულ სანახაობებზე მოხვდებიან.

ასე რომ, იჩქარეთ, დროულად შეიძინეთ **TBC PrimeCard**, ისარგებლეთ ყველაზე ხანგრძლივი, 3 თვიანი უპროცენტო სესხით, აირჩიეთ სასურველი დიზაინი, ტარიფები და, რაც მთავარია, მოიფიქრეთ, თუ რომელ მსოფლიო სანახაობას გსურთ დაესწროთ მომავალ წელს და თანაც უფასოდ!

ვენეციის კარნავალი - მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული, ხმაურიანი, იდუმალი და დემოკრატიული სახალხო ზეიმი, რომელიც მიუხედავად მისი ტრადიციულობისა, უკვე დიდი ხანია იქცა მსოფლიო სანახაობად...

ამ დაუფინყარ სანახაობათა სივრცეში, წარუშლელი შთაბეჭდილებებისა და ნიღბების სამყაროში, ყოველწლიურად ნახევარ მილიონზე მეტი ტურისტი გროვდება, რათა საკუთარი თვალთ ნახოს ნეონის ნათურებით, მაშხალებითა და ჩირაღდებით აელვარებული ვენეცია, გონდოლებით მოსეირნე ნიღბიანი გმირები, ტკბილეულის წვიმა და კომედია დელ არტეს წარმოდგენები...

ვენეციის კარნავალი წარსულის მითებისა და თანამედროვეობის საოცარი სინთეზია, სადაც ადამიანები საკუთარი ინდივიდუალობის, ფანტაზიის, ოცნებებისა და სურვილების ასახედნად მიდიან...



ჯორჯ მაიკლის კონცერტი პარიზში - რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, მსოფლიო პოპ მუსიკის ლეგენდა, ჯორჯ მაიკლი, სცენაზე სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ბრუნდება: პარიზის გრანდ ოპერად წოდებული **Palais Garnier** იქნება ის ადგილი, სადაც ჯორჯ მაიკლი თავის გრანდიოზულ ევროპულ ტურნეს, სახელწოდებით **Symphonica - the Orchestral Tour** დაასრულებს.

რეპერტუარი ჯორჯ მაიკლის საუკეთესო ალბომების კომპოზიციების მიქსითაა შედგენილი და ისეთ მსოფლიო ჰიტებს აერთიანებს, როგორებიცაა **Freeek, Shoot the Dog, The Police-ის Roxanne, U2-სა და ლუჩანო პავაროტის Miss Sarajevo**, უოლტერ დონალდსონის **My Baby Just Cares for Me**, და ა.შ.

ჯორჯ მაიკლის გულშემატკივარს პარიზის **Opera Garnier**-ში დაუფინყარი, გრანდიოზული, ერთ-ერთი ყველაზე შთაბეჭდავი კონცერტი ელოდება...





როტერდამის ჯაზ-ფესტივალი - ევროპის ერთ-ერთი უძველესი ჯაზ-ფორუმი...

წარმოიდგინეთ ჯაზის ნამდვილი მექა, ჯაზური მუსიკის ფანტასტიკური დღესასწაული, რომელიც ათობით სხვადასხვა სიდიდის საკონცერტო სივრცეებზე იშლება, მთლიანობაში კი გამუდმებით მოძრავ ჯაზ-ქალაქს წააგავს.

აქ მუსიკა ერთი წამითაც არ წყდება, სცენიდან სცენაზე გადადის, მაყურებელი კი მუდმივ მოძრაობაშია, რადგან ისეთი სახელები, როგორებიცაა ნატალი კოული, ჩაკა ჰანი, ბუტსი კოლინსი, ტომ ფონსი და ა.შ. როტერდამის ჯაზ ფესტივალისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა.

North Sea Jazz Festival-ი ჯაზთან მიახლოებულ ნებისმიერ უანრს ითავისებს და სწორედ ამიტომ, საკუთარ თავს აქ სვინგის, ბიბოპის, ბლუზის, ფუჟენის, ფანკის, სოულის, ჰიპ-ჰოპის მოყვარულებიც ადვილად აღმოაჩენენ...

33რო-2012 - ფეხბურთი წელსაც გააერთიანებს მთელ მსოფლიოს და ოთხივე კონტინენტიდან მილიარდობით გულშემატკივართა თვალს, ყურს ამჯერად უკრაინა-პოლონეთისაკენ მიმართავს. 1 ივლისს კი მთელი ერთთვიანი ვენბათაღელვა პიკს კიევის სტადიონზე მიაღწევს.

წინასწარი პროგნოზებით, ევრო 2012-ზე 1,4 მილიონ ფეხბურთის გულშემატკივარს ელოდებიან. მათგან კი მხოლოდ 70 ათასი კაცი მოიყრის თავს მთავარ მატჩზე, კიევის ოლიმპიურ სტადიონზე. **TBC Prime Card**-ის წყალობით, თქვენ შეგიძლიათ გახდეთ ერთ-ერთი, ვინც ამ მსოფლიო სანახაობას ადგილზე, ცოცხლად მიადევნებს თვალს!



ფორმულა-1, მონაკო - "ავტოსპორტის მეფე", "ავტოსპორტის მწვერვალი", "სამეფო ფორმულა" - ასე მოიხსენიებენ ფორმულა 1-ის ავტორბოლას, რომელიც სპორტის სამყაროში ყველაზე პრესტიჟულ სანახაობად იქცევა ხოლმე.

F1 რბოლათა ბიუჯეტი ასობით მილიონ დოლარს, ხოლო მონინავე პილოტების ჰონორარები მილიონობით, ხშირად კი, ათეულ მილიონობით მილიონ დოლარს შეადგენს.

ბოლიდის საჭესთან მიჯდომის პატივი, მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ათეულ ადამიანს აქვს... სწორედ ამიტომ, **Monaco F1 Grand Prix** - 2012 წლის სპორტულ მოვლენებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული სანახაობა იქნება!



თუ გსურთ, თავად შეიგრძნოთ ბოლიდების უჩვეულო გვრგვინვით გამოწვეული ჟრუანტელი, შეისუნთქოთ "სამეფო რბოლათა" გამონაბოლქვი და თვალი ადევნოთ გიჟურ სისწრაფეს, წამის მეასედებში განვითარებულ მოვლენებს, თიბისი ბანკი გაძლევთ უნიკალურ შანსს, გახდეთ ყველა დროის დაუვინყარი სანახაობის მომსწრე.



ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

ინტერვიუ

ჯეისონ მორანთან

ავტორი ქახა თოლორდავა
ფოტო ლევან გიორგაძე

ყოველთვის მეგონა, რომ მუსიკოსთან საუბრის დასაწყებად საუკეთესო საშუალება ისაა, როდესაც მუსიკოსს საკუთარი ციტატის კომენტარებს სთავაზობ. ასეც მოვიქცევი და ერთი თქვენი ციტატით დავიწყებ: „ამდენი ჯილდოების შემდეგ, რამდენსაც ამ ბოლო დროს მაძლევენ (2010 წელს მორანმა მიიღო 500, 000 დოლარიანი MacArthur Fellowship-ის ე.წ. „გენიოსის გრანტი“. კ.თ.) ადამიანებს შეიძლება ეგონოთ, რომ მართლა ვიცი დაკვრა. რა თქმა უნდა, რაღაც-რაღაცების დაკვრა მართლაც შემიძლია, მაგრამ უამრავი ხარვეზია, რომლის გამოსწორებისკენაც ვისწრაფი“. კითხვა ასეთია – რა ტიპის მუსიკალური სიტუაციები გიბიძგებთ თქვენივე ხარვეზების გასაცნობიერებლად? ეს ხარვეზები სუფთა ტექნიკურია თუ სხვა ხასიათის?

ზოგი სუფთა ტექნიკური ხასიათისაა, ზოგი – არა. მაგალითად, ნოემბერში გუსტავ მაღლერის მეხუთე სიმფონიის ცნობილ ადაჟიუტოს დაფუკრავ ორკესტრთან ერთად, სადაც იმპროვიზაციის საშუალებაც მომეცემა. პარტიტურას რომ ვსწავლობდი, უეცრად მი-

ვხვდი, რომ არის ადაჟიუტოში მონაკვეთები, სადაც სუფთა ტექნიკური თვალსაზრისით შედარებით ნელი პასაჟების კრესჩენდოში გადასაყვანად საკმარისი და აუცილებელი სინატიფის მიღება დამჭირდება და ძალიან სერიოზულად ვმუშაობ ამის მისაღწევად. ჯაზმენებს, კლასიკური შემსრულებლებისაგან განსხვავებით, მუსიკალური ფრაზების არტიკულირებისადმი სრულიად განსხვავებული მიდგომა გვაქვს, შესაბამისად ადაჟიუტოს დაკვრისას მრავალფეროვანი და უფრო მდიდარი ტექნიკური პალიტრა დამჭირდება; არ მინდა ისეთი შთაბეჭდილება დავტოვო, თითქოს ვუკრავ მხოლოდ იმას და ისე, რასაც და როგორც ყოველთვის ვუკრავ ხოლმე. ამიტომაც შეგნებულად ვაახლებ მასალასთან მიდგომის ტექნიკას. ეს ბუნებრივიცაა, რადგან როგორც უკვე გითხარით, ყველაფერთან ერთად, მიწევს კლასიკური მუსიკის დაკვრა, მაგრამ ამავე დროს ვუკრავ მუზეუმებში, ვმუშაობ საუნდტრეკებზე და ყველა ეს ახალი სიტუაცია გარკვეული გამოწვევის წინაშე მყენებს, როგორც მუსიკოსს. ასეთ მომენტებში ყველაფრის სწავლა თავიდან მიწევს ხოლმე.





ნახსენებ ხარვეზებს ოდესმე დაუნევიან თქვენი თვითშეფასება?

რა თქმა უნდა, ადრეც და ახლაც! ჩემი ერთ-ერთი პირველი გიგი (ასე უწოდებენ ჯაზ-კონცერტებს ჯაზმენები. კ.თ.) კასანდრა უილსონთან იყო. რა თქმა უნდა, კარგად მომზადებული ვიყავი, მაგრამ კონცერტის რაღაც მომენტში კასანდრამ მითხრა, – „კარგი, შენ უკვე იცი, რაც უნდა გააკეთო, შეუბრუნე!“ და სცენიდან გავიდა. მას არაფერი უთქვამს, თუ რომელი კომპოზიცია უნდა დამეკრა ან, საერთოდ, რა უნდა დამეკრა. ასეთ სიტუაციაში ადრე არასდროს ჩავვარდნილვარ, – „მიდი, შეუბრუნე!“ დავიბენი, თუმცა რაღაც კი დაეუკარი, მერე კი უილსონი სცენაზე დაბრუნდა და კომპოზიცია დავასრულეთ, მაგრამ იმ შემთხვევაში კიდევ ერთხელ შემახსენა, თუ რამდენი მომზადება გჭირდება, როდესაც საქმე მუსიკასთან გაქვს.

დაკავშირებულია თუ არა მუსიკის ადვილად პროგნოზირებადობა მის ტექნიკურ შეზღუდვებთან?

დიახ, რადგანაც ეს გაურკვეველობაში, ახალ გარემოში გაუფრთხილებლად შებიჯებასავითაა. ეს დაახლოებით იმას ჰგავს რუკის გარეშე შენთვის უცნობ ქალაქში რომ გინეგს მარტო გასვლა. როგორ მოიქცევი? არ ვიცი, შეიძლება მდინარისკენ დაეშვა, რადგანაც მდინარე კარგი ათვისის წერტილია, მაგრამ, მერე რას იზამ? როგორ გართმევ თავს უცხო ქალაქს? დაკვირვების დროსაც ასეა, სულ ახალ და ახალ სიტუაციებს აწყდები და ვალდებული ხარ ამ სიტუაციებს მოერგო. ავიღოთ დღევანდელი საღამოს მსმენელი. აქ პირველად ვარ და არაფერი ვიცი მათზე, მაგრამ რაღაცნაირად უნდა შეეძლო და მოვერგო მოცემულ სიტუაციას, შევიგრძნო ისინი. ყველაფერი ეს ერთდროულად აღგაგზნებს და გაშინებს. და ეს ის გრძობაა, რის გამოც ჩვენ საერთოდ ვ უ კ რ ა ვ თ. ჩვენ ეს გვიყვარს, ეს შეგრძნება!

ზუსტად ათი წლის წინ თქვენ განაცხადეთ, რომ თქვენი, როგორც კომპოზიტორის, სტილი, გამოკვეთილი საკომპოზიციო სტილის არქონაშია და რომ თქვენ კიდევ შორს ხართ ისეთი დახვეწილი და გამოკვეთილი საკუთარი სტილის მქონე კომპოზიტორებისგან, როგორებიც არიან მუჰალ რიჩარდ აბრამსი, პენრი სრედგელი და ენდრიუ ჰილი. შეიცვალა რამე მასალასთან მიდგომის თვალსაზრისით ამ ათი წლის განმავლობაში?

დიახ, მგონი რომ რაღაც შეიცვალა ჩემს მიდგომაში პირველ რიგში საკუთარ ისტო-

რიასთან, როგორც ასეთთან და აგრეთვე, პირად აკუსტიკურ ისტორიასთანაც. ამ ხნის განმავლობაში მე ვისწავლე, თუ როგორ „მოვთავსო“ დღევანდელი ჩემს მუსიკაში. ხშირად ამას ჯაზმენებისათვის მიუღებელი და ამ მუსიკალური იდიომის საზღვრებს მიღმა არსებული ტექნიკის მეშვეობითაც კი ვაკეთებ, მაგალითად, როდესაც ვცდილობ ნინასწარ ჩაწერილი საუნდის თუ ტექსტების ჩემი მუსიკის ქსოვილში „ჩადგმას“. ეს „უცხო სხეულები“ მუსიკაში ჩემი ბიოგრაფიის შემოტანის საშუალებას მაძლევს, რადგანაც როდესაც მუსიკაში ჩემივე ბებიის და ბაბუის საუბარს „ვდგამ“, ეს განუმეორებელი საუნდია – მათსავით არავინ ლაპარაკობს და ის, თუ როგორ ვმანიპულირებ მათი ხმებით, აგრეთვე ჩემებური მიდგომა ჩემივე ბიოგრაფიისადმი. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, როდესაც წლების წინ ვილაღ ფოტოგრაფებმა ტექსტების დადება დაიწყეს ფოტოებზე კომენტარის სახით; თავის დროზე მხატვრებიც ასევე მოიქცნენ. მე მომღერალი არ ვარ მაგრამ საინტერესოა, თუ როგორ ვხმარობ ტექსტურ მასალას სხვადასხვა მუსიკალურ კონტექსტში. დღემდე ვცდილობ ამ ყველაფერში გარკვევას. როდესაც, ვთქვათ, ჰენრი სრედგელს ვხვდები ხოლმე და ჩვენ მის მუსიკაზე ვსაუბრობთ, ის ყოველთვის ახალ რამეებს მიჩვენებს, და მისი ეს კრეატიულობა ჩემზე ძალიან გადამდებდა მოქმედებს. სრედგელს შეეძლო გაჩერებულიყო და სიამოვნება მიეღო იმისგან, რასაც მთელი ამ წლების განმავლობაში მიაღწია, მაგრამ ის სულ ახალ-ახალ რამეებს იგონებს და ხშირად მიბრაზდება, როდესაც მის წარსულ მიღწევებზე ვეკითხები, – „დაივიწყე! მაშინ სულელი ვიყავი!“ – მიყვირის ხოლმე.

არაერთხელ გითქვამთ, რომ გიყვართ ახალი იდეების მოსინჯვა ისეთი მსმენლის თანდასწრებით, ვისაც თავისი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ესა თუ ის მუსიკალური ნაწარმოები. ამავე დროს, თქვენ იმდენად მრავალფეროვანი მსმენლის წინაშე გინევთ გამოსვლა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რომ საინტერესოა, რამდენად შორს შეგიძლიათ „შეტოპოთ“ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში?

ყოველთვის იმ იმედით ვუკრავ, რომ ისინი, ვინც ჩემს კონცერტებზე მოდიან, ისევ დაბრუნდებიან ჩემს მოსასმენად. თუ ასეა, ეს ნიშნავს, რომ მათ ჩემს მუსიკაზე უკვე შეიქმნეს წარმოდგენა. ამას მეორე მხარეც აქვს – ზოგჯერ თვითონაც არ ვიცი, რა შეიძლება მოხდეს კონცერტის მსვლელობი-

სას. მე მიყვარს დაკვრა და მსმენელიც რა თქმა უნდა, ჩემგან ელის იმას, რომ მათთვის დაკვრას გავაგრძელებ, მაგრამ ამავე დროს მე ჩემი მუსიკის მათთვის წარსადგენ სხვადასხვა ფორმებზეც ვფიქრობ ხოლმე და ეს იდეები ხშირად მუსიკის მიღმა არსებული თანამედროვე ხელოვნების ფორმებთან უფროა კავშირში, მაგალითად, პერფორმანსთან, ვიდრე უშუალოდ მუსიკასთან. პერფორმერი არტისტები სხვადასხვანაირად ითვისებენ სცენას და მათ ბევრი ბარიერის დანგრევა მოახერხეს იმ ასპექტით, თუ როგორ შეიძლება მოიქცეს ხელოვანი სცენაზე. ეს ცვლილებები მაყურებლის რაღაც ნაწილმა მიიღო, ნაწილმა ვერა. ავიღოთ თუნდაც ჯონ ქეიჯის ცნობილი ნაწარმოები „4.33.“ („4.33“ – ჯონ ქეიჯის 1952 წლის ერთ-ერთი ყველაზე კონტროვერსიული ნაწარმოები, სადაც 4 წუთის და 33 წამის განმავლობაში შემსრულებელი უბრალოდ ზის თავის ინსტრუმენტთან და ა რ ა ფ ე რ ს უკრავს, მუსიკად კი აღქმული უნდა იყოს ის ხმები, რომელიც ამ დროს დარბაზში, ან სხვა გარემოში, სადაც ეს ნაწარმოები სრულდება, ისმის. კ.თ). ეს დიდი ნაბიჯი იყო, არა? უკანასკნელ წლებში მე სცენაზე აქეთ-იქით სიარულს ვუმატე, ვგულისხმობ იმას, რომ ყოველთვის როიალთან ჯდობა აღარ მინდა ხოლმე კონცერტის დროს, ამიტომაც ვდგები და სცენაზე ბორიას ვინყებ ხოლმე.

თელონიუს მონქით...

ზუსტად! მონქს მოსწონდა საკუთარი მუსიკის თანხლებით სცენაზე ბორიალი.

რა სიხშირით უბრუნდებით ადრეულ პერიოდში მიტოვებულ თემებს თუ იდეებს? ვგულისხმობ იმ იდეებს, რომლებსაც, თავის დროზე ვერ გაუმკლავდით და ახლა უკვე მზად ხართ მათ დასაძლევად...

ეს მგონი, გარკვეულწილად, ასაკთანაა კავშირში. პირველი ალბომის ჩაწერისას იყო იდეების რაღაც კორპუსი, რომელთან გაკარებას ვერც კი გავებდავდი; დღეს უკვე აღარ მეჩვენება ასე რთულად. იგივე შემთხვევა ვთქვა სოლო კონცერტზე. ადრე ამას უბრალოდ იმიტომ ვერ გავაკეთებდი, რომ შემემინდებოდა, თავს დავარწმუნებდი, ამისთვის ჯერ მზად არ ვარ-მეთქი და ასე შემდეგ. ვილაღამ ერთხელ მითხრა, რომ ზოგი მწერალი თავისი საყვარელი მწერლების მეშვეობით ვარჯიშობს წერაში, ანუ ის ირჩევს რომელიმე მისთვის მნიშვნელოვანი მწერლის ნაწარმოებს და უბრალოდ იწერს ტექსტს, რათა კარგად შეიგრძნოს ტექსტის

რიტმი. ახალგაზრდობაში მეც ასე ვიქცეოდი – ფავორიტი მუსიკოსების „ტექსტების“ გადანერით ვიყავი დაკავებული. იგივე ხდება დღესაც. ვგულისხმობ იმას, რომ მაქვს მთელი რიგი იდეებისა, რომელთა გახორციელებისათვის საკმარისი სითამამე ჯერ არ მაქვს. გავა დრო და ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად დაფუბრუნდები იდეას, რომელიც დღეს განუხორციელებლად მიმაჩნია.

მსმენელი თქვენ მუსიკას ძირითადად აღიქვამს, როგორც რთულს და ინტელექტუალურს იმ დროს, როდესაც თქვენ ამტკიცებთ, რომ თქვენთვის თქვენზე მუსიკა მარტივი და ბანალურია. პირადად ჩემთვის ის ზედმიწევნით არტისტულია, რადგანაც თქვენ საკუთრი ისტორიის აკუსტიკური, ვიზუალური და ვერბალური ელემენტებით თამაშობთ. საინტერესოა იმის გაგება, რამდენად გაქვთ იმის სურვილი, რომ მსმენელმა უფრო მეტი იცოდეს თქვენს სანყის ჩანაფიქრზე?

ეს ცვალებადი რამაა. იყო დრო, ასე ხუთიოდე წლის წინ, როდესაც მე ზიზლით ვუყურებდი ჯაზის, როგორც მუსიკალური ფენომენის, აბსტრაქტულ ბუნებას. თუმცა სიმართლე გითხრათ, არ ვიცოდი როგორ ამეხსნა ეს ფენომენი. დაკვრის დროს არცკი ვიცოდი თუ როგორ ვახერხებდი ფორტე-პიანოს ბგერების ერთმანეთთან კომბინირებას. გამოდის, რომ მე ამას მექანიკურად ვაკეთებდი. ამავე დროს, მე მიხდოდა, რომ ჩემი დაკრული გ ა მ ქ ვ ი რ ვ ა ლ ე ყოფილიყო მსმენელისათვის. გამჭვირვალობა მნიშვნელოვანი რამაა დიზაინში, არქიტექტურაში (ამიტომაცაა მსოფლიოში ამდენი შუშის შენობა), პოლიტიკაშიც კი; ადამიანებს სულ გამჭვირვალობა აკერიათ პირზე. მათ უნდათ იცოდნენ, თუ რას და როგორ აკეთებს მათი მთავრობა. ან, მაგალითად, – ნებისმიერს შეუძლია სხვებს ნააკითხოს პირადი საუბრები მეგობართან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და სულ მიხდოდა, რომ ეს სწრაფვა გამჭვირვალობისკენ ჩემს მუსიკაშიც ასახულიყო. მე მაქვს იმის სურვილი, რომ ჩემი მიზნები ნათელი გავხადო ჩემთვის, ეს იმასაც ნიშნავს, რომ მსმენელმაც უნდა იცოდეს, თუ რა მიზნები მამოძრავებს დაკვრისას. როდესაც ადამიანები ბი-ბი ქინგის მოსასმენად მიდიან, ბლუზი მათ არ აბნევს თავისი სირთულით. ის მათში მთელი თავისი სისუფთავით შეედინება! იგივე ხდება, როდესაც ადამიანები ბახის რომელიმე ნაწარმოებს უსმენენ. ეს მუსიკა კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი ა, და ამიტომაც მეც ვვიქრობი შევძლებდი თუ არა ჩემი მუსიკა

ასეთივე ადვილად გასაგები გამეხდა მსმენელისთვის. მიხდა, რომ ჩემი მოსმენის შემდეგ მათ თქვან – ჰო, მე მესმის მისი განზრახვა! ამიტომაც ბოლო დროს ვცდილობ მსმენელს ჩემზე განზრახვები დანამატების გარეშე მივანოლო.

კიდევ ერთ თქვენს მოსაზრებაზე მინდა გთხოვოთ კომენტარი: „მე ჩემი წვლილის შეტანა მსურს ჯაზის ისტორიაში და მინდა, რომ ადამიანებმა უფრო ღრმად გაიგონ თუ რა ტომ დრო გორ გასცემენ მუსიკოსები“. შეიძლება გთხოვოთ ამისხნათ, თუ რას გულისხმობთ სიტყვებში „რატომ“ და „როგორ“?

როგორც მსმენელს აქვს თავისი აზრი მუსიკოსებზე, ისე მუსიკოსებს აქვთ თავიანთი აზრი მსმენელზე. მათი ურთიერთობის ყველაზე პრიმიტიული ფორმა აი ესაა: „კომპოზიციის დასრულების შემდეგ მე მსმენელისაგან ტაშს ველი“, და „კონცერტის დროს იმედი მაქვს, რომ მუსიკოსი ისეთ რამეს მომასმენინებს, რაც მომეწონება, რადგანაც სწორედ ამაში გადავიხადე ფული.“ ეს ძალიან სულელურ მოსაზრებაზე დაყრდნობილი ურთიერთობაა, მაგრამ ის არსებობს და ეს ფაქტია. მეორე მხრივ, რა ხდება იმ დროს, როდესაც დაკვრის მომენტში მუსიკოსი რაიმე ახალი იდეით იხიბლება და უნდა გაყვეს მას? როგორ აღიქვამს მუსიკოსისთვის ამ ზედმიწევნით ემოციურ მომენტს მსმენელი? თამაში მუსიკოსი უნდა იყო სქემაზე – „მე დავუკრავ, თქვენ ტაში დამიკარით“, უარი რომ თქვა და მსმენელს აგრძნობინო, – ახლა მე თქვენ მოგასმენინებთ რაღაც ისეთს, რაშიც თვითონ არ ვარ დარწმუნებული ბოლომდე. შეიძლება ეს ლამაზადაც კი არ ჟღერდეს, მაგრამ შეეცადეთ მოუსმინოთ ამას. საინტერესოა როგორ მიიღებს მის ამ გადაწყვეტილებას მსმენელი? მე ხშირად დავდივარ ხოლმე ერთსა და იმავე კონცერტებზე. ამ რამდენიმე ხნის წინ ჩემი ცოლის სპექტაკლს დავესწარი. ის ოპერის მომღერალია და ერთ-ერთ პარტიას მღერის „პორგი და ბესში“. ეს წარმოდგენა ზედიზედ ხუთჯერ ვნახე და დრო რომ მქონოდა, კიდევ ვნახავდი. რატომ? იმიტომ, რომ ყოველი წარმოდგენა განსხვავებულად ჟღერდა. ყოველ ჯერზე სპექტაკლში რაღაც ცვლილება იგრძნობოდა. ამას იჭერ მაშინ, როდესაც ზედიზედ ხუთჯერ უსმენ. იგივეა ჯაზ ან როკ ბენდების შემთხვევაშიც. შენ შეგიძლია ზედიზედ ხუთჯერ მოისმინო ესა თუ ის ბენდი, ან, თუ ეს ჯაზ-კლუბში ხდება, სადაც მუსიკოსები ერთი საღამოს განმავლობაში ორჯერ უკრავენ, დარჩე და კიდევ

იყო დრო, როდესაც ზიზლით ვუყურებდი ჯაზის, როგორც მუსიკალური ფენომენის, აბსტრაქტულ ბუნებას. თუმცა სიმართლე გითხრათ, არ ვიცოდი როგორ ამეხსნა ეს ფენომენი. დაკვრის დროს არცკი ვიცოდი თუ როგორ ვახერხებდი ფორტეპიანოს ბგერების ერთმანეთთან კომბინირებას.

მოუსმინო მათ დაკრულს. ასეთ შემთხვევაში ნახავთ, თუ როგორ იცვლება მუსიკა საღამოდან საღამომდე და კომპოზიციიდან კომპოზიციამდე. ეს საოცრებაა და შენ ამას იჭერ, თუ კარგი მსმენელი ხარ. მართლა ძალიან საინტერესოა, თუ როგორ რეაგირებას ვახდენთ ასეთ რამეებზე ჩვენ, როგორც მსმენელები. შეიძლება რაიმე არ მოგეწონოს რომელიმე მოცემულ საღამოს, თუნდაც იმის გამო, რომ ცუდი დღე გქონდა, მაგრამ ნადი, მოუსმინე იგივე მუსიკას მეორე დღეს და დაინახავ განსხვავებას...

ჰო, მაგრამ ასე ბევრს არ შეუძლია, არა? ამას ენერჯია, დრო და ფული სჭირდება...

რა თქმა უნდა, და მე არავის ვთხოვ, ასე რომ უსმინონ ჩემს მუსიკას, მსმენელს არ ვთხოვ ასეთ ერთგულებას, მაგრამ აი, მუსიკოსი სწორედ ასე უნდა უსმენდეს! ეს მას უკეთეს არტისტად გახდომას დაეხმარება! მოგზაურობისას მიყვარს მუზეუმებში ხეტიალი და ხშირად ერთი და იმავე არტისტის გამოფენაზე მისვლა სხვადასხვა ქვეყნებსა და ქალაქებში. არის ერთი ასეთი არტისტი – სოლ ლუიტი, რომელიც თითქმის ყველა კონტინენტზე არსებულ მუზეუმში მყავს ნანახი, ამას წინათ კი მანც წავედი მის გამოფენაზე ათენში ყოფნისას. იმიტომ, რომ ვიცოდი, ათენში მას განსხვავებულად

ალეიქამდი! ასევე მიყვარს სხვადასხვა ქალაქში ჩანერილი ლაივების კიდევ და კიდევ მოსმენა და მათი ერთმანეთთან შედარება, – ჯონ ქოლტრენის კვარტეტი იაპონიაში სხვანაირად უღერს, ვიდრე ევროპაში, მონქი ნიუ-იორკში განსხვავებულად უკრავს, ვიდრე პარიზში, და ასე შემდეგ.

ყველა თაობას განსხვავებული გარემოება აყალიბებს. რა იყო წამყვანი ელემენტი თქვენი თაობის ჩამოყალიბებაში?

თავისუფლების განსხვავებული შეგრძნება! მე აფრო-ამერიკელების ახალ თაობას წარმოვადგენ; ახალგაზრდები რომ იყვნენ, ჩემი მშობლები ანტირასისტულ მოძრაობაში იღებდნენ მონაწილეობას და მათი ბრძოლის შედეგია ის, რომ დღეს მე შემიძლია არჩევნებში მონაწილეობის მიღება, თუ ამის სურვილი მაქვს; თუ ფული მაქვს, ნებისმიერ სასტუმროში გავჩერდები, ნებისმიერ რესტორანში ვისადილებ და ეს ასე არ იყო ჩემი მშობლებისათვის. მათ ამის უფლება არ ჰქონდათ! შესაბამისად, ჩემი თაობის აფრო-ამერიკელებს აქეთ თავისუფლების განსხვავებული შეგრძნება. დღეს ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა გვეკუთვნის ჩვენ. კოლეგა მუსიკოსების დაკრულში რაც მაინტერესებს, ისაა, თუ როგორ ეპყრობიან და ფლობენ ისინი ჯაზის ისტორიას და ახერხებენ თუ არა ამ ისტორიაში ცვლილებების შეტანას. გასული საუკუნის ოთხმოციანების დასაწყისში უინტონ მარსალისმა ჯაზში ე.წ. ნეო-კლასიკური მოძრაობა წამოიწყო და ჯაზის ისტორიასთან მისი ასეთი მიმართება ძალიან მნიშვნელოვანი იყო პირადად მისთვის, რადგანაც ის სამოციანებში დაიბადა და იმ ათწლეულის შვილია, როდესაც ამერიკაში ნამდვილი ცვლილებები დაიწყო. შესაბამისად, მას განსხვავებული წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ როგორ უნდა მოეპყრას ჯაზის ისტორიას, ვიდრე მე, ვინც 15 წლით გვიან დავიბადე და კიდევ უფრო განსხვავებული აზრი ექნება მას, ვინც 15 წლით ჩემზე გვიან გაჩნდა. ეს ისტორიის შემდგომი გამდიდრებისათვის მნიშვნელოვანი განსხვავებებია!

ხომ არ მიგაჩნიათ, რომ თქვენი თაობის მუსიკოსები უფრო აცნობიერებდით, თუ რას წარმოადგენდით მუსიკალური თუ ზოგადი კულტურული თვალსაზრისით, ვიდრე შემდგომი თაობის მუსიკოსები?

არა, ვფიქრობ, რომ ყველას თანაბრად გვემის. არ მინდა ის ადამიანი ვიყო, ვინც ამბობს, – ოჰ, ისინი აზრზე არ არიან, რას

აკეთებენ! არ მინდა თუნდაც იმიტომ, რომ ყველა თაობა ასე ამბობს შემდგომ თაობაზე. ყველა! ჯერ არავის უთქვამს, – ბედნიერი ვარ იმით, რომ ახალგაზრდები უკეთ იყენებენ თავის შანსებს, ვიდრე ჩვენ! არა, ჩვენ ყველა თანაბრად ვართ გათვითცნობიერებული იმაში, თუ რა დროში გვინევს ცხოვრება და მუსიკის კეთება. მიმაჩნია, რომ ნებისმიერი თაობა მოცემულ დროზე და სიტუაციაზე რეაგირებს, შესაბამისად, ყველას განსხვავებული მიდგომა გვაქვს მუსიკასთან და ზოგადად კულტურის ელემენტებთან.

ჯაზმელების უმრავლესობა, ვისთან საუბარიც ამ ბოლო დროს მომიწია, საკმაოდ უხალისოდ უწოდებს საკუთარ თავს ჯაზ-მუსიკოსებს, ზოგი კი, მაგალითად გარი ბარცი, საერთოდ უარს აცხადებს ამ სიტყვის ხმარებაზე. რამდენად კომფორტულად გრძნობთ თავს ჯაზმენის „ტყავში“ და საერთოდ, გიფიქრიათ თუ არა, რატომ გადანყვივით გამხდარიყავით ჯაზ-მუსიკოსი?

მე დღემდე ვფიქრობ ამაზე და ჯერ კიდევ ბოლომდე არ ვარ დარწმუნებული ჯაზისადმი ჩემს მიმართებაში. იმედი მაქვს, რომ წლების მატებასთან ერთად, უკეთ გავაცნობიერებ ამ კავშირს. წინა თაობის მუსიკოსების გარკვეულ ნაწილს, ები ლინქოლნს, მაქს როუჩს, გარი ბარცს, არ უყვართ ეს ტერმინი სექსუალური და სხვა სახის კონოტაციების გამო; მათგან განსხვავებით, მე მიმაჩნია, რომ ჩემთვის პატივია ჯაზში და დყოფნა, უბრალოდ, მთავარი მაინც ისაა, თუ როგორი მუსიკოსი ხარ. ჩემთვის ძირითადი რამ თვით ტერმინში კი არა, იმაშია, თუ ზოგადად როგორი არტისტი ხარ; როგორც დიუქი ამბობდა, მთავარია კარგი ხარ თუ ცუდი! კარგ მუსიკას უკრავ თუ ცუდს. მე საკუთარ თავს ჯაზმენს კი არა, პიანისტს და კომპოზიტორს ვუწოდებ, მაგრამ კარგად ვიცი ჯაზის ისტორია და მემამყება ის, რადგანაც ჯაზი, ისევე როგორც ვთქვით პიფ-პოფი ან ბლუზი, სრულიად ამერიკული მოვლენაა. ყველაფერთან ერთად ჯაზი იმასაც გასწავლის, თუ როგორ გახდე უკეთესი ადამიანი, რომ არაფერი ვთქვათ უკეთეს მუსიკოსად დადგომის შესაძლებლობებზე. ამისთვის უნდა იცოდე ჯაზი როგორ სუნთქავს.

მე ვიცი, რომ თელონიუს მონქის მუსიკამ შერბეტოლოგის კარიერისგან გადაგარჩინათ, რისთვისაც დიდი მადლობა მას, შესაბამისად, არ შემიძლია, მონქთან დაკავშირებული

კითხვა არ დაგისვათ. ხორხე ლუის ბორხესს ერთი მოთხრობა აქვს სახელწოდებით „პიერ მენარი, „დონ-კიხოტის“ ავტორი,“ რომელშიც მეოცე საუკუნეში მცხოვრები და მოლვანე ვინმე მენარი ცდილობს, ისე ღრმად შეისისხლხორცოს სერვანტესის ეპოქა, ენა, ჩვეულებები, რომ თავიდან მოახერხოს „დონ-კიხოტის“ შექმნა; არა კოპირება, არამედ იდენტური ტექსტის შექმნა. ზოგჯერ მგონია, რომ თქვენც ზუსტად ასე ექცევით მონქის მუსიკას მისდამი მიძღვნილი კონცერტების ციკლში. თქვენ მონქს უბრალოდ კი არ უკრავთ, არამედ თვითონ ხართ მონქი იმ დროს. რატომ მიგაჩნიათ ის თქვენი შემდგომი ზრდისათვის აუცილებელ, დღემდე ასეთ აქტუალურ მუსიკოსად?

მონქი უცნაურ ვითარებაში „გაცივანი“. ცამეტი წლის ვიყავი. ერთ საღამოს, როდესაც ჩემი მშობლები ტელევიზორს უყურებდნენ, იმ ოთახში შევედი, სადაც ისინი ისხდნენ. ტელევიზორში ახლად მომხდარ ავიაკატასტროფაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ მშობლებს ხმა ჩანეული ჰქონდათ და დიქტორის ლაპარაკის მაგივრად ოთახში „Round Midnight“-ის მონქისეული ვერსია ისმოდა. მათ მითხრეს, რომ იმ კატასტროფაში მათი ერთი ნაცნობი დაიღუპა და ისინი მონქის მუსიკის თანხლებით გლოვობდნენ მის დაკარგვას. უცნაური სცენა იყო! იმ დღეს პირველად მოვუმინე მის მუსიკას და იმწამსვე მივხვდი, რომ მსგავსი რამ არასდროს მომისმენია. მაშინ პატარა ვიყავი, ჯაზის არაფერი გამეგებოდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ მუსიკა ამაზე უკეთესი ვერასდროს გახდებოდა. მოგვიანებით მისი ფოტოებიც ვნახე და ვიგრძენი, რომ ამაზე საკაიფო არაფერი მენახა. მინდოდა ასეთი ადამიანი გავმხდარიყავი, ამიტომაც დღეს მის მუსიკას რომ ვუკრავ, ეს მუსიკა ჩემს გულში არსებული განსაკუთრებული ადგილიდან მოდის, იქიდან, სადაც სიხარული და შემეცნების სურვილია. თქვენ მართალი ხართ, როდესაც დღეს მონქს ვუკრავ, მე მისი მუსიკის კოპირებას არ ვცდილობ, მე მისი თავიდან შექმნა მინდა. მონქის შესწავლას დღემდე ვაგრძელებ. მისდამი მიძღვნილი კონცერტების სერიისათვის სახელწოდებით „In My Mind: Monk In Town Hall, 1959“ მე ამერიკელი ფოტოგრაფის იუჯინ სმიტის გადაღებული 40,000 ფოტო დავათვალიერე და გავეცანი მონქის და თაუნ ჰოლის კონცერტისათვის მისი მუსიკის არაფირების ავტორის, ჰოლ ოგერტონის აუდიო ჩანაწერებს. იუჯინ სმიტს ასეთი საუბრების (არა მარტო ოგერტონთან, რა თქმა უნდა) დაახლოებით

3,000 საათი აქვს ჩანერილი. იშვიათად თუ მიეცემა მონქის მუსიკის შემსრულებელ რომელიმე მუსიკოსს იმის საშუალება, რომ მოუსმინოს თუ როგორ ლაპარაკობს მონქი საკუთარ მუსიკაზე. ჩემთვის ეს პროექტი იმაზეა, თუ როგორ შეიძლება პიანისტმა, კომპოზიტორმა, მუსიკოსმა, ამ შემთხვევაში ჩემს თავს ვგულისხმობ, მოყვეს ისტორია თუ როგორ მივიდა ის მონქის მუსიკამდე და როგორ შეიძლება სხვებისთვის იმის გაზიარება, თუ რა ისწავლა მან მონქის მუსიკის მეშვეობით. მონქი დღემდე გამონაკლისი იყო ყველა ჩვენგანისთვის როგორც კომპოზიტორი, პიანისტი და სხვების მიერ დანერგილი მუსიკის ინტერპრეტატორი.

თქვენ დამოუკიდებელი, ფეხმოკიდებული მუსიკოსი ხართ, თანაც ბენდლიდერი, ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ ჩარლზ ლოიდის ბენდში არც სახელის ზედმეტად მოსახვეჭად და არც ფულის გასაკეთებლად არ უკრავთ. რაა ის, რაც წმინდა მუსიკალური თვალსაზრისით გიზიდავთ ლოიდის მუსიკაში და რაც მასთან ყოფნისას საშუალებას გაძლევთ შემდგომ ზრდაში?

პირველ რიგში, ესაა სივრცის აღქმა მის მიერ შექმნილ მუსიკალურ სიტუაციებში, როგორ დაფუძნდა სივრცესთან განსხვავებული დამოკიდებულებით. აგრეთვე, ლოიდთან სწავლობ მუსიკისადმი მგზნებარედ დარჩენას და სვინგს. გრეგ ოსბის (ვის ბენდშიც ჩემი კარიერის დასაწყისში ვუკრავდი) შემდეგ სვინგის ასეთი გრძნობა არავის ჰქონია! მაგარია, როდესაც ისეთ მუსიკოსთან „სვინგაობ“, ვისაც ამის ძალიან დიდი გამოცდილება აქვს. ამ ყველაფერთან ერთად ლოიდი და მისი ბენდი ჩემი, როგორც აკომპანიატორის უნარების გაუმჯობესებაში მეხმარება. ეს განსაკუთრებული უნარია მუსიკოსისთვის, იცოდეს თუ როგორ დაუჭიროს მხარი ბენდის სხვა წევრებს. და ბოლოს, ლოიდი საქსოფონზე არ უკრავს, ის საქსოფონზე მღერის, რადგანაც დაკვრის მისეზური მანერა სიმღერასთან ძალიან ახლოსაა. ჩემთვის დიდი პატივია ყოველ საღამოს მასთან ერთად სცენაზე დგომა.

ერთი ოდნავ ფუქსავატური შეკითხვა მაქვს, – თქვენ მრავალფეროვანი და საოცრად გამთანგველი განრიგი გაქვთ, დღეს ჩარლზ ლოიდთან უკრავთ, ხვალ სოლო კონცერტი უნდა დაუკრავთ, ზეგ დეივ ჰოლანდთან ერთად იდგებით სცენაზე, მაზეგ უკვე თელონიუს მონქის მუსიკას შეასრულებთ ნიუ-იორკში და ასე შემდეგ, თითქმის დაუსრულებლად. ალა-



ვილასამ ერთხელ მითხრა, რომ ზოგი მწერალი თავისი საყვარელი მწერლებს მისთვის მისთვის ვარჯიშობს წერაში, ანუ ის ირჩევს რომელიმე მისთვის მწერლის ნაწარმოებს და უბრალოდ იწერს ტექსტს, რათა კარგად შეიბრძნოს ტექსტის რიტმი. ახალგაზრდობაში მეს ასე ვიქცეოდით – ფავორიტი მუსიკოსების „ტექსტების“ გადაწერით ვიყავი დაკავებული. იბივი ხდება დღესაც.

რაფერს ვამბობ მუსიკოსების იმ მრავალფეროვნებაზე, ვისთან ერთადაც თქვენ შემდგომი ერთი წლის განმავლობაში დაუკრავთ. რამე განსაკუთრებული დისციპლინის მეშვეობით ახერხებთ თავის მოზმას, თუ მაგიას იშველიებთ სულიერი და ფიზიკური ძალების მოსაკრებად?

არ ვიცი, ეს ისაა, რისი კეთებაც ყოველთვის მინდოდა და მინდა გითხრათ, რომ მარტო მე არ მაქვს ასეთი განრიგი. სხვა მუსიკოსებიც ჩემნაირად ცხოვრობენ. დეივ ჰოლანდი, მაგალითად, ერთდროულად ათობით პროექტშია ჩაბმული; ასევე იქცევა ჯექ დე ჟონეტი, დეივ დუგლასი და ჯონ ზორნიცი. შორს ნუ წავალთ, ბოლოს და ბოლოს, თვით მაილზ დევისია ამის დიდებული მაგალითი. მოკლედ ყველა, ვისაც მაგალითად მივიჩნევ, ასეთი ცხოვრობით ცხოვრობდა და ცხოვრობს. ესენი ის ადამიანები არიან, ვინც იწერს ის ველში ცხოვრობენ და ასეთ დროს, ტყუილუბრალოდ იმედოვნებ, რომ არსებობს უფრო იოლი გზები შენივე ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. ჩვენ, ჯაზმენები, მუდამ ჩვენივე კალენდრის გადახედვის პროცესში ვიმყოფებით და ასე ვეჩვევით ერთი სიტუაციიდან მეორეში მოუმზადებლად გადასვლას. ეს მიჩვევის ამბავიცაა. ამდენ პროექტში ერთდროულად ჩაბმულებს, წამდაუნუმ გვინებს ახლებურად ფიქრის დაწყება თანაც ისე, რომ შედეგი მექანიკურობისგან თავისუფალი იყოს. სხვათა შორის, კალენდარი ჩემს ინტერნეტ საიტზე პირველ რიგში ჩემთვისაა განკუთვნილი, რათა თვალყური ვადევნო ჩემივე კონცერტების თანმიმდევრობას და დროზე დავინყო მათთვის მზადება.

და ბოლოს, ეს თქვენი პირველი კონცერტი იქნება არა მარტო საქართველოში, არამედ, ზოგადად, კავკასიაში. რაა თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ახალი მსმენელის შესაგრძნობა?

ენერგიული მუხტი დარბაზში. ენერგია ყველაფერია! ეს მაგრძობინებს მსმენელის მუსიკისათვის მზადების, მისი მოლოდინის ხარისხს. მიყვარს, როდესაც სცენაზე გამოსულს მაყურებლის განსაკუთრებული ენერგია მეგებება ხოლმე. მერე კი, უკვე კონცერტის შემდეგ, კარგია, თუ იმ ადამიანებთან ცოტა დროის გატარების საშუალება მეძლევა. საინტერესოა, თუ როგორ ცხოვრობენ ადამიანები შენთვის უცნობ სივრცეში, როგორ ქაშენ, როგორ სვამენ, როგორ ლაპარაკობენ. ასეთი რამეები ყოველთვის საინტერესოა.



მეფეთა მეფე

მუამარ კადაფის უკანასკნელი დღეები

ავტორი ჯონ ლი ანდერსონი

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ნიუიორკერში“, 7 ნოემბერი 2011

ინგლისურიდან თარგმნა თამარ სუხიშვილმა

როგორია დასასრული? დიქტატორი კვდება, ის შეშლილია, აღარავის სჭირდება და სანოლს მიჯაჭვული სულს ღაფავს; ის საკუთარ თვითმფრინავში ჯდება და აჯანყებულებს გაუბნებს; ის იმალება, მაგრამ ბოლოს მაინც იჭერენ; მას აწამებენ, ან არც აწამებენ; გასისხლიანებულსა და გაბეცებულს ქუჩებში დაათრევენ, მერე კლავენ... დამცირებისა და შეურაცხყოფის ფორმა მრავალგვარია. მერე კი ყოველთვის ერთი და იგივე გამჟღავნდება: პარანოიის გამოვლინებანი, საზარელი ამბები, სისხლისღვრა, შიში, საიდუმლო სამალავები, შეშლილი და აკვიატებული აზრები, გაფლანგული სახელმწიფო ქონება, მეძავები, ოქროს ნაგებობები...

დიქტატურის დამხობისთანავე ინსტინქტურად მივიღებთ დიქტატორთა სასახლეებისკენ, ვცდილობთ გამოვამზეუროთ მათი ამაოება და ფუფუნება – იმეღდას ფენსაცემელი, შაჰის ძვირფასეულობა. ჩვენ ვძარცვავთ და შევბღალავთ ამ ყველაფერს, რათა საბოლოოდ ამოვიძრკოთ. ბაღდადი რომ დაეცა, სადამის სასახლეს ვენწვი და დავათვალიერებ უგემოვნო ხელოვნების ნიმუშები, კუბური სიგარები სადამის კოლექციიდან, ტბები საგანგებოდ მოშენებული გოლიათი თევზებით, დიქტატორის სადიდებლად შექმნილი ბრინჯაოს ქანდაკებები. მე ვნახე ოცდაათწლიანი დიქტატურის შედეგი – ცხედრები საიდუმლო სამარხებში, მათ შორის იმ ერაყელებისა, რომლებიც ერაყის გათავისუფლებამდე სულ რამდენიმე საათით ადრე დახოცეს. ავღანელმა მოლა ომარმა, უბრალო გემოვნების მქონე დესპოტმა, მცირედი დაგვიტოვა: ხელოვნური ყვავილები, რამდენიმე ლენდ კრუიზერი ისლამური მუსიკის კომპაქტ-დისკებით და მოუვლელი ბალი, რომელშიც მისი საყვარელი ძროხა ბაღდადშია.

ლიბიის ამბოხება რომ დასრულდა, თვა-

ლი გადავავლე მუამარ კადაფის ორმოცდაორწლიანი ძალაუფლების ისტორიას. ავტორიტარული რეჟიმისთვის დამახასიათებელი ხაფანგის (იარაღი და ორნამენტი) გარდა, აქ დიდი სიცარიელე დამხვდა, კადაფის მანამ ქვეყანაში არაფრისთვის აღარ დატოვა ადგილი. მსოფლიოს თანამედროვე დიქტატორთა შორის კადაფიზე უარესებიც იყვნენ. ლიბია პატარა ქვეყანა იყო და ამიტომ კადაფის დიდი ასპარეზი არ ჰქონდა, არ მიეცა შანსი, რომ სადამის ან სტალინის მეტოქედ ქცეულიყო. მაგრამ ასეთი თავდაჯერებული და ახირებული დიქტატორი მსოფლიოს ბევრი არ ჰყოლია; ამ მხრივ ფიდელ კასტროს თუ შევადარებთ.

როდის დგება წასვლისთვის შესაფერისი დრო? ნიკოლა ჩაუშესკუს ვერც კი წარმოედგინა, რომ ხალხს სძულდა და როცა მიხვდა, უკვე გვიან იყო.

კადაფიც არსად აპირებდა წასვლას. მასაც ძალიან დააგვიანდა. ხალხმა ლიდერი უარყო, მაგრამ ის კვლავ გამომწვევად პოზიირობდა, მაღალფარდოვანი სიტყვებით ინონებდა თავს. ამბოხების პირველ კვირას მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „მე ჩემს ხალხს ვუყვარვარ“.

დასასრული თანდათან მოდიოდა: ჯერ ამბოხება აღმოსავლეთში, ნატოს მიერ განხორციელებული დაბომბვები, მისრათისა და ზაფის ალყა, ტრიპოლის დაცემა და ბოლოს თამაშის სისხლიანი ბოლო სირტში, ქალაქში, სადაც ის დაიბადა.

მეამბოხეების ტრიუმფს დრამატული ელფერი დაჰკრავდა: ანადგურებდნენ კადაფის ძალაუფლების სიმბოლოებს, გამოჩნდა კადაფის კარიკატურები, შადრევნებში ყრიდნენ „მწვანე წიგნებს“, – კადაფის ექსცენტრული იდეების კრებულს... და მაინც დიდი შემფოთება იგრძნობოდა. წარმოუდგენელი იყო კადაფის გარეშე ცხოვრება.

კადაფი ნამდვილი დიქტატორი იყო, განდიდების მანიით შეპყრობილი; ყველაფერს ხედავდა, ყველაფერს აკონტროლებდა... გარე სამყარო მას გლობალური პოლიტიკის მაკლ ჯექსონად აღიქვამდა: ეს იყო ფიგურა, რომელმაც დიდი სიმდიდრის წყალობით ყოველგვარი უმსგავსობის ჩადენის უფლება მოიპოვა. ტრიპოლის დაცემის შემდეგაც კი არ გამქრალა იმის შიში, რომ კადაფი ისევ დაბრუნდებოდა ხელისუფლებაში.

ერთმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა თქვა: „ასე მგონია, სიბნელიდან გამოვედი და უეცრად მზის სინათლემ მომჭრა თვალი. ბუნდოვნად ვხედავ. ნეტა, რა მოხდება ახლა? ის გენიოსი იყო. მელას ჰგავდა, ძალიან საშიში კაცი აღმოჩნდა. ვერ დავიჯერებ, რომ წავიდა, სანამ მკვდარს არ ვნახავ.“

„კადაფი კი მოვიპოვეთ თავიდან, მაგრამ ახლა რა უნდა ვქნათ? – ამბობს ლიბიის ცენტრალური ბანკის ყოფილი პრეზიდენტი. ჩვენ, ლიბიელები, 1969 წელში ჩავრჩით. უმრავლესობამ არაფერი იცის, გარდა „მწვანე წიგნისა“ და უამრავი ლოზუნგისა. არც სამოქალაქო ინსტიტუტები, არც სამოქალაქო საზოგადოება. კადაფიმ არაფერი არ დაგვიტოვა, მისმა მმართველობამ მხოლოდ მატერიალური და კულტურული ნგრევა მოგვიტანა.“

ბაბ ალ-აზიზია პრეზიდენტის რეზიდენციაა. ახლა აქ ექსკურსიებზე დადიან. „ძირს, ძირს აშშ!“ – ვკითხულობთ შესასვლელში. აქვეა წარწერა: „ჩვენ მუდამ გვეყვარება ჩვენი ლიდერი!“ რეზიდენციაში ყველაზე შთაბეჭედავი წინააღმდეგობის სახლია, სადაც 1986 წლის დაბომბვამდე კადაფი და მისი ოჯახი ცხოვრობდა... მერე დანგრეული შენობა „დიდი ძალების“ მსხვერპლის სიმბოლოდ იქცა. კადაფი ამ ადგილს უცხოელ სტუმართა ვიზიტების დროს თეატრალურ ფონად იყენებდა. ახლა ამბოხებულებმაც

დაარბიეს აქაურობა. ჩემი თვალთ ვნახე, როგორ გამოვარდა ამ სახლიდან შავი აბრეშუმის ხალათში ჩაცმული მემბოხე და როგორ ყვიროდა: „მე ვარ კადაფი, აფრიკის მეფე!“ ისიც მახსოვს, როგორ ცეკვავდა მწვანე მოედანზე ლეოპარდის ტყავში გახვეული მებრძოლი. ის ამბობდა, რომ სამოსი კადაფის გარდერობიდან წამოიღო. ალბათ მისმა ჯადოქარმა ექიმმა აჩუქაო. ამბობებულებს სჯეროდათ, რომ კადაფი მაგიურ ძალას იყენებდა, მმართველობა რომ გაეხანგრძლივებინა.

სამოციანი წლების ფოტოებიდან ოფიცრის ფორმაში ჩაცმული ახალგაზრდა მამაკაცი შემოგვეყურებს, ოცი წლისაა, კარგი აღნაგობის, გაჭიმული დგას, ამაყი გამომეტყველებით. ეს მუამარ კადაფია, მეტსახელად ალ ჯამილი, რაც ლამაზს ნიშნავს. კადაფი 1942 წელს დაიბადა, ალ-ქადაფას ტომში, ბავშვობა ბედუინების უდაბნოში გაატარა ქალაქ სირტის სიახლოვეს. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ლიბიამ თავი დააღწია კოლონიური მმართველობის მარწმუნებს და ფეხზე დადგომა ცდილობდა. 1911 წელს ლიბია იტალიამ დაიპყრო. ლიბიელები 20 წლის განმავლობაში უწევდნენ იტალიას წინააღმდეგობას. იტალიელთა შრომა-გასწორებისა და საკონცენტრაციო ბანაკებში ლიბიის მოსახლეობის მესამედი დახოცა. საბოლოოდ ლიბიელები დამარცხდნენ და ქვეყანაში იტალიელები გაბატონდნენ, სანამ ისინი ბრიტანელებმა არ განდევნეს. ლიბიელთა ოცნლანი ბრძოლა ეროვნული ღირსების შენარჩუნების მაგალითი იყო. მამა ხშირად უყვებოდა პატარა მუამარს ამ ამბებს, ის თავად იყო ამ ბრძოლების მონაწილე, დაიჭრა კიდეც. კადაფის პაპაც ერთ-ერთ ბრძოლაში მოკლეს.

ოჯახი მომთაბარედ ცხოვრობდა, კადაფი ათი წლისა რომ გახდა, სირტის დანყებით სკოლაში გაუშვეს. ბინის ქირაობის საშუალება არ ჰქონდათ და მუამარი ღამეს მეჩეთში ათევდა, შინ შაბათ-კვირას მიდიოდა ხოლმე, აქლემზე ან ვირზე ამხედრებული. მერე საბჭოს საშუალო სკოლაში გადავიდა, სწორედ აქ ეზიარა ეგვიპტის ლიდერის, გამალ აბდელ ნასერის იდეებს. ამ იდეებით შთაგონება მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა. ნასერმა დააარსა რევოლუციური ჯგუფი „თავისუფალი ოფიცრები“ და 1952 წელს მეფე ფარუქი ჩამოაგდო. როცა ნასერი პრეზიდენტი გახდა, მან დასავლეთის აღმფოთება გამოიწვია სუეცის არხის ნაციონალიზაციის გამო. ნასერის მსგავსად, კადაფიც პანარაბისტული იდეებით იყო შეპყრობილი, ძლიერ

თანაუგრძობდა პალესტინელებს და უცხოელების მიმართ სიძულვილს არ მალავდა. განსაკუთრებით ვერ იტანდა ბრიტანელებს, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის დროს ხელში ჩაიგდეს ლიბიის სამხედრო საქმის მართვის სადავეები. მართალია, ფორმალურად ლიბიამ მეფე იდრისის დროს დამოუკიდებლობა მიიღო, მაგრამ იდრისის ზურგს უკან ბრიტანეთი იდგა და ფაქტობრივად ეს პროტექტორატი იყო. სკოლაში კადაფიმ ნასერის ფოტო ააფრიალა და პრობლემებიც შეექმნა. ბოლოს სკოლიდან გარიცხეს, როგორც პროტესტების ორგანიზატორი.

1963 წელს კადაფი ლიბიის სამხედრო აკადემიაში შევიდა. ბარნი ჰოუელი, რომელიც იმ დროს აკადემიაში მსახურობდა, კადაფის

კადაფი კიდეც უფრო რაიქება, ოთახის კედელზე ბედუინების კარვის სურათი ჩამოკიდა. ლონდონში პირველად რომ ჩავიდა, ტრადიციული ლიბიური სამოსი ეცვა; ასე გაისერნა პიკადილიზე. იმდროინდელი ფოტოც შემონახულია: ქედმოუხრელი კადაფი თავანუელი დგას: „ეს ჩემი გამონვევა იყო. თვითდამკვიდრების სურვილი მამოძრავებდა, – განმარტავდა კადაფი, – ჩვენ გვეშთათქა დასავლურმა ცივილიზაციამ, რომელიც ჩვენს ღირებულებებს ეწინააღმდეგება.“

ბუნტისთავად მოიხსენიებს. მწყობრში დგომისას მეთაური შენიშვნას თუ მისცემდა, კადაფი ზედ აფურთხებდა. ჰოუელმა ერთხელაც დაასმინა და კადაფი მკაცრად დასაჯეს. „რასაკვირველია, ამის მერე დასავლური სამყაროსადმი სიყვარული არ გაუმძაფრდებოდა, მაგრამ აბა, რა უნდა მექნა?“ – იხსენებს ჰოუელი.

1966 წლის აპრილში 23 წლისამ პირველად დატოვა ლიბიის საზღვრები. კადაფი ახალგაზრდა ოფიცერთა ჯგუფთან ერთად ინგლისში გაგზავნეს ტრენინგპროგრამით, ბეკონსფილდის სამხედრო აკადემიაში. პირველივე შეხვედრამ ბრიტანელ ოფიცერთან უსიამოვნოდ ჩაიარა; „ნამდვილი მახინჯი ბრიტანელი კოლონიალისტი“, რომელსაც „არაბები სძულს“, – ასე იხსენებდა მას მოგვიანებით კადაფი. ბრიტანელებთან კონტაქტისთვის

თავი რომ აერიდებინა, კადაფი თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ინგლისური არ ესმოდა. რამდენიმედღიანი „შევიწროებისა და შეურაცხყოფის“ შემდეგ ლიბიელ ჯგუფებებთან ერთად სხვა ინსტიტუტში გადაიყვანეს. „აქ შევხვდით ჩვენს არაბ ძმებს იემენიდან, საუდის არაბეთიდან და ერაყიდან; მაგარი ჯგუფი შეიქმნა,“ – ამბობდა მოგვიანებით.

კადაფი კიდეც უფრო რაიქება, ოთახის კედელზე ბედუინების კარვის სურათი ჩამოკიდა. ლონდონში პირველად რომ ჩავიდა, ტრადიციული ლიბიური სამოსი ეცვა; ასე გაისერნა პიკადილიზე. იმდროინდელი ფოტოც შემონახულია: ქედმოუხრელი კადაფი თავანუელი დგას: „ეს ჩემი გამონვევა იყო. თვითდამკვიდრების სურვილი მამოძრავებდა, – განმარტავდა კადაფი, – ჩვენ გვეშთათქა დასავლურმა ცივილიზაციამ, რომელიც ჩვენს ღირებულებებს ეწინააღმდეგება.“

ლონდონის რიტმი ლიბიის უდაბნოდან გადმოხვენილი ახალგაზრდა ოფიცრისთვის შოკისმომგვრელი იყო. რამდენიმე წლის წინ მან ინტერვიუში განაცხადა, რომ ლონდონის კულტურული ცხოვრებით არ დაინტერესებულა, თავისუფალ დროს ქალაქარეთ გადიოდა ხოლმე. ტრენინგის დამთავრებისთანავე შინსიკენ გაემურა. ბრიტანეთში განსაკუთრებით შთამბეჭდავი არაფერი უნახავს, მაგრამ ბევრი რამ ნახა ისეთი, რამაც ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. შინდაბრუნებულმა თქვა: „ახლა კიდეც უფრო მეტად ვინამე და მუამაყება ჩვენი ღირებულებები, იდეალები, მემკვიდრეობა და ხასიათი.“

ლიბიაში რომ დაბრუნდა, ნასერის იდეებით შთაგონებულმა იატაკქვეშა ნაციონალისტური ჯგუფი შექმნა. ამ მოძრაობასაც თავდაპირველად „თავისუფალ ოფიცრებს“ ეძახდნენ. რამდენიმე წელიწადში ვითარება მათ სასარგებლოდ შემოტრიალდა. იდრისი უკვე მოხუცდა, ავადმყოფობდა და აღარც სახელმწიფოს მართვა აინტერესებდა. 1969 წელს „თავისუფალმა ოფიცრებმა“ მისი ქვეყნიდან გასვლით ისარგებლეს და ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს.

ნასერისა და ომარ მუხთარის, ლიბიის უდიდესი ისტორიული გმირის, სულისკვეთებით გამსჭვალულმა კადაფიმ ლიბიელთა ბაზებიდან ბრიტანელებისა და ამერიკელების გაყვანა მოითხოვა. ქვეყნიდან განდევნეს 20 ათასი იტალიელი და ქონებაც ჩამოართვეს. მოგვიანებით საფლავიდან ამოთხარეს და ქვეყნიდან გაიტანეს იმ იტალიელების ძვლებიც, რომლებიც ლიბიის ტერიტორიაზე იყვნენ დამარხული.

იდრისის მემკვიდრეობად ლიბიას აყვავე-

ბული ნავთობის ინდუსტრია დარჩა. ამით კადაფის „ეკონომიკური სუვერენობის“ გაძლიერების შანსი მიეცა. მან დასავლეთის ნავთობკომპანიებთან ნამოინყო მოლაპარაკებები. ჰენრი შულერი, ამერიკული ნავთობკომპანიის წარმომადგენელი, ჰყვება: „კადაფიმ გაიმარჯვა. ამ გამარჯვებამ მას დაანახა, რომ თუ მაგრად მიაწვებოდა, რასაც კი მოისურვებდა, ყველაფერს მიიღებდა“.

კადაფიმ ლიბიის ნავთობიდან მიღებული შემოსავალი გაათხზა და ეროვნულ გმირად იქცა. ამ იოლად მოპოვებულმა გამარჯვებამ განამტკიცა მისი ავტორიტეტი და საფუძველი დაუდო კადაფის ქცევის მოდელს, რაც არასოდეს შეცვლილა: „კადაფი მიხვდა, რომ ყველა ადამიანს აქვს თავისი ფასი. სწორედ ამან განაპირობა, რომ ის ამდენი ხნის განმავლობაში დარჩა ძალაუფლების სათავეში“, – ამბობს შულერი.

ერთხელ ტრიპოლის შემოგარენში ვსეირნობდი და „კადაფის ფერმას“ ჩაეუარე, როცა ვიკითხე, გარშემო ამ სახლებში ვინ ცხოვრობს-მეთქი, მიპასუხეს: ეს ყველაფერი კადაფის ეკუთვნოდაო“. მერე საცხენოსნო კლუბის სანახავად წავედი. ისიც კადაფის საკუთრება იყო. მისი კუთვნილი სხვა შენობების მსგავსად, ესეც თავდაცვითი ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ოფისის შენობაზე წარწერა შეენიშნე სამთავრობო ნიშნით. ჩემმა მეგობარმა თარჯიმანმა გადმომითარგმნა: „მთავარი მეთაურის თავდაცვის კოლეჯის დროებითი კომიტეტი“. ვიკითხე: რას ნიშნავს-მეთქი? ამისხნა: „გაუგებრობა – ეს კადაფის ეპოქის ცხოვრების საფუძველია. არ ვიცით, ეს რა კომიტეტებია. არც არასოდეს ვიცოდით. გრძელი სახელები ერქვათ და შინაარსი არ ჰქონდათ“.

წინასწარგანზრახული მისტიფიკაცია ავტოკრატებისთვის ჩვეული ტაქტიკაა. კადაფი გაბუნდოვანებისა და გასაიდუმლოების დიდოსტატი იყო. მას თითქმის არ გაუცია პასუხი არცერთ მნიშვნელოვან კითხვაზე.

სად ცხოვრობდა? რა ხდებოდა ამ გაუგებარსახელწოდებებთან შენობებში? სად წავიდა ნავთობის ფული? როგორ მოხდა, რომ ამ რეჟიმმა უამრავი პოლიტიკური პატიმარი გამოასალმა სიცოცხლეს? როგორ მოხდა, რომ წლების განმავლობაში არ გახმაურებულა 1996 წლის აბუ სალიმის ერთდღიანი სისხლისღვრის საიდუმლო?

როგორც ჩანს, ლიბიაში არავინ არაფერი იცოდა. კადაფიმ შექმნა უმეტარი სახელმწიფო და ასეთი სახელმწიფო დატოვა.

1979 წელს იტალიელმა ჟურნალისტმა

ორიანა ფალაჩიმ კადაფის ტრიპოლიში ინტერვიუ ჩამოართვა. კადაფი უკვე 10 წლის მოსული იყო ხელისუფლებაში და საკანონმდებლო სისტემის გარდაქმნაზე მუშაობდა. მან დაწერა სახელმძღვანელო „მწვანე წიგნი“ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გარდაიქმნას საზოგადოება.

ფალაჩიმ ეს წიგნი აგდებით მოიხსენია, ჩემი პუდრის კოლოფზე თხელია, 15 წუთში წავიკითხეო. კადაფიმ გააპროტესტა, მან განაცხადა, რომ ამ წიგნს წლების განმავლობაში წერდა, დასკვნების გამოტანის დროს კი ორაკულის სიბრძნის სტადიაში იმყოფებოდა. „რასაკვირველია, ჟურნალისტმა კარგად ვერ წაკითხა და არსი გამორჩა: ეს არსი ჯამაპირიაა“. ჯამაპირია კადაფის მოგონილი სიტყვაა და ითარგმნება როგორც „სახალხო სახელმწიფო“.

„პარლამენტი ხალხის დამახინჯებაა“, ხოლო პარტიული სისტემა „დიქტატურის თანამედროვე ფორმას“ წარმოადგენს, – ვკითხულობთ „მწვანე წიგნში“. კადაფიმ ორივე ინსტიტუტს გააუქმა და ისინი სახალხო კომიტეტებით ჩაანაცვლა, რომელთა ნევრობაც თეორიულად ნებისმიერ ადამიანს შეეძლო. სახალხო კომიტეტებს ხალხის სურვილი საყოველთაო სახალხო კონგრესამდე უნდა მიეტანათ. კადაფიმ ოფიციალურ პირთა რიცხვი მინიმუმამდე დაიყვანა: ძმობის ლიდერი და რევოლუციის მეგზური. ფალაჩისთან საუბარში მან განაცხადა, რომ შექმნა ისეთი სახელმწიფო, სადაც „არც მთავრობაა, არც პარლამენტი, არც გაფიცვები... და ეს ყველაფერი არის ჯამაპირია“. როცა ჟურნალისტს ჩაეცინა, კადაფიმ შენიშნა: „როგორი ტრადიციონალისტები ხართ ეს დასავლელები, მხოლოდ დემოკრატია, რესპუბლიკა და ასეთი მოძველებული რამეების გაგება შეგიძლიათ... ახლა კაცობრიობა ახალ ეტაპზე გადავიდა და შექმნა ჯამაპირია. სწორედ ეს არის გამოსავალი“.

„მწვანე წიგნი“ უარყოფდა კომუნიზმსა და კაპიტალიზმს; მისი მტკიცებით, ეს სისტემები მოქალაქეებს ქვეყნის სიმდიდრით სარგებლობის საშუალებას არ აძლევდა. კადაფიმ რადიკალური ეკონომიკური რეფორმა გაატარა, გააუქმა კერძო საკუთრება; 1978 წელს, მისი ბრძანების თანახმად, ყველა საწარმო მუშებს გადაეცა, ყველა მენეჯერი გადააყენეს თანამდებობიდან და მათი ადგილი რევოლუციურმა კომიტეტებმა დაიკავეს. იგივე მოხდა სკოლებსა და საავადმყოფოებში.

ანალოგიური დამანგრეველი ტაქტიკა გამოიყენა კადაფიმ პოლიტიკაშიც. ლიბია 10 ადმინისტრაციულ რაიონად დაყო, მერე ეს

რიცხვი 55-მდე გაიზარდა, შემდეგ შემცირდა ჯერ 48-მდე, მერე – 28-მდე... ყოველ ჯერზე თანამშრომლების მუდმივი წმენდა ხდებოდა, დიდი ხნით თანამდებობას ვერავინ შეინარჩუნებდა.

ლიბიის ერთ-ერთი ცნობილი ბიზნესმენის – ჰუსნი ბეის აზრით, კადაფიმ უშუალო პასუხისმგებლობის მინიმუმამდე დაყვანით ძალაუფლების გამოყენების სისტემა განავითარა. „ის არაფერს არ წერდა. ბრძანებებს მდივნებს კარნახობდა და ასე გადასცემდა მინისტრებს. არსებობდა მდივანთა ჯგუფი „ელ ქალამი“, რომელშიც ყველა სფეროს საკუთარი წარმომადგენელი ჰყავდა, წარმომადგენელი ნავთობის საკითხებში, უმიშროების საკითხებში და ა.შ. მდივნებიც არაფერს არ წერდნენ, დაიბარებდნენ მინისტრს და ბრძანებას გადასცემდნენ. მინისტრიც ბრძანებას ასრულებდა, იცოდა, რომ დავალება უშუალოდ კადაფისგან მოდიოდა. ასე მუშაობდა სისტემა, რომელსაც ელემენტარული პასუხისმგებლობისა და ანგარიშგების მექანიზმიც კი არ ჰქონია.“

მმართველობის დასაწყისში კადაფიმ გამოაქვანდა თავისი პანარაბისტული შეხედულებები, ის მხარს უჭერდა პალესტინას, მტრული დამოკიდებულება ჰქონდა ისრაელის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის „იმპერიალისტური ხელისუფლების“ მიმართ. სა მოცდათიანი წლების დასაწყისში ამერიკამ ლიბიიდან თავისი ელჩი გამოიხმო. კადაფიმ, რომელმაც დასავლეთთან ურთიერთობის გზა მოიჭრა, მოსკოვისგან იარაღის შესყიდვა დაიწყო; ჯარის გაძლიერებაზე ზრუნავდა, ასობით ტანკსა და რეაქტიულ თვითმფრინავს ყიდულობდა...

პალესტინელებისადმი კადაფის დაუფარავი მხარდაჭერით უკმაყოფილება გარდუვალი იყო. 1972 წელს ის სიხარულით შეეგება მიუნხენის ოლიმპიური თამაშების დროს მომხდარ ტერაქტს, რომლის დროსაც ისრაელის თერთმეტი მოქალაქე დაიღუპა. როგორც ამბობდნენ, კადაფი აფინანსებდა ამ ტერაქტის ორგანიზატორ პალესტინელთა ჯგუფ „შავ სექტემბერს“, ეხმარებოდა IRA-ს, იტალიის წითელ ბრიგადებს, ვენესუელელ მკვლელ ილიჩ რამირეს სანჩესს, პარტიზანთა რაზმებს აფრიკაში, ლათინურ ამერიკასა და ფილიპინებზე...

კადაფის არაპოპულარული პოლიტიკური ქმედებებიდან ცნობილია უგანდის ეპიზოდიც. კადაფი უგანდაში შეიჭრა დიქტატორ იდი ამინის დასაცავად. ინტერვიუში კადაფიმ დაიცვა ამინი, თუმცა არ დაუმალავს, რომ შესაძლოა არ მოსწონდა უგანდელი დესპო-

თარგმანი



1



2



3



4



5



6



7



1. ეთიოპია, ადის აბება, 1983 წლის 6 ივნისი. კადაფი ესწრება აფრიკელ ლიდერთა შეხვედრას, რომელზეც აფრიკის გაერთიანების მე-19 ორგანიზაციის გახსნისთვის ემზადებიან. ლიბიის ლიდერს ლიმუზინთან დაცვის სამსახურის თანამშრომელი ქალი ელოდება.

2. 7 ოქტომბერი, 2004. კადაფი და იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი ბუნებრივი აირის მილსადენის საზეიმო გახსნის დროს. ეს იყო მრავალი მილიარდი დოლარის ღირებულების პროექტი, რომელიც ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეშ გაშვებული მილსადენით ამ ორ ქვეყანას ერთმანეთს დაუკავშირებდა.

3. საფრანგეთი, 10 დეკემბერი, 2007. კადაფის პირველი ოფიციალური ვიზიტი დასავლეთში მას შემდეგ, რაც მან დაგმო ტერორიზმი და მასობრივი განადგურების იარაღი.

4. 41 წლის წინ მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომელმაც დაამხო მეფე იდრისი და ძალაუფლება მუამარ კადაფიმ ჩაიგდო ხელში.

5. მწვანე მოედანი ქალაქ ტრიპოლიში. მიტინგი რეჟიმის მხარდასაჭერად. კადაფის მომხრე ყვირილით მიუთითებს ლიბიის ლიდერის ფოტოზე. კადაფი ღიად ამარაგებდა იარაღით თავის მხარდამჭერ მშვიდობიან მოქალაქეებს, რათა მათ დაეფუძნებინათ საკონტროლო პუნქტები, ეწარმოებინათ დედაქალაქის პატრულირება და ჩაეხშოთ მეამბოხეთა გამოსვლები.

6. პრეზიდენტი ბარაკ ობამა და კადაფი დიდი რვიანის/დიდი ხუთეულის სამიტზე ქალაქ აკვილაში (იტალია), 9 ივლისი, 2009.

7. დაჭრილი ლიბიელი მეამბოხე ქალაქ სირტში, კადაფის უკანასკნელ თავშესაფარში. 19 ოქტომბერი, 2011.

8. მუამარ კადაფი

9. კადაფის მომხრეების სასაფლაო მისრათაში.

10. 13 ივნისი, 1999. კადაფისა და ნელოსონ მანდელას შეხვედრა. ეს ლიბიის წინააღმდეგ მიმართული სანქციების გაუქმების შემდეგ კადაფის პირველი ვიზიტია უცხოეთში. ის მხარს უჭერდა სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტსა და აფრიკის ეროვნულ კონგრესს აპარტეიდთან ბრძოლაში.



ტის საშინაო პოლიტიკა, ხალხის წამება და მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, მაგრამ ამინი მუსულმანი იყო და ისრაელის მონინაალმდეგე, და ამ შემთხვევაში ეს იყო მნიშვნელოვანი.

ბრიტანელმა ჟურნალისტმა კეიტ დუ-რიანმა ოთხმოციან წლებში არაერთხელ იმოგზაურა ლიბიაში. „კადაფი რეალობის ზღვარს მიღმა გავიდა. ეს იყო მისი უკონტროლო ძალაუფლებისა და მედიის გადაჭარბებული ყურადღების შედეგი. ნებისმიერი სტატიის პირველ აბზაცში კადაფი მოხსენიებული იყო როგორც „საოცრად ლამაზი“. ეს ალბათ თავში აუფარდა, – მიიწვეს დურიანი, – ერთხელ მან უდაბნოში წაგვიყვანა, რათა გვეჩვენა მდინარე, რომელიც უდიდესი ადამიანის ხელმა შექმნა. ეს მისი მრავალმილიარდიანი პროექტი იყო, რომელიც საჰარის ნიადაგის წყლოვანი ფენიდან მიანოდებდა წყალს სანაპიროზე მდებარე ქალაქებს. ბევრი ვიყავით: ჟურნალისტები, დიპლომატები, ოფიციალური პირები... იქამდე გვალოდინა, სანამ მზე მარჯვნივ არ გადაიხარა, იმისათვის რომ კარგად დაგვეჩვენა ცხენზე ამხედრებული კადაფი, რომელსაც მარჯვენა მხარეს მზე დაჰნათოდა.“

ჯამაჰირიას სული თავისი არსით ფემინისტური იყო, მაგრამ კადაფის თავისებური წარმოდგენა ჰქონდა ქალების შესახებ. „მწვანე წიგნი“ ის ქალებს ლამის ზოოლოგიურ ჭრილში განიხილავს. მართალია, მან ქალებს მანქანის მართვის უფლება მისცა, მაგრამ მოგვიანებით ამ გადაწყვეტილების მიღება ქალების მამებსა და ქმრებს მიანდო. მას დაცვაშიც ჰყავდა ქალები – რევოლუციის მონაზნეები. ამით კადაფი ფემინიზმისადმი მხარდაჭერის დამტკიცებას ცდილობდა, თუმცა სხვები სხვაგვარად ფიქრობდნენ: კადაფი დარწმუნებული იყო, რომ არაბი მამაკაცი არასოდეს ესროდა ქალს.

1986 წელს, ბერლინის დისკოთეკის ტერაქტის შემდეგ, დურიანი ტრიპოლიში პრესკონფერენციას ესწრებოდა. კადაფი ქალებს ათვალთვლებდა და რალაცებს ინიშნავდა. მერე გაიგეს, რომ ქალებს არჩევდა. პრესკონფერენციიდან წამოსული ჟურნალისტების ავტობუსი გზაში გააჩერეს, ავტობუსში ვიღაც კაცი ამოვიდა და დურიანს უთხრა, გამომყევით. ის ბაბ ალ-აზიზიაში მიიყვანეს. იქ კადაფის მიერ შერჩეული კიდევ რამდენიმე ქალი იცდიდა. კადაფიმ დურიანს შეხედა და არაბულად თქვა: ეს ისაა, ვინც მინდა. მერე მეორე ქალს გადახედა, ისიც დურიანივით შავგვრემანი იყო: ეს კი ბედუინის ჰვავს, ვერ გადამიწყვეტია, რომელი ავირჩიო.

კადაფიმ თავის საყვარელ უცხოურ წიგნებსა და მუსიკაზე ილაპარაკა: „ბიძია თომას ქობი“, „აუტსაიდერი“, ბეთჰოვენის სიმფონიები. მერე მეორე შავგვრემანი ქალი გვერდითა ოთახში გაიყვანა. მოგვიანებით, იმ ქალმა დურიანს უამბო, ხელი მტაცა, სიყვარულში გამომიტყდა და მითხრა, რომ ჩემი ცოლად შერთვა სურდა.

ერთი კვირის შემდეგ დურიანი სხვა ქალებთან ერთად კადაფის კარავში ოჯახურ შეკრებაზე იყო დაპატიჟებული. იქ ტრიალებდა კადაფის ცოლი საფაც ბავშვებთან ერთად. კადაფიმ მოულოდნელად ოჯახის წევრები სადღაც გაუშვა და სტუმრები ბაბ ალ-აზიზიაში ჩაიხე დაპატიჟა. „ხელი მტაცა და ოთახში შემიყვანა, – ჰყვება დურიანი, –

**„ერთხელ
ტრიპოლისაკენ
ვივლიოდი, მთელ
გზაზე მკვდარი
აქლემები იყარა.
კადაფიმ გადაწყვიტა,
რომ ტრიპოლიში
აქლემები თუ
ივლიდნენ,
ეს ქალაქს
ჩამორჩენილ
იერსახეს
მისცემდა და
გზაზე მიმავალი
ყველა აქლემი
დაახოცინა“.**

ოთახში ბნელოდა, იქ დიდი სანოლი იდგა. ტელევიზორი ჩართული იყო, ეს ტელევიზორი მხოლოდ ერთ არხს აჩვენებდა და მხოლოდ მის გამოსვლებს. სანოლზე წამოწვა და მითხრა, ჩამოგექითო. მე უკან გავიწვი. გოგო ხარ თუ ქალი? – შემეკითხა. გოგო, – ვუთხარი მე და ავუსხენი, რომ ყველა დასავლელი ქალი უყოფაქცევო არ არის“.

დურიანი ცდილობდა ლაპარაკით შეექცია კადაფი და მისი ყურადღება რამე სხვა თემაზე გადაეტანა. ის ლაპარაკობდა თავის სომხურ წარმომავლობაზე, პოლიტიკაზე, ყველაფერზე. „რეიგანზე მკითხა, ნამდვილად ასეთი პოპულარულია? როგორც ჩანს,

მისი პიროვნებით ძალიან იყო ატაცებული. იმ დროს კადაფი ბევრს არ მოგზაურობდა. მივხვდი, რომ შეგეძლო მისთვის რალაცები შენებურად აგეხსნა, ისე როგორც ბავშვისთვის. ის საკუთარ ილუზიაში ცხოვრობდა, მაგრამ ამ ილუზიის მიღმა დიდი მიამიტობა იკითხებოდა.“

ბოლოს დურიანმა სთხოვა, წავალო. ნუ გეუხერხულებათ, – უთხრა კადაფიმ წასვლის წინ, „შუბლზე მაკოცა და გამიცინა: სომხური წინააღმდეგობა ძალიან ძლიერი ყოფილა“.

კადაფის მმართველობის პირველ ხანებში ჯამაჰირია ნამდვილი შება აღმოჩნდა ბევრი ლიბიელისთვის. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 85 პროცენტი გაუნათლებელი იყო, უფასო განათლების პროგრამის შემოღების შემდეგ წერა-კითხვის მცოდნეთა დონემ 50 პროცენტს მიაღწია. უფასო იყო სამედიცინო მომსახურებაც. თუ იდრისის მმართველობის დროს ერთი მოსახლის საშუალო წლიური შემოსავალი 2 ათას დოლარს შეადგენდა, ახლა წლიური ხელფასი 10 ათასი გახდა. ამ პროგრამების გარანტი იყო ეკონომიკა, რომელიც ნავთობის უმდიდრეს რესურსებს ემყარებოდა. 1973 წლის მსოფლიო ნავთობის კრიზისმა ფასების საგრძნობი ზრდა გამოიწვია და ლიბიას ბედმა გაუღიმა. მაგრამ კადაფის მიერ კერძო საკუთრების აკრძალვამ საკვებისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების დეფიციტი შექმნა: ბანანიც კი ფუფუნების საგნად იქცა.

„თითქმის მთელ სამუშაოს უცხოელები ასრულებდნენ, ლიბიელები კი მთელ დროს ჩაიხანებში ატარებდნენ უსაქმურად, – იგონებს დევიდ სალივანი სან-ფრანცისკოდან, რომელიც ერთხანს ლიბიაში მუშაობდა, – ერთ მშვენიერ დღეს კადაფის ეს აღარ მოენონა, – ჩაიხანებში დროსტარება გარეშე თვალს ლიბიელ მამაკაცთა სიზარმაცეზე მანიშნებდა და ჩაიხანების დახურვის ბრძანება გასცა. ჩაის ვყიდულობდი, ეს ბრძანება ძალაში რომ შევიდა, რა თქმა უნდა, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე. მანქანებიდან ჯარისკაცები გადმოხტნენ და ჩაიხანა დაარბიეს, ხალხს სცემდნენ, მაგიდები დალენეს და ჭურჭელი დაამტვრიეს.“

სალივანი დარწმუნდა, რომ კადაფი შემოწმებული იყო და მან ლიბია შემოწმებული თავს შესაფრად გადააქცია: „ერთხელ ტრიპოლისაკენ მივდიოდი, მთელ გზაზე მკვდარი აქლემები ეყარა. კადაფიმ გადაწყვიტა, რომ ტრიპოლიში აქლემები თუ ივლიდნენ, ეს ქალაქს ჩამორჩენილ იერსახეს მისცემდა და გზაზე მიმავალი ყველა აქლემი დაახოცინა.“

მამობრივი ზრუნვისა და ძალადობის ეს ნაზავი გასაკვირი არაა. როგორც ერთმა ყოფილმა ლიბიელმა დიპლომატმა მითხრა: „რეჟიმის იდეოლოგია ისეთი დამაჯერებელი არ ყოფილა, სამაგიეროდ, ტერორი იყო ძალიან ეფექტური.“ კადაფის საიდუმლო პოლიციამ და რევოლუციურმა კომიტეტებმა ინფორმაცორთა დიდი ქსელი გააბეს...

ურჩ სტუდენტებსა და პოლიტპატიმრებს სასტიკად ეპყრობოდნენ. ჩამოხრჩობა სიკვდილით დასჯის გავრცელებული ფორმა იყო. ჩამოხრჩობის რიტუალი ხშირად ტარდებოდა უნივერსიტეტების ბაზაზე, სტუდენტებსა და მათ მშობლებს ამ პროცესზე დასწრებას აიძულებდნენ. ყველაზე გახმაურებული იყო 1984 წელს ახალგაზრდა კაცის, სადიქ ჰამედ შვეჰდის დასჯა. მას ტერორიზმში სდებდნენ ბრალს. პროცესი ბენ-ლაზის კალათბურთის სტადიონზე გაიმართა. ასობით სკოლის მოსწავლე იძულებით მიიყვანეს დასასწრებად. პროცესი პირდაპირ ეთერში გავიდა ეროვნული ტელევიზიით. შვეჰდი მუხლებზე იდგა და ცრემლმორეული აღსარებას ამბობდა, ნანობდა, რომ ამერიკაში სწავლის დროს საქმე დაიჭირა „გზა-აბნეულ ძალებთან“ (ასე ეძახდა კადაფი თავის მონინალმდეგებს). როდესაც სიკვდილმისჯილს ყულფში გააყრევიანეს თავი, სწორედ ამ დროს გამოჩნდა ჰუდა ბენ ამერი, მწვანე ფორმაში გამონყობილი ახალგაზრდა მოხალისე ქალი, ფეხებში ხელი ჩასჭიდა და მთელი ძალით ჩამოჰქაჩა. ამ რევოლუციური განწყობის სანახაობისთვის კადაფიმ ბენ ამერი დააჯილდოვა: ორი ვადით ქალაქ ბენ-ლაზის მერი გახდა.

ტრიპოლიში მოჰამედ ელ ლაგის შევხვდი. ის არმიაში საგარეო საქმეთა მთავარ ოფიცრად მსახურობდა. ის ფარულად გადავიდა მონინალმდეგე მხარეს და ომარ მუხთარის ბრიგადას შეეკრა ჯერ კიდევ მაშინ, როცა რეჟიმისთვის მუშაობდა.

„არავის ანაღვლებდა თავად ლიბიის არმიის მდგომარეობა, მაგრამ თუ ვინმე კადაფის კრიტიკას გაბედავდა, მყისვე ჯოჯოხეთის რისხვა დაატყდებოდა თავს,“ – ამბობს ელ ლაგი.

იატაკზე მუყაოს ყუთები აწყვია, მაგნიტოფონის ფირებით სავსე. ელ ლაგი გვიხსნის, რომ ეს კადაფის შეხვედრების საიდუმლო ჩანაწერებია: „აქ არის აფრიკელ ლიდერებთან შეხვედრის ჩანაწერი, ეს კი 2009 წელს ჩადის პრეზიდენტის სასახლეშია ჩანერილი... ეს იყო კადაფი. მას უშიშროება ყველგან ჰყავდა!“

კადაფის მმართველობის პერიოდში რვა-

ჯერ იყო გადატრიალების მცდელობა, რამდენჯერმე მისი მოკვლაც ცდადეს. აგვისტოს ერთ საღამოს ჩემთან შავით მოსილი ქალი მოვიდა, ხელში სამხედრო ოფიცრის შავთეთრი ფოტო ეჭირა. გამეცნო. ფატმა აბუსაბა ერქვა, მისი ქმარი, რომლის ფოტოც მაჩვენა, კადაფის რევოლუციური დაჯგუფების „თავისუფალი ოფიცრების“ წევრი იყო. ფატმამ მიაბო, რომ 1975 წელს ოფიცრთა ერთი ჯგუფი, მათ შორის, მისი ქმარიც, შეთქმულებას ამზადებდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ კადაფიმ რევოლუციის პრინციპებს უღალატა. მაგრამ შეთქმულება ერთმა ახალგაზრდა ოფიცრმა გასცა და ისინი სამხედრო სასამართლოს წინაშე წარდგნენ. ორი პროცესი გაიმართა. პირველ პროცესზე ოფიცრებს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, აპელაციის შემდეგ კი ეს განაჩენი სიკვდილით დასჯით შეცვალეს. 22 ოფიცერი სიცოცხლეს გამოასალმეს. „არ ვიცით, სად არიან დაკრძალული, გლოვაც კი აგვიკრძალებს,“ – მითხრა ფატმამ, რომელიც ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად სახლიდან გამოაგდეს და სახლის კარი ნითელი ცვილით დალუქეს: არავის ჰქონდა იქ შესვლის უფლება.

ხშირად ისმოდა კითხვა, ვინ მოვიდოდა ხელისუფლებაში კადაფის შემდეგ. პასუხის გაცემა რთული იყო. კადაფის ცხრა შვილიდან 8 ვაჟია, უფროსი ვაჟი მუჰამედი 1970 წელს დაიბადა, ის პირველი ცოლისგან ფატიჰასგან ჰყავს. მალე კადაფი გაშორდა ფატიჰას და საფია მოიყვანა ცოლად, ექთანი, რომელთანაც 6 ვაჟი და ერთი ქალი შეეძინა: სეიფ ალ-ისლამი, საადი, ჰანიბალი, აიშა, მუატასიმი, სეიფ ალ-არაბი და ხამისი. მეშვიდე ვაჟი მილადი იშვილეს.

კადაფის შთამომავლები კმაყოფილი იყვნენ ფუფუნებაში ცხოვრებით. კადაფის რამდენიმე ვაჟს მრჩველის თანამდებობა ეკავა, მინისტრებზე გაცილებით მეტი ძალაუფლება ჰქონდათ. ხამისი მეთაურობდა ლიბიის ელიტარულ სამხედრო კორპუსს – ხამისის ბრიგადას, რომელმაც მისრათის ალყის დროს ათასზე მეტი მოქალაქე იმსხვერპლა. მუჰამედი ტელეკომუნიკაციების კომპანიას მართავდა, მას ჰქონდა მონოპოლია სატელეტივსა და მობილურ ტელეფონებზე; ჰანიბალი ლიბიის საზღვაო-სატრანსპორტო კომპანიის უფროსი იყო, ამ კომპანიას ნავთობის გადაზიდვა ევალებოდა. ლიბია აყვავებულ საოჯახო ბიზნესს უფრო ჰგავდა, ვიდრე სახელმწიფოს.

ამისდა მოუხედავად, კადაფი დიდად არ ზრუნავდა კანონიერი მემკვიდრის აღზრდაზე, ის შვილების ერთმანეთთან მეტოქეობით

უფრო ჩანდა დაინტერესებული. მაინცდამაინც დიდი არჩევანიც არ ჰქონია. საადს ბისექსუალისა და დილეტანტის რეპუტაცია ჰქონდა. მამამ მას სამხედრო ბრიგადის კონტროლი ჩააბარა, მაგრამ საადს ეს არ აინტერესებდა. ერთხანს იტალიურ ფეხბურთის გუნდში თამაშობდა, სანამ დოპინგზე არ აიღეს ეჭვი; მერე კინოპროდუქციის კომპანია შექმნა, რომელმაც ასობით მილიონი დოლარი გამოიყო ჰოლივუდში ფილმების დასაფინანსებლად. ლაურა ბიკფორდი, ამერიკელი პროდიუსერი, რომელსაც საადის კომპანიამ დაფინანსება შესთავაზა, იგონებს: „როდესაც დამოუკიდებელი პროდიუსერი ხარ, დიქტატორის შვილებთან შეხვედრა და ლაპარაკიც კი გინევს, მაგრამ ფულის აღება იმ კაცის შვილისგან, რომელმაც ლოკერბის ტერაქტი დაუკვეთა, ნამეტანი იყო“. ლაურამ შემოთავაზებაზე უარი განაცხადა.

მალალ და გრძელთმიან მუატასიმს ჰედონისტის სახელი ჰქონდა. 2009 წელს მან მეგობრებისთვის გამართულ საახალწლო წვეულებაზე ბიონსი და აშერი დაიქირავა. როცა ლიბიის ამბოხება დაიწყო, ბიონსის აგენტმა განაცხადა, რომ მომღერალმა ეს გასამრჯელო – მილიონი დოლარი ჰაიტის მინისტრით დაზარალებულთა ფონდში გადაარიცხა.

ათწლეულის ბოლოს გაირკვა, რომ მამის მემკვიდრე სეიფ ალ-ისლამი, „ისლამის მახვილი“, უნდა ყოფილიყო. ის ლონდონში სწავლობდა, მეიფვარის მოდურ კლუბებში ერთობოდა... 2008 წელს ლონდონის ეკონომიკის სკოლაში დაიცვა დოქტორის ხარისხი პოლიტიკურ ფილოსოფიაში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან უნივერსიტეტის ფონდს 2,2 მილიონი დოლარი გადასცა საქველმოქმედო მიზნებისათვის.

სეიფი თავის თავს რეფორმატორს უწოდებდა, ის ეზიარებოდა დასავლურ იდეებს და მზად იყო მიეღო დასავლური ინვესტიციები. მას შეეძლო გონივრულად დაეხმებინა შეურაცხადი მამის იმიჯი. სეიფმა გადამწყვეტი როლი ითამაშა დასავლეთთან მოლაპარაკებების დროს...

მაგრამ, სეიფისაგან განსხვავებით, მამამისი არ იყო დაინტერესებული ლიბერალიზაციის პროცესით. აშურ გარგუმი, ყოფილი ლიბიელი დიპლომატი ჰყვება, როგორ გაგზავნა ის სეიფმა დელეგაციასთან ერთად ლონდონში აბუ სალიმის სისხლისღვრის შემდეგ „ამნესტი ინტერნეიშენელთან“ შესახვედრად, რომელიც ამ მკვლელობების გამოძიებას ითხოვდა. „მუამარ კადაფიმ მოითხოვა ამ ვიზიტის შესახებ ანგარიში

ჩამებარებინა. პირისპირ ვესაუბრე. ვცილობდი მასთან საუბრისას სიტყვები შემერჩია. ვუთხარი, რომ საჭირო იყო „აბუ სალიმის პრობლემის“ გადაჭრა. პრობლემა დავარქვი, სხვაგვარად ვერ დაველაპარაკებოდი. მაგრამ ჩვენ არ გვყავს პოლიტიკური პატიმრები – მითხრა მან. როგორ არა, გვყავს, – ვუპასუხე. კი მაგრამ, – განაგრძო, – ისინი ხომ ერეტიკოსები არიან (რადიკალ ისლამისტებს გულისხმობდა), მათ უფლებები არ გააჩნიათ“.

ბოლოს კი სადღაც გაქრა სეიფის რეფორმისტული სიმშვიდე... როცა ამბობხე დაიწყე, გამორჩნდა ვიდუოჩანანერი, რომელშიც სეიფი იარაღს ატრიალებს მხარდამჭერთა აღელვებული ბრბოს წინ და ჰპირდება, რომ სიკვდილამდე დაიცავს ამ რეჟიმს. სისხლის მდინარეებით მოირწყება ლიბია, – ასეთია მისი წინასწარმეტყველება. ლონდონის ეკონომიკის სკოლამ ეჭვქვეშ დააყენა სეიფის დისერტაციის ავტორობის საკითხი; დეკანი გადადგა; უნივერსიტეტმა კი განაცხადა, რომ მისი შემონიშნულობიდან უკვე დახარჯულ თანხას (ნახევარ მილიონ დოლარს) ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების სტუდენტების სტიპენდიების ფონდზე გადაანაწილებს, დარჩენილი თანხის მიღებაზე კი უარს ამბობს. ივნისისთვის საერთაშორისო სასამართლომ სეიფს, მამასთან ერთად, საომარ დანაშაულში დასდო ბრალი.

კადაფის შვილებს ჰქონდათ მდიდარი ვილები, აგარაკები ზღვისპირას, ეგზოტიკური მანქანები, საკუთარი ზოობარაკები... მართალია, კადაფიმ 1969 წელს ალკოჰოლი აკრძალა, მაგრამ მათ მაინც ჰქონდათ იშვიათი სასმელის კოლექციები. აიშას სახლში იდგა ქალთევზას ქანდაკება, რომელიც მას ჩამოჰგავდა. სეიფს ჰყავდა თეთრი ვეფხვები გალიებში. ყველა სახლს ჰქონდა გვირაბი საგანგებო სამედიცინო პუნქტებით, საძინებლებით... უკუსვლის მოლოდინი არსებობდა.

ყველაზე თავაშვებული საადის სასახლე იყო, ნამდვილი ციხესიმაგრე ზეთისხილისა და ფორთხოლის ბაღებით, აუზითა და კუნძულით ამ აუზში...

„და ეს ეკუთვნოდა იმ ადამიანს, რომელსაც 475 დინარი ჰქონდა ხელფასი,“ – ზიზლით ჩაილაპარაკა ერთმა ლიბიელმა, რომელიც ამ სასახლეს ათვალერებდა.

ყველამ კარგად იცოდა, როგორ ჩადიოდნენ კადაფის შვილები კანის ფესტივალზე და რა დიდ ფულს უზდიდნენ გართობისათვის უცხოელ პოპვარსკვლავებს.

ახლახან ლიბიაში რომ ჩავედი, დამწვრობისა და პლასტიკური ქირურგიის საავად-

მყოფოში შევიარე, სადაც ოცდაათი წლის ეთიოპიელ ქალს – შევიგა მოლას შევხვდი. ეს ქალი კადაფის ვაჟის – ჰანიბალის შვილების ძიძა იყო; ახლა ის საავადმყოფოში წევს მეოთხე ხარისხის დამწვრობით. ექიმმა მითხრა, რომ ქალი საავადმყოფოში კადაფის დაცვამ მოიყვანა და ექიმებს უბრძანა, ანონიმურად გაეფორმებინათ.

კადაფებთან მუშაობა რომ დაიწყე, შევიგამ არ იცოდა, რომ ჰანიბალი და მისი ლიბანელი ცოლი ალინი, ყოფილი მოდელი, ძალადობის სიყვარულითა და სადისტური მიდრეკილებებით იყვნენ ცნობილი. 2008 წელს მათ ჟენევის სასტუმროში მომსახურე პერსონალი სცემეს. ცოლ-ქმარი შევიცარიის პოლიციამ დააკავა. კადაფები მალევე

გან დასვათ სიყვარული ქალაქი – რევოლუციის მონაწილეები. ახით კადაფი ფაიფიფისადმი მხარდაჭერის დამტკიცებას სდილობდა, თუმცა სხვები სხვაგვარად ფიქრობდნენ: კადაფი დარწმუნებული იყო, რომ არაბი მამაკაცი არასოდეს ისროდა ქალს.

გაათავისუფლეს თავდებით, მაგრამ, სამაგიეროდ, კადაფიმ ლიბიაში ორი შევიცარიელი ბიზნესმენი დააპატიმრა და ისინი ერთი წლის განმავლობაში ჰყავდა დაკავებული. ამასთან, მან მილიარდობით ლიბიური დოლარი გამოიტანა შევიცარიის ბანკიდან და შევიცარიას ნავთობის მინოდება შეუწყვიტა. შევიცარიის პრეზიდენტი ბოლოს იძულებული გახდა ტრიპოლიში ჩასულიყო და საჯარო ბოდიში მოეხადა „უსამართლო დაპატიმრებისთვის“.

შევიგას თავზარი დაეცა, როცა დაინახა, როგორ სცემდა ალინი მსახურებს. მასაც ურტყამდნენ ხოლმე, როცა ბავშვი ტიროდა.

ძიძას გაქცევა უნდოდა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. ერთხელაც ალინს რაღაც არ მოეწონა და ქალი ეზოში გააგდო: „სამი დღის განმავლობაში ფეხზე ვიდექი, ძილი და ჭამა ამიკრძალეს. სამი დღის მერე სამზარეულოში შემიშვეს. ცოტა წვენი დაველიე. ჰანიბალის ცოლი შემოვიდა და მკითხა, აქ რას აკეთებო? თურქული ტკბილეულობის მოპარვა დამაბრალა, თავი რომ ვიმართლე, მატყუარობა დამწამა“. მეორე დღილს მან მსახურებს უბრძანა, შევიგა გაეკოჭათ და წყალი აედულებინათ: „ხელფეგაკოჭილი ჩამაგდეს აბაზანაში, მან თავზე მღულარე დამასხა. პირი აკრული მქონდა და ვერც კი დავიყვირე“. ჰანიბალიც იქვე იყო, მაგრამ არაფერი უთქვამს. ათი დღის შემდეგ დაცვამ ჩუმად მიიყვანა საავადმყოფოში. ალინმა ეს რომ გაიგო, შევიგას უკან დაბრუნება მოითხოვა და დაცვას დაპატიმრებით დაემუქრა, ბრძანება შეუსრულეს. ალინი ტრიპოლიდან რომ გაიქცა, მხოლოდ მაშინ დააბრუნეს ძიძა საავადმყოფოში. შევიგა დღესაც იქ წევს.

ექიმმა გარეთ გამიხმო: „ალბათ, გადარჩება, მაგრამ პლასტიკური ქირურგიის ჩარევა დასჭირდება. ცხოვრება დაენგრა. მასაც ისევე უნდა მოექცე, როგორც ის შევიგას მოექცა“. ალინი და ჰანიბალი ალჟირში გაიქცნენ. კადაფის შვილების უმეტესობა დღეს უსაფრთხოა. როგორც ამბობენ, სეიფ აღარაბი და ხამისი ამბობების დროს მოკლეს. 20 ოქტომბერს კი მამასთან ერთად მუატასიმოც გამოასალმეს სიცოცხლეს.

კადაფის რევოლუცია დიქტატურაში გადაიზარდა, მაგრამ ის ბოლომდე ერთგული დარჩა ნასერის იდეისა გაერთიანებული არაბული სახელმწიფოს შექმნის შესახებ. წლების განმავლობაში ცდილობდა ლიბიის გაერთიანებას მის მეზობლებთან – ტუნისთან, ეგვიპტესთან, სირიასთან – მაგრამ ეს „არაბული კავშირები“ დიდხანს ვერ ცოცხლობდნენ. იმედგაცრუებული კადაფი არაბ ლიდერებს სდებდა ბრალს, ამბობდა, რომ ისინი ბევრს არაფერს აკეთებდნენ პალესტინელთა დასახმარებლად და რომ მხოლოდ დასავლეთის კეთილგანწყობისკენ მიილტვოდნენ.

თუ არაბული სახელმწიფოების გაერთიანება ვერ მოხერხდებოდა, მაინც რჩებოდა კიდევ ერთი იმედი – აფრიკაში ჰეგემონიის მოპოვებისა. მხარს უჭერდა აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლას. 1997 წელს ტრიპოლიში წელსონ მანდელა გამორჩნდა, რომელმაც განაცხადა, რომ სწორედ ლიბიის „მხარდაჭერა გახდა ამ გამარჯვების გარანტი; და ეს გამარჯვება მხოლოდ ჩვენი კი არა, თქვენი გამარჯვებაცაა“.



ანდრია დოლიძე
WEAPON 50x55 აკრილი, ზეთი, მუყაო, 2011

სამოცდაათიანების შუა ხანებში ლიბია-სა და ჩადს შორის ურანით მდიდარი სასაზღვრო მიწის გამო კონფლიქტი დაიწყო. ეს კონფლიქტი დიდხანს გაგრძელდა. 1987 წელს კადაფის ძალები საბოლოოდ განაიარაღეს ადგილობრივმა ჯარისკაცებმა, რომელთაც საფრანგეთი და აშშ უმაგრებდა ზურგს. კადაფიმ 7500 ჯარისკაცი დაკარგა, მთელი ჯარის მეთაუდი. მოწინააღმდეგემ მილიარდნახევარი დოლარის ლირებულების სამხედრო აღჭურვილობა გაუნადგურა. ყოფილი ლიბიელი დიპლომატი აშურ გარგუმი ჩადის ეპიზოდს ასე იხსენებს: „ეს იყო დიდი კატასტროფა კადაფისათვის.“ მმართველმა, რომელსაც მთელი რეგიონის გაერთიანების დიდი ამბიცია ამოძრავებდა, ერთ სუსტ მეზობელთანაც კი ვერ შეძლო საქმის მოგვარება. „ამის შემდეგ, – იხსენებს გარგუმი, – ის შეურაცხადი გახდა და სრულიად მოსწყდა რეალობას“.

ოთხმოციან წლებში კადაფი დასავლეთში მომხდარ ტერორისტულ აქტებს აფინანსებდა. ლიბიას უკავშირდებოდა მთელი რიგი ტერაქტებისა: თავდასხმა სამგზავრო გემზე,

აფეთქებები რომისა და ვენის აეროპორტებში, ბერლინის დისკოთეკაზე მომხდარი ტერაქტი. პრეზიდენტმა რეიგანმა თავის გამოსვლაში კადაფის „შეშლილი ძალი“ უწოდა და ლიბიაში ამერიკის სამხედრო ძალები გაგზავნა. მან ჩამოაგდო ორი ავიაგამანადგურებელი ტრიპოლის სანაპიროსთან მოგვიანებით საჰაერო რეიდიც დაიწყო და კადაფის რეზიდენცია დაბომბა.

1988 წლის შობა დგებოდა. თვითმფრინავი ლონდონიდან ნიუ-იორკისკენ მიფრინავდა, შოტლანდიის პატარა ქალაქ ლოკერბის რომ გადაუფრინა, საბარგო განყოფილებაში დამალული ბომბი აფეთქდა. 259 მგზავრი დაიღუპა. უმეტესობა ამერიკელები იყვნენ. თვითმფრინავის ჩამოვარდნას კიდევ 11 ადამიანი ემსხვერპლა. გამოძიებამ ორ ლიბიელ აგენტს დასდო ბრალი. კადაფიმ ამ ბრალდებებს „სასაცილო“ უწოდა და ეჭვმიტანილთა ექსტრადიციზე უარი განაცხადა. ლიბია უფლებებო ქვეყანა გახდა.

ამას მოჰყვა გაეროსა და აშშ-ის სანქციები, შეჩერდა ლიბიის საერთაშორისო ვაჭრობა, გააყინა საბანკო ანგარიშები, ლიბიელ-

ბისთვის საზღვრებიც ჩაიკეტა. მართალია, ამ სანქციებს კადაფის ხელისუფლებიდან გადადგომა არ მოჰყოლია, მაგრამ ეს იყო სერიოზული დარტყმა ქვეყნის ეკონომიკისათვის. არმიის ყოფილი საშინაო საქმეთა ოფიცერი ელ ლაგი ჰყვება, რომ გაჭირვებისაგან სასონარკვეთილმა ქალებმა მეძაგებად დაიწყეს მუშაობა. სწორედ მაშინ დაინახა მან ამ რეჟიმის ნამდვილი სახე. ტრიპოლიში ლიბიელ ქალს ათ დინარად იშოვიდი, – ამბობს ელ ლაგი, – დიდი იყო უფსკრული კადაფის კლანსა და დანარჩენებს შორის. ისინი ვილებში ცხოვრობდნენ, სამკურნალოდ საზღვარგარეთ დადიოდნენ, საზღვარგარეთ იღებდნენ განათლებას და ყველაფერს სახელმწიფო იხდიდა. მაგრამ ჩადის ომის ვეტერანი ამის მსგავსს ვერაფერს ელირსებოდა“. ელ ლაგი მიხვდა, რომ „მწვანე წიგნის“ თეორიამ ვერ გაამართლა“.

1999 წელს კადაფი, როგორც იქნა, დათანხმდა, გადაეცა ლოკერბის ეჭვმიტანილები ნიდერლანდების სასამართლოსთვის, სადაც მათ შოტლანდიური კანონის მიხედვით გაასამართლებდნენ. დამნაშავედ მხო-

ლოდ ერთი მათგანი ცნეს – აბდელ ბასეტ ალ-მეგრავი, რომელსაც შოტლანდიის ციხეში 20 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. დამკვირვებელთა დიდი ნაწილი ამ პროცესით უკმაყოფილო დარჩა. ისინი თვლიდნენ, რომ პროცესი უსამართლო და პოლიტიზირებული იყო. მაგრამ ამ პროცესმა თავისი როლი შეასრულა: კადაფი მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარა დასავლეთთან. სასამართლო პროცესის შემდეგ მან პირობა დადო, რომ ლიბია აღარ დააფინანსებდა ტერორისტულ ორგანიზაციებს.

2003 წელს, როდესაც აშშ ერაყში შეიჭრა, კადაფიმ ამით ისარგებლა, თავისი ბირთვული და ქიმიური იარაღის მომარაგების პროგრამა გამოააშკარავა და შესთავაზა, განიარაღება მათი სანქციების შეწყვეტის ნაცვლად. მან საკუთარ თავზე აიღო „პასუხისმგებლობა“ ტერორიზმთან კავშირის გამო, თუმცა არ უთქვამს, რომ ბრალი მიუძღვოდა. და სიტუაციის გამოსწორების საფასურად სამ მილიარდამდე დოლარი გადაუხადა მსხვერპლთა ოჯახებს.

კადაფი ისლამისტი რადიკალების მტერი იყო. მან დასავლეთთან თანამშრომლობაც დაიწყო მუსულმანი ექსტრემისტების წინააღმდეგ. მე ვნახე უშიშროების დოკუმენტები, რომლებიც კადაფის სადაზვერვო სამსახურისა და ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლობას ადასტურებს...

2004 წელს სანქციები შეჩერდა. საელჩოები გაიხსნა. ბიზნესგარიგებებსაც ხელი მოეწერა. ნავთობი წამოვიდა. ლიბიაში ჩავიდნენ ტონი ბლერი და ნიკოლა სარკოზი. სილვიო ბერლუსკონი დათანხმდა, გადაეხადა ხუთი მილიარდი იტალიის მიერ ლიბიისთვის მიყენებული ზარალისათვის. არაბთა ლიგის შეხვედრაზე სირტში მან ხელები დაუქოცნა კადაფის...

„შემლილი ძალი“ ამერიკელებმაც თავიანთ მოკავშირედ ცნეს. 2009 წლის აპრილში ჰილარი კლინტონმა უმასპინძლა კადაფის ვაჟს მუატასიმს სახელმწიფო დეპარტამენტში და განაცხადა, რომ ამ ვიზიტით კმაყოფილი იყო. რამდენიმე თვის შემდეგ ლიბიაში ჩავიდა კონგრესის დელეგაცია მაკკეინის თაოსნობით, კადაფის უსაფრთხოების საქმეში დახმარება აღუთქვეს. მაკკეინმა ისიც თქვა, რომ კადაფის კარავში საინტერესო საღამო გაატარა საინტერესო ადამიანთან ერთად. ვაშინგტონში კადაფიმ საკუთარი ინტერესების დასაცავად ლობისტური ფირმა „ლივინგსტონ გრუპი“ დაიქირავა. 2008 წლის საიდუმლო ანგარიშში განერილია გეგმა, რომლის

თანახმადაც უნდა დაწყებულიყო სამხედრო და მეორადი მოხმარების მასალებზე აშშ-ის მიერ საექსპორტო შეზღუდვების გამარტივების პროცესი. ამავე წელს მოლაპარაკებების შედეგად, „შენწყალების საფუძველზე“, გაათავისუფლეს მეგრავი, ლოკერბის ავიაკატასტროფის დამნაშავე, რომელსაც პროსტატიის კიბო აღმოაჩნდა. მეგრავი ტრიპოლიში კადაფის კერძო თვითმფრინავით ჩაფრინდა, სადაც მას გმირივით შეეგებნენ. დღესაც იქ ცხოვრობს.

თვის დასაწყისში გავსაუბრე ერთ მდი-

**სანგარში იპოვეს
მეფეთა მეფე,
გაბეცებული და
დაჭრილი მოხუცი,
ბანუყრალი ბედუინის
ქულის კი აღარ
იხურა თავზე.
ახალგაზრდა მეთაურმა
თავშიაქავეხული
პატივისცემით
ერთი ასეთი
რამ აღნიშნა:
სისოცხლის
უკანასკნელ
წუთამდე კადაფის
გაინს სჯეროდა,
რომ ის ლიბიის
კრეზიდენტი იყო.**

დარ დასავლელ ბიზნესმენს, რომელიც კადაფებთან ძალიან ახლოს იყო. მე რომ მივედი, თავის არაბ მეგობარს ელაპარაკებოდა ტელეფონზე. იმედი ჰქონდა, რომ ახალი მმართველობა მას იქ მუშაობის საშუალებას მისცემდა. ის ამბობდა, რომ კადაფის ლიბია არც ისე ცუდი იყო: „ყველაზე ცუდი, რაც კადაფიმ გააკეთა, აბუ სალიმი იყო. პატიმრების ჩახოცვა ციხის სარდაფში კარგი არაა, მაგრამ ხომ გესმით, ხდება ასეთი რამეებიც, კიდევ იყო სტუდენტების ჩამოხრჩობა სამოცდაათიანებში, მაგრამ მეტი ისეთი არაფერი ყოფილა“.

2009 წლის სექტემბერში კადაფი პირველად გამოჩნდა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე. ის ლაპარაკობდა მთელი 96 წუთის განმავლობაში, საჯაროდ აკრიტიკებდა აშშ-ის უცხო ქვეყნებში ინტერვენციის პოლიტიკას, მოითხოვდა კენედისა და მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობების ხელახალ გამოძიებას და ამტკიცებდა, რომ ლორის გრიბი გამოიგონეს როგორც ბიოლოგიური იარაღი. ამავდროულად მან დახია გაეროს ქარტია და შენიშვნებს ველურივით აფრიალებდა ჰაერში. სამარცხვინოდ მოიქცა, მაგრამ მას ექსცენტრული ადამიანის რეპუტაცია ჰქონდა, თანაც უაღრესად საჭირო ფიგურა იყო მუსულმანი ექსტრემისტებთან ბრძოლაში, ამიტომაც ამ საქციელს კადაფის საერთაშორისო იმიჯისათვის ზიანი არ მიუყენებია. არც ამერიკის მთავრობას გაუკეთებია კომენტარი. სამშობლოში მის ძალაუფლებას საფრთხე არ ემუქრებოდა.

ელ ლაგიმ მითხრა: ამერიკელების მიმართ პატივისცემის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ ისინი მატყუარები არიან. დგანან და გველაპარაკებიან ადამიანის უფლებებზე, თან კადაფის მასპინძლობენ და არ აპატიმრებენ. მან დონალდ ტრამპის მიწაზე გამალა თავისი კარავი! ამერიკელებმა მეგობრულად მიიღეს სეიფი და მუატასიმი. კადაფი კი ხელიდან არ უშვებდა შანსს, დასავლეთისთვის რომ არ დაეცინა. დასავლელი დამკვირვებლები ზოგჯერ ამას ვერც კი ხვდებიან. ჩვენ აქ ვართ, – დაწერა თეთრ ქაღალდზე, ტელეკამერებს კარგად რომ აეღოთ გამოსახულება და ჩვენ, ლიბიელებს რომ წაგვეკითხა. ეს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მოხდა. როდესაც ლიბიაში ტონი ბლერი ჩამოვიდა, კადაფიმ მას თავისი ფეხსაცმლის ძირი აჩვენა. ეს უპატივცემულობის ნიშანი იყო. ვიდეონაწერი youtube-ზე დაიდო და მთელ ლიბიაში დატრიალდა. სტუმრად ჩამოსულ კონდირაის ხელი არ ჩამოართვა. მოგვიანებით კი, საუბრის დროს, კადაფიმ რაისს ლიბიური გიტარა გაუწოდა, ვითომდა იმღერო. რაისი მაშინვე უკან უნდა გაბრუნებულიყო, როცა ხელი არ ჩამოართვეს, მაგრამ არ წასულა. ამერიკულმა ინტერესებმა იზიგმა. ეს შესტები ძალიან შეურაცხყოფელი იყო ლიბიელთათვის, რადგან ჩვენ ვიცოდით, რომ კადაფის ნებისმიერი ადამიანის ყიდვა შეეძლო“.

კადაფის არაერთხელ უთქვამს, რომ ის ლიბიაში იბრძოლებდა და მოკვდებოდა. თავისი სიტყვისთვის არ უღალატია. ტრიპოლის დაცემის შემდეგ კადაფი გაქრა და დაირხა ხმები, თითქოსდა საჰაეროში გაიქცა და ტუარეგის ტომმა შეიფარა. მაგრამ 20



ანდრია დოლიძე

INFORMATION SINGULARITY, 50x55, ზეთი, მუყაო, 2011

ოქტომბერს მისი მშობლიური ქალაქის – სირტის დასავლეთ ნაწილში, კადაფი ასამდე გადარჩენილ თანამებრძოლთან ერთად ალყაში მოაქციეს. სირტიდან ორი მილის დაშორებით მათ ცეცხლი გაუხსნეს. როდესაც კადაფი და მისმა ჯარისკაცებმა ცეცხლითვე უპასუხეს, ფრანგულმა და ამერიკულმა სამხედრო თვითმფრინავებმა ბომბები ჩამოყარეს. 21 მანქანა დაიწვა და 95-მდე კაცი დაიღუპა. კადაფი და რამდენიმე მისმა ერთგულმა ჯარისკაცმა გზისპირა მიწის თხრილში განთავსებულ წყალსადინარ მილს შეაფარეს თავი. მისრათის შენაერთი მათ კვალს გაჰყვა. ცეცხლის გახსნის შემდეგ კადაფის ერთმა ჯარისკაცმა სანგრიდან თავი ამოყო; დახმარებას ითხოვდა: „ჩემი ბატონი აქაა. ჩემი ბატონი აქაა. მუჰამარ კადაფი აქ არის და დაჭრილია“. სალიმ ბაქირი, ერთერთი მებრძოლი მონინალმდევე მისრათის შენაერთიდან, ინტერვიუში იხსენებს, როგორ მიუახლოვდა სანგარს და როგორ გახედდა, იქ მუჰამარ კადაფი რომ დაინახა. როცა ამბობებულემა ის სანგრიდან გამოათრიეს, კადაფი გაოგნებული იყო და განუწყვეტლივ

ერთსა და იმავეს იმეორებდა: რაშია საქმე? რა ხდება? მებრძოლები მორბოდნენ შეპყრობილი ლიდერის სანახავად. მუჰამარ! – ყვიროდა ბრბო. მობილური ტელეფონით, აკანკალებული ხელით გადაღებული კადრები გვიყვება იმას, თუ რა მოხდა ამის მერე... კადაფი სისხლისგან იცლება, ჭრილობა თავში აქვს მიყენებული, მარცხენა მხარეს. თმაგანწილი გდია ჭუჭყიან მიწაყრილზე, მებრძოლები შეურაცხყოფას აყენებენ. ვილაც წიხლს ურტყამს და უყვირის: ეს მისრათისთვის, შე ძაღლო! კადაფი სულ უფრო და უფრო იცლება სისხლისგან, ცდილობს თავი დაიცვას, მაგრამ ძალა აღარ შესწევს. ვიდეოკადრებზე ქაოსია. მოდი, ცოცხალი დავტოვოთ! – ისმის ხმა. კადრში ჩანს ხელი, რომელსაც რევოლვერი უჭირავს. წიხლს ურტყამენ. ისმის სასონარკვეთილი კვილი: „ალაჰ აკბარ!“ თმით ათრევენ. და ბოლოს გასროლის ხმა...

მერე ჩვენ ისევ ვხედავთ კადაფის. ის მიწაზე წევს, თვალები ნახევრად ღია აქვს, მაგრამ უმეტყველო. მწვალბლები პერანგზე ექაჩებიან და მის გაშიშვლებას ცდილობენ.

სხვა კადრში აშკარად ჩანს, რომ მას მარცხენა საფეთქელში ესროლეს. ეს დასახელდა მისი სიკვდილის ოფიციალურ მიზეზად. ლიბიის დროებითი ეროვნული საბჭოს ლიდერთა განცხადებით, კადაფი ცეცხლის გახსნის დროს დაიჭრა და საავადმყოფოში გადმოყვანისას დაიღუპა. ერთ-ერთმა მათგანმა ისიც კი თქვა, რომ კადაფი თავისივე კაცმა მოკლა. თუმცა ეს არავის სჯერა. კადრები არსებობს და ეს კადრები სულ სხვა ამბავს გვიამბობს.


ყველაზე დამაჯერებელი ვერსია ალბათ მისრათის ჯარების ახალგაზრდა მეთაურის ნაამბობია, რომელმაც იპოვა და მოკლა კადაფი: სანგარში იპოვეს მეფეთა მეფე, გაბეცებული და დაჭრილი მოხუცი, განუყრელი ბედუინის ქუდიც კი აღარ ეხურა თავზე. ახალგაზრდა მეთაურმა თავშეკავებული პატივისცემით ერთი ასეთი რამ აღნიშნა: სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე კადაფის მაინც სჯეროდა, რომ ის ლიბიის პრეზიდენტი იყო.





8 თვის შედეგ

ავტორი ღავით გოგინაშვილი



რამდენიმე წუთის წინ ორცხოვნილა გამივარდა ხელიდან. ამავე წამს, შევამჩნიე, რომ ყავა ტალღებად მიანყდა მაგიდაზე მდგარი ჭიქის კედლებს. უეცრად ფანჯრებმაც ატეხეს რახარუხი და გავიაზრე – მიწისძვრაა. დიდი ხანია უკვე ასე ძლიერად არ შევუწვდებოდი, მივხვდი, რომ ცოტა გადავეჩვიე ამ შეგრძნებას.

ძლიერი მიწისძვრის დროს, ჩვეულებრივ, ან მაგიდის ქვეშ ძვრებიან ხოლმე, ან გარეთ გარბიან, მაგრამ იაპონიაში ცხოვრების გამოცდილებამ სულ სხვა ინსტინქტები გამომიშუშავა, შენობის დანგრევის შიში თითქმის გამქრალი მაქვს, ასე რომ, პირდაპირ კომპიუტერისკენ გავიქეცი; მაინტერესებდა, სად იყო ეპიცენტრი და არის თუ არა ზარალი.

ისევ ტოჰოკუ (ჩრდილო-აღმოსავლეთი რეგიონი)... ნეტავ, რა ხდება ახლა იქ?!

ტოჰოკუში ორი კვირის წინ ჩემი მეგობარი იყო წასული დამხმარე მოხალისედ. ნანგრევების განმენდაში ეხმარებოდა ადგილობრივებს. „ვერც კი წარმოიდგენ, რომ ისიც იაპონიაა. იმდენია სამუშაო კიდევ, ყოველი დამატებითი მუშახელი ბევრს ნიშნავს“ – მითხრა იქიდან დაბრუნებულმა.

მაშინვე შევუთანხმდი, – შემდეგ წასვლაზე მეც გავყვებოდი. ხვალ უკვე გასვლა გეინევს და სავარაუდოდ ორი-სამი დღე გაჩერდებით.

თითქმის 8 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ის ადგილები მოვიარე. მაშინ კატასტროფა ორი დღის მომხდარი იყო და ნანახი საშინელებათა ფილმის კადრებს მაგონებდა.

მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთმანეთს მიყვა მიწისძვრა, ცუნამი, ვულკანის ამოფრქვევა, რადიაციის გაჟონვა ატომურ ელექტრო სადგურზე, შეზღუდვები ელექტროენერგიაზე, პროდუქტებისა და წყლის ნაკლებობა და რაც ყველაზე საშინელებაა – ათიათასობით დაღუპული, დაშავებული თუ უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანი... კატაკლიზმები მერეც გაგრძელდა. მიწისძვრები თითქმის არ შეწყვეტილა რამდენიმე თვის განმავლობაში, სექტემბერში კი ამ ყველაფერს ძლიერი ტაიფუნებიც დაემატა. ბუნებამ თითქოს მთელი თავისი მრისხანება ამ ზეგანვითარებულ და სუპერ ტექნოლოგიურ ქვეყანას დაატეხა თავს.

სწორედ ეს ზეგანვითარებული ქვეყნის რეპუტაცია იძლეოდა საფუძველს ფიქრისა, რომ ეს ერი ყველა პრობლემას სწრაფად დაძლევა და რალაც თვალსაზრისით, ასეც მოხდა. არ მავიწყდება მიწისძვრის შემდეგ ორ დღეში აღდგენილი ავტოსტრადები, ხიდები და სხვა ინფრასტრუქტურული ერთეულები. როდესაც ტალღის მიერ პირწმინდად განადგურებული სენდაის აეროპორტი ვნახე, მისი აღდგენის იდეა ფანტასტიკის სფეროს მივანერე, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში ფანტასტიკასა და რეალობას შორის ზღვარი ეფემერულია. აეროპორტმა მიწისძვრიდან ორი თვის თავზე ფრენები განაახლა!

ძირითადი ადგილები ორ თვეში გაინმინდა და აღდგა, მაგრამ კიდევ უამრავი წვრილმანია დარჩენილი, ამიტომ მოხალისეები მთელი ქვეყნიდან ჯგუფებად მიდიან

დაზარალებულ რეგიონებში ადგილობრივების დასახმარებლად.

ტოკიო დღეს

აქ, ტოკიოში, ადამიანი, ერთი შეხედვით, ვერც კი მიხვდება, რომ ქვეყანაში ასეთი რთული მდგომარეობაა. შეიძლება, მოგეჩვენოთ, მოსახლეობას სულ დაავიწყდა ორასიოდე კილომეტრში დატრიალებული უბედურება. ქალაქი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს, გაბრდვიალებული ტოკიოს ანძა, ხმაურიანი ქუჩები, რომლებიც კონტრასტულია საოცრად მშვიდ ბუდისტურ და შინტოისტურ ტაძრებთან, დაძაბული სამსახურით გამოწვეული სტრესის მოსახსნელად გონების დაკარგვამდე მთვრალი ოფისის მუშაკები, რომლებსაც ჰალსტუხები რატომღაც შუბლზე აქვთ ხოლმე შემოჭერილი, ანიმესა და მანგას (იაპონური კომიქსები) მოყვარულები, რომელთათვისაც მთელი წლის განმავლობაში ყოველი დღე ჰელოუინია, ახალგაზრდობა, რომელიც დღენიადაგ სათამაშო აპარატების ცენტრებში, კარაოკეებში, ბარებსა თუ კლუბებში გართობის ძიებაშია და ერთადერთი, რაც არღვევს ამ გიჟურ „იდილიას“, ესაა ბანერები და პლაკატები ტოჰოკუს რეგიონის გამამხნეველები წარწერებით. მსგავს ბანერებს თითქმის ყველგან გადააწყდებით ტოკიოში.

სინამდვილეში, განსაცდელის შეგრძნება არ განელებულა ხალხში, ყველას კარგად ესმის, რომ ქვეყნის ფეხზე დაყენებას თითოეულის ასმაგი ძალისხმევა დასჭირდება.



ფუკუჰიმიმას ატომური ელექტროსადგურის ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველია, ისევე, როგორც გაურკვეველია უამრავი უსახლკაროდ დარჩენილი იაპონელის მომავალი, ნაწილი ლტოლვილებისა ჯერ კიდევ თავშესაფრებში ცხოვრობს და არავის აქვს პასუხი იმაზე, თუ რა ელის მათ.

იაპონელებს შოკსა და იმედგაცრუებას ვამჩნევ. არავინ ელოდა, რომ ატომური ელექტრო სადგურისა და ლტოლვილთა პრობლემებთან გამკლავებას ამდენი ხნის მერეც კი ვერ შეძლებდნენ. როდესაც ფიქრობ კატასტროფის მასშტაბებზე, მაშინ ყველა პრობლემა შეიძლება ბუნებრივად გეჩვენოს, მაგრამ იაპონელები უფრო მეტს მოელოდნენ ხელისუფლებისგან. ყველა ჩახლართულ ბიუროკრატისა და არაკომპეტენტურ სახელმწიფო მოხელეებს აძაგებს. „რისთვის ვიხდით გადასახადებს?!“ „კი, მაგრამ ეს ხომ იაპონიაა?!“ „არ მეგონა თუ ჩვენთანაც კი შესაძლებელი იყო ასეთი რამ!“ – თავშეკავებული ბრაზით იმეორებენ ჩემი იაპონელი მეგობრები.

„არ ყოფილან რობოტები!“ „იაპონელებსაც მოსდით თურმე შეცდომები!“ „არა, არა, რობოტები რომ არიან, ზუსტად მაგიტომაც მოსდით შეცდომები!“ – ნახევრად ხუმრობით ამბობენ ჩემი არაიაპონელი მეგობრები.

საბოლოოდ, მოსახლეობის უკმაყოფილება იმაში გამოვლინდა, რომ სექტემბრის დასაწყისში პრემიერ-მინისტრი შეიცვალა. პრემიერ-მინისტრ ნაოტო კანს იასუჰირო ნოდა ჩაენაცვლა. ყველა თანხმდება, რომ

კანმა კრიზისულ მომენტებში სრული უუნარობა გამოავლინა. ხალხმა მას „აკი კან“ – „თუნუქის ცარიელი ქილა“ უწოდა (სიტყვებით თამაშია: იაპონურად მისი გვარი „კან“, ასევე, ნიშნავს თუნუქის ქილას, შესაბამისად, „აკი კან“ – თუნუქის ცარიელ ქილას).

ბოლო წლების მანძილზე იაპონიას ძალიან არ უმართლებს პრემიერ-მინისტრებში. კანის წინამორბედ იუკიო ჰატოიამას უცხოულანტელი შეარქვა არამარტო ხალხმა, არამედ – მედიამაც. ჰატოიამას წინამორბედი ტარო ასო კი, საერთოდ, უნიგენტრობის სიმბოლოდ იქცა იმის მერე, რაც რამდენიმეჯერ იეროგლიფები აერია

**რამდენიმე წუთის წინ
ორსხობილა გაივარდა
ხელიდან. ამავე წამს,
შევაფრინა, რომ ყავა
ტალღებად მიასყდა
მაგიდაზე მღვარი
ჭიქის კედლებს.
უესრად
ფანჯრებმაც
ატიხეს რახარუხი
და გავიარა –
მიწისძვრია.**

და ტექსტი არასწორად წაიკითხა.

ახლა იმედები ახალ ხელისუფალზეა.

ქველმოქმედება იაპონურად

მოსახლეობა არ არის მთავრობის შემყურე. ბიზნესმენები (და არა მხოლოდ) შეწირულობების გადარიცხვას აგრძელებენ. ყოველ კვირას საქველმოქმედო კონცერტები, ჩვენებები და სხვა შოუები ეწყობა. მართალია, ქველმოქმედების მასშტაბმა საგრძნობლად იკლო, მაგრამ დროდადრო რაიმე აქცია, ღონისძიება ან, სულაც, უცნაური შემთხვევა ისევ აალაპარაკებს ხოლმე საზოგადოებას.

აი, მაგალითად, რამდენიმე კვირის წინ, უცნობმა 10 მლნ იენი (100 ათას აშშ დოლარზე მეტი) საზოგადოებრივ ტელევიზიაზე დატოვა და ფულს თან დაურთო შემდეგი შინაარსის წერილი, „მარტოხელა ვარ. ეს ფული ტოჰოკუს რეგიონის მოსახლეობას მოახმარეთ.“ მე თუ მკითხავთ, ძალიან უცნაური გზაა ფულის შესანიშნავი – ხომ შეიძლებოდა, მპოვნელს თანხა ჯიბეში ჩადო?! მაგრამ, ანონიმ მეცენატს, ალბათ, აზრად არ მოსვლია, რომ ვინმე ამ ფულის მითვისებას გაბედავდა.

ეს წმინდად იაპონური ფენომენია. ერთხელ, მასსოგს, სუმოს შეჯიბრზე ვიყავი ქართველი ბიჭების საგულშემატკივროდ – იაპონიაში სამი საკმაოდ წარმატებული და პოპულარული ქართველი სუმოსტი ასპარეზობს. ერთ-ერთი მათგანის, ლევან გორგაძის, იგივე ტოჩინოშინის გამოსვლას ვუყურებდი და ვიდეოზე ვინერდი, რო-



დესაც, უეცრად, დარბაზში ჩემი სახელი გამოაცხადეს და მთხოვეს მივსულიყავი სუმოს ასოციაციის ოფისში. ოფისში მისულს, გაოცებისგან ხმა ჩამივარდა, – ჩემი საფულე გადმომცეს; როგორც ჩანს, შესასვლელში ამომვარდნოდა ჯიბიდან და მპოვნელს ხელუხლებლად მიეცა ოფისში. იაკონური კანონმდებლობის მიხედვით, ფულის მპოვნელს გარკვეული პროცენტი ეკუთვნის ნაპოვნი თანხიდან, მაგრამ უცნობ კეთილსმყოფელს ამაზეც უარი უთქვამს. ასეთი შემთხვევები გამონაკლისი არაა.

ჩემი მაგალითი რა მოსატანია იმასთან, თუ რა ხდებოდა ცუნამის შემდეგ დაზარალებულ სანაპიროზე. ადგილობრივ მოსახლეობას პოლიციაში მიჰქონდა ნაპოვნი ძვირფასი ნივთები, საფულეები და სეიფებიც კი. ეს ის ხალხია, ვინც თითქმის ყველაფერი დაკარგა სიცოცხლისა და ღირსების გარდა. ძალიან რთულია, ალბათ, გაუძლო ცდუნებას და ღმერთის გამოგზავნილ საჩუქრად არ მიიჩნიო ეს ფული. იაკონელების მიდგომა სხვაგვარია – როდესაც ყველაფერს კარგავ, ცდილობ, იმ სიკეთებს მოეჭიდო, რომლებიც ჯერ კიდევ დაგრჩა; ცდილობ, შეინარჩუნო კეთილსინდისიერება, რათა მატერიალურ განადგურებას მორალური და სულიერი დაცარიელება არ მოჰყვეს. მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგრძნება კი ტრადიციულ იაკონურ აზროვნებაში ბევრად უფრო ფასეულია, ვიდრე თავად სიცოცხლე. ამას, რა თქმა უნდა, თან ერთვის ის

გასაოცარი მოქალაქეობრივი და საზოგადოებრივი თვითშეგნება, რომელზეც ბევრი დაინერა ცუნამის შემდეგ.

ბოლო მონაცემებით ირკვევა, რომ ხალხმა დაახლოებით 50 მილიონი დოლარის ექვივალენტი თანხა შეაგროვა აღნიშნული გზით; 30 მილიონი დოლარის ექვივალენტი კი სეიფებიდან ამოიღეს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, გასაკვირი არაა, რომ დაზარალებულთათვის შესანიშნად დატოვებული ფული არავინ მიითვისა, მაგრამ, მაინც გაუგებარია, რალა მაინცდამაინც საზოგადოებრივ ტულეტში დატოვა იმ კაცმა 10 მილიონი იენი...

ბანთიალი სიურრეალისტური სამყაროში

ტოკიოდან შუალამისას გავედით, ადგილზე დილაადრიანად უნდა შევდგომოდით სამუშაოს. ტოკიოს გაცვდით თუ არა, მალევე ჩამეძინა, მაგრამ რამდენიმე საათში შმორის აუტანელმა სუნმა გამომალვიდა – წინა ფანჯარა ღია იყო და ქარს დილის სუსხთან ერთად შმორის სუნი შემოჰქონდა. მანქანაში, რომელიც არ იძვროდა, მარტო ვიყავი; არც მეგობრები ჩანდნენ ახლომახლო. ბიჭების მოსაძებნად რომ გადმოვვიდი, ჩემგან მარცხნივ, ორიოდ მეტრში, რიურაჟის ბინდიდან უზარმაზარი გემის კონტურები გამოიკვეთა. წამით გავიფიქრე, პორტში ვიყავით, მაგრამ კარგად დავაკვირდი და, გემი აშკარად მიწაზე „იდო“, თითქოს ვიღაცამ ჩადგა და გზა ჩახერგა.

როცა სინათლემ თანდათან ბინდი გა-

დატეხა, მივხვდი, ქალაქში ვიყავი, უფრო სწორად, – იმ ადგილას, სადაც, ალბათ, ოდესღაც ქალაქი იყო. ამაზე მიუთითებდა გზების მთელი სისტემა, რომელიც უზარმაზარ მოშიშვლებულ ადგილს სერავდა. იგივეს მოწმობდნენ აქა-იქ მიმოფანტული, რკინაბეტონის გაურკვეველი კონსტრუქციები, ოდესღაც შენობები რომ უნდა ყოფილიყო.

წამით სიზმარში მეგონა თავი, მაგრამ, ამასობაში, აქეთ-იქით გაფანტული მეგობრებიც გამოჩნდნენ და მითხრეს, კესენუ-მაში ვართო.

„კესენუმა?! აქ ხომ წამყოფი ვარ!“ – გავიფიქრე და ქალაქთან დაკავშირებულმა მოგონებებმა წამართვეს თავი. რამდენიმე წლის წინ სულ შემთხვევით მოვხვდი ამ მხარეში. მაშინ აქაური ბუნების სილამაზისა და გემრიელი თევზეულობის შესახებ საუბრებით შემომიტყუეს. დავთანხმდი წამოსვლაზე და არც მინანია. ამ პატარა, წყნარ, ლამაზ ზღვისპირა ქალაქში, მართლაც, თევზის უგემრიელესი კერძები გავსინჯე. ახლა კი უზარმაზარ, უსიცოცხლო სიცარიელის შუაგულში ვიდექი, გარშემო მხოლოდ ნანგრევები და მათ შორის მიმოფანტული კატერები და გემები ჩანდა. და სუნი... შმორის გულისამრევი სუნი...

ქალაქი კესენუმა

ერთადერთი, რაც გონებაში გიტრიალებს, როდესაც ამ ნანგრევებს ათვალეერებ, ისაა, რომ ბოლო სართულებზე ან სახურავებზე მყოფი ხალხი მაინც გადარჩა, რომ



ტალღამ იქამდე მანც ვერ მიიღწია.

„არა, აქ ყველა შენობა დაფარა ტალღამ. სახურავზე მყოფებსაც არ დაუტოვა გადარჩენის შანსი“, – ჩანასახშივე ჩამიკლა იმედი ჩემმა მეგობარმა ტაცუშიმ, რომელიც, როგორც ჩანს, ჩემი სახის გამომეტყველებით მიმიხვდა ფიქრებს. ტაცუში ცუნამის შემდეგ უკვე მეხუთეჯერ იმყოფება მოხალისედ ამ მხარეში და კარგად იცნობს აქაურობას. თვითონ იურისტია და ძალიან დაკავებული ადამიანი, მაგრამ არ უშვებს ხოლმე შესაძლებლობას რაიმეთი დაეხმაროს დაზარალებულებს. ჩვენი აქ წამოსვლაც მისი დამსახურებაა – ორგანიზება თავიდან ბოლომდე საკუთარ თავზე აიღო.

ტაცუშის თან ახლდა ბავშვობის მეგობარი ნაო ნემოტო, რომელსაც მეტსახელად ნემო შევარქვით. არამართო გვარის გამო. საქმე ისაა, რომ იაპონელისთვის უჩვეულოდ ზორბა ტანის მიუხედავად, ნემოტო სულ სადღაც გვეკარგებოდა. საკმარისი იყო მანქანა ორი წუთით გაგვეჩერებინა, რომ მერე, ცნობილი მულტფილმის გმირის მსგავსად, მისი ძებნა გვიწვედა.

ორი იაპონელის გარდა, ასევე იყო ორი უცხოელი, რომლებთანაც იაპონიაში ჩამოსვლის დღიდან ვმეგობრობ: იანი – ჩეხეთიდან, – იგი ყოველ ერთ საათში გვაჩერებინებდა მანქანას ლუდის მარაგის შესავსებად, და ანტონი – კორეელი წარმოშობის უზბეკი, 4 წლის წინ, ჩვენი პირველივე შეხვედრისას, ნახევრად ხუმრობით რომ განმიცხადა, ჩემი უზბეკეთში დაბადე-

ბა ქართველების ბრალიაო (გულისხმობდა სტალინის მიერ კორეელთა შუა აზიაში გადასახლებას).

ჯგუფის მეხუთე წევრი კი გახლდით მე, თქვენი მონამორჩილი, რომელსაც მანქანის უკანა სავარძელზე, დიდი ტანის ანტონთან და იანთან ერთად ჯდომა ძალიან მიჭირდა. ხუთივე დაგვზაფრა კესენუმას ნაქალაქარმა. მე და ტაცუშისთვის ეს არ იყო პირველი გასვლა ტოპოკუს რეგიონში და გარკვეულწილად, ვიცოდით, რა გველოდა, მაგრამ დანარჩენთათვის დიდი შოკი აღმოჩნდა ყველაფრის საკუთარი თვალით ხილვა. რა თქმა უნდა, ყველას ჰქონდა ნანახი ვიდეორჩანანერები და სურათები და-

ზარალებული რაიონებიდან, მაგრამ სინამდვილესთან შეხება, მოსალოდნელზე შემზარავი აღმოჩნდა...

კესენუმას მალევე გავეცალეთ. უკვე თენდებოდა, ჩვენ კი, წინ დიდი გზა გვედოდა და თან, მოხალისეთა ცენტრში რეგისტრაციაც არ გვქონდა გავლილი.

ქალაქი რიკუჰინტაკატა, „ველური ბიძა“ და იმედის ხა

დილის ექვს საათზე უკვე მოხალისეთა ცენტრში ვიყავით. ეს გზისპირას სახელდახელოდ მოწყობილი ბანაკი იყო, სადაც მოხალისეები ამუნიციისა და ინსტრუქციის მისაღებად იკრიბებოდნენ. პირველ სტენდთან გავიარეთ რეგისტრაცია, მეორე სტენდთან სამედიცინო დაზღვევა გავგიფორმეს, მესამესთან – აგვისხნეს, სად უნდა წავსულიყავით და რა გავგეკეთებინა, ხოლო მეოთხესთან – შესაბამისი სამუშაო იარაღები და ტანსაცმელი გადმოგვცეს.

მუშაობის დასაწყებად უკვე მზად ვიყავით, როდესაც, უეცრად, ცენტრის ხელმძღვანელმა ტაცუშის, ჩემს მეგობარს, მიკროფონი მიაჩეჩა და საკუთარი თავისა და ჯგუფის მოკლედ წარდგენა სთხოვა. ცნობას, რომ ჯგუფი ორი იაპონელისა და სამი უცხოელისგან შედგებოდა, დიდი ოვაციები და ტაში მოყვა. ამ დროისთვის ბანაკში უკვე ხუთასამდე მოხალისე შეკრებილიყო, სამი უცხოელი მათი ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდით. რამდენიმე ხელი ჩამოგვართვა, სხვებმა გაგვამხნევეს, ყველა მხრიდან კი, მაღლიერებით აღვსილ

**უზარმაზარ,
უსისოცხლო
სისარჩილის
შუაბულში ვიღაქი,
ბარჯემო მხოლოდ
ნანგრევები და გათ
შორის მიმოფანტული
ქატვრები და
ბამები ჩანდა. და
სუნი... შორის
ბულისამრავი
სუნი...**



რიკუქენტაკატას



ქსენეზა

მზერას ვგრძნობდი.

ცენტრიდან ქალაქ რიკუქენტაკატას გარეუბანში გაგვავაზენეს. იქამდე მისასვლელად ქალაქი მთლიანად უნდა გადაგვეკვეთათ. კესენუმას მსგავსად, აქაც სრული სიცარიელე და უსიცოცხლობა იდგა, თუმცა რამდენიმე ათეული შენობის ბოლო სართულები უვნებლად იყო გადარჩენილი.

ქალაქის გარეუბნებში გამოცოცხლება შეიძენოდა. მოხალისეები საყანე მიწებს ასუფთავებდნენ ნაგვისაგან. აქა-იქ სათბურებიც კი შეენიშნეთ, ცოტა ხანში დანიშნულების ადგილსაც მივადექით. სახლის მიგნება არც ისე რთული აღმოჩნდა, – ეულად დაყუდებულიყო შემადლებულ ადგილას და სწორედ მისი მდებარეობის გამო შედარებით ნაკლებად იყო დაზიანებული. მის გარშემო კი, სახლების უმეტესობა ტალღას წაელო.

სახლის პატრონი, 60-იოდე წლის ჭარმაგი, თმაგაჩეჩილი კაცი გარეთ გველოდა. მისმა გარეგნობამ და ქცევამ უცბად მიგვახვედრა, თუ რატომ ეძახდნენ მას მოხალისეთა ცენტრში „ველურ ბიძას“.

კუმაგაი სანს (ასე ჰქვია ჩვენს მასპინძელ „ველური ბიძას“), როგორც ჩანს, უკვე მოესწრო თავისი სახლის შეკეთება და მის გარშემო ეზოსა და ბაღის გალამაზება. ახლა კი, უკვე, საყანე ნაკვეთის მონყოზზე გადართულიყო. გაირკვა, დაგეგმილი ჰქონია თავისი მიწის სავაჭრო-კომერციულ ფართად გადაქცევა და შემდეგ, მისი მეზობლებისთვის ჩუქება. თვლიდა, რომ ამ ადგილას ძალიან მომგებიანი იქნებოდა

პატარა სასადილოს ან რესტორნის გასსნა; ასევე, ფიქრობდა, აემოქმედებინა ტკბილეულის მაღაზია და სხვადასხვა პატარა-პატარა, იაპონური სტილის საკვები ობიექტები ან დახლები, რომლებიც, ძორითადად, ქალაქის აღდგენაზე მომუშავე პერსონალს მოემსახურებოდა. თან, მეზობლებიც დასაქმდებოდნენ. გამომდინარე იქიდან, რომ ახლო-მახლო მომუშავე პერსონალისთვის საცხოვრებელიც უნდა აშენებულიყო, კუმაგაი სანის გათვლები უსაფუძვლო არ ჩანდა.

ნაკვეთამდე გზა, კანალიზაცია, დენი და სხვა ინფრასტრუქტურა უკვე მიყვანილი და აღდგენილი იყო. დანარჩენში „ველურ ბიძას“ საკუთარი ძალებისა და მოხალისეების იმედი ჰქონდა.

ჩვენ ზედმეტი კითხვების გარეშე შევეუდექით სამუშაოს, მაგრამ, როდესაც შესვენებაზე დიასახლისმა სახელდახლოდ გამლილ სუფრასთან მიგვიწვია, კუმაგაი სანს ყველამ ერთად დავაყარეთ კითხვები.

„მე სახლი გადაამირჩა და თან შევიღები მეხმარებიან. ჩემს მეზობლებს კი, არაფერი შერჩათ. უმეტესობა უმუშევრად დარჩა, ყოველგვარი შემოსავლის გარეშე. ასე რომ, აქ შეიძლება აღარც მობრუნდნენ. მე კიდევ, მინდა, ჩემი უბანი ისევ აღდგეს. მინდა, რომ ხალხს აქ დაბრუნების საშუალება და სტიმული მივცე. ძალიან მიყვარს აქაურობა. რიკუქენტაკატში ცხოვრება ძველ კალაპოტს უნდა დაუბრუნდეს“, – სევდიანი ხმით გვიხსნიდა მასპინძელი.

კუმაგაი სანმა გვითხრა, რომ ტალღის

მერე, ქალაქის მიწის ზედაპირმა დაახლოებით ერთი მეტრით დაიწია, რაც სათუოს ხდის მისი აღდგენის შესაძლებლობას. არსებობს გეგმა, მიწის ზედაპირი ხელოვნურად აამაღლონ, მაგრამ ბევრი სკეპტიკურად უყურებს ამ პროექტს. თვითონ კუმაგაი სანი კი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ქალაქი მანაც აღდგებოდა და ძველზე უკეთესიც გახდებოდა. გაბრწყინებული სახით გვიამბო იმის შესახებ, თუ სად, რა შენობა ჩაიდგებოდა, როგორ გაშენდება ახალი პარკები და სკვერები, როგორ გაამკაცრებენ უსაფრთხოების ზომებს და ააგებენ უფრო დიდ, დამცავ ნაგებობებს და ხალხი დაუბრუნდება აქაურობას!

„ალტაცებული ვიყავი „ველური ბიძის“ ენერგიითა და სასიცოცხლო ძალით, მაგრამ ბოლომდე ვერ ვიზიარებდი მის ოპტიმიზმს. ალბათ, სახის გამომეტყველებაზე შემატყო სკეპტიკური დამოკიდებულება და ცოტა ბრაზმორეულმა მომაძახა, გამომყვიო. წამით დავიბენი, მაგრამ მალევე გამოფხიზლდი, როდესაც ვიგრძენი როგორ ჩამავლო დაკოჟირილი ხელი და ძლიერად მომქაჩა. მეც მივყვიე. ორივემ ლამის ავირბინეთ პატარა აღმართი, საიდანაც ხელისგულივით იშლებოდა ქალაქის ხედი.

„იმ ხეს შეხედე!“ – ჩაიჩურჩულა მოხუცმა და თითი, სრულ სიცარიელეში, ოკეანეს ნაპირთან ახლოს, ეულად აღმართული ფიჭვისკენ გაიშვირა. „იქ, ვიდრე ცუნამი დაგვატყდებოდა, დიდი ფიჭვნარი იყო, რამდენიმე ათეული ათასი ხით. ტალღამ ყველაფერი გაანადგურა და ყველა ხე ძი-



რიანად მოთხარა. მაგრამ, ის ერთადერთი ფიჭვი კვლავაც დგას, ცოცხალია. იმან თუ გაუძლო, ჩვენც გავუძლებთ! ქალაქი არ მოკვდება!“ – ცოტა ხნით ორივე დავდუმდით და ბუნების ამ სასწაულს ვუყუარებდით. „ყოველ დილას გამოვდივარ და შევცქერი ამ ხეს. ეს მაძლევს ძალას, რომ მჯეროდეს!“ – ჩაილაპარაკა მან და თვალები აუნწყლიანდა.

ოჭენრის „უკანასკნელი ფოთოლი“ გამახსენდა; მივხვდი, რამდენს ნიშნავდა ის ერთადერთი ფიჭვი აქაურებისთვის და ღმერთს ვთხოვე, რომ ამ ხეს არაფერი მოსვლოდა. მერე კი, გადავწყვიტე, ჩემი წელანდელი შეცდომა გამომესწორებინა და ხმამალა ვუთხარი: დარწმუნებული ვარ, ქალაქი აღდგება!

„რა თქმა უნდა!“ – ხალისიანად მიპასუხა „ველურმა ბიძამ“.

სალამომდე მუხლჩაუხრელად ვიმუშავებ. ტომრებს მინით ვავსებდით და სანიღვრე არხს ვანყობდით. იანი და ტაცუსი კენდოს ვარჯიშობენ პროფესიონალურ დონეზე, ამიტომაც, დაიჩემეს, ბართან და წერაქვთან გვამუშავებთ. კატანას (იაპონური ხმალია) და ბარს შორის რა მსგავსებაა, ვერაფრით ამოვხსენი, მაგრამ ბიჭებს შრომას ვერ დავუკარგავ; ოსტატურად თხრიდნენ მიწას და ავსებდნენ ტომრებს. ნემოტო ტომრებს კრავდა და მე და ანტონს გვანვდიდა. მეგონა, ყველაზე ადვილი სამუშაო შემხვდა, მაგრამ მწარედ შევცდი, სველი მიწის ბელტებით სავსე ტომრები ძალიან მძიმე იყო და მათი სწორ

საზში, მჭიდროდ ჩალაგებამ ბევრი ოფლი მაღინა. ორჯერ მოგვინია უკვე აწყობილი მონაკვეთის დანგრევა და ტომრების თავიდან დანყობა, რადგან ხაზი სწორედ არ მიდიოდა.

კუმაგაი სანიც გვეხმარებოდა შეძლებისდაგვარად. ახალგაზრდული ენერგიით ეზიდებოდა მინით სავსე ტომრებს და თან, მითითებებს გვაძლევდა ნახაზის მიხედვით. არ მოვეშვით, სანამ ბოლომდე არ მივიყვანეთ დანყებული საქმე და სალამოსთვის არხი მზად იყო.

**ერთდერთი, რაც
ბონებაში გიტრიალებს,
ისაა, რომ სახურავებზე
მყოფი ხალხი გაინს
ბაღარჩა.
„არა, აქ ყველა
შენობა დაფარა
ტალღამ. სახურავზე
მყოფებსაც
არ დაუტოვა
ბაღარჩენის შანსი“,
ჩანასახშივე
ჩამოქლა იხელი
ტაცუში.**

გამომშვიდობებისას „ველურმა ბიძამ“ თავი მინამდე დაგვიკრა, რამდენიმე წამი შეჩერდა ამ პოზაში და მთელი ძალით შესძახა: არიგატო გოძაიმაშიტა! კონო ონვა იშშოო ვასურემასენ! – დიდი მადლობა, ამ სიკეთეს ცხოვრების ბოლომდე არ დავივიწყებთო.

გულთბილად დავემშვიდობეთ და გავუდექით გზას ღამის გასათევის საძიებლად.

**ლტოლვილთა თავშესაფარი და
ორბანიასია ALLHANDS**

მისავათებულებს, ერთი სული გვექონდა, როდის შევძრებოდით ჩვენს საძილე ტომრებში. გადავწყვიტეთ, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ლტოლვილების თავშესაფარში გაგვეთია ღამე.

თავშესაფარი მოხალისეთა ცენტრში მიგვასწავლეს. უზარმაზარი კომპლექსი აღმოჩნდა. გაგვამწესეს ერთ დიდ ოთახში, სადაც ჩვენს გარდა, კიდევ ათიოდე იაპონელი იყო; ჩვენნაირი მოხალისეები აღმოჩნდნენ, იოკოჰამადან. დერეფანში გამოვედი იმ იმედით, რომ შევძლებდი ლტოლვილებთან გამოლაპარაკებას. საერთო სამზარეულოში ახალგაზრდები ტრიალებდნენ, მაგრამ ისინიც მოხალისეები გამოდგნენ. გავემართე მთავარი ფოიესკენ; ჩემდა გასაოცრად, სავსე იყო უცხოელებით, რომლებიც, პროდუქტებით დატვირთულნი, ეზოსკენ მიემართებოდნენ.

– შენც ოლჰენდსიდან ხარ? – ხალისიანად მკითხა ერთ-ერთმა გოგომ, შესამჩნევი ბრიტანული ინგლისურით.



– საიდან? – ცოტათი დავიბენი.
 – რომელი ორგანიზაციიდან ხარ?
 – არცერთიდან. მეგობრებთან ერთად მოხალისეებად ვართ წამოსულები.
 – არ აქვს მნიშვნელობა. დაუძახე შენს მეგობრებს და ბარბექიუზე შემოგვიერთდით. აქვე, ეზოში მაყალი გვაქვს განყოფილი.

ამ ღვთისგან მივიწყებულ ადგილას, ყველაზე ნაკლებად ველოდი უცხოელების ჯგუფს, რომლებიც მწვადზე დაგვკატიებდნენ. ბიჭებს დაუძახე და ყველანი მათ შევეურთდით. მოხალისეთა ორგანიზაცია allhands-ის წევრები აღმოჩნდნენ; მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეხმარებიან დაზარალებულ ხალხს. ზოგიერთი მათგანი უკვე რამდენიმე თვის განმავლობაში ცხოვრობდა ამ შენობაში და თითქმის ყოველდღე გადიოდნენ სამუშაოდ. პირველი მოხალისეები ჯერ კიდევ მარტში, ცუნამიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოსულან, ასე 27-28 წლის ახალგაზრდები იქნებოდნენ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან შეკრებილიყვნენ, მაგრამ მაინც ბრიტანელები ქარბობდნენ ყველას.

უამრავი საოცარი ისტორია მოვისმინე. იაკონიის გარდა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიით დაწყებული, აფრიკის ქვეყნებით დამთავრებული, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დადიან და შეძლებისდაგვარად ეხმარებიან ადგილობრივ გაჭირვებულ მოსახლეობას. ბევრი მათგანისთვის, ეს უკვე ცხოვრების წესად ქცეულიყო. ზოგიერთმა სამსახურს დაანება თავი და მთელი დანაზოგი ფულით ამ ორგანიზაციას შეუერთდა.

„ორი თვის წინ სუდანიდან ჩამოვედი“, „ერთი თვის წინ, როდესაც ინდოეთში ლატაკა უბანში ვმუშაობდით...“, „ერთ კვირაში ტაილანდში მივედივარ. წყალდიდობის მერე, დიდი ზარალია ბანგკოკში“, – გვეუბნებოდნენ ორგანიზაციის წევრები. მათ საუბარს არც სიამაყის გრძნობა ახლდა, არც თავის გამოჩენის სურვილი. საოცარი უბრალოებით გამოირჩეოდნენ. ამავე ჯგუფისგან შევიტყვე, რომ თავშესაფარში ლტოლვილები აღარ დარჩენილიყვნენ. უმეტესობას, ან სახლი აუშენეს, ან სადმე, უკეთეს პირობებში გადაიყვანეს. ასე რომ, ამჟამად, მხოლოდ მოხალისეები ვიმყოფებოდით.

აქვე გავიგეთ, რომ ის დღე (5 ნოემბერი) იაკონიის მთავრობამ გამოაცხადა ცუნამისთან ბრძოლის დღედ. რა თქმა უნდა, ეს

უნდა აღნიშნულიყო, მით უმეტეს, რომ ამ დღეს დაემთხვა ძველი ინგლისური დღესასწაული „გაი ფოქსის ღამე“, რა დროსაც ბრიტანელები კათოლიკეთა აჯანყების ჩავარდნას ზეიმობენ და ცეცხლზე წვავენ აჯანყებულთა ლიდერის გაი ფოქსის ფიგურას. მეტი მიზეზი აღარც იყო საჭირო, რომ ახალგაზრდობას გულიანად მოეხინა ცეცხლის გარშემო.

ჩვენ სასმელს ვერიდებოდით, რადგან გვინდოდა მეორე დღესაც ფორმაში ვყოფილიყავით, მაგრამ გვითხრეს, რომ მეორე დღეს ძლიერი წვიმა იყო მოსალოდნელი და მუშაობას მაინც ვერ მოვახერხებდით, შესაბამისად, არც თავის დაზოგვა ღირდა.

პროგნოზი გამართლდა და ამინდმა დაუნდობლად გვიმტყუნა. ამიტომ, მეორე დღეს, დილიდანვე გამოვემართეთ ტოკიოსკენ. თან წამოგვყვა მუშაობით გამოწვეული კუნთების ტკივილი და უამრავი სხვადასხვა ენით გამოუთქმელი ემოცია.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ორი დღე საშინელ და შემზარავ ადგილებში ვიარეთ, თან, იმასაც ვხვდებოდით – ბევრი არც არაფერი გაგვიკეთებია, კუმბაი საწინის, ის – გულიდან ამოსროლილი მადლობის სიტყვები, მაინც გვატობდა ყველას.

„აუცილებლად უნდა წავიდეთ კიდევ ერთხელ!“ – თითქმის ერთხმად ვთქვი ტოკიოში ჩამოსვლის შემდეგ, თითქოს ერთმანეთის გულისნადები ამოვიკითხეთ.

რალაც მკარნახობს, რომ ეს არ იქნება ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა „ველურ ბიძასთან“.

**გამომშვიდობებისას
 „ველურ ბიძა“ თავი
 მიწაზე დაბვიკრა,
 რამდენიმე წამი
 შეჩერდა ამ პოზაში და
 მთელი კალით შესძახა:
 დიდი მადლობა, ამ
 სიკეთეს სხოვრების
 ბოლომდე არ
 დაგივიწყებო.**

FM
სენტი
98.0





AUTO ELIAVA

ავტორი სერგი ბარისაშვილი

თბილისში, სადაც, სანვავზე მუდმივად მზარდი ფასების მიუხედავად, თითქმის ყველას — კაცსა თუ ქალს, დიდსა თუ პატარას, მდიდარსა თუ ღარიბს, ჰყავს, ან უნდა რომ ჰყავდეს საკუთარი მანქანა, ელიავა, ერთი შეხედვით, საკმაოდ ნაცნობი და „მშობლიური“ ადგილია.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური სიტყვები „ფირმა“ მანქანებითი შემოიჭრნენ ჩვენს ყოველდღიურ მეტყველებაში, ხოლო საბჭოთა და რუსული წარმოების ავტომობილები დინოზავრებით გადაშენდნენ თბილისის ქუჩებიდან (რაც დრო გადის, სულ უფრო იშვიათად წაანყდებით მათ), რუსული ტერმინოლოგია კვლავინდებურად შეუცვლელია ქართულ ავტოსამყაროში. ელიავას გარაჟების სარეკლამო აბრეზზე, ისევ იგივე წარწერებია: „токарь“, „сварщик“, „ходовик“, „каробка“, „დევერშიკი“, „რაზვალი“ და ა.შ.

აქ მოხვედრისთანავე, აშკარად იგძნობა მასკულინური გარემო, ქალებს აქ მარტო გამყიდველად, ან კედელზე პოსტერის სახით შიშვლად გაკრულს თუ ნახავთ... რაციონალური, ზეთით და გინებით გაულენთილი, პოსტაპოკალიპტურ-ტექნოგენური მიკროსამყარო, რომელიც აბსოლუტურად თავისი რიტმით და პრობლემებით ცხოვრობს...

და მაინც, წლების განმავლობაში ქალაქის ეს ნაწილი, შეიძლება ითქვას, ერთგვარ პროფესიულ ამქრად ჩამოყალიბდა, რომელიც დღე-ღამის განმავლობაში ყოველთვის მზადაა „პაციენტების“ (როგორც ერთ-ერთმა ელიაველმა ხელოსანმა ხატოვნად მითხრა) – დაზიანებული მანქანების – მისაღებად, სამკურნალოდ და ხშირად, რეანიმირებისთვისაც კი.

КАРОБКА
ПЕРЕДАЧ
ХОДОВИК





ამონტაჟი
875-74-10-34



MERCEDES JETTA
00-506 PASSAT
01-05 GOLF-4
02-06 1992-2002
GOLF-4
JETTA



















SINCE 1884

SARAJISHVILI

სარაჯიშვილი

სხალი
შოკოლადი

სტილი



ტელესია
1960-იანი წლები

უთაბონება
კოვლავი – დავიდ კომას ინსპირაცია

მოდის ისტორია
ჯეკის ვარდისფერი კოსტიუმი

ისტორია
ბალიანოს ტოქსიკური გზა



სტილი „სხელ შოკოლადში“

თამარ ალავიძე

ერთი კვირის წინ მამასთან ერთად ბავშვების ნახატების გამოვენა-გაყიდვაზე წასული ნინა (ჩემი 3 წლის შვილი) სახლში შენაძენით დაბრუნდა: 11 წლის გოგონას მიერ ფანქრებით შესრულებული ნახატი მოიტანა, რომელზეც ოთხი, ლამაზად და „მოდურად“ ჩაცმული გოგონა იყო გამოსახული. დავხედე და გამეცინა.

„შენი შვილის არჩეულია! ამდენ ნატურ-მორტსა და პეიზაჟს შორის, პირდაპირ ამ ნახატს მიადგა“, – ღიმილით მითხრა ჩემმა მეუღლემ.

არ ვიცი, რა პროფესია ექნება 12-13 წლის შემდეგ ნინას, მაგრამ გამიხარდება, თუ ისეთ საქმეს აირჩევს, რისადმიც თანდაყოლილი ინტერესი ექნება, რადგან მჯერა, რომ ადამიანს ყველაზე კარგად ის საქმე გამოსდის, რაც ყველაზე დიდ სიამოვნებას ანიჭებს. მიმაჩნია, რომ ეს თვითრეალიზების საუკეთესო გზაც არის.

შესაძლოა, ასე ვფიქრობდი ყოველთვის, მაშინაც, როცა იურისტის პროფესიას ვირჩევდი, მაგრამ ამ მოსაზრების სიზუსტე ყველაზე უკეთ მაშინ გავაცნობიერე, როცა ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ჩემს ძირითად საქმედ იქცა ის, რის მიმართაც ინტერესი უკვე წლებია, არ გამწვანდება – მოდა, მისი ისტორია და მისი რეალური კულტურული კონტექსტი.

ჩემთვის არასდროს ძველდება კოკო შანელის მოსაზრება, რომ მოდა არა მხოლოდ კაბებში, არამედ ცაში, ქუჩაში არსებობს, ის იდებთან,

ცხოვრების წესსა და ყოველივე იმასთანაა კავშირში, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება. მგონია, რომ სასიამოვნო და კომფორტულიც კია, დღესაც ვიფიქროთ ასე. ჩავთვალოთ, რომ მოდა არა მხოლოდ ხელოვნებაა; არა მხოლოდ ფუფუნება და მაღალი წრის საზოგადოების პრეროგატივაა, არამედ თითოეული ჩვენგანის რუტინული ყოველდღიურობის ორგანული ნაწილიც.

არ დავგაბნიხს არც ლეგენდებმა და არც ხმაურთანაა სკანდალებმა. სინამდვილეში, ყოველივე ეს ჩვენს თვალწინ ხდება და დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

Christian Dior-ის სახლიდან შემოქმედებითი დირექტორი, ჯონ გალიანო, მის მიერ შექმნილი შემოდგომა-ზამთრის კოლექციის ჩვენებამდე რამდენიმე დღით ადრე დაითხოვეს. სახლის ხელმძღვანელობამ მხოლოდ უშუალოდ ჩვენების დღეს, 2011 წლის 4 მარტს გააცნობიერა, რომ აღარ ჰყავდათ მთავარი მოქმედი პირი – კოლექციის ავტორი, ვინც, ტრადიციისამებრ, პუბლიკის აპლოდისმენტების მისაღებად პოდიუმზე გავიდოდა. ასე მიიღეს ნაუცბათევი გადაწყვეტილება Dior-ის სახლში და ჩვენების დასასრულს, პუბლიკისთვის მადლობის გადასახდელად თეთრ ხალათებში ჩაცმული ატელიეს თანამშრომლები გაუშვეს.

ეს უპრეცედენტო ფესტი, საზოგადოების ნაწილისთვის იმის სიმბოლოდ იქცა, რომ ერთი, თუნდაც ლეგენდარული ადამიანის ნასვლით,

50-წლიანი ისტორიის მქონე მოდის სახლი, არაფერს იზარალებდა. Christian Dior-ის ძლევაში სილი ბრენდი არსებობას არ შეწყვეტდა.

ამერიკელებისთვის არანაკლებად სიმბოლოურია ის ვარდისფერი კოსტიუმიც, რომელიც ჯეკი კენედის 1963 წლის 22 ნოემბერს დალასში მომხდარი საბედისწერო გასროლის დროს ეცვა: „პრეზიდენტის გარემოცვის წევრები იხსნებენ, თუ იმ დღით როგორ იზონებდა თავს ჯონ კენედი ცოლის ელევანტური ჩაცმულობით. ვიცე-პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონისთვის მას უთქვამს კიდევ: „ლინდონ, ნახეთ, არავის აინტერესებს მე და თქვენ რა გვაცვია!“

იმაზე, რომ მოდა არ ემორჩილება რეგლამენტებსა და კანონზომიერებებს, აღარავინ დავობს. არც გასული საუკუნის სხვადასხვა დეკადის ტენდენციების პერიოდული შემობრუნება უკვირს ვინმეს. უფრო პირიქით – მსგავსი შემობრუნებები სახალისო მოგონებების საფუძველიც ხდება, ისე, როგორც მოხდა წელს, შემოდგომა-ზამთრის სეზონზე, 1960-იანი წლების რეინკარნაციისას, თავისი მინიკაბებით, „პიტერ პენის“ საყელოებით, ორბორტიანი ქურთუკებითა და პალტოებით.

„ცხელი შოკოლადის“ სტილისადმი მიძღვნილი გვერდები იმ მკითხველისთვისაა, ვისაც სწორედ ამგვარი მოგზაურობები იზიდავს – დროში, სივრცესა და კულტურაში. ასე რომ, სასიამოვნო გასეირნებას გისურვებთ.



WEAREANIMALS.COM

Wrangler®

WE ARE ANIMALS

16 - Levi's Original Store • 34 - Lee & Wrangler • 3 - GTC - Lee & Wrangler • 7 - Lee & Wrangler • 31 - Lee & Wrangler • 3 - Lee & Wrangler • 8 - Lee & Wrangler • 23 - Lee & Wrangler

1960-იანი წლები

სამოციანებმა სუპერმოდელის ცნება შემოიტანა, დეკადის სახეებად კი ჯინ შრიმპტონი, ტვიგი და პენელოპა ტრი დაუტოვა ისტორიას. 1950-იანების ქალური, კორსეტისებრი სილუეტი მერი კვანტის მოდერნიზმით შთაგონებულმა ახალგაზრდულმა ანდროგენიზმმა ჩაანაცვლა: მოკლე ქვედაბოლოები და კაბები, მინიმალისტური და ფუტურისტული სილუეტი, „პიტერ პენის“ საყელოები, ორბორტიანი ქურთუკები. 1966 წელს კი, ივ-სენ-ლორანმა ქალებისთვის სმოკინგი შექმნა: გრძელი, მინიმალისტური და ანდროგენური საღამოს ქურთუკი.



2



3



4



5



8

1. პინულოპა ტრი – დაიანა ვრილანდის მიერ 1960-იანების სახედ მონათლული მოდელი, რიჩარდ ავედონის, დევიდ ბეილისა და სესილ ბიტონის მუდმივი შთაგონების წყარო იყო.
2. ტვიტბი – (ლესლი ჰორნბი) – დამახასიათებელი ანდროგენიზმის, მოკლე ვარცხნილობის, გრძელი წამწამების და თხელი აგებულების დამსახურებით, ის ამ დეკადის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახე იყო.
3. ჯინ შრიმპტონი - ფოტოგრაფ დევიდ ბეილის მიერ აღმოჩენილი ბრიტანელი სამოციანების დეკადის ყველაზე ძვირადღირებულ მოდელად ითვლებოდა.
4. YVES SAINT LAURENT, 2002.
YVES SAINT LAURENT, 1975 წელი – ჰელმუტ ნიუტონის მიერ ფრანგული Vogue-სათვის გადაღებული ცნობილი ფოტო.
YVES SAINT LAURENT, შემოდგომა-ზამთარი, 2011-12.
5. ნაოში კამბელი PRADA-ს 1994 წლის სარეკლამო კამპანიაში; სტივენ მაიზელის ფოტო.
PRADA, შემოდგომა-ზამთარი, 2011-12;
6. DKNY – შემოდგომა-ზამთარი, 2011-12;
GIAMBATTISTA VALLI – შემოდგომა-ზამთარი, 2011-12;
LOUIS VUITTON – შემოდგომა-ზამთარი, 2011-12;
7. მერი კვანტი – 1960-იანი წლების ბრიტანელი დიზაინერი;
8. პოლანდიელი მხატვრის, პიტ მონდრიანის გეომეტრიული სტილის გავლენით შექმნილი კაბა – 1965-66 წლის შემოდგომა-ზამთრის მაღალი მოდის ჩვენება;
9. CHLOE – შემოდგომა-ზამთარი, 2011-12.




6



9



7



დევიდ კომას ინსპირაცია

DAVID KOMA
შემოდგომა-ზამთარი 2011-12

ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი დიზაინერი დევიდ კომა ლონდონელ ახალგაზრდა შემოქმედთა შორის ერთ-ერთია, რომელმაც ბოლო რამდენიმე სეზონზე მედიის განსაკუთრებული ყურადღება და აღიარება მოიპოვა. ბეიონსი, რიანა, ლედი გაგა, კაილი მინოგი და შერილ კოლი – მხოლოდ რამდენიმე სახელია იმ ცნობილი ადამიანების ჩამონათვალიდან, რომლებიც კომას კაბებში არაერთხელ შემოსილან.

„მინდოდა რაღაც ჭეშმარიტად ექსპერიმენტული და სარისკო გამეკეთებინა“ – აღნიშნა კომამ კოლექციაზე საუბრისას – ბენვის პომპონები დიდი გამოწვევა აღმოჩნდა, რადგან ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ელევანტურისა და ლამაზის ნაცვლად, უბრალოდ სასაცილო გამოსულიყო“.

კომა წინა კოლექციებში ყოველთვის მიანიშნებდა Azzedine Alaia-ს სილუეტებზე, რასაც არც ამჯერად უღალატა დიზაინერმა. თუმცა, 2011 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციის ძირითადი შთაგონება იაპონელი მხატვარი იაოი კუსამას, რუსი ფოტოგრაფი ოლეგ დუსა და ლონდონელი მოდის დიზაინერისა და „უხამსი გემოვნების“ პერფორმანსის არტისტის ლი ბოუერის შემოქმედებებიდან მომდინარეობს.

„ამ კოლექციაში პირველად გამოვიყენე ჩემს მიერ შექმნილი პრინტი. ადრეც არაერთხელ მქონდა ამის სურვილი, მაგრამ შესაბამისი განწყობა ვერაფრით მოვძებნე“ – ამბობს დიზაინერი – დღესთვის ძალიან ბევრი ქმნის საკუთარ პრინტს, მაგრამ მე მინდოდა, ეს რაღაც განსაკუთრებული ყოფილიყო, ძალიან David Koma-სეული“.




ლი ბოუერი

წარმოშობით ავსტრალიელი პერფორმანსის არტისტი, მოდელი, მოდის დიზაინერი და მსახიობი 1980-90 წლებში ნიუ-იორკისა და ლონდონის სახელოვნებო წრეებში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პიროვნება იყო. მას არაერთ დიზაინერზე მოუხდენია გავლენა, მათ შორის, ალექსანდერ მაქვინის, ვივიენ ვესტვუდის და ჯონ გალიანოს შემოქმედებაზეც.



იაოი კუსამა

თანამედროვე იაპონელი არტისტის ნახატებს, კოლაჟებს, პერფორმანსის ნამუშევრებსა და ინსტალაციებს ერთი რამ აერთიანებს – აკუმულაცია და განმეორება.



ოლეგ დუ

თანამედროვე რუსი ფოტოგრაფი, რომელსაც რამდენიმე საერთაშორისო ჯილდო აქვს მიღებული, ტრადიციისა და თანამედროვე მასალის სინთეზის მეშვეობით მათ ახალ იდეად აქცევს.

სილაგაზის სალონების ქსელი „მელანჟი“



ჩვეულებრივი ლაქი

ფერადი ლაქი-გელი Shellac

ჩვეულებრივი ლაქი

ფერადი ლაქი-გელი Shellac

Shellac™

ფერადი ლაქი-გელი

2-წუთიანი გამრობა
14-დღიანი უნაკლო დაფარვა

ფალიაშვილის 72. ტელ: 223-54-52

ვაჟა-ფშაველას 32. ტელ: 239-63-01

ც.დადიანის 7 (სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა“, მე-2 სართ. ტელ: 266-60-08)

www.melange.ge

facebook



ჯეკის ვარდისფერი კოსტიუმი



ტექსტი მომზადდა Los Angeles Times-ში გამოქვეყნებულ მასალაზე დაყრდნობით



1963 წლის ნოემბერში დალასში გამგზავრებულმა ჟაკლინ კენედიმ თან ორი კოსტიუმი წაიღო. ერთ-ერთი შალის ვარდისფერი კოსტიუმი იყო.

1963 წლის 22 ნოემბერი ხანგრძლივი და დამღლეი დღე უნდა ყოფილიყო ტეხასის დედაქალაქში, ამიტომაც პრეზიდენტ კენედიმ მეუღლეს თბილად ჩაცმა ურჩია და სამოსიც თავად შეურჩია: ვარდისფერი კოსტიუმი (როგორც ამბობენ, ჯონ კენედის ეს კოსტიუმი გამორჩეულად მოსწონდა) ლურჯ ბლუზასთან ერთად. ანსამბლი ჟაკლინმა თეთრი ფერის ხელთათმანებითა და მომცრო ვარდისფერი ქუდით დაასრულა (პატარა ზომის ქუდებს, რომლებიც პირველი ლედის განუყრელი აქსესუარი იყო, მას ცნობილი ამერიკელი დიზაინერი როი ჰალსტონი უკერავდა).

კენედის ოპონენტები ხელიდან შანსს არასდროს უშვებდნენ, პარიზის მოდური ტენდენციებით ქვეყნის პირველი ქალბატონის ძვირადღირებული გატაცებები გაეკრიტიკებინათ, პრეზიდენტს მეუღლისათვის ამერიკელი დიზაინერებისათვის მეტი ყურადღების დათმობა უთხოვია. ჟაკლინმაც, როგორც ჩანს, რჩევა გაითვალისწინა და \$10.000 ღირებულების ინდივიდუალური შეკვეთით დამზადებული Chanel-ის კოსტიუმის ნაცვლად ნიუ-იორკის ერთ-ერთ სალონ „Chez Ninon“-ში ფრანგულ

მოდელზე ზუსტად ათვერ ნაკლები ღირებულების არანაკლებ ელეგანტური კოსტიუმი შეიკერა: მუქი ლურჯი განყოფილი შალის ვარდისფერი კოსტიუმი 3/4 მკლავებით.

ის, რაც რამდენიმე საათის შემდეგ, 1963 წლის 22 ნოემბერს, დღის 12.30-ზე დალასში მოხდა და რისი მონმეც ეს ვარდისფერი კოსტიუმი გახდა, ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება ყველაზე შემზარავ მკვლევლობათა სიაში. ვარდისფერი კოსტიუმი, მკვლევობის დღიდან შემორჩენილი სისხლის ლაქებით, ამჟამად მერილენდში ინახება და ასი წლის ვადით საჯაროობისაგან დაცულია. ჰალსტონის ვარდისფერი ქუდი კი, რომელიც პარკლენდის ჰოსპიტალში მოიხსნა ექიმების დასკვნის მომლოდინე ჟაკლინ კენედიმ, გამქრალია და მისი ასავალ-დასავალი დღემდე უცნობი რჩება.

აპარატის წევრების თხოვნის მიუხედავად, ჟაკლინ კენედიმ უარი განაცხადა სისხლიანი კოსტიუმის გახდაზე და მოწესრიგებაზე: „არა, მინდა ნახონ, რაც ჩაიდინეს“.

იგივენაირად გამოიყურება კოსტიუმი დღესაც, მერილენდში მდებარე ეროვნული არქივისა და ჩანანერების ადმინისტრაციაში (არქივში ქვეყნის კონსტიტუცია და უზენაესი კანონები ინახება). სპეციალურ კონტეინერში მოთავსებული პირველი ლედის სისხლიანი სამოსი და აქსესუარები სინათლისაგან დაცულ უფანჯრო ოთახში ინახება. ჰაერის ტემპერატურა ოთახში 18-20 გრადუსამდე მერყეობს, ტენიანობა სტაბილურად 40%-ია, ჰაერი კი საათში ექვსჯერ იცვლება.

თეთრი სახლის რეზიდენციაში, 23 ნოემბერს, დილით დაბრუნებულმა ჟაკლინ კენედიმ კოსტიუმი გამოიცვალა და აბაზანა მიიღო. როგორც მოსამსახურე ქალი ადასტურებს, ქალბატონმა კენედიმ გამოცვლილი სამოსი და აქსესუარები ჩანთაში ჩადო და სათანადოდ გადაამალა.

ამ ამბიდან დაახლოებით 6 თვეში ეროვნულმა არქივმა საფოსტო ყუთი მიიღო. გზავნილში კოსტიუმი, ბლუზა, ხელჩანთა, ფეხსაცმელი და წინდები იყო მოთავსებული და თან, ხელმოწერილი წერილი ერთვოდა, რომელიც ჟაკლინ კენედის დედის, ჟანეტ ოშინკლოსის სახელობით ბლანკზე იყო შესრულებული: „ჯეკის კოსტიუმი და ჩანთა, რომელიც მას 1963 წლის 22 ნოემბერს ემოსა“. გზავნილში ქუდი არ იყო.

არქივარიუსებმა მიღებულ ნივთებს სათანადოდ მიუჩინეს ადგილი ქვეყნის სხვა საგანძურსა და საიდუმლოებებთან ერთად, სადაც წლების განმავლობაში ინახებოდა და ასე დარჩება 2103 წლამდე.

სილამაზე ყნდა იყო ნაცყობალოში...

NATURA SIBERICA - არამარტო ნატურალური და ბალახებზე დამზადებული კოსმეტიკაა, NATURA SIBERICA ყველაფერთან ერთად ორგანული კოსმეტიკაცაა.

ბრენდის შემადგენლობაში შედის შემდეგი ხაზები:

- თმის მოვლის საშუალებები;
- ტანის მოვლის საშუალებები;
- სახის კანის მოვლის საშუალებები;
- დეკორატიული კოსმეტიკა.

სარეკლამო რგოლების ყურების შემდგომ ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეგვექმნას, თითქოს კოსმეტიკა, რომელსაც ყველგან ვხვდებით, ნატურალური წარმომავლობისაა. ისმის კითხვა როგორ გამოვარჩიოთ ნამდვილი ორგანული კოსმეტიკა?

ორგანული კოსმეტიკის 5 თვისება:

1. ორგანიკის 95% შედგება მცენარეული კომპონენტებისაგან, ყოველი მათგანი გადის მკაცრ სერტიფიცირებას.
2. ეტიკეტზე განთავსებულია სერტიფიცირების გამცემი ორგანოს ნიშანი და ნივთიერებების პროცენტული შესაბამისობა.
3. ასეთი კოსმეტიკის კონსისტენცია განსხვავდება ჩვეულებრივისაგან: სტაბილიზატორების არქონის გამო და ა.შ. ლოსიონი შეიძლება იყოფოდეს შრეებად, და გამოყენების წინ აუცილებლად უნდა შეანჯღრიოთ. იმის გამო, რომ შამპუნი არ შეიცავს ნატრიუმის ლაურულ სულფატს (SLS), ძლიერად არ ქაფდება.
4. ორგანული კოსმეტიკის შენახვის ვადა საკმაოდ მცირეა, მისი დამზადებისას არ გამოიყენება ძლიერი კონსერვანტები.
5. როგორც წესი, ორგანული პროდუქტის მწარმოებლები ბრუნავენ არა მარტო მომხმარებლის ჯანმრთელობაზე არამედ გარემოზეც. ასეთი კოსმეტიკური საშუალების შეფუთვა ძირითადად შუშისაა, ან ისეთი ნივთიერებისგან შედგება, რომელიც გადამუშავებას ექვემდებარება.

ჩვეულ ნივთებთან დამიკიდებულებაში ვიცვლით შეხედულებას და ვირჩევთ საუკეთესოს. სწორედ ამიტომ იქცა ორგანული კოსმეტიკა სრულყოფილი, სავსე ცხოვრების შეუცვლელ ატრიბუტად.

დასავლეთში ტყუილად როდი ირჩევენ ეკოლოგიურად სუფთა კოსმეტიკას – ეს უკვე მოდის ყველაზე აქტუალური ტენდენციაა. ორგანულ კოსმეტიკას იყენებენ: ნატალია ვოდიანოვა, ანჯელინა ჯოლი, ჯულია რობერტსი, უმა თურმანი, კირა ნაიტლი, კეტრინ ზეტა-ჯონსი, მადონა...

ორგანული კოსმეტიკა მთელი ევოლუციაა. ოდესღაც მოდაში იყო სწრაფი კვება და სინთეტიკური მოკლე კაბები, ახლა კი – დანაწევრებული კვება და ნატურალური ტილოა აქტუალური. კოსმეტიკაც უბრუნდება ბუნებას, უკვე უპირატესობას ვანიჭებთ ნატურალურ კომპონენტებს; ამ ყველაფერს ახალი ცოდნითა და უნიკალური ტექნოლოგიებით ვუბრუნდებით. ეს სრულიად ახალი ეტაპია კოსმეტოლოგიის განვითარებასა და საკუთარი თავის მოვლაში. ეს არის ბრუნვა საკუთარ ჯანმრთელობაზე.

რატომ შეიძლება იყოს ტრადიციული კოსმეტიკა სახიფათო?

ავიღოთ ყველაზე პოპულარული კომპონენტები: ვაზელინი, ნატრიუმის ლაურულ სულფატი (SLS) და მინერალური ცხიმი. ვაზელინი - ნავთობპროდუქტია, რომელიც დატენიანების ილუზიას ქმნის და პარალელურად კანს საშიშლად ამრობს. ნატრიუმის ლაურულ სულფატი (SLS) — ეს არის ნივთიერება, რომელიც გამოიყენება დაბეთიანებული ძრავების და თვითმფრინავის სადგომების გასაწმენდად, რადგან ნატრიუმის ლაურულ სულფატის (SLS) წყალობით წარმოიქმნება ჭარბი ქაფი. მინერალური ცხიმი კი ჩვეულებრივი ტექნიკური ცხიმი, რომელიც უბრუნველყოფს სხვადასხვა ინგრედიენტების ერთ მასაში შერევას, მაგრამ სერიოზულად აბინძურებს ფორებს და აბსოლუტურად ანეიტრალებს დანარჩენი კომპონენტების სასარგებლო თვისებებს.

ამ ნივთიერებების მავნელობის თავიდან ასაცილებლად არც ისე ბევრი ვარიანტი არსებობს. მაქსიმალურად უნდა შევამციროთ ყოველდღიურად გამოყენებული „ქიმიის“ რაოდენობა და შეძლებისდაგვარად გადავინაცვლოთ ნატურალური და ორგანული კოსმეტიკისაკენ.

სილამაზე მსხვერპლს არ მოითხოვს, მას მხოლოდ ყოველდღიური მოვლა და ბრუნვა ჭირდება.



ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
 საქართველო, თბილისი 0171, კოსტავას ქ., 67/85
 ტელ/ფაქსი: +995 32 221 30 96; ელ-ფოსტა: audrey@audrey.ge

ისტორია

ჯონ ბაღიანოს ტრექსნიკური გზა

ავტორი თამარ ალავეიძე





მოდა ზოგისთვის ხელოვნებაა, ზოგისთვის სამოსის თუ აქსესუარების წარმოება კომერციული ინტერესით შემოიფარგლება და მხოლოდ ბიზნესია; ფრანგებისთვის კი – ზემოთქმულზე გაცილებით მეტია: ერთგვარი რელიგიაა, ერის უპირობო სიამაყის საგანია. ეს განწყობა განსაკუთრებით მოდის კვირეულის პერიოდშია ხელშესახები, როდესაც ჰაერი სადღესასწაულო ეიფორიით იმდენად იჟლინდება, საღამო ჟამს, პარიზის რომელიმე კაფედან გამოსვლისას მომსახურე პერსონალმა ტრადიციული „Bonsoir“-ის ნაცვლად, შეიძლება, „Happy Fashion Week“-ითაც გამოგაცვილოთ.

წლებანდელი გაზაფხული გამონაკლისი იყო იმ თვალსაზრისით, რომ 2011 წლის შემოდგომა-ზამთრის სეზონისადმი მიძღვნილი მოდის კვირეულისას ამაღლებული განწყობისთვის არავის „ცხელიდა“; მას შემდეგ, რაც 1 მარტს კრისტიან დიორის სახლმა გამოაქვეყნა გადაწყვეტილება ჯონ გალიანოს შემოქმედებითი დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, პარიზში კვირეულის წინა ფუსფუსს, თითქოს, უღიმღამო ფარდა ჩამოეფარა.

2011 წლის 28 თებერვალს მილანის მოდის კვირეულის ფინალური, ჯორჯო არმანის ჩვენების მოლოდინში მყოფ მოდის გულშემატკივარ საზოგადოებას ბრიტანულმა ტაბლოიდმა ვებგვერდმა ისეთი ახალი ამბავი შესთავაზა, რამაც დიორის მენეჯმენტს რადიკალური ნაბიჯის გადადგმის გადაწყვეტა გაუადვილა. ეს იყო მობილური ტელეფონით გადაღებული რამდენიმენამიანი ვიდეო ჩანაწერი, სადაც კარგად ჩანს, როგორ ესაუბრება აშკარად არაფხიზელი გალიანო კაფეში გვერდით მაგიდასთან მსხდომებს: „მე მიყვარს ჰიტლერი. თქვენ, ებრაელები, არცერთი ცოცხალი არ უნდა ყოფილიყავით, თქვენი მშობლები, წინაპრები, ყველანი გაზის კამერებში უნდა დახოცილიყვნენ“. ჩანაწერი, რომელიც 2010 წლის დეკემბრის თვით თარიღდება, ბოლო წვეთი აღმოჩნდა გალიანო-დიორის ურთიერთობების ბედის გადაწყვეტაში.

2011 წლის 8 სექტემბერს პარიზის სასამართლომ ჯონ გალიანო დამნაშავედ ცნო პარიზის კაფეში გაკეთებული რასისტული და ანტისემიტური კომენტარების გამო და სასჯელის სახით მას 6.000 ევროს გადახდა დააკისრა. 50 წლის დიზაინერმა ბოდიში მოიხადა მომხდარის გამო და სასამართლოს განუმარტა, რომ ინციდენტის შესახებ არაფერი ახსოვს, ის ასეთ მდგომარეობაში სამსახურებრივი სტრესის, ვალიუმსა და

ალკოჰოლზე დამოკიდებულების გამო იმყოფებოდა. გალიანომ სასამართლოს წინაშე საჯაროდ დაგმო რასიზმი და აღნიშნა, რომ თავად არაერთხელ ყოფილა დისკრიმინაციის მსხვერპლი ჰომოსექსუალობის გამო.

90-იანი წლების ბოლოსთვის პარიზი საკუთარი დიდების აჩრდილში აგრძელებდა არსებობას: მაღალი მოდისადმი ინტერესის ნელ-ნელა განვლიების და მილანის წინა პლანზე წამოწევის შედეგად (სადაც ტომ ფორდი „Gucci“-ის სახლისგან ხაზგასმით სექსუალურ, საოცნებო სამყაროს ქმნიდა, მიუჩია პრადა კი გამოცოცხლებული საოჯახო ბიზნესით ნიუ-იორკელი ინტელექტუალები-სა და ლონდონელი საქმიანი ქალების გულე-ბს იპყრობდა). ამას დაემატა ამერიკული პოპ კულტურისა და ამერიკელი დიზაინერების გავლენის ზრდა. მოდის მსოფლიო დედაქალაქი გაფერმკრთალდა. სწორედ აღნიშნული მდგომარეობის გათვალისწინებით, ალბათ, სამართლიანი იქნებოდა გველიარებინა ერთი ფრანგი პრაგმატული, მიზანდასახული და გამჭრიახი ბიზნესმენის წვლილი პარიზის გლამურული სტატუსისა და მოდური ცხოვრების დინამიურობის რეაბილიტაციაში.

როდესაც 1984 წელს ბერნარ არნომ Dior-ის მოდის სახლი შეიძინა, მისი ბიზნესი აღმავლობის სასტარტო პოზიციაზე იმყოფებოდა. ამ დროისთვის არნოს კონგლომერატი უკვე ფლობდა ჰუბერ დე ჟივანშის მიერ 1952 წელს დაარსებულ მაღალი მოდის სახლს, რომელიც სამოსის „მოძველებული ხასიათისა“ და დრომოჭმულობის ბრალდებით, ფაქტობრივად მიძინებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. არნოს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ საჭირო იყო ადამიანი, რომელიც ამ ლეგენდარულ ფრანგულ სახლს უკანასკნელი წლების განმავლობაში დაგროვილი „მეტრისაგან“ განმენდდა და ახლებურ, თანამედროვე განწყობას შემოიტანდა.

1983 წელს გერმანელი დიზაინერის კარლ ლაგერფელდის Chanel-ის სახლის შემოქმედებით დირექტორად დანიშნის მოტივიც ანალოგიური იყო. შესაშურად დისციპლინირებული და ზედმიწევნით განერილი განრიგით მცხოვრები ლაგერფელდი მოდის ინდუსტრიაში მონივნავთაგან ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა, ვინც დაუფარავად დაგმო გალიანოს ფაშისტურად შერაცხული გამონათქვამები: „ეს საშინელი იმიჯია ჩვენთვის, ვინაიდან ხალხი ჩათვლის, რომ ყველა დიზაინერი და ყველაფერი მოდის ინდუსტრიაში ასეთია... მე აღმფოთებული ვარ იმის გამო, როგორც მოექცა გალიანო LVMH-ის ჯგუფს და ბერნარ არნოს, რომელიც მისი

მეგობარია და ყოველთვის მხარში ედგა გალიანოს, Dior-ის სახლისადმი განსაკუთრებული სიმპათიების წყალობით“.

ძნელი დასადგენია, ლაგერფელდს მესხიერებამ უღალატა თუ უბრალოდ შენგებულად მივიწყა მისი ფრთის ქვეშ მყოფი მოდის სახლის ფუძემდებლის გაბრიელ კოკო შანელის მეტისმეტად „თბილი“ ურთიერთობები ნაცისტურ ხელისუფლებასთან – არაერთი წყარო ადასტურებს, რომ შანელი ოკუპაციის პერიოდში გესტაპოსთან თანამშრომლობდა; საკუთარი ბიზნესის შესანარჩუნებლად აგენტი F-7124 (შანელისათვის გესტაპოს მიერ მინიჭებული სახელი) ომის პერიოდში ჯაშუშობის გარდა, გესტაპოსათვის პოტენციური კოლაბორატორების მოძიების პროცესშიც იყო ჩართული, მასზე 13 წლით უმცროს საყვარელ ჰანს გიუნტერ ფონ დინკლაგესთან ერთად. სასჯელისათვის თავის არიდების მიზნით, დინკლაგესთან ერთად გარკვეული დროით შვეიცარიაში გაუჩინარების შემდეგ (შანელის ერთ-ერთი წიგნის ავტორის თანახმად, გასამართლებისაგან დიზაინერი უინსტონ ჩერჩილს გადაურჩენია) პარიზის მოდის სამყაროში მისმა შემობრუნებამ ყოველგვარი გართულებების გარეშე ჩაიარა – შანელს ომისდროინდელი საქმიანობები აბატიეს.

1995 წელს ჯონ გალიანოს Givenchy-ის შემოქმედებით დირექტორად დანიშნა ფრანგმა ერმა „კაპიტულაცია“ და „ფრანგული კულტურის დაღმასვლად“ შერაცხა. ბრიტანელი დიზაინერისათვის წამყვანი ფრანგული სახლის სადავეების გადაბარებამ, მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია. ამასთან, ბრიტანელსაც ხომ გააჩნია: ნანწავებიანი პანკი, ბენდენით და წერილი უღვაშით, რომელსაც, სავარაუდოდ, არაფერი გაეგება მაღალ მოდამი?! დაზუსტებით ძნელია ითქვას, ვისთვის უფრო შეურაცხყოფელი იყო ეს სიახლე – თავად 68 წლის ჟივანშისთვის, რომელმაც ამ გადაწყვეტილების შესახებ მისივე პრეს-სამსახურის მიერ გამოქვეყნებული პრესრელიზით შეიტყო, თუ საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელსაც ისტორიული ფრანგული სახლის იმიჯი ელეგანტურ და დახვეწილ ოდრი ჰეფბერნთან ჰქონდა გაიგივებული.

გიბრალტარელი მამისა და ესპანელი დედის ოჯახში დაბადებული ზუან კარლოს ანტონიო გალიანო-გიენი სამხრეთ ლონდონში გაიზარდა. ლონდონის ვაჟთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ილუსტრაციების კეთების გამორჩეული ნიჭისა და პედაგოგების რჩევის გათვალისწინებით, განათლების მიღება მოდის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ



ფოტო: REUTERS

ჯონ ბალიანო პარიზის კოლინის ბაზოფილიაში დაკითხვამდე, 28 თებერვალი, 2011



ჯონ ბალიანო ნატალი კორტამანთან ერთად

2011 წლის 8 სექტემბერს პარიზის სასამართლომ ჯონ ბალიანო დამნაშავედ ცნო პარიზის კაფეში გაკეთებული რასისტული და ანტისემიტური კომენტარების გამო. 50 წლის დიზაინერმა ზოდში მოიხადა და განმარტა, რომ სამსახურბრივი სტრანის, ვალიუმისა და ალკოჰოლზე დამოკიდებულების გამო ინსტიტუტის შესახებ არაფერი ახსოვს.

Central Saint Martin-ის სასწავლებელში განაგრძო, სწავლის დასაფინანსებლად კი პარალელურად National Theatre-ში კოსტიუმერად მუშაობდა. სადიპლომო პრეზენტაციამ, რომელიც საფრანგეთის რევოლუციითა და „Les Incroyables“ თემით შთაგონებულმა შექმნა, პირველი გარდატეხა მოუტანა მის კარიერას: ლონდონის პრესტიჟულმა მაღაზია Browns-მა სრულად შეისყიდა მისი სადიპლომო კოლექცია, მაღაზიის ვიტრინაში მოთავსებული ერთ-ერთი პალტო კი მოგვიანებით დაიანაროსის გარდერობში აღმოჩნდა.

ის დრო, ენერჯია და თანხები, რაც გალიანომ ლონდონში სტუდიის დაქირავებასა და მოწყობაზე დახარჯა სრულიად ფუჭი

აღმოჩნდა. საქმე წინ არ მიიწეოდა, უკეთესი ილბალის მოლოდინით კი ახალგაზრდა დიზაინერი ღამეებს ხან მეგობრების სახლში იატაკზე მძინარე, ხანაც ლონდონის ღამის კლუბებში თავდავინყებამდე ღრეობას მიცემული ატარებდა. 2003 წლის ერთ ინტერვიუში გალიანო აღნიშნავს: „1980-იან წლებში უამრავი ახალგაზრდა ეტანებოდა ნარკოტიკს. ეს ერთგვარი ახალი რომანტიკული მოძრაობა იყო. მეც გამოვცადე და კმაყოფილი ვარ, ასე რომ მოვიქეცი. მიხარია, ამ ყველაფრიდან თავის დაღწევა რომ შევძელი. მაღლობა ღმერთს! ვერც კი წარმოიდგენთ, რა ხდებოდა იქ!“

მობილური ტელეფონით პარიზის ბარ-

ში გადაღებული ვიდეო ბევრისათვის, შესაძლოა, არ აღმოჩნდა შოკისმომგვრელი. მეტიც, არაერთმა აღნიშნა, რომ ასეთი დასასრული გარდაუვალი იყო. მათ კი, ვინც წლების განმავლობაში გალიანოს ალკოჰოლითა და ნარკოტიკებით „გატაცებას“ განიხილავდნენ, როგორც „ონავრობას“ ან „მაიმუნობას“ და გალიანოსთან მეგობრობის მიუხედავად, არაფერი იღონეს, უბრალოდ აღშფოთება დააგვიანეს.

1990 წელს, პარიზში ჩასვლის შემდეგ, გალიანოსთვის ბევრი არაფერი შეცვლილა: კოლექციებზე მუშაობა ძველებურად მიმდინარეობდა, შეკვეთები კი ძალიან ცოტა იყო. ასე გრძელდებოდა, ვიდრე, ერთ დღესაც,

მისი ატელიე ჟურნალ Vogue-ის კონტრიბუტორმა რედაქტორმა ანდრე ლეონ ტალიმ არ მოინახულა (ტალი მოდის ინდუსტრიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პიროვნებაა); იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია ატელიეში ნანახს (ერთი მხრივ, სამოსს და მეორე მხრივ, კონსერვირებულ ლობიოს, რაც გალიანოს ტრადიციულ სადილს წარმოადგენდა), რომ, ჯერ მაკდონალდსში მისი „დაბურება“ ითავა, შემდეგ კი ამერიკული Vogue-ის მთავარი რედაქტორი ანა ვინტური ატელიეში მიიყვანა. სულ მცირე დროში გალიანო უკვე ბანკირებს ესაუბრებოდა ნიუ-იორკის მოდის ელიტარულ წვეულებებზე.

გალიანომ Givenchy-ის სახლში ორ წელიწადზე ნაკლები დაყო, თუმცა ეს დრო საკმარისზე მეტი აღმოჩნდა, რათა ბრიტანელ დიზაინერს უნდობლობით გამსჭვალული წრისათვის (დიზაინერ ვალენტინოს მეთაურობით) მდიდარი წარმოსახვის გარდა, ტექნიკური შესაძლებლობებიც ერგებინა – ბერნარ არნოს „ექსპერიმენტმა“ გაამართლა.

მაგრამ, გაუმართალთ სხვებსაც – იტალიური Vogue-ის მთავარმა რედაქტორმა ფრანკა სოცანიმ გალიანოს სკანდალური ვიდეო ჩანაწერის კონტექსტსა და ფორმაზე შემდეგი კომენტარი გააკეთა: „შესაძლოა ამ ინციდენტს მიღმა ჟურნალისტური სკანდალის მაძებარი მეტიჩარა ადამიანები დგანან, რომლებიც ჩასაფრებულები ელოდნენ 3 წუთიან ვიდეო ჩანაწერს, შემდგომში მისი 30 ვერცხლად გაყიდვის მიზნით“. რეალურად რამდენად შევასადა ეს ჩანაწერი, არავისთვისაა ცნობილი, თუმცა, Dior-ის სახლს რომ ებრაული წარმომავლობის ლოიალური კლიენტურის მრისხანების ფასად დაუჯდა აღნიშნული „ღამის ვოიაჟი“, ამის საილუსტრაციოდ დიორის სუნამოს სახის, ნატალი პორტმანის ხმამაღალი გამოსვლაც კმარა. „საკუთარი ებრაული წარმომავლობით ამაყმა“ ოსკაროსანმა მსახიობმა, „ღრმა შემფოთება და ზიზლი“ გამოხატა გალიანოს ვიდეოს გამო და იმედი გამოთქვა, ეს „საშინელი კომენტარები“ კიდევ ერთხელ შეასხენებს საზოგადოებას ჯერ კიდევ შემორჩენილ ცრურწმენებთან ბრძოლის აუცილებლობის შესახებ.

Givenchy-ის სახლისათვის ჩადენილი მამაცობის მიუხედავად, არნოს ყველაზე გაბედულ ნაბიჯად მაინც ეპატაჟური გალიანოს Dior-ის სახლის შემოქმედებითი დირექტორის თანამდებობაზე დანიშნა. მიუხედავად იმისა, რომ გალიანო Dior-ში „ქუჩიდან“ არ მისულა, ჯანფრანკო ფერეს ბრიტანელი პანკით ჩანაცვლება, თანაც სად – ყველაზე

პრესტიჟულ და რესპექტაბელურ მოდის სახლში (Chanel-თან ერთად, რასაკვირველია), საზოგადოების მორიგი შოკის საბაბი გახდა.

კრისტიან დიორის აღმასვლა 1950-იანების დეკადას დაემთხვა. მეორე მსოფლიო ომის სოციალური თუ ემოციური მარწმუნებიდან საზოგადოების ნელ-ნელა გამოთავისუფლებას მოდის სწრაფი ტემპით განვითარება დაერთო. 1945 წლიდან, დიზაინერებმა 40-იანებისათვის დამახასიათებელი მკაცრი სილუეტის შერბილება დაიწყეს, მათ შორის ყველაზე თამამი კი დიორი გამოდგა: მისი დაუჯერებლად გაზვიადებული ქალური სილუეტის დამსახურებით ქალები ერთგვარი ზღაპრული, გამოგონილი სამყაროს გმირებად იქცნენ – ბალერინას სამოსის მსგავსი ქვედაბოლოები, შეძლებისდაგვარად დანვრისებული წელი და სათანადოდ ხაზგასმული გულ-მკერდი. საზოგადოების ნაწილისათვის ეს სიახლე გარკვეულწილად Belle Epoque-ის პერიოდში დაბრუნებას წარმოადგენდა. ამერიკული „Harper’s Bazaar“-ის რედაქტორმა კარმელ სნოუმ მას „New Look“ უწოდა და Dior-ის ერაც დაიწყო. თუმცა, განსაკუთრებული ხედვის გარდა, დიორს ბიზნესის კეთების უნარებიც აღმოაჩნდა. პირველი სუნამო 1947 წელს გამოუშვა, მომდევნო წელს კი ნიუ-იორკში მზა სამოსის პირველი მაღაზია გახსნა. 1957 წლისათვის, როცა ახალგაზრდა გარდაიცვალა, მის კომპანიაში 1000-ზე მეტი ადამიანი იყო დასაქმებული, რაც მაშინ წარმოუდგენელი სტატისტიკა იყო ტანსაცმლის დიზაინერისათვის.

არნოს მიერ გალიანოს Dior-ის სახლში გადაყვანა მარკეტინგულადაც ზედმინუნით გათვლილი და გამართლებული ნაბიჯი იყო. მიძინებული ან სიკვდილის პირას მყოფი ისეთი ბრენდის რეინკარნაციისათვის, რომლის დამაარსებელიც გარდაცვლილი ან უბრალოდ საქმიანობას ჩამოშორებულია, რა შეიძლება იყოს გამოკვეთილი ინდივიდუალიზმის მქონე დიზაინერზე უკეთესი არჩევანი?! Dior-ში მისვლიდან ერთი წლის თავზე სახლმა უკვე ფინანსური მოგება ნახა; ხუთი წლის შემდეგ წლიურმა მოგებამ 36 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, გალიანო კი „ღატაკი და ნიჭიერი“ დიზაინერიდან მსოფლიოს ყველაზე წარმატებული მოდის სახლის „მმართველად“ იქცა.

ცალკე საკითხია, რის ხარჯზე ხდება ისეთი ინდუსტრიის მართვა, სადაც შემოქმედებით ადამიანებს ყოველდღიურად არანორმალური ტემპისა და „დამქირავების“ მხრიდან არსებული მუდმივი წნეხის ქვეშ უწევთ მუშაობა. მისთვის დამახასიათებელ

მანიაკალურ პერფექციონიზმზე გალიანოს თავადვე აღუნიშნავს არაერთ ინტერვიუში: „ვალაიარებ, რომ შეპყრობილი ადამიანი ვარ და ამას ყველაზე მძაფრად სტრესის დროს ვაველენ. რაც მომწონს, ვაკეთებ იქამდე, ვიდრე მისი გაგრძელება შეუძლებელი არ ხდება. არ აქვს მნიშვნელობა, ეს სამუშაოს ეხება, ვარჯიშს თუ სხვა ისეთს, რისი ხსენებაც, შეიძლება, უბრალოდ, არც მსურდეს“. გალიანოს აკვიტებული დამოკიდებულება სხეულის სრულყოფის მიმართ გარემოცვისთვის კარგად იყო ცნობილი – ყოველდღიურად, ჩვენების დასრულების შემდეგაც კი, გვიან ღამით, გალიანო აუცილებლად გაირბენდა რამდენიმე კილომეტრს სავარჯიშო დარბაზამდე, სადაც სხეულს ინტენსიურად წვრთნიდა და სპარინგებს მართავდა.

ბუნებით ესთეტი, რომანტიკოსი და, ეგზიზტიციონიზმის მიუხედავად, მორცხვი შემოქმედისათვის ზენოლა, რომელსაც Dior-ის სახლის და მასთან დაკავშირებული სარეკლამო კამპანიების გარდა, ჩანთების, ფეხსაცმლის, Baby Dior-ის, ქალის თეთრეულის, სათვალეების, პარფიუმერიის და საცურაო ხაზის ლიცენზიების კონტროლისა და მართვის გამო განიცდიდა, გასაძღისი აღმოჩნდა გარკვეულ მომენტამდე: 2011 წლის 28 თებერვლის სკანდალამდე.

გალიანოს ვიდეო ჩანაწერის გავრცელებამდე ერთი თვით ადრე, პარიზის კულტურულ წრეებში დიდი მოთქმა-მოთქმა ატყდა იმის გამო, რომ საფრანგეთის მთავრობამ ქვეყნის კულტურული პანთეონის გამორჩეული პიროვნებების გახსენებისადმი მიძღვნილ ყოველწლიურ ღონისძიებაზე 2011 წლისათვის ლუი-ფერდინანდ სელინის კონკრეტული ნაშრომისათვის გადაწყვიტა პატივის მიცემა. მეამბოხეებს მიაჩნდათ, სელინის ნიჭი არ იყო საკმარისი საბაბი, რათა ფრანგი ნოველისტისათვის მიეტყვებინათ ანტიემიგრაციული საჯარო მონოდეტები და დღესასწაულით აღენიშნათ მისი შემოქმედება. თუმცა, მონინალმდეგეთა მიუხედავად, მთავრობამ, ღონისძიებაში მწერლის ჩართვაზე მაინც არ თქვა უარი იმ არგუმენტით, რომ არასწორი იქნებოდა იგნორირება გავლენისა, რაც სელინმა ფრანგულ და გლობალურ ლიტერატურაზე მოახდინა.

გალიანომ ქალები თხელი, გამჭვირვალე სამოსის, სპაგეტის ტიპის „ბრეტელბიანი“ კაბებით შემოსა – თავი სასურველ არსებებად აგრძნობინა: ამის დაინყება არამართებულია. მოდის წამყვანი კრიტიკოსები, ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე, ადას-

ტურებენ, რომ გალიანო მიეკუთვნება იმ ერთეულ დიზაინერთა რიცხვს, რომელთაც მოახერხეს შეეცვალათ ქალების დამოკიდებულება ჩაცმისადმი. თუმცა, მისი ესოდენ დიდი ამაგისა და თხუთმეტწლიანი თანამშრომლობის მიუხედავად, ფრანგული მოდის სახლს სულ რამდენიმე დღე დასჭირდა ბრიტანელი ხელოვანის ბედის გადასაწყვეტად.

რთულია გაუგო გალიანოს, მის მოქმედებას იმ ღამით. ადამიანთა წრე, რომელმაც მომხდართან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია გამოხატა, ორ ნაწილად გაიყო: იყვნენ ისინი, ვინც უპირობოდ ამტყუნებდნენ და ისინიც, ვინც ბრალის შემსუბუქებას ცდი-

ლობდნენ; მაგრამ, არავის გაუმართლებია. დღემდე არ ჩამცხრალა მედია სპეკულაციები იმის თაობაზე, თითქოს, ეს ყველაფერი თავად ბერნარ არნოს საგანგებოდ „აგორებული“ შავი პიარ კამპანია იყო, რითაც 15 წლის შემდეგ, „მადლიერების ნიშნად“, არაპოლიტიკორექტულობის საბაბით, Dior-ს ზედმეტად ეპატაჟური დიზაინერი ჩამოაშორა.

უკანასკნელი რვა თვის განმავლობაში არნომ გალიანოს ჩასანაცვლებლად არაერთ ნარმატებულ დიზაინერთან გამართა მოლაპარაკება, თუმცა ვერავინ დაითანხმა. Louis Vuitton-ის შემოქმედებითი დირექტორი მარკ ჯაკობსი და Givenchy-ს სახლის ხელმძღვანელი რიკარდო ტიში, ის სახელებია, ყველა-

ზე ხშირად რომ ისმოდა მოდის ინდუსტრიის კულუარებიდან. უცნობია, რატომ ვერ შედგა შეთანხმება: კოლეგა დიზაინერისადმი მათი სოლიდარობის გამო თუ სხვა მიზეზით. ფაქტი ერთია – სხვადასხვა პუბლიკაციებში ისევ ალაპარაკდნენ „მოკვეთილი“ დიზაინერის დაბრუნების გარდაუვალ ხასიათზე (ამ იდეას აქტიურად უჭერენ მხარს ჯორჯო არმანი და იტალიური Vogue-ის მთავარი რედაქტორი ფრანკა სოცანი). დაუბრუნდება თუ არა ჯერ კიდევ ხანგრძლივი მკურნალობარეაბილიტაციის პროცესში მყოფი გალიანო Dior-ის სადავეებს, არავინ იცის, მისი ნიჭის გულშემატკივრები კი მის რეინკარნაციას ელოდებიან.

„ვადიარებ, რომ შეპყრობილი აღმიანი ვარ და ამას ყველაზე მკაფრად სტრენის დროს ვავლენ. რას მოხონს, ვაქეთებ იქამდე, ვიდრე მისი გაბრძობა შეუძლებელი არ ხდება. არ აქვს მნიშვნელობა, ეს სამუშაოს ეხება, ვარჯიშს თუ სხვა ისეთს, რისი ხსენებაც, შეიძლება, უბრალოდ, არც მსურდეს“.



JOHN GALLIANO. შემოდგომა/ზამთარი 2011-12

CHRISTIAN DIOR. გაზაფხული/ზაფხული 2011



ჯონანი ბოქაროს მიხედვით

ინსტენირების ავტორი,
ჩეხისორი და სცენოგრაფი ლევან წულაძე

ქობი
მარჯანიშვილის
სახელობის
სახელმწიფო
დრამატული თეატრი



www.marjanishvili.com
[www.facebook.com / MARJANISHVILI.THEATRE](https://www.facebook.com/MARJANISHVILI.THEATRE)

სხალი
შოკოლადი
ლიტერატურა



აკა მორჩილაძე
უბანი წვიმაში

გიორგი მაისურაძე
იAWARმქმნელი

ზოთა იათაშვილი
ოთხი სასახლის ქალაქი

არჩილ ქიქოძე
ჩემი ბასკეთი
და დიდყურა ღამურები

ბექა ქურხული
ჩანაწერები 2010



უბანი წვიმაში



აკა მორჩილაძე

ჰოდა, ისევ იქ აღმოვჩნდი, სადაც ადრე ვიყავით. პალასკას ქუჩაზე, რომელზეც მანქანით კი ჩაუხვევ, რახან თავდაღმართია, მაგრამ მერე, ვირითაც ვეღარ გაივლი.

ეგეთი ქუჩაა, ბოლოსკენ ძალიან ვინროვდება და მეტად და მეტად დამრეცი ხდება, ისეთი ვინრო გასავლელია, როგორიც, ღმერთმა ყველას გვაშოროს და, საპანაშვილო კარი. რის მანქანა... მოსველებულზე ხომ საერთოდ, სად ასრიალდები, ვერ გაიგებ, ქვაფენილი და ასფალტი არეულად ცვლის ერთმანეთს.

ნომებში კი, აქ წვიმები იცის, რალაცნაირი, არაშემანუხებელი, მაგრამ მაინც დამსველებელი. არ ვიცი, ზღვა და წვიმა როგორ უყურებენ ერთმანეთს ან როგორ მოქმედებენ ერთიმეორეზე, მაგრამ აქ დიდი ჩხუბი არ უნდა ჰქონდეთ, რბილად არიან მორგებულნი.

აგიცურდება ფეხი, თუ არ აგიცურდება, გზას მაინც გააგრძელებ და სწორედ პალასკას თავდაღმართის ბოლო გასასვლელიდან გამოსვალ რუკურ ჩუმას თავდაღმართზე, სადაც თავისი დახლები და ჯადო დუქნების დარაბები გაუხსნიათ იქაურ მეავეჯეებს, ავეჯის აღმდგენლებს, ძველი ნივთებით მოვაჭრეებს და იშვიათი სურნელის მტვრიანობის ოსტატებს.

ჩუკურ ჩუმა დაბლა მიიკლაკნება, სულ დაბლა რომ ივლი, მიადგები ზღვასაც, ოქროს რქასა. ოღონდ უმჯობესია, პალასკას თავდაღმართში ნავალმა ახლა აღმართი დაიჭირო და აღმა აუყვე ამ სულისშემკვრელ ქუჩას. თუნდაც ცუდ ამინდში, და თუნდაც დალილი და მხედველობაგადაღბნილი, მაინც დაინახავ დროის სიცოცხლეს, მაღაზიის კართან სველი ბადრაგით მდგარ, შენზე მაღალ, ორ ჩინურ ლარნაკს, ყირიმის ომის აღმბეჭდ ჩარჩოშემორჩენილ აკვარელებს, რომლებიც, რატომღაც, არ სველდება და რომლებიც, ვინ იცის, რომელმა საველე ფრანგმა მხატვარმა დახატა, ანდა, ყავის საფქვავეებს, რომლებიც არღანზე დიდი მოგეჩვენება.

ჩუკურ ჩუმა მაღლაც ინევს და ერთი კარგი მოსახვევიც აქვს, რომელიც იმით უნდა დაიმასხოვრო, რომ მის კიდეზე ერთი პატარა, მთლად მოხატული სახლი დგას. მის მაღლა კი კიბეებზაყოლილი ქუჩა ინეება, ანუ – მანქანებითაც ჩამოიარეთ, მაგრამ ფეხით მხოლოდ კიბეო.

იმ ადგილს, თავთაქის დაღმართი ჰქვია და მის კიდეზე ერთი მწილეების მაღაზიაა, რომლის ვიტრინაც, რა გინდა რომ მწილის ქილებით არ იყოს გამოტენილი. არ ვიცი, იმათი გემო როგორია, მაგრამ საყურებლად კი, დიდებულია. ამ თავდაღმართს

რომ კობტად, მსუბუქი ქომინით ამოთავებ და არცერთხელ არ წამოკრავ ფეხს კიბეზე გამოდგმულ უზურგო სკამებსა და პატარა მაგიდებს, მოსიარულეთა ჩასამუხლად, სულის ამოსათქმელად და ჯანზე მოსასვლელად რომ გამოუდგამთ გარეთ ჭიქა ჩაის გამყიდვლებს, ზუსტად რომ, ალა ჰამამის ქუჩის კუთხეში აღმოჩნდები.

აქედან შეგიძლია მაღლაც აუყვე, ჩიჰანგირის იმ კიდისკენ, სადაც განთქმული კაფე ყავადანია.

ამისთვის გვერდი უნდა აუქციო ფირუზაღას მეჩეთს და მას მოდგმულ, ყოველთვის სავსე ჩაიხანას და აჰყვე მაღლა ისევ აღმართს, ოღონდ არა ისეთ ციცაბოს, თავთაქისა რომ არის, მაგრამ თუ მაინც გინდა, რომ იმ სველი მტვრისა ისუნთქო ამ გაუბრაზებელ წვიმაში, მაინც ალა ჰამამის მხარე უნდა აირჩიო.

ალა ჰამამი დღეს სარდაფში დაკარგული ალას ძველისძველი აბანოა, ამჯერად ისე მოწყობილი, რომ უცხოელს, მთელი იქაური აბანოს საუკუნეთა განმავლობაში ჩამოქნილი ამბები განაცდევინოს.

ოღონდაც, თუ კარგად არ იცი, სად არის ეს ძველი აბანო, ეგებ, ვერც მიაგნო. სარდაფი და მიწაში ჩაკარგული კიბე ამ ქუჩაზე ბევრია და თუ ყოველი წვრილმანის მძებნელი არ ხარ, ეს განთქმული აბანო,

კიდევ გამოგეპარება. თვალი კი, აქაც ვერ დაისვენებს, იმიტომ, რომ ალა ჰამამიც, ჩუკურ ჩუმასი არ იყოს, ანტიკვართა ქუჩა და იქ ყველაფერია, როტომანული კერიით დანყებული, გრეის კელის დროის ვარდისფერ ფეხსაცმელში ჩადგმული ტელეფონით დამთავრებული.

ოსმალური თამბაქოს კოლოფები და ვიქტორიანული შლაპები კოხტად ეხამება ერთმანეთს და კიდევ, ეს ბეჭდების მწკრივები, უსასრულო, ვიტრინიდან ვიტრინაში გაგრძელებული, მთელს ქუჩას გადავებული ბეჭდების მწკრივები, ძველისძველი, მოულოდნელი ბეჭდებისა, რომლებსაც ვერ იმახსოვრებ, როგორც მწყობრში მავალ ჯარისკაცებს.

და პორტიგარების მთები, ჯიბის საათების ასხმულები, გრავიურების და ყალიონების ტყეები, ფინჯნების და პატარა ქანდაკებების მტყენები, გრამაფონები, ფირფიტები, სამკაულები და უცებ, საიდანდაც, ხილის მაღაზიის ღია დახლიდან ამოჩრილი სველი ბრონეულები.

ალა ჰამამის ქუჩის მანანწალა ძალღეობი, რომლებსაც ძველმანთა გამყიდველები უვლიან და რომლებიც ფეხებში გედებიან ყოველ ფეხის ნაბიჯზე. მოვლილი მანანწალა ძალღეობი, რომლებიც მხოლოდ ვინრო ქუჩაზე გამავალ მანქანებს ერჩიან. ძველი ავეჯი, და ყველგან დაცლილი, თუ მხოლოდ სანახევროდ დაცლილი, ლამბაქებზე შემოდგმული ჩაის ჭიქები. ალა ჰამამის ქუჩის კატები, კიდევ უფრო მშვიდნი, ვიდრე ეს ბედში ჩავარდნილი ძაღლები, მთელს ამ უკიდევანო ქალაქში რომ დიდად სჭარბობენ თავიანთი ოდენობით ქუჩის ძაღლებს, მაგრამ ალა ჰამამზე რომ უმცირესობაში მოხვედრილან, შინაურულად იმალებიან ლავგარდანებს ქვეშ, ან სულაც ადამიანების უბეებში.

ქუჩის ასეთი შინაურობა, ჩაი და მშვიდი მასლაათი, მოულოდნელი შეძახილი საიდანდაც, გადაძახილ-გადმოძახილი სიმშვიდის გვერდით. სამაჯურები, ძენკეები, ხმა შორიდან, თორმეტს ხუთი წუთი აკლია, მუეზინის ხმოვა ფირუზხალას მეჩეთიდან. გამვლელები და თეთრწვერა აფთიაქარი, კეთილი, მოსაუბრე, ლამის ექიმიც და დალაქიც, როგორც ძველ დროს, შეუმჩნევლად, დაბალ სავარძელს გიჩოჩებს, ფიქრობ, ახლა დავჯდები და მოვუყვები: ეს მტკივა, ის მტკივა, – ყველაფრისთვის ექნება წამალი, რაც მთავარია, გგონია, რომ ეგ წამალი მოგარჩენს.

ხმელი ანტიკვარი ღუმელს ახურებს,

ნახშირს ყრის დიდ, სპილენძის გობზე, ნაცარში ყავის მადულარას აცურებს. რამე საგანგებო გაინტერესებთ? მეძვირები არიან, განთქმული მეძვირები, მით უმეტეს, უცხოელისთვის.

ორმოციანი წლებისაა, სულ ხელით ნაკეთი, თუ სამივეს წაიღებთ, დავაკლებ.

და ეს აკვარელი? ეს რომელი ნავსადგურია? თვითონაც უყურებს. ეს ადალარია, ადალარის ძველი ნავსადგური. ყოფილხართ? კი, კი. ვირზეც ვმჯდარვარ მაგ კუნძულზე. აი, ეს ოთხივე ადალარებია. ოთხივეზე არ ვყოფილვარ. ვერცხლი გაინტერესებთ? ვერცხლი – არა. ეს ჩინურია? ეს ორასი წლის მანც იქნება. კი, ჩინურია. ათასხუთასი ლირა ღირს. აქ, რაც არის, ამ ქუჩაზე, ჩინური, ყველაფერი ძველია. ბევრს აქვს სამოციანი წლების რაღაცები. მე არ ვიღებ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომს არაფერს არ ვიღებ. ყავა? აჰ, არა, არა, ხვალ შემოვივლი ისევ.

ვერ შეივლი, დიდხანს ვერც ჩერდები ასეთ ადგილას. მუზეუმს ჰგავს და მუზეუმში არ არის, მყიდველიც არ ჩანხარ. ფეხზეც დიდხანს ვერ იდგები, სადმე კუთხეში უნდა მიჯდე. თვალს დიდხანს უნდა ყოფნა. არ გამოდის. გადაურბენს თაროებს და დახლებს, იატაკს, ჭერსაც ახედავს და უნდა წამოხვიდე.

ოდესღაც, მე და ჩემმა ცოლმა ამ ქუჩაზე, ლამის ფარანი ვიყიდეთ, ძველი, ლამის ფარანი, რკინის საკეტი. რომ ჩამოვიდებდი, გარმონივით იშლებოდა. ის მაღაზია ახლა აღარ არის, იქ ვილაც დურგალი ზის, ჩუკურ ჩუმას მეავეჯეთა კუდია.

ალა ჰამამზე კი ყოველთვის გამოვივლი, როცა კი აქ მოვხვდები, იმიტომ, რომ აქ, ძველი ნაცნობი მყავს სანახავი. ნაცნობიც აღარ არის.

ზედ მოსახვევში, იქ, სადაც ტაქსიმის საავადმყოფოს ასახვევი იწყება, ძველი ნივთების ძალიან პატარა მაღაზიაა. დღეს ლიფტები უფრო დიდია, ვიდრე ის მაღაზია. ანტიკვართა გრძელ მწკრივში, ისე გამოგეპარება, რომ ვითომ არაფერი. მაგრამ დამახსოვრებით კი იმით დაიმახსოვრებ, რომ სწორედ მოსახვევის გამოზნექილ ადგილას აქვს ვიტრინა.

იმ ვიტრინის თაროები საგსება ათასნაირი ნივთებით და ერთ მარჯვენა კუთხეში, საათებისა და ოსმალურ მუნდშტუკებს შორის, ზის შავთმიანი ქალი, რომელსაც მკლავზე თუთიყუში შემოუხვამს. პატარა ქანდაკებაა, ხელისგულზე იოლად ეტევა და ძალიან მტვრიანია, ისეთი, რომ თუ

ხელი მოკიდე, კარგა ხანს უნდა იწმინდო, მაგრამ ამ ქუჩის მტვერი ხომ სხვა მტვერია. უმტვროდ სად იქნება. ადრე დიდად არ ვფიქრობდი და ნივთების სრული უმრავლესობა ხომ აქ ათწლეულობით გაუნძრევლად აწყვია.

ასეა ეს ქალიც.

იმის აღწერა რომ არ დავიწყო, რა აცვია და როგორ, უბრალოდ მოგახსენებთ, რომ გრიშაშვილის ლექსი რომ გახლავს, „მანოლა“, რაღაც იმ იერზე დგას. იმ ლექსში, აბანოდან ახლად გამოსული თბილისელი ქალია აღწერილი. აბანოს ამბავი კი ჰამამის ქუჩაზე ისედაც იგრძნობა, ალას აბანოს რომ შევეშვათ, ქუჩის მეორე ბოლოზე ხომ, გალათასარაის ერთ დროს განთქმული აბანოა, ასევე უგანთქმულესი გალათასარაის სკოლის გვერდით. მოკლედ, აი, ეგეთი ქალია, ეგებ ერთი ვინმე სოვდაგრის ცოლიც კი, რომელიც ესწუთია გამოვიდა აბანოდან და თავის ბალიშებზე დასკუპდა, რათა თავს მოუაროს, ამ დროს კი მკლავზე თუთიყუში დააფრინდა.

არ ვიცი, თუთიყუშის ბრჭყალებს როგორ უძლებს იმის კანი, მაგრამ კი დასკუპებია და ეს პატარა ქანდაკება დევს და დევს ამ ვიტრინაში. იმის მიუხედავად, რომ ძალიან მტვრიანია, მანც მანოლას ამბავშია.

ეს, ერთი ვინმე სოვდაგრის ცოლი, პირველად ათი წლის წინათ დავინახე ემაგ ვიტრინაში, შევედი და ფასს დავეკითხე. მაშინ, იქ, ანტიკვარად ერთი ხნიერი კაცი იყო. თაბაშირის არისო, მითხრა, შეღებილია, გამოუმწვარი და საერთოდ, ცოტა გაუკვირდა, რად უნდა ეს მანოლა რამეო.

მე ეგეთი არახელოვნებიანი ხელოვნება მიყვარს ხოლმე, უბრალო კაცისგან უბრალო მიზნით გაკეთებული, ჰოდა, მთელს იმ აუარება ნივთებში ეგ მომეწონა. მანც არ ვიყიდე, არც მიფიქრია დიდად ყიდვა, სხვა რამეებიც იყო მსგავსი და ეს ისე, მანც ცოტა მოულოდნელად გამოიყურებოდა და იმიტომ შევათვალეიერე. ორმოცდაათი ლირაო. რაც ნიშნავდა, რომ ოცდაც მომცემი იყო.

კაი, გამოვივლი-მეთქი.

აღარ გამივლია, გავიარე ორი წლის შემდეგ.

ისევ ის ანტიკვარი დამიხვდა, ეს სოვდაგრის ცოლიც ისევ ისე იყო დასკუპებული ვიტრინაში, მისი მკრთალი ვარდისფერი, მტვერს ამაყად ატარებდა.

მაშინ ვიფიქრე, ვინ იცის, რამდენ ხანს დევს ამ ვიტრინაშიო და რომ შევედი ანტიკვარს ვკითხე, დიდი ხანია ეს გაქეთ-

წვიმა კიდეც მაინც არ იყო ბრაზიანი, იქაური იყო. მეჩეთის გვერდზე, დიდ ჩაინახაში, ახალგაზრდა ტაქსისტი მშვილად სვამდა ჩაის და მობილურში იყურებოდა. ამ კიდეც, იხი, რა ვიფიქრა? რაღასა სისულელა. რომელიც წაიღო წვიმამ და ჩააბლო ოქროს რქის წყალში. მაგ სისულელეს სიტყვებად ვერც ჩამოვქენი ახლა და არც უნდა. სისოხსლეს ეხება, რა არის სოხსალი და რა არის მქვდარი, ან რაღას მქვდარი როგორ სოხსლოვს და რაღას სოხსალი როგორ იქლავს თავს. მოქლედ, დახლართული, როგორც სტამბულის ქუჩები.

მეთქი? იფიქრა, ნივთის უფარგისობას აწვებო და არაო, რა დიდი ხანო. ფასი კი ოთხმოც ლირამდე ასწია. გამოვივლი-მეთქი და ორი წლის შემდეგ, როცა ქალაქის სულ მეორე კიდეზე ვცხოვრობდი, ვიფიქრე, ერთი წავალ ძველ, ადგილებს მოვინახულებ-მეთქი და ისევ ჩამოვიარე ალა ჰამამზე, სადაც ჩემი სოვდაგრის ცოლი სრულიად გაუნძრევლად იჯდა ვიტრინაში, თავის დადუმებულ თუთიყუშთან ერთად.

სიმართლე რომ ვთქვა, აღარ მომწონდა და აღარც არაფერი, მივხვდი, რომ სულ იქნებოდა, როცა არ უნდა მოვსულიყავი. ვიტრინას მივაკაკუნე, ეს რა ღირს-მეთქი და უკვე სხვა ანტიკვარმა გამოიხედა, ასი ღირა ღირსო.

ახალგაზრდა კაცი იყო, არ ჰგავდა ძველი თაობის ანტიკვარებს, ჩვეულებრივი და საქმიანი ჩანდა. წამოვედი ჩემს მეორე ნაპირზე.

იმის შემდეგ, კიდევ გაიარა წელიწად-ნახევარმა თუ ცოტა მეტმა და პალასკას ქუჩაზე მოვხვდი საცხოვრებლად მთელი ოჯახით.

იქედან ალა ჰამამამდე ორი ნაბიჯია და ცოლ-შვილს გავუძეხი, წამოდი, ვიტრინაში ერთი ვინმე სოვდაგრის ქალი უნდა გაჩვენოთ-მეთქი. რაღაც ასეთი შეგრძნება მქონდა, რომ ვიღაც შინაური უნდა გამეცნო შინაურებისთვის.

იქ იყო, სად წავიდოდა, კარგ ამინდში, თითქოს უკეთესადაც გამოიყურებოდა. საერთოდ, ვიტრინაში უკეთეს იერზე იყო, ვიდრე ხელში რომ დაიჭერდი. ხელში დაჭერით აგებდა, მთელი იქ სამუდამო ჯდომის სიბერე გამოაჩნდებოდა ხოლმე. რაღაცნაირი იყო, ორნაირი, ახალგაზრდა და ბებერი. იყიდე, იყიდეო, ჩემებმა და მერემ-მეთქი.

რაზან ახლოს ვცხოვრობდით, ხშირად

გვინევდა ალა ჰამამზე ჩავლა და მივესალმებოდით ხოლმე, გამარჯობა სოვდაგრის ცოლო-მეთქი. მაშინ ვიფიქრე, ეგებ სულაც არ არის სოვდაგრის ცოლი, ეგებ სხვა ვილაცაა-მეთქი. მოკლედ, იმ ზაფხულს რაღაცნაირად დავმეგობრდით. საყიდელი იყო, მაგრამ ვიფიქრე, ეს რომ ვიყიდო, ეგებ ამ ქალაქში ვეღარც დავბრუნდე-მეთქი. ეგეთი ფიქრების არ მჯერა ხოლმე, ვერ ვაკავშირებ იდუმალ რაღაცებს, რომ ვითომ რაღაცა და ამბავი, მაგრამ მაინც არ ვიყიდე.

ჰოდა, გამოხდა ხანი და შარშან გაზაფხულზე, ისევ იქ ვარ, იმ ჩიჰანგირის კიდეზე, სულ სამი-ოთხი დღით და ეს ისევ ზის ვიტრინაში, გაუნძრევლად. იმნაირი ახლობელი გარშემო არ აღმომაჩნდა, ოღონდ ეგეც ვიფიქრე, რომ წავიყვანო, აქ ვინლა მეყოლება-მეთქი. ფასი უკვე ასსამოცდაათ ღირას უწევდა, სულ სხვა ანტიკვარი მეუბნებოდა, ძველი რამეაო, გამოუმწვარი ფაიფურია და მტვერი იმიტომ აქვს ასე გამჯდარიო. კიდევ უხდებოდა უკვე ის მტვერი. არც ასსამოცდაათი მქონდა, და რომც მქონოდა, არ ვიყიდდი.

რას იზამ? აგე, წინა კვირაში, ისევ ჩავიარეთ მანდ მე და ჩემმა ცოლმა და მივედი და მოვიკითხე. შარშანდელი ანტიკვარი დამიხვდა. ფასი რატომღაც მობილურზე აკრიფა. ორასიო. არ ღირს ორასი-მეთქი. იმას ხო არ ვეტყვოდი, ის დროც მახსოვს, ოცად მაძლევდნენ-მეთქი.

უადგილო შევაჭრება იყო. არ ვიცი, როგორღა უნდა მევაჭრა ამ სოვდაგრის ქალის გამო. ნივთიც აღარ იყო, მგონი, და რა იყო, ვერ დავადგინე. ჩემი ქალიშვილი სურათს უღებდა და არა-მეთქი, არ გვინდა.

ყველა გავლაზე ვნახულობდი, ანტიკვარს კი თვალს ვარიდებდი.

წვიმები იყო. ახლაც წვიმებია. წვი-

მიანი თვეა და ბოსფორიც რაღაცნაირად ისე იყო, კი არ ღელავდა, მაგრამ შემფოთებულს ჰგავდა, ერთხელ ისე მოარტყა ტალღები ორთაქოის ნავსადგურის კიდეც, რომ ჩაიხანებამდე გამოისროლა იქ ჩამოსხდარი კატები. მერე ბაირამის დღეები იყო და ანტიკვარებს მალაზიები მიეკეტათ. მერე ნელ-ნელა გააღეს. ესეც გაიღო, სოვდაგრის ცოლისა. ჩემები უკვე წამოვიდნენ და მალე მეც მოვდიოდი.

უცებ ვიფიქრე, რაც იქნება, იყოს, წავალ, წავიყვან სოვდაგრის ცოლს, რამდენი წელიწადია დასკუპებულია იქ და იმის გარდა, რომ ძვირდება, არაფერს ელის-მეთქი. ჩავიარე.

დაკეტილი იყო. თავიდან ვერც მივხვდი, რომ დაკეტილი იყო. გვერდით ვიტრინაში ამერია, იქ ხომ გრძელი რიგია და ბეჭდებით განყოფილი სიგრძეები. ზოგი დაკეტილი იყო, ზოგიც ღია. მივხვდი, რომ ვიტრინა ამერია. კაი წვიმაც იყო, მოკლედ, არ წავიყვანო, აქ იყოსო, ეგრე გამოვიდა.

ეგებ, შემდეგ ჯერზე მოვახერხო, თუ იქნება ის შემდეგი ჯერი. ეგ ვინლა იცის.

წვიმა კიდევ მაინც არ იყო ბრაზიანი, იქაური იყო. მეჩეთის გვერდზე, დიდ ჩაინახაში, ახალგაზრდა ტაქსისტი მშვილად სვამდა ჩაის და მობილურში იყურებოდა. მე კიდევ, იცი, რა ვიფიქრე? რაღაცა სისულელე. რომელიც წაიღო წვიმამ და ჩააბლო ოქროს რქის წყალში.

მაგ სისულელეს სიტყვებად ვერც ჩამოვქენი ახლა და არც უნდა. სიცოცხლეს ეხება, რა არის ცოცხალი და რა არის მკვდარი, ან რაღაც მკვდარი როგორ ცოცხლობს და რაღაც ცოცხალი როგორ იკლავს თავს. მოკლედ, დახლართული, როგორც სტამბულის ქუჩები.

რატომ არ დადიხართ სტამბულში, კაცო?

იქ **WAR** მქმნელი

ავტორი ბიორბი მაისურაძე
ილუსტრაცია ბიორბი ავალიანი



„ოქროს ლეგენდა“

XIII საუკუნეში დომინიკანელმა ბერმა, შემდგომში გენუის მთავარეპისკოპოსმა, იაკობუს ვორაგინელმა დაწერა შუა საუკუნეების პირველი ქრისტიანული ბესტსელერი – „ლეგენდა აურეა“ („ოქროს ლეგენდები“). იაკობუსმა შეკრიბა და გადაამუშავა იმ დროისათვის ლათინურენოვან ევროპაში ცნობილი ყველა ქრისტიანი წმინდანის ცხოვრების ამსახველი ლეგენდები და მათი პირველი განმარტებებიც სცადა. წიგნი, გარდა ენციკლოპედიური ფორმისა, იმითაც გამოირჩეოდა, რომ ავტორმა კანონიკურ ტექსტებთან ხალხური გადმოცემებიც შეაზავა და ამით ეკლესიურისა და ეკლესიის მიერ პაგანურად (წარმართულად) შერაცხულის პირველი დიდი სინთეზიც შექმნა.

„ოქროს ლეგენდებში“ ღირსეული ადგილი უკავია წმინდა გიორგის ამბებსაც, რომელიც XIII საუკუნის ევროპის წმინდანებში ამომავალი ვარსკვლავიც იყო და ამ წიგნმა საბოლოოდ განამტკიცა, როგორც გიორგის პოპულარობა, ასევე მისი, როგორც ურჩხულის მკვლელის იმიჯიც.

ერთხელ გიორგი ლიბის ქალაქ სილენაში აღმოჩნდა. ამ ქალაქთან უზარმაზარი ტბა იყო, რომელშიც შხამიანი ურჩხული ცხოვრობდა და მიმდებარე საძოვრებს წამლავდა. მოქალაქეებმა გადაწყვიტეს, რომ ურჩხულისათვის ყოველდღიურად ორ-ორი ცხვარი მიეცათ, რათა მისი გული მოეღობოთ. როდესაც ცხვრები გამოელიათ, იძულებული გახდნენ საკუთარი ასულები მიერთმიათ. ერთ დღესაც მეფის ასულის ჯერი დადგა. მეფემ გამოაცხა-

და, ვინც მის ასულს გადაარჩინდა, ის ჯილდოდ ასულის ხელს და სამეფოს ნახევარს მიიღებდა.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა წმინდა გიორგი და ჯვრის ძალით მახვილი ჩასცა ურჩხულს და იხსნა მეფის ასული. შემდეგ მივიდა ქალაქში და მოსახლეობას უთხრა: „შეხედეთ, მე უფალმა იესო ქრისტემ გამომგზავნა, რათა გიხსნათ თქვენ ურჩხულისაგან“. და ხალხმაც ირწმუნა ღვთის ძალა და ქრისტეს რჯულზე მოექცა. მეფემ ქალაქის ცენტრში ეკლესია ააშენებინა ღვთისმშობლის სახელზე, რომლის საკურთხეველიდანაც სწეულთა განმკურნავე წყარო გადმოედინებოდა.

სუბლიმასიის მოქრძალეზული ხიზლი

ურჩხულის მოკვლით ქალის (მეფის ასულის ან დედოფლის) გათავისუფლებისა თუ მისი დაუფლების მოტივი უნივერსალურია მითოსშიც და ზღაპრებშიც და ის არა მხოლოდ ხსნისა და გამოსყიდვის ამალღებულ ხატებს, არამედ ქალისა და მამაკაცის სქესობრივი როლების მოდელირებასაც ასახავს. თანამედროვე ტერმინებით რომ ვთქვათ, ესაა რელიგიური ალეგორიები და პეროიკული პათოსით შენიღბული სექსიზმი და მისი მსხვერპლი არა მხოლოდ მდებრებითი, არამედ ასევე მამრობითი სქესიცაა: ორივეს იმ როლის თამაში აქვს მისჯილი, რომელსაც ეს სიუჟეტი კარნახობს: ქალი, როგორც სამსხვერპლოდ განწირული, მამაკაცის ჯილდო და ფლობის საგანი; მამაკაცი – მოძალადე, რომელმაც ძალადობით უნდა მოიპოვოს ქალი.

სანამ ქალს დაეუფლება, მამაკაცმა საკუთარი მამაკაცობა გმირობით უნდა დაამტკიცოს, ანუ საკუთარი ძალის, ძალადობის დემონსტრაციით. ძალადობის ამ ინსტინქტს, რომელიც ცხოველთა სამყაროში დანყვილები და გამრავლების აუცილებელი წინაპირობაა, ადამიანებში გმირობა ენოდება, რომელსაც შეყვარებული მამაკაცი სატრფოსთვის სჩადის. ხშირად ძალადობის დემონსტრაცია სიყვარულის დამამტკიცებელ საბუთადაც გაიგება: „ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია? /სჯობს, საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია! [...] ნა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე.“ ტარიელმა განმდგარი ხატაელების დამორჩილებით, მათი თავისუფლების ჩახშობით უნდა დაუმტკიცოს ნესტანდარეჯანს თავისი სიყვარული.

ურჩხულთან ბრძოლის სიუჟეტი კიდევ ერთ ფარულ სექსუალურ ნიუანსსაც შეიცავს: ესაა თავად ურჩხული, რომელიც არქაულ მითოლოგიურ შრეებში ქაოსს გამოხატავს და უმეტესად მდებრი ბუნებისაა. ასეთია ბაბილონურ შესაქმის მითოსში ქაოსის ურჩხული თიამათი, რომელსაც დემიურგი ღმერთი მარდუქი კლავს და ამით ღმერთების მეფის ტახტს მოიპოვებს. ქალ-ურჩხულია სფინქსი ოიდიპოსის მითში, რომლის მოკვლის საფასურადაც ოიდიპოსი თებეს დედოფალ იოკასტეს სარეცელსა და სამეფო ტახტს დაეუფლება..

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ურჩხული ქალის ქაოტურ, დამანგრეველ ბუნებაზე წარმოდგენის პროექციით მიღებული ფანტაზიაა, რომელიც რელიგიურ პარანოიად იქცა მონოთეისტურ რელიგიებში: „სატანჯველს გაგიმრავლებ და გაციხნებ ორსულობას, ტანჯვით შობ შეილებს. ქმრისკენ გექნება ლტოლვა, ის კი იბატონებს შენზე“ – ასე წყველის ბიბლიის ღმერთი ევას. შუა საუკუნეების ევროპაში კი ეკლესია საუკუნეების მანძილზე დასდევდა და კოცონზე წვავდა „კუდიან ქალებს“. ასეთ ქალთმოძულეობას უფრო ღრმა საფუძვლები მოეძებნება: მდებრი სანყისზე, როგორც ქაოსზე ძალადობა მამაკაცს ღვთის

ხატად აქცევს, რომელმაც ურჩხულის განგმირვით შექმნა სამყარო. ქალწულობის კულტის მითოლოგიური საფუძველი სწორედ ისაა, რომ ქორწინების ღამეს ქმარმა ცოლზე, როგორც ქაოსზე დემიურგმა – ისე უნდა იძალადოს.

დეფლორაციის სისხლს არქაულ საზოგადოებაში სამსხვერპლო შინაარსი ჰქონდა და ის შესაქმის სცენას განასახიერებდა. ეს პარადიგმა კი არა მხოლოდ მამრობითი სქესის ჰეგემონიას და მდებრობითზე ძალადობას ხდის ლეგიტიმურს, არამედ თავად სექსს აიგივებს ძალადობასთან: ქმარი აუპატიურებს ცოლს და იმტკიცებს ძალაუფლებას. ძალაუფლება კი თავის არსში გაუპატიურებას გულისხმობს: სუვერენი არის ის, ვინც აუპატიურებს თავის ქვეშევრდომებს.

ურჩხულის მოკვლა არანაირად არაა უანგარო ქმედება: გმირობითი ჯილდოდება, რომლის ფლობა, ამავე დროს, ძალაუფლების სიმბოლოცაა: ქალის მზითვი ნახევარი ან მთელი სამეფოა. განსხვავებით გმირობისგან, წმინდა გიორგი მეფის ასულს და ნახევარ სამეფოს არ ეუფლება, მაგრამ სანაცვლოდ განთავისუფლებულ ქალაქს ქრისტეს რჯულზე მოაქცევს. „ურჩხულთმებრძოლობის“ მოტივში ერთადერთი გამონაკლისი რაინერ მარია რილკეს ზღაპარია, რომლის უსახელო გმირო ურჩხულის დამარცხების შემდეგ ისე უჩინარდება, რომ მის ვინაობას ვერავინ იგებს.

„ქრისტეს მხედარი“

იაკობუსი თავის მონათხრობში იმასაც აღნიშნავს, რომ წმინდა გიორგის არა მხოლოდ ლეგენდები, არამედ ასეთი პიროვნების არსებობა თავად ეკლესიაშიც კი ეჭვს იწვევდა. 325 წელს ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებამ, რომელსაც პირველი ქრისტიანი იმპერატორი, თავადვე წმინდანი — კონსტანტინე I თავმჯდომარეობდა, წმინდა გიორგის მონამეობის ლეგენდები აპოკრიფად გამოაცხადა. V საუკუნეში პაპმა გელასიუს I-მა გიორგის სასწაულებში შეიტანა ეჭვი, ხოლო 812 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ნიკეფორუს I-მა წმინდა გიორგის ლეგენდების დიდ ნაწილს „ჰაგიოგრაფიის“ სტატუსი ჩამოართვა და საეკლესიო ხმარებაში აკრძალა.

მიუხედავად თავად ეკლესიის მხრიდან მიღებული ამგვარი ცენზურული ზომებისა, წმინდა გიორგი დღემდე ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ წმინდანად რჩება და მისი ხატება, უპირველეს ყოვლისა, საბრძოლო-საომარ ასოციაციებს იწვევს, საიდანაც მისი კულტის დასაბამიცაა საძიებელი. „მე ვარ ჩემი მბრძანებლის (იმპერატორის) – ქრისტეს მეომარი!“ – ასე წარმოაჩენდნენ თავს პირველი ქრისტიანები და სწორედ მათ ნიაღში გაჩნდა ქრისტესათვის მონამე მეომარი წმინდანების კულტები, რომელთა მოტივებიც ყველაზე სრულყოფილად გიორგის ფიგურაში გაერთიანდა.

წმინდა გიორგის საყოველთაო აღზევება მაღალი შუა საუკუნეების მთავარ მოვლენას – ჯვაროსნულ ომებს უკავშირდება, სადაც მან ზეციური ლაშქრის მთავარსარდლის – მთავარანგელოზ მიქაელის ადგილი დაიკავა და ქრისტეს მახვილით ხელში იავარქმნა ურჯულოები.

XII საუკუნის ბოლოს ინგლისის ჯვაროსანმა მეფემ და რობინ ჰუდის მეგობარმა რიჩარდ ლომგულმა წმინდა გიორგი ინგლისის პატრონად, ხოლო ინგლისი კი წმინდა გიორგის ნილხვედრ ქვეყნად გამოაცხადა.

ურჯულო სარკინოზებმა იავარქმენელი ჯვაროსნები ახლო აღმოსავლეთიდან ისეთი იავარქმენილი გამოაძევეს, რომ XVIII საუკუნემდე იქით გახედვას ვერცერთი აღჭურვილი ქრისტიანი მხედარი

ბავშვი
სიცოცხლე –
ნაყიდი ოქროს თევზის
სახლამდე ცელოფნით გადატანა.
როცა სივრცე გამჭვირვალეა
უკიდევანო
დასატევეად კი მაინც არ გყოფნის.
და მით უმეტეს
ჟანგბადი სასუნთქად.

ცხოვრება-
რიგში ჩადგომა,
სადაც მხოლოდ იმიტომ დგები
რომ რიგი დიდია
და წესით რამე
კარგი უნდა იყიდებოდეს.
იცდი და არ იცი
რა უნდა გერგოს.
სახლი —
სუნამოს კოლოფი
სადაც საკუთარი
სხეულის სუნს
ინახავ და
მის სურნელს შენს გარდა ყველა გრძნობს.

სიყვარული –
ტკბილი ნამცხვარი
რომელსაც ზუსტად ერთ ნაბიში ყლაპავ
და მერე ნამცეცებს
ხელის გულზე წლობით აგროვებ.

ხოლო როდესაც,
კბილებით ხევ ცელოფნის კუთხეს
და ასფალტზე
ლაყუჩებით და ფარფლებით სწავლობ სიარულს.
როცა რიგიდან გამოგდებულნი
დაუფიქრებლად სულ ბოლოში ხელახლა დგები,
როცა პირველად, სუნამოს კოლოფში
საკუთარ სუნს უკვე შენცა გრძნობ
და ხელისგულზე წლობით ნაგროვებ
ნამცხვრის ნამცეცებს
აკვარიუმში
სულ პატარა ლიფსიტას უყრი -
ეს არის ბავშვი.

დათო ყანჩაშვილი, 2006

ველარ ბედავდა. მიუხედავად ამისა, ამ პირველი საერთო-ევროპული სამხედრო ოპერაციის შემდეგ წმინდა გიორგი ქრისტეს სახელით იავარქმნის სიმბოლოდ დამკვიდრდა მთელს საქრისტიანოში.

მას შემდეგ კი, რაც ქრისტეს სახელით იავარქმნა ისტორიას ჩაბარდა, წმინდა გიორგიმაც გამინიერება დაიწყო: ახლა ის სამშობლოსა თუ რევოლუციის ან თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით ეჭიდებოდა და ამარცხებდა ურჩხულებს.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ პოსტსაბჭოთა ქართული დემოკრატიის პირველი განსაზღვრება – „დემოკრატია ლობიოება არაა“ – საქართველოს მხედრიონის დამაარსებელს – ჯაბა იოსელიანს ეკუთვნის. მხედრიონელის ნიშანზე წმინდა გიორგის მიერ ურჩხულის მოკვლაა გამოსახული, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მხედრიონის იავარქმნებიც წმინდა გიორგის სიუჟეტის პირველი თანამედროვე ქართული პრაქტიკული ინტერპრეტაცია იყო. თეორიულ-პოეტური გააზრება კი მხედრიონის მიერ დამხობილმა ზვიად გამსახურდიამ შექმნა თავისი ლექსით „წმინდა გიორგი“:

„წმინდაო გიორგი, დიდების მხედარო,
 ვუმზერ შენს ხატებას და სული მხნედ არი...
 შემუსრე უწმინდურ დრაკონთა ორგია,
 იხსენი სამკვიდრო შენი – გეორგია,
 დიდების უფალი მართალთა მწედ არი.

წმინდაო რაინდო, გველი არ დაინდო,
 მოგვმადლე იმედი და უფლის სვე-დარი.“

სახელი „გიორგი“

იაკობუსი წმინდა გიორგის სახელის ეტიმოლოგიის რამდენიმე ვარიანტს გვთავაზობს: პირველია გეოს – „მინა“ და ორგე – „მოქმედება“, „კეთება“, ანუ წმინდა გიორგი მინათმოქმედი. მაგრამ წმინდა გიორგი რომ ჩვეულებრივი მინათმოქმედი გლეხისგან განვასხვაოთ, იაკობუსი ნეტარ ავგუსტინეს სიტყვებს იშველიებს, რომ საუკეთესო მინა მაღალ მთებზე, ზომიერ გორაკებსა და მდელოზე მოიპოვება. ასევე წმინდა გიორგიც სიმაღლეებზე იდგა, რადგანაც სიმაღლეები სძულდა, და ხასხასად მწვანე იყო, როგორც სისუფთავე და ზომიერად თავმდაბალიც და ამიტომ ხვდა წილად მას „ზეციური მხიარულების ნაყური“.

მეორე ეტიმოლოგია ასეთია: „გეორგიუსი მომდინარეობს გერარ – „წმინდან“ და გუიონ – „მეომრისაგან“, ანუ გიორგი „წმინდა მეომარს“ ნიშნავს, „რადგანაც ის ურჩხულებსა და ჯალათებს ებრძოდა“.

საერთოდ, სავარაუდოა, რომ სახელი გიორგი საგანგებოდ ამ წმინდანისთვის შეიქმნა და მას მანამდე არ უარსებია. წმინდა გიორგი არის საკუთარი სახელის ხატად შექმნილი და მასში ერთი საკულტო ფენომენის შინაარსია ჩამალული: მიწის დამუშავება და ურჩხულის მოკვლა შესაქმნის მითიდან იღებს სათავეს. მიწა, ხმელეთი, „მყარი“ („სა-მყარ-ო“) სამყაროს პირველი ელემენტი, რომელიც ქაოსის („თქვა ღმერთმა: იყოს წყალთა შორის მყარი და გაჰყაროს წყლები. გააჩინა ღმერთმა მყარი და გაჰყარა ერთმანეთისგან წყალი, რომელიც არის მყარს ქვემოთ, და წყალი, რომელიც არის მყარს ზემოთ. და იქმნა ასე.“ შესაქმე, 1, 6-7). შესაქმნის მითოსის უფრო არქაულ შრეებში კი დემიურგი ღმერთის ქაოსის ურჩხულთან ბრძოლა აღწერილი. სამყარო დემიურგის მიერ ურჩხულის მოკვლით იქმნება – ესაა შესაქმნის წინაპირობა.

ანტიკურ სამყაროში ურჩხულის მოკვლა გმირის აუცილებელი

ატრიბუტია: თუ ურჩხული არ მოკალი, ისე ვერ გახდები გმირი! ჰერაკლე, თეზეუსი, იაზონი, პერსეუსი, ოდიპოსი – ყველანი ურჩხულის მკვლელები არიან და თან სამსხვერპლოდ განწირულ ქალსაც ათავისუფლებენ. ეს მოტივი სტაბილურად უცვლელია შუამდინარული მითოლოგიიდან Star Wars-ამდე და მისი ქრისტიანულ-ჰაგიოგრაფიული ეკვივალენტი წმინდა გიორგია.

გიორგის ეტიმოლოგიაში არც მინის დამუშავების მოტივია შემთხვევითი: წმინდა გიორგი მინათმოქმედი ხალხის საყვარელი წმინდანი და სახალხო გმირის პროტოტიპია. საქართველოში ეს წმინდანი თავისი პოპულარობით მამა ღმერთსა და ქრისტესაც კი უსწრებდა და ხალხი მას მუდამ კეთილ მფარველად და ჭირში თანამდგომად აღიქვამდა, რომელიც დაჩაგრულებს იცავს მჩაგვრელებისაგან, „მდიდარს ართმევს და ღარიბს აძლევს“.

ყველა, ვინც ამ სახელს ატარებს, ვისაც გიორგი ქვია, მას მეომრის აბჯარი და მინათმოქმედის უღელიც ადგას. ეს არქეტიპული პრინციპი შეგვიძლია დავინახოთ გიორგი სააკაძის ფიგურაში, როგორაც ის 1943 წელს კინორეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა თავის ფილმ „გიორგი სააკაძეში“ გამოსახა: ბრძოლის ველიდან დაბრუნებული მთავარსარდალი გუთანს სტაცებს ხელს და მინის ხვნას იწყებს. ამგვარად, გიორგი სააკაძეში საბჭოთა გმირის იდეალი – მებრძოლი და მინის მუშა – ეროვნული მხსნელის სახეს შეერწყა და წმინდა გიორგის გაქართულსაბჭოებულ ვერსიად იქცა.

IN HOC SIGNO VINCES!

ერთი საკმაოდ დამაჯერებელი მოსაზრების თანახმად, წმინდა გიორგის იკონოგრაფიის პროტოტიპი „ეკლესიის მამად“ წოდებული ისტორიკოსის ევსები კესარიელის (III-IV ს.) მიერ აღწერილი კონსტანტინე I-ის ერთი არშემორჩენილი ფრესკაა, რომელიც პირველი ქრისტიანი იმპერატორის განკარგულებით მისი სასახლის კედელზე იყო დახატული: „სურათზე ნიშანი ხსნისა იდგა მის (კონსტანტინეს) თავზე, როდესაც ის მტრულ და ვერაგ ურჩხულს – უღმრთო ტირანების ხელით ღმერთის ეკლესიებს რომ ავიწროებდა – გველესაჲდ გამოსახულს, ჯოჯოხეთის უფსკრულში ანარცხებდა; რამეთუ გველესაჲდ წარმოსახეს ღმერთის წინასწარმეტყველებმა თავის წერილებში ურჩხული. ყველას რომ ენახა, ამიტომაც დაახატინა კეისარმა მის და მისი ვაჟიშვილების ფეხებთან განრთხმული გველესაჲი, რომლის სხეულსაც ის მახვილით აპობდა და ზღვის ფსკერისაკენ მოისროდა. ამით მას სურდა ადამიანთა მოდგმის უხილავ მტერზე მიეთითებინა, რომელიც, საკუთარ თავზე რომ გამოსახინა, იმ ცხოველმყოფელი ნიშნის ძალით წარწყმედის უფსკრულში იქნა გადაგდებული. ამაზე მეტყველებდა ფერთა ბრწყინვალეებით შესრულებული ნახატი. მე კი განცვიფრებული ვიყავი თუ როგორი მაღალი გონება მახვილობით გამოსახინა ღმერთის შთაგონებით კეისარმა სწორედ ის, რაც ამ ურჩხულზე წინასწარმეტყველთა სიტყვამ ბრძანა: „იმ დღეს დასჯის უფალი სასტიკი, დიდი და ძლიერი მახვილით ლევიათანს, გველს მოსრიდეს, და ლევიათანს, გველს დაკლავნილს, და მოკლავს გველესაჲს, ზღვაში მყოფელს“.

ევსები კესარიელის ეს ფრაგმენტი მთავრდება ესაია წინასწარმეტყველის ნიგნდან (27, 1) ციტატით, რომელიც იაჰვეს ბრძოლას ურჩხულ ლევიათანთან აღწერს. ეს სცენა კი ძველი აღთქმის შესაქმის მითოსის არქაულ შრედ მიიჩნევა, რომელშიც, განსხვავებით მოსეს პირველი ნიგნის შესაქმისაგან, დემიურგი ღვთაების პრეკოსმიურ ურჩხულთან ბრძოლის სიუჟეტი არეკლილი, საიდანაც სათავეს იღებს პოლიტიკური თეოლოგიის ძირითადი პრინ-

ციპი – სუვერენის დემიურგთან გაიგივება. პირველი ქრისტიანი იმპერატორის ურჩხულთან ბრძოლის სიუჟეტში ჩართვით, ქრისტიანული ხელისუფლების თეოლოგიის განმსაზღვრელი კოსმოგონიური მითოსი ხდება, სადაც ურჩხულის მოკვლა ძალაუფლების სიმბოლოა. ძალაუფლება კი საკრალურია და ის სამყაროს მტრული, ბოროტი ძალებისაგან დაცვას ემსახურება.

312 წელს თავის კონკურენტთან ბრძოლის წინ იმპერატორ კონსტანტინეს ქრისტე გამოეცხადა და უთხრა: *In hoc signo vinces!* – „ამ ნიშნით გაიმარჯვებ!“ კონსტანტინემაც თავის ჯარისკაცებს ფარებზე ქრისტეს ნიშანი, ე.წ. ქრისტოგრამა დაახატინა, რომელიც ჯარის სიმბოლოს გაჩენამდე ქრისტეს ნიშნად მიიჩნეოდა, და ბრძოლის წარმატებით დასრულების შემდეგ მოინათლა.

წამების ისტორია და პოლიტიკა

წმინდა გიორგის ერთ-ერთი პირველი ეპითეტი „მეგალომარტის“ – „დიდი მონამეა“. განსხვავებით გვიანდელი ლეგენდებისა და გამოსახულებებისაგან, პირვანდელ გადმოცემებში წმინდა გიორგი არც მხედარია და არც ურჩხულთან შერკინებული გმირი, არამედ ადამიანი, რომელსაც აწამებენ და ვერ კლავენ. ერთ-ერთი უძველესი ბერძნული ლეგენდა ისეთი ნატურალიზმით აღწერს მისი წამების სცენებს, რომ ამ თხზულებას ჰაგიოგრაფიაზე მეტად ადამიანის პერვერსიულ ფანტაზიათა ლიტერატურული ექსპიზიციონიზმი უფრო მიესადაგებოდა: თავდაპირველად გიორგის საწამებელ ბორბალზე მიაბამენ და იმდენს ურტყამენ მათრახს, სანამ მისი შიგნეულობა მიწაზე არ მიმოიბნევა. შემდეგ ჩაქუჩით უჩქქვავენ თავს, სანამ მისი „რძესავით თეთრი ტვინი“ არ გადმოიღვრება. ამას მოსდევს მისი დაკუნვა-დანაწევრების სცენები: გიორგის ჯერ ორად გააპობენ, შემდეგ ათ ნაჭრად დაჩეხავენ და მხეცებს მიუგდებენ საჯიჯგნად. შემდეგ მდულარე წყლიან ქვაბში ჩააგდებენ და როდესაც მოხარშული ხორცი ძვლებს ჩამოცილდება და ბულიონად იქცევა, ციდან ჩამოისმის ხმა: „წამოდექი და დატოვე ქვაბი!“ – გიორგიც მისვე გაცოცხლდება. წმინდანის სასწაულებრივი გმირობა მისი ქრისტესათვის წამებაა. აქ ის არც ვინმეზე შურს იძიებს, არც ვინმეს ებრძოლება, არც კლავს და არც ათავისუფლებს. ერთ სხვა ადრექრისტიანულ ლეგენდაში გიორგი ქედშეუდრეკელი მონამეობის სანაზღაუროდ ისეთ ძალას იძენს, რომ ყველა, ვინც მას შეელას შესთხოვს ან მის რელიქვიებს თავყვანს სცემს, გიორგი შეენევა და თხოვნას აუსრულებს.

ადრექრისტიანობამ არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ ადამიანთა ცნობიერებაში ახალი ჟანრი შექმნა – მარტიროლოგია, რომელიც ქრისტეს მონამეობის რეპროდუქციას გულისხმობდა. ამავე დროს მარტიროლოგიამ საკუთარი მრწამსისათვის თავგანწირვის ნიმუშებთან ერთად, coming-out-ის პირველი პარადიგმაც წარმოშვა. გიორგის აწამებენ იმიტომ, რომ ის ქრისტიანთა მოძულე მეფის დადიანის (ლათინურად: *dacianis*) წინაშე წარსდგება და საჯაროდ აცხადებს, რომ ის ქრისტიანია. ქრისტიანები 313 წლისათვის, ანუ როცა ამ სარწმუნოების ტოლერანტობის ბრძანება გამოიცა, რომის იმპერიაში რელიგიურ უმცირესობაში იყვნენ და მათი რიცხვი იმპერიის მოსახლეობის დაახლოებით 5-7% შეადგენდა. coming-out-ი საკუთარი იდენტობისათვის თავგანწირვისათვის მზადყოფნას ნიშნავს. როდესაც უმცირესობა უმრავლესობად გადაიქცევა, მონამეობის ადგილსაც შინაურ თუ გარეშე მტრებზე გამარჯვება და გმირობა იკავებს.

იქ, სადაც უფრო ახლოა შენთან.
სადაც ფეხით რთულია გავლა
და მანქანები ეფლობიან ხეების ჩრდილში.
საიდანაც მზე შორია
და ახლოს არის ყველაფერი გადაკარგული.

სადაც „გუშინ“ წყალივით გადმოდის
ანწყოს ვინრო კალაპოტიდან
და „დღეს“ ძალიან გვიანდება.
სადაც წვიმებს ედებათ ხავსი
და შინაური ცხოველები იბრუნებენ ველურ ინსტინქტებს.

იქ, სადაც უფრო ახლოა შენთან,
მე მოვდივარ
და ჩვენ ვსვირნობთ
ჩამქრალი ფარებით,
გაცვეთილი ფეხსაცმელებით
და ვეფლობით ხეების ჩრდილში.

მერამდენედ ჩაუვლით ადგილს,
სადაც მერე მე უნდა მოვკვდე
საღლაც, მესამე მოქმედებაში,
იქ, სადაც უფრო ახლოა შენთან.

სადაც „გუშინ“ გაიწელა,
გაიწელა...
და უნდა განყდეს.

დათო ყანჩაშვილი, 2008

შურიხსაძიხაზალი

ქრისტიანობა IV საუკუნის დასასრულს რომის იმპერიის სახელმწიფო რელიგიად ცხადდება და ერთ დროს მისი მდევნელების დევნას იწყებს. თუ პირველი ქრისტიანები, განსაკუთრებით სამხედრო პროფესიისანი, საკუთარ თავს „მილიცია ქრისტის“ (Militia Christi) – „ქრისტეს ჯარისკაცებს“ უწოდებდნენ, ახლა ისინი Policia Christi-დ იქცნენ. დევნისა და შურისძიების სამიზნე არა მხოლოდ სახელმწიფო რელიგიის ცოცხალი არმიდევრები, არამედ დიდი ხნის მკვდრებიც არიან. მკვდრებზე ანგარიშსწორების არცთუ მარტივი მისია სწორედ წმინდა გიორგის ხვდა წილად, რისთვისაც იგი უდრტინველი მოწამის ეკლიან გვირგვინს ზეციური სადამსჯელო სამსახურის ოფიცრობაზე ცვლის. ამისათვის მის ლეგენდებსა და იკონოგრაფიებში ქრისტიანთა მდევნელი იმპერატორის

– დიოკლეტიანეს ფიგურა ჩნდება, რომელსაც გიორგი კლავს. ამ იკონოგრაფიას ისტორიკოსები ახალი სამყაროს ძველზე გამარჯვების სიმბოლოდ მიიჩნევენ: დიოკლეტიანე, როგორც წარმავალი, წარმართული სამყაროს წარმომადგენელი, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ქრისტიანობის გავრცელებას, ნადგურდება ქრისტეს მხედრის მიერ (იგივე შინაარსის იდეა ეკუთვნის ლევ ტროცკისაც, რომ ნითელი ტერორი საჭიროა რეაქციონერი კლასის მიმართ, რომელსაც საკუთარი ნებით არ სურს სცენიდან ჩამოსვლა).

დიოკლეტიანეს მოკვლის სიუჟეტიდან ქრისტიანული პოლიტიკური კარიკატურა იბადება. კარიკატურა (ლათინურად: carica-re – „გაზვიადება“, „გადამეტება“), სინამდვილის დაცინვასთან ერთად, მუქარა-გაფრთხილებასაც შეიცავს: ვინც ქრისტიანებს შეავინროებს, ასე დაისჯება! დასჯილ-დაცემულით კი მტრის პერსონიფიცირებული ხატი იქმნება, რომლის დამარცხებაც გარდაუვალია: დაჩაგრული უთუოდ შურს იძიებს მასზე. „უკანასკნელი იქნებიან პირველები“ და დასჯილები დამსჯელები! – ესაა ამ სიუჟეტის მესიჯი. შემთხვევითი არაა, რომ ეს სიუჟეტი ყველაზე დიდი პოპულარობით პატარა და სუსტ ქრისტიან ქვეყნებში სარგებლობდა, რომლებიც დიდი და ძლიერი ქვეყნებისგან, ძირითადად, ბიზანტიის იმპერიისგან, თავს დაჩაგრულად გრძნობდნენ. საქართველოში კი ამ ხატის შინაარსი პოლიტიკურ ფანტაზმად იქცა, რომელსაც ისეთი მაგიური ძალა აქვს, რომ მარცხი გამარჯვებად შეუძლია მოაჩვენოს: კი არ დავმარცხდით, გამარჯვებულები ვართ და ჩვენი მფარველი წმინდა გიორგი დასჯის ჩვენს მჩაგვრელებს!

ფროიდი ერთ თავის ნარკვევში, რომელიც სექსუალური პერვერსიების წარმოშობას ეხება, აღწერს შემთხვევებს, როდესაც პაციენტები, უმთავრესად მდევრობითი სექსის, ადრეული ბავშვობის ფანტაზიას იხსენებენ: „ბავშვი იცემება“ – ასე გამოითქმის ეს ფანტაზია და მასში ყოველთვის ვინმე კონკრეტული – უფრო ძლიერი ან „წარმატებული“ ბავშვის ცემის სურვილი იმალება. მცემელი, რომელიც ფანტაზიის ავტორის ნაცვლად იმ სხვა ბავშვს ცემს, არის უფროსი ადამიანი, რომელსაც ფროიდი მამის ფიგურასთან აიგივებს და ამ ფანტაზიის შინაარსს ასე თარგმნის: „მამა ცემს ჩემს საძულველ ბავშვს!“

ურჩხულის მოკვლის ხალოვნება

„იყო ერთი კაცი, რომელიც ურჩხულის მოკვლას სწავლობდა და მთელი თავისი ქონება ამ საქმეში დახარჯა. სამ წელიწადში ის უკვე ბრწყინვალედ დაეუფლა თავის პროფესიას, მაგრამ არასდროს მისცემია შესაძლებლობა, რომ ის გამოეყენებინა“. ჯუან ძი კიტხვა: რა შეუძლია ადამიანს აკეთოს ისეთი პროფესიით, რომელსაც არანაირი პრაქტიკული დანიშნულება არა აქვს? პასუხი: სხვებს ასწავლოს.

მე, რანი

ყველა არაბული ბედაური ტერორისტი სულაც არ არის.

○ ცხენის ფლოქვი შეიცავს პროტეინ კერატინს, რომელიც აგრეთვე გვხვდება ადამიანის თმასა და ფრჩხილებში, თუ ამ ადამიანს თმისა და ფრჩხილების ნასახი კიდევ შემორჩენია.

○ ანტიკური საბერძნეთის დამსახურებული პოეტი, „ილიადას“ და „ოდისეას“ ავტორი – ჰომეროსი სინამდვილეში ულაცი იყო.

○ ჩვენს უბადრუკ არსებობას ცხენები მართავენ. მათ ჩვენს წინაპრებს ქრისტეს ვირის შობამდე 4000-იოდე წლით ადრე და-

ადგეს თვალი, მოიშინაურეს და მას შემდეგ კაცობრიობის მანიპულირების მეშვეობით ფუფუნებაში ცხოვრობენ. რაშები შთააგონებდნენ დიდ მეფეებსა და სპასპეტებს ყოველ ღირსშესანიშნავ ნამონყებას, ისინი ქმნიდნენ გენიოსებსა და მიწასთან ასწორებდნენ ურჩთ [როგორც პირდაპირი, აგრეთვე, გადატანითი მნიშვნელობით (ხშირად ეს მნიშვნელობაც თავად ცხენებს გადაჰქონდათ დიდ მანძილებზე)]. აღსანიშნავია, რომ ფილმი „ყბები 4: შურისძიება“ კომპოზიტორ ჯონ უილიამსის ფაშატის უმცროსი კვიცის დაწერილია.

○ ყველა ცხენი უკვდავია. როდესაც მათ შვრიისა და ქერის ღეჭვა მოწყინდებათ, ზეციურ იალალებს მიაშურებენ, სადაც ძალუძთ, ქსოვას დაეუფლონ და ყაყაჩოებით მოფენილ მდებარეობებზე საეჭვო ვითარებაში უდროოდ დაღუპული ცნობილი ადამიანები აჭენონ.

○ წმინდა გიორგის ცხენს, ზოროს ოთხფეხა თანამებრძოლისგან განსხვავებით, სულაც არ ერქვა ტორნადო.

○ ცხენი სულაც არ არის ყველაზე ილბლიანი ცხოველი, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ არაერთ ნაღს ფლობს. ამ მეტად საპატიო ტიტულს ოდითგანვე სირაქლემა ატარებს.

○ მეთერთმეტე საუკუნეში ბედაურთა საბჭომ წმინდა გიორგის მიერ იმპერატორი დიოკლეტიანეს გათელვის შემზარავი აქტი არაპოლიტიკორექტულად მიიჩნია. უმწეო მოხუცის ამგვარად მოპყრობა მრევლს უღირს მაგალითს აძლევდა. შედეგად, საბჭოს

მითითებით, ხატებსა და ფრესკებზე დიოკლეტიანე გველუშაპით ჩაანაცვლეს. ამ უცაბედმა გადაწყვეტილებამ დაარწმუნა მოსახლეობა, რომ მოხუცები სიკვდილის ჟამს დრაკონებად იქცევიან. კატასტროფულად გახშირდა ჭარმაგი და ნაადრევად გაჭალარავებული პიროვნებების მკვლელობა და ცოცხლად მირთმევა გველუშაპის ღონისა და კობტა ქერცლის მოსაპოვებლად. კრიზისის დასაძლევად, ცხენები იძულებულები გახდნენ კაცობრიობისთვის კარაქიანი პურის დამზადების საიდუმლო გაენდოთ.

ბოლოოქმა

1. უკანასკნელ ასწლეულებში გიორგების ჭარბი მატება შესაძლოა იყოს მოზარდთა შორის ძალადობისა და მოზრდილთა შორის იავარქმნის ზრდის მიზეზი. ძალადობის შესაჩერებლად საჭიროა გიორგის დარქმევაზე მორატორიუმის გამოცხადება.
2. სერგო ორჯონიკიძის ნამდვილი სახელი გიორგი იყო.
3. პავლე მოციქული ამბობდა: „წინასწარმეტყველებანი იყოს, გაუქმდება, ენები იყოს, შეწყდება, ცოდნა იყოს, გაუქმდება. რადგან ნაწილობრივ ვიცით და ნაწილობრივ ვწინასწარმეტყველებთ. და როცა სრულყოფილი მოვა, ნაწილობრივი განქარდება“-ო (1 კორინთელთა მიმართ, 13: 8-9).
4. წინამდებარე ტექსტის შექმნისას არ დაზარალებულა არცერთი დრაკონი.

Cafe Kala acidbar Near Opera

K&B still watching you

19nineteen ცხსამეტი

kala.ge

19 is one hot dining experience.
Don't miss the heath!
 Café 19 Nineteen: 6 Erekle II st. tel: 591 211 919

Café Kala: 8/10 Erekle II str. tel: 599 799 737. Cafe KGB: 8/10 Erekle II str. tel: 832 2985013, 599 674 488. Cafe Near Opera: 2 Lagidze str. tel: 599 681 166
 Acid Bar /1/: 3a Kazbegi Ave. tel: 599 101 238. Acid Bar /2/: 37 Abashidze str. tel: 591 681 000. Acid Bar /3/: 9 Leonidze st. tel: 592 221 131.

როსი სასახლის ქალაქი

ავტორი შოთა იათაშვილი

რაც თავი მახსოვს და მანამდეც, მუდამ ვამაყობდით იმით, რომ თბილისში, ერთი ხელის გადაწვდენაზე, გვერდი-გვერდ, მშვიდობიანად იდგა ქრისტიანული და კათოლიკური ტაძარი, მეჩეთი და სინაგოგა... ცოტა უფრო მოგვიანებით და ცოტა უფრო მოშორებით კრიშნაიდების თუ სხვა სახის აღმსარებელთა ტაძრებიც გაჩნდა. ამაზე ბევრი დაწერილა და ბევრიც თქმულა, მაგრამ მგონი არასდროს თავი არ მოგვიწონებია იმით, რომ ჩვენს ქალაქში რამდენიმე სასახლე დგას, და ყოველ მათგანს თავისი მეფე, ნაზირ-ვეზირი და ქვეშევრდომები ჰყავს.

ჩვენი მუდმივი დაქუცმაცებულობა მუდამ რამდენიმე სასახლის არსებობას გულისხმობდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხე-კუნჭულში, თუმცა კი სასახლეები სახელმწიფოში და სასახლეები ერთ ქალაქში (თუნდაც დედაქალაქში) სულ სხვა რამაა, სულ სხვა ფენომენია.

ეს უფრო ისტორიკოსების საქმეა, თბილისში სასახლეების თანაარსებობის კონტექსტები იკვლიონ, მე კი ახლა უბრალოდ ოცდამეერთე საუკუნის თბილისზე ვფიქრობ, რომელიც ჩემს თვალსა და ხელს შუა იცვლება და ათასწლიურად გარდაიქმნება ხოლმე. სულ ცოტა ხნის წინ მის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლად ის იქცა, რომ იგი უკვე სასახლეების ქალაქი გახდა – და სასახლეების რაოდენობაც ზუსტად ითვლება – 4, თუმცა კი ეს სასახლეები დიაქრონულ დინამიკაში იმყოფებოდნენ ერთმანეთთან – ერთი შენდებოდა, მეორე ბრწყინავდა, მესამე უკვე პარტახდებოდა, მეოთხე კი იყო და იყო.....

და ეს სასახლეები ქალაქის ისტორიულ ნაწილებში შენდებოდა – ქართული, მეფური, – არაცნობიერი, ალბათ მუდამ ამას გვკარნახობდა. ვერაზე ან ვაკეში შეიძლებოდა მაგარი „ბაითი“ აეშენებინა მავან „მეფეს“, და დღეს და ხვალ შეი-

ძლება ვარკეთილში ან გლდანში მაგარი ოფისებიც მოიწყონ მათ, მაგრამ სასახლის ფენომენი მათ ისტორიული წიაღისკენ ეძახდათ. თუ ჭეშმარიტი სასახლეა, იგი კრწანისში უნდა იდგას, ან ორთაჭალაში, ან ავლაბარში, ან მთაწმინდაზე – ეს სულ სხვანაირად ჟღერს, სხვანაირ ხიბლს მატებს და ძალას აძლევს სასახლესაც და მასში განთავსებულ მეფესაც!

პატრიოტიზმთან იძულებით თუ ხშირად საკმაოდ ბუნებრივადაც გადაჭდობილმა საბჭოურობამ კომპარტიის პირველი მდივნებისთვის რეზიდენცია სამასი არაგველის სისხლით მორწყულ მინაზე აიგო. კომპარტიის რამდენიმე პირველმა მდივანმა მგონი კიდეც მოასწრო იქ ცოტა ხნით ცხოვრება, მაგრამ საბოლოო ჯამში ის რეზიდენცია, ანუ ზღაპრულ-ისტორიული ენით რომ ვთქვათ – სასახლე, ხალხის ცნობიერებაში შევარდნაძის სამფლობელოდ დარჩა. დარჩა და არის კიდეც დღემდე, თუმცა მისი დიდი ნაწილი გაიყიდა და კერძო მფლობელობაში გადავიდა. ექსპირველმდივანსა და ექსპრეზიდენტს 2003 წლიდან იქ თავისი მარადიული სამოთხე აქვს მოწყობილი და, ალბათ, არც ჩიტის რძე აკლია და არც ტკბილი ჰანგები... ძალაუფლებალა აკლია მხოლოდ...

ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ბრძნული გადანყვეტილება იყო ქართული დაუნდობელი პოლიტიკის ბოლო ოცნლეულში – წასულიყო ერთი მეფე მშვიდობიანად და უსისხლოდ თავის ძველ, ფუნქციონირებულ, მაგრამ კომფორტ-შენარჩუნებულ სასახლეში, რათა მოსულიყო ახალი მეფე ახალი შემართებითა და იდეებით, და ქალაქის სხვა უბანში თავისი ახალი, რეალური სასახლე აეგო, რათა იქიდან ქვეყანა ახლებურად ემართა და ეშენებინა. ქვეყნის ახლე-

ბურად შენება ახალი სასახლის შენების პარალელურად მიმდინარეობდა, და რაც უფრო შთამბეჭდავ სახეს იღებდა ავლაბრის ახალი სასახლე, მით უფრო შედიოდა დემოკრატი პრეზიდენტი მეფურ ვენებაში და ირგებდა ხელმწიფის მოსასხამს...

სასახლის მშენებლობა 2004-ში დაიწყო და 2009-ში დამთავრდა, მაგრამ სწორედ ამ პერიოდში ქალაქში კიდეც ორი სასახლე იწყებს წამომართვას, ქმედებას, გაბრწყინებას...

უფრო სწორად, ერთ-ერთი მათგანი ჯერ კიდეც საბჭოთა პერიოდში, 1984 წელს აშენდა და სახელად სწორედაც რომ სასახლე ეწოდა – ოლონდ ქორწინების (ოფიციალურად – რიტუალების). რაკი რიტუალების იყო, ფალოსის კულტიც აშკარად იკითხებოდა ვიქტორ ჯორბენაძის არქიტექტურაში, და ამავე დროს დაკვირვებულ თვალს სამოს ბაგეებადაც შეეძლო წაეკითხა ზემოთ აღმართული, ორად გაჭრილი სვეტი. თუმცა საბჭოთა ქართველმა ხალხმა მის გარეგნულ ფორმებში მაინც უფრო უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ სურათ-ხატები დალანდა და ამ უცნაურ სასახლეს „ქაჯეთის ციხე“ ეწოდა... და იყო ასე: ინერდენტ ნყვილები ეკლესიაში ჯვარს და აწერდნენ ხელს „ქაჯეთის ციხეში“... მერე კი, საბჭოეთი რომ დაიშალა, 90-იანებში, დარჩა ციხე-სასახლე უფუნქციოდ, მაგრამ დადგა 21-ე საუკუნე და იყიდა რუსეთიდან ჩამოსულმა ერთმა მდიდარმა კაცმა ეს სასახლე, მოიწყო თავისთვის, შეიქნა ორთაჭალელ მეფედ და ავლაბრელი კოლეგის ჩამოგდებაც სცადა. სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა... ავი ენები უბნობენ, სწორედ ამ ბრძოლას შეენირო, მაგრამ მავანი ბოდრიარიც რა ხანია უბნობს, უკვე ყველაფერი სიმულაკრაა და ნამდვილს და შეთხზულს ერთმანეთისგან, რაც დრო გავა, მით უფრო ველარ



ანდრია დოლიძე
ELEPHANT, 20x25 აკრილი, ტუში, ქალაქი, 2011

გაარჩევთო, ამიტომ, უბრალოდ ფაქტად ის ვთქვათ, რომ ორთაჭალის მეფე 2008 წელს თავის ბრიტანულ კარ-მიდამოში გულგამსკდარი იპოვეს. იპოვეს მაშინ, როცა ავლაბრის სასახლის მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა... სხვათა შორის, მის დაკრძალვაზე კრწანისელი მეფე იყო მისული, თან არა როგორც მეფე, არამედ როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე... როგორც ამბობენ, საერთო რიგში ჩადგა და როცა მოუწია, მაშინ მიუსამძრა ოჯახსო...

სულ მალე, 2009-ში კი შევიდა ავლაბრელი მეფე მიქელე დე ლუჩის (არა, რა, რენესანსის პერიოდიდან გადმოსული ხუროთმოძღვარივითა ყლერს, ჭეშმარიტად!) მიერ აგებულ მტრის თვალისდამაბრმაველ სასახლეში დიდი ზარ-ზეიმით, უპატრონოდ დარჩენილ „ქაჯეთის სასახლეს“ კი, ცხადია, რომ ეშმაკები დაეპატრონენ... და სანამ ეს ხან ღია და ხან ფარული ორთაბრძოლა მიმდინარეობდა ორთაჭალელ და ავლაბრელ მეფეებს შორის, მთანმინდის მთის ფერდობებზე, ბოტანიკური ბაღის თავზე

იაპონელი არქიტექტორის, შინ ტაკამაცუს ხელით ჩუმად იგებოდა და თვალსა და ხელს შუა ხიროსიმას რადიაციული სოკოსავით საოცრად სწრაფი ტემპებით იზრდებოდა კიდევ ერთი სასახლე (ოფიციალურად – ბიზნეს-ცენტრი), რომელშიც კიდევ ერთი ახლად გამომცხვარი თბილისელი მეფე უნდა განთავსებულიყო და თავისი კეთილი მეცენატური ცხოვრებით ეცხოვრა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ქარქაშიდან ხმაღს არ ამოიწვდენდა და სრულიად საქართველოსათვის მოულოდნელად ავლაბრელ გაყოყოჩებულ მეფეს საბრძოლველად არ გამოიწვევდა.

და აი, ახლა, სრულიად საქართველო, როგორც ჰოლივუდურ ისტორიულ ბლოკბასტერს, ისე უყურებს ამ ახალ შეჭიდებას – მთანმინდის სასახლეშიც და ავლაბრის სასახლეშიც ნაზირ-ვეზირები დაჰქრიან, თავიანთ ხელმწიფეებთან ახალი საიდუმლო ამბები მიმოაქვთ და მათი ჭკუით სასარგებლო რჩევებსაც აძლევენ მათ; მოხალისე მეომრებიც დასდგომიან სასახლეებისკენ გზებს

და მონინავეთა რიგებში სურთ, ჩაენერონ... ამბობენ, ავლაბრის სასახლიდან ზოგიერთი ვეზირი ღამით ჩუმად იპარება და მთანმინდელ ხელმწიფესთან ცდილობს შელწევას, რათა ერთგულება გამოუცხადოს მას, მაგრამ იმასაც ამბობენ, მთანმინდელი მეფე ასეთებს არ სწყალობს და ხელზე მთხვევის და მისი ტახტის წინ დაჩოქების ნებას არ აძლევს და ისინიც იძულებულნი ხდებიან, ჩუმად აიძურნონ და ისევ ავლაბრის სასახლისკენ გზას გაუყენენ ფეხაკრეფითო... მოკლედ, ხან იმას ამბობენ და ხან ამას, თუმცა ეს ყველაფერი ამ ისტორიული ბლოკბასტერის ჯერ მხოლოდ ექსპოზიციანაა. მოქმედების განვითარება, კულმინაცია და კვანძის გახსნა როგორი იქნება, ეს ჯერ არავინ იცის. იმაზე კი ხომ საერთოდ არავინ ფიქრობს, რომ ვინ იცის, შეიძლება თბილისში უკვე დაიწყო კიდევ ერთი სასახლის მშენებლობა, და როცა ეს ისტორიული შეჭიდება დასრულდება, სცენაზე ეს ახალი სასახლე გამოვა თავისი ახალი მეფითა და მეტნაკლებად ახალი ნაზირ-ვეზირით...



ჩემი ბასკეთი და დიდყურა ლამურები

ავტორი არჩილ ქიქოძე

ჩემი ბასკეთი ორად ორი კაცისგან შედგება, რომლებთან ერთადაც ივლისის ორი კვირა გავატარე. დღეც და ღამეც ერთად ვიყავით. ღამით ვმუშაობდით, დღისით ქვეყანას ვათვალიერებდით. ეს ძალიან დამღლევი და უცნაური ღამეები იყო. მუდამ მონმენდილი ცა, ვარსკვლავები ჩვენს თავზე, იალალებზე გაშვებული თუშების, ხევსურების და სვანების ცხენები ფრუტუნით რომ მოადგებოდნენ ჩვენს ბაღებს, ფანრის შუქზე იმათი თვალები და სიბნელეში ჩაკარგული იმათი თქარათქური. ცხენებს ვაგდებდით, რაც შეგვეძლო შორს მივერეკებოდით, ჩვენი ბაღები რომ არ დაეგლიჯათ. ცოტა ჭაჭა, გაუთავებელი ლაპარაკი ჩვენ-ჩვენს ქვეყნებზე, რადგან ბასკები ბასკეთს სწორედ ქვეყნად მოიხსენიებდნენ – Basque Country. რაზე არ ვლაპარაკობდით?! მე უსმენოდ ვლიღინებდი, ხოშერა რალაც ძალიან მელოდიურს უსტვენდა ხოლმე, კარგად უსტვენდა.

– რა არის ის სიმღერა, რომელსაც შენ მუდმივად უსტვენ? – ვკითხე ერთხელ, – მაგარი მელოდიაა.

– ბასკების ქვეყანაში მუდმივად წვიმს, ამიტომ ჩვენი სიმღერები და მათი ტექსტებიც ძალიან მელანქოლიურია. სიმღერა რის შესახებაა? წვიმს, მოსავალს ცუდი პირი უჩანს, ალბათ, სულელი ვარ სულ ამ მიწის ნაგლეჯის ხვნა-თესვაში რომ ვატარებ ჩემს წუთისოფელს, ხეირი ხომ მაინც არ არის! მღვდელი მაინც ჩემზე უკეთ ცხოვრობს. ნამდვილი სულელი ვარ. უნდა დავანებო ამ ყველაფერს თავი. ავდგები და გარილიერო – პარტიზანი გაეხდები!

გარილიერო ბოლოში ორი მაგარი რ-თი, აღმაფრენით გამოითქმება.

მაგარი ღამეები იყო, კავკასიის მთებში ორი ბასკი და ორი ქართველი ღამურებს ვიჭერდით. პირველივე საღამოს, როცა

ზედ აბანოს უღელტეხილზე, ღამის სამი ათას მეტრზე გავშალეთ ბაღები და ცდა დავინყეთ, მე და ვახო მივხვდით, რომ დიდ შარში გავებით. კახეთის მხრიდან ბლუჯა-ბლუჯად ამოდოდა ნისლი, ცივი ქარი უბერავდა და ღამურას იქ რა უნდოდა? დარწმუნებულები ვიყავით, რომ ბაღში არაფერი გაებმებოდა, მაგრამ დავიჭირეთ, ოღონდ ის ჯიში არა, ბასკები რომ ეძებდნენ. დიდყურა მთის ღამურის შესასწავლად იყვნენ ჩამოსულები, მაგრამ ჩვენს ბაღებში მოხვედრილი ნებისმიერი ღამურა გამოდგებოდა გამოკვლევისთვის (მონაცემები სხვა ღამუროლოგებისთვის – ზოგადად მეცნიერებისთვის იყო გამოსადეგი). ტყვეს, ჯერ, წერეთლის ბაზრობაზე ნაყიდ ერთლარიან თეთრ წინდებში ვსვამდით, რომ იქ მოესაქმებინა, მერე ვზომავდით, ვწონიდით (ჩვენი ღამურების უმეტესობა 10-15 გრამს იწონის), ფრთე-

ჩემი ბასკეთი ორად ორი კაცისგან შედგება, რომლებთან ერთადაც ივლისის ორი კვირა გავატარე. დღეც და ღამეც ერთად ვიყავით. ღამით ვმუშაობდით, დღისით ვათვალიერებდით. ეს ძალიან დამღლევი და უცნაური ღამეები იყო. მუდამ მონმენდილი ცა, ვარსკვლავები ჩვენს თავზე, იალალებზე გაშვებული თუშების, ხევსურების და სვანების ცხენები ფრუტუნით რომ მოადგებოდნენ ჩვენს ბაღებს, ფანრის შუქზე იმათი თვალები და სიბნელეში ჩაკარგული იმათი თქარათქური.

ბიდან კანის პატარა ნაგლეჯს ვაცლიდით დნმ-ის ანალიზისთვის და ვუშვებდით. ეს მასშტაბური პროექტი იყო. სწორედ ამ დროს, ბილბაოს უნივერსიტეტის კიდევ ორი ბასკი თანამშრომელი ღამურებს იტალიის ალპებში იჭერდა, ორი კი – სადღაც ბალკანეთის მთებში. ოღონდ, ალპებსა და ბალკანეთში ყოველ ღამით გადაუღებლად წვიმდა. საქართველოს მთიანეთში კი, მე და ვახოს ჯინაზე, ცა მოკრიალებული იყო და ღამ-ღამობით მუშაობა გვიწევდა.

მეტი არეალი რომ მოგვეცვა, ორ-ორად ვიყოფოდით. ვახომ ინგლისური არ იცის, ამიტომ მას პარტნიორად ჩუმი იგნასიო შევეურჩიე, მე კიდევ, როხროხა და ლაპარაკის მოყვარული ხოშერა დავიტოვე. ყოფილი რაგბისტი ხოშერა მოლაპარაკეც მაგარი იყო და მსმენელიც:

„ჩვენზე ათეისტი ხალხი, მგონი, მსოფლიოში არ არსებობს. თავის მიზეზები აქვს ყველაფერს. ჯერ ინკვიზიციამ გადაგვიარა, შენ ხომ წარმოგიდგენია, მთებში რამდენი რამეა წარმართული? ინკვიზიციაც ნადირობდა და ნადირობდა ჩვენს კუდიანებზე. სულ კოცონებად ბრიალებდა ბასკების ქვეყანა. მერე იყო და, – ფრანკო! ბასკები სულ რესპუბლიკელები და ანარქისტები იყვნენ. საერთოდ, ისე გამოვიდა, რომ ყველა ომში წაგებულების მხარეს ვიბრძოდით და მერე ჩვენზე ტყდებოდა ჯოხი. ბებიაჩემმა მთელი ცხოვრება ინახა შამპანური, რომელიც ფრანკოს სიკვდილის დღეს უნდა გაეხსნა, მოესწრო ამ დღეს და გახსნა. ის შამპანური ერთად დავლიეთ. ფრანკოს კათოლიკური ეკლესია უჭერდა მხარს. იმის მერე, ჩვენ ქრისტიანულ სახელებსაც კი აღარ ვარქმევთ ჩვენს შვილებს, ვცდილობთ, წარმართული, ძველი სახელები შევურჩიოთ...“

სოფელ შენაქოსთან, ამას რომ მიყვე-
ბოდა, ჩემს მობილურ ტელეფონზე, სა-
დაც დიკლოსთან მყოფი ვახოს მესიჯი
მოვიდა: „დიდყურება დავიჭირეთ, სულ
აღლემს გავიდა.“ ვახო მოხევეა, მოხევეურ
დიალექტზე აღლემს გასვლა, გამოშტერე-
ბის უკიდურეს ფორმას ნიშნავს. აღლემს
ადამიანი შეიძლება სიხარულისგანაც გა-
ვიდეს. მთავარია, იქ არ დარჩეს. მუდამ
სერიოზულმა იგნასიომ, თურმე, ბედნიე-
რებისგან ცეკვა დაიწყო, როცა ნახა, რომ
ამჯერად მის ბაღში სწორედ დიდყურა
მთის ღამურა იყო გაბმული. არც ჩემს
პარტნიორს დაემართა ნაკლები, როცა
მოხევეური მესიჯის შინაარსი ვუთარგმნე.

ორი კვირის მანძილზე სულ 16 სახე-
ობის ღამურა შევიპყარი, კიდევ უფრო
მეტს მოვუსმინეთ, – ხოშერა დროდა-
დრო რთავდა მონყობილობას, რომელიც
ღამურების მიერ გამოცემულ ულტრაბგე-
რებს ადამიანის ყურისთვის გასაგონ ხმად
აქცევდა და შრიალით და წრიპინით ცნო-
ბდა ჩვენთვის უხილავ ღამის ბინადრებს.
მაგარი მონყობილობა! – გავიოცე მე.
ჰო, მაგარია, – დამეთანხმა ხოშერაც, –
შენ წარმოიდგინე, რომ ჩვენ, მეცნიერე-
ბს, თუ ასეთ მონყობლობებს გვაძლევენ,
თვითონ ისინი, რითი არიან შეიარაღე-
ბულები. რომ ამბობდა „ისინი“-ო, ხო-
შერა მუდამ ძალოვნებს გულისხმობდა,
რომლებთანაც დაპირისპირებაში მთელი
ჯველობა ჰქონდა გატარებული. ჩემი და
იგნასიოს თაობა პირველი იყო, რომელ-
მაც ესპანურ ჯარში სამსახურზე უარი
თქვა, რეჟიმი მაშინ სუსტი იყო, მე გა-
დავრჩი, იგნასიო გაასამართლეს, მაგრამ
მხოლოდ პირობითი სასჯელი აკმარეს,
ქუჩის დემონსტრაციებზეც სულ ვჩხუბო-
ბდით... იგნასიო, როგორც წესი, მსგავსს
არაფერს ყვებოდა, მხოლოდ, სამშობლოს
და თავდადების მაგალითების ხსენებაზე
მამაკაცური ცრემლი ჩაუდგებოდა ხოლ-
მე თვალებში. სულ სხვანაირი კაცი იყო
და ჯოჯოხეთური სიმარჯვით დადიოდა
მთაში. სანამ ღამურების სპეციალისტი
გახდებოდა, არჩევებს სწავლობდა, პირე-
ნიის ნახევარკუნძულის ყველა 14 ათასი
არჩვი ჰყავდა დათვლილი. გამხდარი და
ხმელი იყო და კლდე-ღრეშიც არჩვივით
დახტოდა.

მეორე ღამით, დიკლოსა და შენაქოს
შორის ხევი და საძოვარი ას მეტრზე გრ-
ძელი ბადით მთლიანად გადაკვეტეთ. ეს
დიდყურა ღამურების ღამე იყო, ებმე-
ბოდნენ და ებმებოდნენ ჩვენს ბაღში,

თანაც, თითქმის სულ მეძუძური დე-
დები. ღამურებს ძუძუები ილღისთან
აქვთ, ბასკებიც ფრთას აუნევენდენ, ხელს
აჭერდნენ პატრა ძუძუზე და წვეთ რძეს
ადენდნენ. „ლაქტოჯინგ“ – რძე აქვს,
კარგია, ესე იგი, სადაც აქ მათი კოლო-
ნიაა, მამლები შორს მიდიან მწერებზე სა-
ნადიროდ, დედები კი, საკუთარი პატარე-
ბისგან შორს არასოდეს მიფრინავენ.

სადაც ღამის ორ საათზე, ღრიალი და
სიმღერა გაისმა, შენაქოს მხრიდან მოდე-
ნილიყვინე თუშები ისეთი ხმაურით, რომ
შორიდან იფიქრებდი, ასი კაცი მოდისო,
ახლოს რომ მოვიდნენ, ორად ორი გალე-
ქებული მხედარი აღმოჩნდა, ცხენები შეა-
ნელეს და უცნაურ სანახაობას შეაქცერდ-
ნენ: ოთხი, თავზე ფანარგაკეთებული
კაცი ბადის გასწვრივ დაქროდა. დახმარე-
ბა ხო არ გინდათ რამემიო? – გვკითხეს.
არა, ღამურებს ვიჭერთ. „ღამურა, ღამუ-
რა“, – გაიმეორა ხოშერამაც და მომწყე-
დული დიდყურება დაანახა. თუშმა ცოტა
ხანს სათითაოდ გვათვალიერა, თითქოს
გამოფხიზლდა კიდევ, მერე შემომხედა
და ძალიან სერიოზულად მითხრა: ძმაო,
თუ გინდა, ციციანათელას დაგაჭერინებ,
მაგრამ ღამურის დედაც...

მერე გაქუსლეს თავის ცხენებით სიბ-
ნელეში და ბასკებს რომ მოეწყვი, რაც
მითხრეს, დაიხოცნენ სიცილით. ეს მათ
ხელობაზე ჩვეულებრივი რეაქცია იყო
ყველგან, სამშობლოშიც კი. მხოლოდ
თვითონ სჯეროდათ, რომ ყველაზე საინ-
ტერესო ძუძუმწოვრებს იკვლევდნენ, რო-
მელთა ცხოვრების წესის შესახებ, სულ
რალაც ოცდაათიოდე წლის წინ მეცნიე-
რებამ არაფერი იცოდა...

შემდეგ, ხოშერამ ამიხსნა, რომ თუ
გვინდოდა ბევრი სხვადასხვა სახეობის
ღამურა დაგვეჭირა, სადმე დიდი გუბე
უნდა გვეპოვა და ბადით გადაგვეკეტა.
დიდყურება თავისი სმენის იმედადა და
ამიტომაც ვიჭერთ ადვილად, ღამურების
უმეტესობა კი, ძალიან ფრთხილია და
ნადირობის დროს თავისი რადარით ჩვენ
წვრილ ბადესაც აფიქსირებს, მაგრამ თუ
ვიპოვით შესაფერ საგუბარს, სადაც ღა-
მურები წყლის დასაღვავად მოფრინავენ
(ღამურას ემინია გამდინარე წყლის და
არასოდეს სვამს მდინარიდან ან ნაკა-
დულიდან), მაშინ სულ ადვილად შევი-
პყრობთ. ცხოველი სულ ერთი და იმავე
გზით მიფრინავს წყლისკენ და ყურადღე-
ბა მოდუნებული აქვს. წარმოიდგინე, სად
უფრო დაეჯახები დიდ გამჭვირვალე მი-

ნას, სადმე სტუმრად, სადაც პირველად
ხარ, თუ შენს საკუთარ ბინაში, სადაც
ყველაფერი ზეპირად იცი და ყურადღე-
ბაც მოდუნებული გაქვს?

შესაფერისი პატარა ტბა დართლოსთან
ვიპოვეთ და მეთოდიც ზუსტი აღმოჩნდა.
ნაირგვარი ღამურები ისეთი სიხშირით
ახდენდნენ ჩვენს ბაღზე ტორპედირებას,
რომ მათ მოხსნას ვერ ვასწრებდით და
აჰა, ჩვენს ბაღში გაება ნამდვილი მხე-
ციც, რომლის შესახებ უკვე ბევრი რამ
გამეგონა. Giant Noctule, ნახე რა ღამაზი
ცხოველია! ფრთხილად დაიჭერე ხელში,
არ გიკბინოს! – და ხოშერამ მხეცთან ერ-
თად სურათი გადამიღო. მართლა საშინე-
ლი რამე იყო, ჟღალი ბენვით და პიტუ-
ლის თავით, ძაღლივით იღრინებოდა და
კბენას ღამობდა, – იცოდე, მსოფლიოს
ბევრ ნატურალისტს არ ჭერია ეს ცხოვე-
ლი ხელში.

Giant Noctule სულ 50 გრამს იწონის,
ჩვენს დაჭერილ სხვა ათგრამიან ღამურე-
ბთან შედარებით, მართლა გოლიათურად
გამოიყურება. ვახომ ისიც კი თქვა, წარ-
მოიდგინე ეს რომ ხუთი კილო იყოს, ეგე-
თი საშინელება ქვეყანაზე არ იქნებოდაო.
ეს ღამურა ჩიტებით იკვებება. ფრინველ-
თა მიგრაციის დროს 2000 მეტრის სი-
მაღლეზე ჰაერში იჭერს და ხოცავს ფრ-
თოსნებს. იმ ღამეს ჩვენ სამი გოლიათი
დავიჭირეთ და ერთ-ერთმა იგნასიოსთვის
ხელზე კბენაც კი მოახერხა, თუმცა მას
საკმაოდ სქელი ხელთათმანები ეცვა.
საბედნიეროდ, ბასკები ცოფზე და ღამუ-
რების მიერ გადატანილ ათასგვარ დაავა-
დებაზე წინასწარ იყვნენ აცრილები.

მერე ხევესურეთში ვიყავით და როშკაში
იმ ოჯახში ვცხოვრობდით, სადაც მხო-
ლოდ რჩეული ხალხი მიმყავს ხოლმე.
უკვე ვიცნობდი ჩემს ბასკებს და ვიცო-
დი, იქ სტუმრობა მოენონებოდათ. შოთა,
თინა და მათი ოთხი შვილი, მთელი მათი
ოჯახი, არის ერთ-ერთი საუკეთესო, რაც
ჩემს ქვეყანაში მეგულება. საერთოდ,
მგონია, რომ ეგეთი უნდა იყოს ადამიანი
– თვითკმარი, სტუმართმოყვარე, კეთი-
ლი. გოგობის ტრიალის, პატარა უთურ-
გას კაცური ქცევის, ოჯახში შემოსული
სტუმრის დახვედრის, უფროს-უმცროსო-
ბის შემყურე უტყვე იგნასიოს ისევე ადგე-
ბოდა ხოლმე მამაკაცური ცრემლი, ხოშე-
რა კიდევ თავს გააქნევდა და მერამდენედ
ამბობდა: ნეტა, ქართული ვიცოდე, რომ
ამ ადამიანებს დაველაპარაკოო...

სხვანაირი ხალხი იყვნენ ეს ბასკები,

მათთან ერთად არ დავლლილვარ. თუმცა ღამეებს ვათენებდით და დღისით კი მთებში დავბოდიალობდით. ამათთვის ყველაფრის მოყოლა და ყველაფრის თარგმნა მიხაროდა. ჩემი თავისთვის ხშირად შემიტყვია (და გამყოლისთვის ეს, ალბათ დიდი ნაკლია), რომ უინტერესო ადამიანებთან ინგლისურიც მაინცდება ხოლმე – მომკალი და მაინცდება სიტყვები. ამათ კი ყველაფერს ვუამბობდი, რაც ვიცოდი და ყველაფერს ვუთარგმნიდი, რაც ჩვენს გარშემო ხდებოდა... და, როცა ჯუთიდან, მთის გაღმადან ჰოლანდიელ ტურისტთან ერთად ვადმოვიდა კეთილშობილი თარხუჯ არაბული, ვისაც აგრერიგად შვენოდა მხედრობა, მშობლების მიერ დარქმეული ამაყი სახელი კი ბეჭებში გამართულად სიარულს ავალდებულებდა, ჩვენს სახლთან ჩამოხდა, ცხენს ბარგი მოხსნა და ჩვენი მასპინძლების ერთ-ერთი ქალიშვილი მოიკითხა, თინამ გაიოცა: განა, იცნობო?

– პირდად არა, მაგრამ ფეისბუქიდან...

ბასკებმა და მე მაგრად ვიხალისეთ მამბავზე. თვითონ ბასკები ფეისბუქზე არ იყვნენ და შენი ხათრითაც კი არ გავწევრიანდებითო, – მითხრეს, რადგან მიაჩნდათ, რომ სოციალური ქსელებს „ისინი“ აკონტროლებდნენ.

აბუდელაურის ტბაზე მათ იახსარის დევებთან ბრძოლას ვუყვებოდი და ხოშერამ თქვა, რა საოცარია, თუ როგორ განსაზღვრავს გეოგრაფია და ლანდშაფტი არა მარტო იქ მოსახლე ხალხის ხასიათს, არამედ მის მითოლოგიასაცო. მაგაზე მეც მქონდა ნაფიქრი. ორი წლით ადრე საბერძნეთში დამემართა ეგეთი რამ, სწორედ ლანდშაფტის, მიწის, ზეთისხილის ხეების შემხედვარეს მომივიდა აზრად, რომ მთელი ძველბერძნული სიგჷყეები სწორედ იქ და მსოფლიოში არსად სხვაგან შეიძლება წარმოქმნილიყო, მხოლოდ იქ შეიძლება მომხდარიყო ის, რაც მოხდა და ადამიანის ხელით შეიქმნა.

ეთნოგრაფიასთან ერთად მითოლოგიაც მუდამ იყო ჩვენი სალაპარაკო თემა. „ეს მარია – ბასკური ქალღმერთი“, – მონწყვტილ კუდიან ვარსკვლავზე მიმითითა ხოშერამ, უშგულის ზევით, სადღაც ზაგაროს უღელტეხილთან გაშლილ ველზე ვინეკით და მოჭედილ ცას შევყურებდით. სვანეთში ღამურები არ იჭირებოდნენ, არც მეძუშურები და არც ბერნები. – მარის წინ განვდილ ხელში იცი რა უჭირავს? ინგლისურად დამაინწყდა, აი, საბჭოთა კავში-

რის ღერბზე რომ იყო, ჩაქუჩი კი არა და მეორე... რითიც მოსავალს იღებენ...

ნამგალი არც მე ვიცოდი ინგლისურად. ხოშერამ მითხრა, რომ ხანდახან უნახავს კომეტები, რომლებსაც წინ მართლა ეტყობოდა, რაღაც ნამგალივით. მარი პირინის მთებში, კლდეებში ცხოვრობს, როგორც სვანური დალი... და გრძელდებოდა ჩვენი საუბრები, რომლებიც დღემდე ასე თბილად მახსოვს, ასე რომ არ იყოს, არც ამ სტატიას დავწერდი. არც მე და არც ჩემს ბასკებს არ გვჯეროდა ჩვენი საერთო ფესვების. მე, ცოდვა გამხელილი სჯობია, ბასკურ-ქართული ნათესაობის თეორია საბჭოთა კავშირის დროს ესპანეთში წასვლის მოსურნე მეცნიერების გამოგონილი მეგონა და ძალიან გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ ჩემმა სტუმრებმაც იცოდნენ ამ თეორიის შესახებ, ოლონდ, როგორც არდადასტურებულის და ოციოდე წლის წინ საბოლოოდ უარყოფილის. ერთი რამ შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს მიერ გაგონილი ბასკური არც ქართულს ჰგავდა და არც რომელიმე ჩემთვის ცნობილ ენას, სულ სხვანაირი უღერადობა ჰქონდა, არც ღამაზი და არც უხეში, ბასკებს ჩვენი სიტყვების გამოთქმა საერთოდ არ უჭირდათ, ხოშერას კი ყელზე

**სოშერამ მითხრა,
რომ ხანდახან
უნახავს კომეტები,
რომლებსაც წინ
მართლა ეტყობოდა,
რაღაც ნამგალივით.
მარი პირინის
მთებში, კლდეებში
ცხოვრობს, როგორც
სვანური დალი...
და გრძელდებოდა
ჩვენი საუბრები,
რომლებიც
დღემდე ასე
თბილად მახსოვს,
ასე რომ არ იყოს,
არც ამ სტატიას
დავწერდი.**

ეკეთა ბასკური ნაციონალური სიმბოლო, რომელსაც ჩვენში ბორჯღალი ჰქვია, მაგრამ ეს ისე, სხვათა შორის – საერთო ფესვების მაინც არ მჯერა...

ბასკები ძალიან ამაყობენ თავიანთი წარმოშობით და იმით, რომ დღევანდელ ევროპელებზე ძველი ხალხი არიან. ერთხელ მოვყევი, როგორ გავბრაზდი ერთ იტალიელზე, რომელსაც მეგობრად მივიჩნევდი და რომელმაც ჩემი გამოყენება გადანყვიტა, ხოშერამ უბრალოდ ხელი ჩაიქნია: რა უნდა ელაპარაკო – ეგ ხმელთაშუაზღვისპირა მენტალიტეტია. მაგათ ვერ შეცვლი. უკვე თბილისში ვნახე „გუგლის“ რუკაზე, რომ ბასკეთი ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე არ გადიოდა – მანამდე ნამდვილად არ ვიცოდი.

თუკი ბადეებს სოფლების სიახლოვეს ვშლიდით, ჩვენთან ცნობისმოყვარე ბავშვები მოდიოდნენ და ხანდახან გვიანობამდე რჩებოდნენ, როგორც წესი, არავის სჯეროდა, რომ ღამურებს დავიჭერდით, მაგრამ, როცა ვიჭერდით, სრულიად ალფრთოვანებულები იყვნენ. მერე, დაუზარელი ხოშერა მათ ლექციას უტარებდა, უხსნიდა ამ უცნაური ცხოველების აგებულებასა და ქცევის თავისებურებებს, ყველაზე ალფრთოვანებულები ბავშვები მაშინ იყვნენ, როდესაც ბასკი თავის დანადგარს რთავდა და ცხოველის მიერ გამოცემული ჩვენი ყურისთვის მიუწვდომელი ულტრაბგერები პატარა დინამიკიდან ისმოდა. ერთი ასეთი პატარა ლექცია ჩემს ათი წლის შვილს, ზალიკოსაც ჩაუტარა, როცა ხევსურეთიდან სვანეთისკენ მიმავალები ერთი ღამით სამეგრელოში, ნოქალაქეში გავჩერდით. რისი მეცნიერები იყვნენ ბასკები, რომ იმ ღამეს დაეძინათ და ღამურები არ დაეჭირათ. იგნასიო და ვახო მიტოვებულ პიონერთა ბანაკთან იჭერდნენ ღამურებს, ხოშერამ, მე და ზალიკომ ბადით ტეხურის შენაკადი, პატარა მდინარე გურძემია გადავკეტეთ. თავგადასავლებით სავსე ღამე იყო, შორს ტეხურის სათავეებისკენ ელაგდა, ჰაერი უცებ დამძიმდა, ათასობით მწერით აივსო, გურძემია აიძვრა და თვალის დახამხამებაში ადიდებული ტეხურიდან მასში იმდენი წყალი შემოვარდა, რომ იქ, სადაც რამდენიმე წუთის წინ კოჭამდე გვწვდებოდა, სულ მალე წელამდე მოგვწვდა. ძლივს მოვასწარით ბადის აკეცვა და ციცაბო ნაპირზე აფოფხება. ზალიკო თავგადასავლითაც ისევე მოიხიბლა, როგორც – ბასკებით და უკანა გზაზე მანქანაში თითქმის ჩაძინე-

* * *

მე შემოძლია დიდხანს ვიცოცხლო
 ანდა ცოტა ვიცოცხლო და ვკვდებოდე დიდხანს,
 სწორედ ამიტომ
 მოვსალამოვდები ხოლმე ფანჯარასთან
 და ვიცდი,
 როდის გადაიღებს დღე,
 როდის დაფასოვდებიან ფეხითმოსიარულეები სანოლებში
 და გაემგზავრებიან შორს,
 სადაც დღის შუქივით იკლებს სინამდვილე,
 და ფიფქებივით ეცემიან –
 რეალობასთან ბრძოლაში დაღუპული
 მათი ახალგაზრდა ოცნებები.
 ხოლო დილით, როდესაც უღლებათ სხეულებს
 სიზმრები,
 დაფასოვდებიან ისევ და მიდიან
 სანოლებს იქით, კარებს იქით და ფანჯრებს იქით
 რაღაც მნიშვნელოვნის მოსაძებნად,
 რაც ვერ ნახეს ძილის დროს ღამით.

მე ასე ვიცი
 მოვსალამოვდები ხოლმე ფანჯარასთან
 ან პირიქით
 ჩემს ფანჯარას სჩვევია ასე,
 ჩაიხედოს ჩემში ისე, როგორც სარკეში
 და დაინახოს,
 თავისი ფანჯარა თავი რაზე ოცნებობს
 რომ ერთხელაც მე გავიღო
 და ის გადახტეს
 როგორც თოვლის ფიფქი
 როგორც რეალობასთან ბრძოლით დაღლილი
 უკანასკნელი ოცნება
 ჩემი მოსალამოვების უამს.

დათო ყანჩაშვილი, 2011

ბულმა ჩურჩულით ის მკითხა, რაც მათი
 გაცნობის პირველივე წუთიდან აწუხებდა:
 მარტო ესპანელებს ვერ იტანენ, თუ კა-
 ტალონიელებსაც? ზალიკო ბარსელონას
 ერთგული გულშემატიკივარია...

პოლიტიკაზე ჩვენ პირველივე დღიდან
 ვლაპარაკობდით. შენ სწორ შეკითხვებს
 სვამ – იგნასიოსგან ეს დიდი კომპლი-
 მენტი იყო, – ევროპელების დიდი ნა-
 წილი ჩვენში მხოლოდ ტერორისტებს
 ხედავს, „ეტას“ გამო ჩვენ ცუდი რე-
 პუტაცია გვაქვს, ადამიანების უმეტესო-
 ბას კი სულ არ აინტერესებს, რა ხდება
 ან რა ხდებოდა ბასკთა ქვეყანაში; და
 ისინი მიყვებოდნენ მოსმენებზე, წამე-
 ბის და გაუპატიურების ფაქტებზე, რომ
 მთელი მსოფლიო გუანტანამოს ციხის
 სკანდალზე ლაპარაკობს, მაგრამ შუა-
 გულ ევროკავშირში, სან-სებასტიანის
 ციხეში კიდევ უარესები ხდება, მაგრამ
 ამაზე კრინტს არავინ ძრავს. ძალიან ბე-
 ვრი რამე შევიტყვე ისეთი, რაც მანამდე
 არ ვიცოდი და თუმცა ეს მხოლოდ ერთი
 მხარის მიერ მონოღებული ინფორმა-
 ცია იყო, ამ ორი კაცის მაინც მჯეროდა,
 უფრო სწორედ ერთის, რადგან ძირითა-
 დად ხომერა ლაპარაკობდა.

– კი, მაგრამ რა არის გამოსავალი? –
 უკვე ბოლოს ვკითხე, მგონი უშეგულში,
 – როგორც წესი, ეგეთი სიტუაციებიდან
 გამოსავალი არასოდეს არავინ იცის, არც
 მათთან, არც ჩვენთან, არც სადმე სხვა-
 გან.

– ყველაფერი უნდა ითქვას, – ჩემდა
 გასაკვირად, იგნასიო ალაპარაკდა, – ეგ
 არის გამოსავლისკენ გადადგმული პირ-
 ველი ნაბიჯი. სხვანაირად არაფერი გა-
 მოვა. უნდა ითქვას, ორივე მხარემ რა
 ჩაიდინა, ეს ძალიან მძიმეა, მაგრამ უნდა
 ითქვას. ვიცი, რომ დღეს სამხრეთ აფრი-
 კაში ხდება რაღაცა მსგავსი. ზულუსები,
 ბრიტანელები, ბურები (ბურებს ყველაზე
 მეტად უჭირთ, მაგრამ ისინიც მონაწი-
 ლეობენ) ერთად სხდებიან პატარ-პატარა
 ჯგუფებში და ერთმანეთს უამბობენ, თუ
 პირადად რა გადახდათ, მათ ოჯახებს რა
 გადახდა აპარტიდის წლებში და მერეც.
 ყველაფერი უნდა ითქვას და დაიდოს, მა-
 შინ შეიძლება, გამოსავალიც გამოჩნდეს...

– და იგნასიოს თვალზე ისევ უბრწყინავდა
 ცრემლი...

ბოლო ღამე დასუთულ ქუთაისში უნდა
 გაგვეთია. ჯოჯოხეთურად ცხელო-
 და, ბასკებს ჰქონდათ მონაცემები, რომ
 ცუცხვათის ნომერ მეშვიდე მღვიმეში

ლამურების კოლონია იყო, ჯი-პი-ეს-ზე ჰქონდათ ამ მღვიმის კოორდინატებიც, ჩავსხედით მანქანაში და წავედით. ჩვენი სტუმრების მოუსვენრობა ვახოს უკვე აღარ უკვირდა და ყველგან ულაპარაკოდ მოგვეყვებოდა. ცუცხვათის მღვიმეებში ღრმა ბავშვობის მერე არ ვყოფილვარ. ადგილობრივები სხვა მხარეს მიგვითითებდნენ, ჯი-პი-ეს-ი გეზს სხვა მხარეს გვაჩვენებდა. ჯიუტი ბასკები დანადგარს უფრო ენდნენ და უკვე ბინდებოდა, როცა მღვიმის მაგივრად, სოფლის განაპირას, გლეხის კარ-მიდამოს მივადექით. იქაც დაგვიდასტურეს, რომ ჯი-პი-ეს-ში მცდარი კოორდინატები იყო ჩატვირთული. უკვე ბნელდებოდა, ნახევარ საათში ლამურები გამოქვაბულს დატოვებდნენ, ჩვენსა და მღვიმეებს შორის კი კარგა მოზრდილი მთა იყო. დავაგვიანეთ.

ხოშერა ღრმად ჩაფიქრდა და კეფა მოიფხანა:

– მე მგონი, ვხვდები, რაშიც უნდა იყოს

საქმე. ჩვენთან სპელეოლოგები განგებ აძლევდნენ პოლიციას მღვიმეების არასწორ კოორდინატებს, იმიტომ, რომ იქ „ეტა“ ინახავდა იარაღს. აქაც რამე მსგავსი ხომ არ არის, ჰა?

კარგი რა, ხოშერა!

ორი კვირის წინ, ბერლინში, სადაც იგნასიოს ნაჩუქარი მწვანე ქურთუკით ვიყავი წასული, ცოლმა მომწერა, რომ ბასკებისგან ამანათი მოვიდა: წიგნი ბასკეთის შესახებ, ფილმი, ორი დისკი სიმღერებით და ყველი, რომელიც ჩემს თბილისში ჩასვლამდე შემოეჭამათ. კიდევ, ამანათში იყო მაკრატელი, რომელიც სულაც არ აღმოჩნდა რამე ფარული ბასკური ნიშანი, – ალბათ, შემთხვევით ჩაუფარდათ ფოსტის თანამშრომლებს. ხოშერამ კი პატარა განმარტებაც მოიწერა:

„არჩილ, პირველი CD, რომელსაც გიგზავნით, ეს არის საავტორო სიმღერები, რომლებსაც ასრულებს ერამუნ მარტიკორენა – განთქმული მწყემსი ბასკეთის

პირინეებიდან. მე მასზე გიყვებოდი. მეორე ჯგუფში განვერიანებულეები არიან მაღალი კლასების სტუდენტები ჩვენი ხეობის სკოლებიდან. თანამედროვე და ძველი ინსტრუმენტების კომბინაციით ისინი ძველი ფერმერული სიმღერების აღდგენას ცდილობენ. ჯგუფს ჰქვია AK-37, დასახელება, რომელმაც ავტომატის სახელი უნდა მოგაგონოს და იმავე დროს AK არის აბრევიატურა „არატაიკო კანტაკი“-ს (სიმღერები არატაიდან – ასე ჰქვია ჩვენს ხეობას), ხოლო, 37 არის მითითება 1937 წელზე, როდესაც ესპანელმა დიქტატორმა, ფრანკომ, ჩვენს ქვეყანას შემოუტია...“

სხვათა შორის, ბერლინშივე გავიგე, რომ „ეტა“-ამ ოფიციალური განცხადება გააკეთა და ძალადობრივი მეთოდებით ბრძოლაზე უარი თქვა.

მე კიდევ, ბასკეთში ორი მეგობარი მყავს, რომლებსაც ერთ მშენიერ დღეს აუცილებლად ვინახულებ.



ღაფიქი, ვის ანობ შენს ხიციბს!

ღაივ ღენტი



მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის 15
ტელ.: 380060 871 380060



ჩანაწერი 2010

ავტორი ბეა ქარსული
ილუსტრაციები მურან თაბუაშვილი

* * *

შაბათს, შუალამისას შემთხვევით გავიგე, რომ სახლი აღარ მქონდა. მოთხრობასავით კი დაიწყო, მაგრამ ამ ამბავზე მოთხრობას ვერასოდეს და არასოდეს დავნერ, იმიტომ, რომ მართლა ვერ მოხდა.

შემოდგომის ერთ მშვენიერ შაბათ დღეს შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ ჩემი სახლი გაქრა. აი, სწორედ ის სახლი, „წლები და დღეებში“ რომ ვწერდი, „ეს სახლილა დამრჩა და აქაც აღარ მაყენებენ–მეთქი“. არც დამაყენეს, ვერც აიღეს და გამიყიდეს, თანაც ჩუმად ჯერ კიდევ ოთხი თვის წინ და ახლა სუ ბევრი ორ–სამ დღეში გუდა–ნაბადი უნდა ამეკრა, უნდა დამეცალა „–ბინა დაცალეთ, თუ შეიძლება...“ კი ტო, როგორ არ შეიძლება, ბაზარი არ არი, მერე რა, რომ ამ სახლში გავიზარდე, 35 წელია აქ ვცხოვრობ და არასოდეს კარი არ ჩამიკეტია, მაშინაც კი როცა ქალაქიდან გავდიოდი. თუმცა ახლა, მაგას რაღა მნიშვნელობა აქვს და თან ეგეთები დამიცლია? „.

რატომღაც დოსტოევსკის ვკითხულობდი. რატომღაც იმიტომ, რომ დოსტოევსკი არ მიყვარს. გენიოსია დიადი და წარმტაცი, მაგრამ არ მიყვარს და რა ვქნა?... მარმელადოვი მინდა? თან ეს მიშკინი მართლა იდიოტია. აი, რაგოზინი სხვა საქმეა, რაგოზინი და „ზაპისი იზ მიორტოვო დომა“. დანარჩენი ჩემი არ არი. მე უფრო ტოლსტოის ბრიგადაში ვარ. უცნაურია, ვინც ტოლსტოისტია, ის დოსტოევსკის ველარ იღებს. მანჩესტერული და გლაზგოური დერბის ვარიანტია. როგორც ჩანს, თავიდანვე ვერე მოსდევდა. ივან ბუნინი და აი, ვინ იყო სინამდვილეში მხეცი, როგორც მაშინ ამბობდნენ, ისეთი ტოლსტოევი იყო, რომ იქ ემიგრაციაშიც კი, თავის უახლოეს მეგობრებთან გრანდიოზულ სკანდალებს აწყობდა – რა დოსტოევსკი, ტოლსტოიო. არბოდა მერე თავის ოთახში, იქ იკეტებოდა აღმფოთებული და იყო მერე ნახევარწლიანი გაბუტვები – „ნეუჩის“, „ნევეჟას“ და „ხამის“ ძახილი და ბოლოს თვალცრემლიანი შერიგება რუსულ ჩექმიან სამოვართან.

სწორედ ამეების ჩამდენ ფიოდორ დოსტოევსკის ვკითხულობდი და რატომღაც არა „ზაპისი იზ მიორტოვო დომა“–ს და სხვათა შორის, არც „ბესის“, რადგან მაშინ დაუჯერებლად მისტიური ამბავი გამოვიდოდა და სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ სახლი აღარ მქონდა.

სამშაბათს ჩემი საყვარელი და ჩვეულებისამებრ ტურტლიანი შავი დუტი ჟილეტი ჩავიცვი, ჯიბეში წყვილი სუფთა წინდა ჩავიდე, ხელები იმავე ჯიბეებში ჩავიწყვე და ქუჩაში გამოვედი. მანამდე კი გამოუმშვიდობებლად გამოვიხურე ჩემი თანაშეზრდილი და მთავარი გამცილებელი კარი...

* * *

ჩემი სახლიდან წამოსვლის შემდეგ ორი კვირაც არ იყო გასული, რომ ჩემს უფროს მამიდაშვილს, კობა კიზირიასაც გაუყიდეს სახლი. ვაჟა-ფშაველას მე–7 კვარტალში. მამიდაჩემს ბანკის ვალი ჰქონდა და ვერ გადაიხადეს. ჩემებს არა, ჩემებს ბანკის ვალი არ ჰქონიათ, უარესი–როგორც ჩანს ღმერთის ვალი აქვთ, რომელსაც მით უმეტეს ვერ გადაიხდი.

ეს ბინა 1965 წელს მიიღეს. კობა იქ გაჩნდა. პირველი ბავშვი იყო კორპუსში. დაბადების დღიდან 46 წლამდე იქ ცხოვრობდა. იქაურია, ვაჟელი, კვარტლელი. მეტალოპლასტმასისა და ავეჯის ცეხი აქვს, თავისი საქმე ძალიან მაგრად იცის, ძაან მაგრად სვამს და ძალიან გულიანია. ეს სამივე ისეთი ამბავია, რომ ძველ და დარდიან კვარტლებში ვაჟა-ფშაველას ძველმაც კი იცის ახლა საით მიდის ან საიდან მოდის კობა, ფხიზელია თუ მთვრალი და ვისთან ერთად არის, ან არის ისევ თუ ცოტა იყო და გათავდა...

კობას სახლი ფოთელმა იყიდა. რომეომ. მისი კარის მეზობელი კობაზე ექვსი თვით უმცროსი რიჟა მერაბა ერთი–ორჯერ დათვრა და აუხტა, ჩემი ძმის სახლში რა გინდაო, მაგრამ ეგ არაფერი, ეგ იოლი ამბავი იყო. მე–7 სართულზე გია ცხოვრობს, რომელსაც მთელი ცხოვრება ჟუტიკი ზაპოი აქვს აკიდებული. ნიფხვისა და შლოპანცების ამარა, შიშველ ტანზე პლედშემოხვეული ჩამოდის ტარასიტან ბუტკაში ჩეკუშკის გამოსართმევად. პირველ ჭიქას ჩუმად, გატანჯული სვამს, მერე ეხსნება. საქართველო უყვარს ძალიან. მეორე ჭიქაზე ვერე პლედშემოხვეული და თვალეებში სინათლეჩამდგარი, იქვე ბიჭებთან ქვეყნის ბედს განიხილავს, თავისი რუსეთით და ამერიკით, თურქეთით და ირანით, გოთვერანი სომხებით და უფრო უარესი მასონებით და როცა ყველანაირად მოეხაზება

ხოლმე ჩვენს ძველ და მაინც უჭკუო მამულს და ჩვენც შიგ მოვყვებით, გამწარებული სვამს მესამე ჭიქასაც და სამშობლოს ბედუკუღმართობით შეძრწუნებული და გულის სიღრმემდე შეძრული, სასონარკვეთილი და უგონოდ მთვრალი მიიწვევა სადარბაზოსკენ

ტოგასავით შემოხვეული პლედით და მართლა ისე ჰგავს დაქცეული Patria-ს ხვედრით გულმოკლულ რომაელ სენატორს, რომ ტექსტილის ფაბრიკაში შეკერილი ძველისძველი ქრელი პლედი ოდნავაც ვერ ანელებს ამ შთაბეჭდილებას.

გია ავლისას ჩვეულებისამებრ მეორე სართულზე ჩერდებოდა და კობას კარზე აკაკუნებდა.

ახლაც აკაკუნებს, მაგრამ კარს რომეო აღებს. გია მდუმარედ დაჰყურებს რომეოს. რომეო ცდილობს რამე თქვას, მაგრამ გია ხმას არ იღებს და პირდაპირ თვალებში უყურებს. მის თვალებში ჩანს მრავალსაუკუნოვანი სევდა ძალიან ძველი და ძალიან უჭკუო ხალხისა და რომეო ვერაფერს ამბობს და ვერც კარის მიხურვას უბედავს ქრელპლედშემოხვეულ ანტიკურ ისტორიას, რომელიც სულ ახლახან ტარასიჩის ბუტკაში სამი ჭიქა არყით დათვრა და ერთ საათში კიდევ უფრო უარესად გატანჯული გაიღვიძებს.

მერე გია ნელა მიუყვება კიბეს და რომეო უმწეოდ აყოლებს თვალს მის გამხმარ კოჭებს, ქრელი პლედის კალთებს და ლურჯ შლოპანცებს, უხმოდ რომ ენაცვლებიან ერთმანეთს კიბის საფეხურებზე.

გიამ ერთი-ორჯერ ჩავლისასაც მიუკაკუნა რომეოს. ერთადერთი განსხვავება ის იყო, რომ ჩავლისას თვალებში ჩამდგარ ძველისძველ დარდს, თან არაადამიანური ტანჯვაც ერთვოდა. იდგა დაბნეული და უმწეო რომეო და ახლა ქვევით, კიბეზე მოძრავ, ტარასიჩის ბუტკისაკენ მდუმარედ მიმავალ გიას აყოლებდა თვალს.

მესამე თემურა. კობას უბნელი, ძმაკაცი და თანამშრომელი, რომელიც ჩვეულებისამებრ, დილის 8 საათზე, ცხის „გლუ-შიტელ“ გამძვრალი ფორდის სატვირთო მანქანით, ბლუილ-ბლუილით ჩერდება სადარბაზოსთან და ისიც პახმელიაზე ან პახმელიიდან ახლად გამოსული მთელი ხმით ბღავის :

-კობაა! კობაა! გაიღვიძე, შე ჩემა, დაგვაგვიანდა! კობააა!!!

საწყალი რომეო, ძილბურანში, თვალებგაუხეღავად აღებს ფანჯარას და სიმწრისაგან გამკვეთრებული აქცენტით კივის:

-არ ცხოვრობს აქ კობა, არაა... აღარ ცხოვრობს ძმაო, და რა გიყო მე, ხომ გითხარი ერჯელ, ორჯელ...

- აუ, ჩემი... ისმის კვამლში გახვეული თეთრი ფორდის კაბინიდან. თემურა მონყვევით ძრავს თავის აღრიალებულ სატვირთოს ადგილიდან და მეორე დილას ისევ ბღავის:

-კობაა!..

- აღარ ცხოვრობს კობა აქ, ძმაო, აღარ ცხოვრობს და რა გიყო მე...

რიჟა მერაბა იძახის უნდა მოვკლაო. რომეო არა, თემურა. „ძალითა შვრება, ეგ შაკალი, ისედაც ვერ მომიწელებია შენი ამბავი და ეს კიდე ცალკე მაგიჟებს. სუ დამანყვიტა ნერვები, პროსტო ვერ ვასწრებ იარაღამდე მისვლას, ვიდრე შარვალს ჩავიცვამ, მიდის, თორე ნაღდად დაუხვრიტავ პაკრიშკებს. ჩემ ნერვოზს ეგ უნდა, დიაზეპამებით ვერ ვიძინებ. თან ისეთ ბულს ტოვებს ეგ ჩემისა, ნახევარი დღე ლოჯში ველარ ვუშვებ ბავშვებს“.

კობას გადმოჩაჩულ ყურებზე სათვალე დაუკოსებია და ცდი-

ლობს გაიღიმოს...

- შეეშვი, გაანებეთ თავი, შე ჩემა, ხო არ უბერავთ, რა გინდა, კიდე კაი იყიდა, უარესად დამეჭოჭებოდა.

და ალიკა ვულკანიზატორთან გადადის თავისი ძველი, შემორჩენილი „ძევიატკით“ ვითომ საბურავზე დასამატებლად, სინამდვილეში პლასტმასის ნახევარლიტრიანი ჭიქებით, მყრალი „ნატახტარის“ დასალევად და უბნის ამბებზე საჭოროოდ... არა, თან საბურავსაც დაამატებენ.

იხათ, ვინს მიჰვარს

„ლივერპულის“ ენფილდის სტადიონს ცნობილი დევიზი ამშვენებს: „შენ არასოდეს იქნები მარტო“...

ერთ-ერთი უმთავრესი, რაც ამ მაცდურად მზიან და სასტიკ სამყაროში ზურგს მიმაგრებს და ძალას მძღვეს, გაუძღლო ყოველი მხრიდან, ყოველ წუთას, ბრმად, დაუნდობლად და შეუსვენებლად წამოსულ დარტყმებს და არა მარტო გაუძღლო, არამედ ვუპასუხო კიდევაც, ჩემები არიან. ძმაკაცები, მეგობრები, ახლობლები, ძმები. ერთად ვუძღვებთ, ერთად ვურტყამთ და ერთად ვაშენებთ ჩვენს თავდასაცავ ზღუდეს, ციხესიმაგრეს, თუ ყორეს, რავი, რაც გინდათ ის დაარქვით და აი, რა ვიცი ზუსტად, აქ ამ ბნელ და სიაფანდ წუთისოფელში, სადაც არავინ არაფერი იცის, არც ზუსტად და არც არაზუსტად: -რომ მე არასოდეს ვიქნები მარტო!.. ყოველთვის მეყოლება ჩემი ხალხი - ასეთი განსხვავებულები, სხვადასხვანაირები და მაინც ერთნაირები, იმიტომ, რომ არ შეიძლება მხოლოდ მე ვაკავშირებდე მათ: - ჯარა და ბაჩო კვირტია, ჩერმენა და პაკო სვიმონიშვილი, მურკა და რატი ქართველიშვილი, პლუტო და გაგა ნახუცრიშვილი, ცაცანა და ზაზა ასლანიძე, სოსო და ქართლოსა თეთრაულები და ირაკლი ჯავახაძე, დუისელი ქისტები, ეელა და ალაუდინა გაურგაშვილები, ომარა და შაკა და ირაკლი ლომოური, ერგეშა და პაატა ბერიკაშვილი, თამარაშენელი ძმები დიდი ლიხვის ხეობიდან, ვახო და დათო ყაზახაშვილები და ლადო კილასონია, ანტიკას ბიჭი და „კავკასიური სახლის“ დამთხვეული პოეტები, ერთმანეთს რომ ან არ, ან ძლივს ელაპარაკებიან, ცხონებული კაბალა და ლუკა ბაქანიძე და მე ზუსტად ვიცი, რომ არასოდეს ვიქნები მარტო!.. რომ ჩემები, წაგებულები, დალილები, სასონარკვეთილები, დანგრეულები, მაგრამ მაინც ძაან მაგრები, ყოველთვის იქნებიან - დაწყებული კახა დავითაიათი, რადგან იქ, დიღმის მასივში, ყველაფერი კახა დავითაიათი იწყება, დამთავრებული ზვიადა მირაშვილითა და შალიკო ზვიადაძით, იმიტომ რომ იქ დიღმის მასივში ყველაფერი შალიკო ზვიადაძით მთავრდება და ზუსტად ვიცი, რომ არასოდეს ვიქნები მარტო!.. ვახო ბებურიშვილი და ვასკა მდივანი, რომლებიც ციხეში სხედან და გიორგა ჯვარშიშვილი თავისი უცნაური, ამოუცნობი, მისტიური და ამავე დროს, ძალიან გასაგები სამყაროთი, სადაც ვერ ხედავენ, მაგრამ ძალიან კარგად ესმით და კიდევ უფრო მაგრად გრძნობენ და სოსო არჩუაშვილი, რომელიც ყველაფერს ხედავს, ყველაფერი ესმის და ყველაფერს გრძნობს და ამის გამო მაგრად ეშინია, იმიტომ, რომ მაგარი ჭკვიანია და ირმა არჩუაშვილი, რომელსაც არაფრის არ ეშინია, იმიტომ, რომ რისაც შეიძლება ეშინოდეს, ყველაფერი ნახა, ყველაფერს გაუძღლო, ყველაფერი დაამარცხა და ახლა აღარაფრის ეშინია, იმიტომ, რომ ჭკვიანია. და მე ზუსტად ვიცი, რომ არასოდეს ვიქნები მარტო. იმიტომ, რომ მამაჩემი მიყურებს, რომელიც

ათი წლის წინ გარდაიცვალა და ახლა სიზმარში ისე ვხვდებით ერთმანეთს, როგორც ციხეში – პაემანზე. ვლაპარაკობთ, ჩვენს არეულ საქმეებს ვარჩევთ, ვდავობთ, მერე ერთმანეთს ვემშვიდობებით, მომავალ სიზმრამდე, ის იქ რჩება და მე აქეთ ვბრუნდები, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი საქმე დაგვრჩა მოსაგავრებელი და დასამთავრებელი.

ალარფერს ვამბობ ჩემს შვილებზე, დედაჩემზე, ჩემს უმცროს ძმებზე, ჩემს ბიძაშვილებზე, ჩემს წინაპრებზე, ბებიამე მანანაზე და ჩემს უახლოეს კლანზე, მნიშვნელობა არა აქვს, აქ არიან ჩემთან თუ იქ, იმიტომ, რომ მაინც ყველა ერთად ვართ და ზუსტად ვიცი, რომ მე არასოდეს ვიქნები მარტო!..

იმიტომ, რომ მაქვს ჩემი საკუთარი, დამარცხებული, ტერიტორიებდაკარგული, ამ გოთვერანი და განდონი პოლიტიკოსებისგან სულამოხდილი ქვეყანა, რომელსაც ეგეთი გემრიელი სახელი ჰქვია – საქართველო და იმის მიუხედავად, რომ რაგბის გარდა ყველაფერში ვმარცხდებით, აქედან არასოდეს წავალ, რაც არ უნდა არ მომწონდეს და როცა გაიმარჯვებს, არც მაშინ წავალ, თუმცა, გამარჯვებული კიდევ უფრო არ მომეწონება, არსად არ წავალ, იმიტომ, რომ ჩემი ქვეყანა და უცხოეთში კიდევ არცერთი ქვეყანა ჩემი არ არის და ვერც იქნება, იმიტომ, რომ ის ქვეყანა იმ ჯეელისაა: – აგრენტინელის, შვედის ან პორტუგალიელის და მე ჩემი დამარცხებული და ტერიტორიებდაკარგული ქვეყანა მაქვს და ზუსტად ვიცი, არასოდეს ვიქნები მარტო!.. იმიტომ, რომ, რაც მთავარია, საკუთარი თავი მყავს, ეს დამთხვეული ბეჭა, რომელიც მთელი



ცხოვრება საყელოთი მყავს დათრეული, ცხვირი ცხვირზე გვაქვს მიდებული, ერთმანეთს ვხოცავთ და მაინც ვერაფერი გავაგებინე, მაგრამ ამის მიუხედავად ხოშიანადა ვგრძნობთ თავს ერთად და ხანდახან ძალიან ხოშიანადაც შეგვიძლია, ჩუმიად ვისხდეთ, ერთად მოვიგონოთ ჩვენი ამბები, ჩვენივე მოწყობილი დღესასწაულები და მერე ცალყბად და კეთილად გველიმბოდეს საკუთარ სისულელეებზე.

და მე ზუსტად ვიცი, რომ არასოდეს ვიქნები მარტო!..

P.S. ე, და აბა, ეს ვისი დაწერილია: – „რა მარტო ვარ, ტო. თან ამდენ ხალხში. ერთი ეშელონი ხალხი მახვევია გარშემო და მაინც როგორი მარტო ვარ. როგორც კინგ-კონგი იმ თავის ნისლიან კუნძულზე“. ჩემი, ჩემი დაწერილია. „ადამიანი მაინც მარტოა“ ეს სიტყვები ერთ ძალიან მაგარ ლექსს მისდევს რეფრენად და მაინც არავინ არის მარტო, თუნდაც იმიტომ, რომ არსებობს ღმერთი, რომელმაც ყველაზე კარგად იცის სიმარტოვის ფასი და რომელიც, რაც არ უნდა მოხდეს, მაინც, მაინც არასოდეს მიგატოვებს. იმიტომ, რომ ნამდვილად არსებობს.

„ადამიანი მაინც მარტოა.“ .

თავისუფლება

საბჭოთა კავშირის დროს, როცა დაპყრობილები ვიყავით, ზემელზე ათი კაცი რომ გაგჩერებინა და გეკითხა ქართველები მაგრები ვართ თუ არაო – ათიდან ცხრა დაგცინებდა: „მაგას რა კითხვა უნდა, მაგრები ვართ აბა, რა, თან, ძალიან მაგრებიო... და მხოლოდ ერთი ჭკვიანი, ისიც თუ გაგიმართლებდა და შეგხვდებოდა, გიპასუხებდა: არა მგონია, არ ვფიქრობ, რომ მაინცდამაინც მაგრები და რკინისმკვნეტელები ვიყოთ“...

ახლა, როცა ოცდაერთი წელია, დამოუკიდებლები და თავისუფლები ვართ, იმავე ზემელზე ათი კაცი რომ გააჩერო და ჰკითხო: „ქართველები მაგრები ვართ თუ არაო“, ათიდან ცხრა დაგცინებს: „– რა მაგრები, რაებს მეკითხები, მაშაყირებ თუ რა, მაგარი არა ფეხებიო“. და მხოლოდ ერთმა გიჟმა, ისიც თუ გაგიმართლა და შეგხვდა, შეიძლება, გიპასუხოს:

– მაინც მაგრები ვართ, მაგის დედაც ვატყვიო“! . .

ტუკო ბენედიქტო პანტიფიკო

ტუკო ბენედიქტო პანტიფიკო ხუან მარიო რამირესი „კარგი, ცუდი, ბოროტში“ თავის მღვდელ ძმას ეუბნება: – „შენ მხოლოდ იმიტომ გახდი მღვდელი, რომ ყაჩაღობის თავი არ გქონდა, იმიტომ, რომ ლაჩარი ხარ“.

„შესანიშნავი შვიდეულის“ ბოლოს ვინი ეუბნება კრისს – „მაინც გავიმარჯვეთ“. კრისი ოთხ ახალ, ჯვრიან საფლავს გახედავს და „არა, – ამბობს – დავმარცხდით, ჩვენ ყოველთვის ვმარცხდებით. აი გამარჯვებულები. ისინი ყოველთვის იმარჯვებენ“. და კალვერას სიკვდილით გახარებულ, მოზიემე გლეხებს დაანახებს, თავზე ირმის რქებდადებულები თეთრი ნიფხვების ფრიალით რომ ცეკვავენ. „–აი ნამდვილი გამარჯვებულები“...

ცნობილი ებრაელი პარტიზანები, ძმები ტუვია და ზუს ბიელსკები, გერმანელების საწყობს ბომბავენ, რომ ტიფის წამალი დაითრიონ, მათ ბანაკში შემოფარებულ ებრაელებში ტიფი გავრცელდა. გერმანელებისაგან წართმეული სატვირთოთი არიან. ზუს ბიელსკი კარს აღებს და ჩადის. „–ძალიან ცუდ

საქმეზე მივდივართ“,- ეუბნება ძმა. ზუსტი ჩუმდება. „შმაიზე-რიანი“ ხელით გაღებული კარი უჭირავს: „-ეგრეა, მეომრები იხოცებიან, რომ არარაობებმა იცოცხლონ“, - პასუხობს ძმას და ჩადის...

რამდენჯერ გაგიგიათ, რომ თბილისში, ცხინვალსა და, განსაკუთრებით, აფხაზეთში, „მარადიორები“, ყაჩაღები, მკვლელები და ნარკომანები იბრძოდნენ, რომ იქ წამლის გულისთვის მიდიოდნენ, თითქოს თუ გუმისთასთან ან ტამიშთან რუსულ ტყვიას შუბლს არ შეუშვერდი, ისე თბილისში წამალი არ იღებოდა, თითქოს ამ ქალაქს როდესმე აკლდა ნარკოტიკი, ან ახლა აკლია...

თუ გაგიგიათ, რომელიმე ნაომარი ბიჭისგან -ან საზოგადო ან პირად საუბარში - „მე რომ ვიბრძოდი, შენს სად იყავი?“ „რატომ არ მოგვეშველეთ“, „რისთვის ჩავგვხოცეთ, ძმაო“, „რატომ არ გვეხმარებოდით“?.. მე არ გამიგია. ყველაზე მეტი რაც მსმენია, ერთმა თქვა ტელევიზორიდან: -“ ჩვენ არავისთან საბოდიშო არა გვაქვს“ - აქეთ გრძნობენ თავს ცუდად და უხერხულად, დამარცხდნენ.

თუ დავაა და ეს დავა დღემდე გრძელდება, ერმანეთს უფრო ედავებიან: ზვიად გამსახურდიას გვარდიელები, აჯანყებული გვარდიელები, „თეთრი არნივი“, „მხედრიონი“...

„ტყვარჩელს რაზე მოხსენი მაშინ ალყა?“... „თბილისს დაბომბავდნენ“, - „დაებომბათ ტო, ბოლო ბოლო, დაებომბათ, ეხლა რა, არ დაბომბეს?“

მაგრამ არ მახსოვს, ჩვენ მოგვდავებოდნენ, „მშვიდობიან მოსახლეობას“, არც „დუბაიში რას დადიოდით“ არ გამიგია. ამ ყბადაღებულ დუბაიზეც ოცი წელია სწორედ ის ლაპარაკობს, ვინც არც იბრძოდა, არც დუბაიში დადიოდა და მეტი სათქმელიც არაფერი აქვს: „ჩვენ ის ხალხი ვართ, ვინც შუა ომში დუბაიში დავფრი“... და ეგეთი ბითურობა. მიდი რა, რა დუბაი, დუბაი არა ისა. დუბაი, დუბაი, ნიცაში თუ გაფრინდებო-

დი, არა უშავს, არა? . .

და ვინც არ იბრძოდა, ხო რატომ არ იბრძოდა: - „იცოდა“, „ხვდებოდა, რითიც დამთავრდებოდა ყველაფერი“. არც „მარადიორები“ ყოფილან, არც ყაჩაღები, არც მკვლელები, როგორ გეკადრებათ, და მით უმეტეს, არც ლოთები და ნარკომანები, „სულელები ხომ არ იყვნენ, იმ უაზრო ომში... ცხოველები, ტუპიაკი ქუჩის ბიჭები“... იცოდნენ, ხვდებოდნენ, იმიტომ, რომ მაშინვე უფრო ჭკვიანები იყვნენ და ახლა ხომ არიან და არიან. სწორედ განსაზღვრავენ საკაცობრიო ღირებულებებს, არაფერს ზედმეტს და ამორალურს არ იკადრებენ, არასოდეს მისცემენ თავს იმის ნებას, რომ მეორე ადამიანის უფლება შელახონ, პაციფისტები არიან, მსოფლიო მოქალაქეები. თავისუფლად, გლობალურად და მასშტაბურად აზროვნებენ, რაკონარა და კამანი, ღრმა ინტელექტით გამოირჩევიან, აქვთ უნარი სათანადოდ გააანალიზონ ვითარება და...

იმდეენი!..

* * *

*„ვინა სთქვა საქართველოზე,
ეგ არი ლომი კვდებაო“
ბაჩანა რაზიკაშვილი*

როდესაც აფხაზეთის ომის კადრებს ვუყურებ, როცა მახსენდება, ამ არაორგანიზებულ, არეულ შპანას, რომლის ყოველი ათეულიდან, ერთი პოეტი იყო, მეორე ფიზიკოსი, მესამე ნარკომანი, მეოთხე ძველი ბიჭი, მეხუთე შილდელი მოჭიდავე, მეექვსე ციხიდან გამოქცეული, მეშვიდე მეოცნებე, მერვე შეყვარებული, მეცხრე გიჟი და მეთათე პარლამენტის დეპუტატი, როგორ ეჭირა ზუსტად 13 თვე და 13 დღე ფრონტის ხაზი, როგორ იგერიებდა სოხუმზე შეტევებს და 14-16 მარტს როგორ გადაუარეს მტერს, როგორ გაანადგურეს ტამიშთან დესანტად გადმოსხმული, ყველაზე ელიტარული და გასაიდუმლოებული რუსული სამხედრო, სპეციალური ქვეგანაყოფი „ლიტუჩიე მიში“, როგორ ებრძოდნენ ყველას, რუსულ რეგულარულ არმიას, თავისი ავიაციითა და არტილერიით, კაზაკებს და ადილებს, ჩეჩნებს და ყაბარდოელებს, ბაგრამიანის სომხურ ბატალიონს და აფხაზებს, იბრძოდნენ უიარაოდ, მოუმზადებლად, სულელურად, უდისციპლინოდ, აბსოლუტურად მარტოები, ჩვენი თბილისელი ქურთის ბიჭების ანაბარა და მაინც როგორ მაგრად იდგნენ, თეთრი გაცვეთილი ბოტასებით და გახუნებული, სხვადასხვანაირი კამუფლაჟებით და კიდევ დიდხანს იდგებოდნენ შევარდნაძის დედა და მისი ცნობილი ხელშეკრულებები რომ არა, როცა მახსენდება როგორ იბრძოდნენ და როგორ წავიდნენ უკანმოუბრუნებლად, ჟილკიანები და ოხრები, ტარტაროზები და მაგრები, სულ მგონია, რომ ამ ომში საქართველო კი არ დამარცხდა — მოკვდა!

არა, საქართველო ყოველთვის იარსებებს, განათებული, შეღებილი, გამჭვირვალე პოლიციის განყოფილებებით, სარფის საბაჟოებით, სასტუმროებით, ფანტანებით, „მოტო-ველოთი“, ისევ დამარცხდება და ისევ იზეიმებს. მაგრამ ეს სხვა საქართველო იქნება.

ის საქართველო კი, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე, ლალი, ნიჭიერი, რომანტიული, გულუბრყვილო, ლამაზი, სულელი და თავგანწირული, კეთილი და თავზეხელაღებული სა-





ანდრია დოლიძე
LEGS, 40x28, ტუში, ქალაქი, 2011

ქართველო, თავის უკანასკნელ ომში მოკვდა.
ომში და არა ლოგინში.

* * *

არაფერია იმაზე უფრო სასაცილო, სულელური და ბრიყვული, ვიდრე ის, რომ ადამიანს ვინმეზე, თუნდაც ყველაზე ჩაძირულ, ქუჩაში დაგდებულ ბომბზე უკეთესი და მნიშვნელოვანი ეგონოს საკუთარი თავი...

მაგარი ბითურობაა ეგა და არა მარტო ღვთის, არამედ ადამიანების წინაშეც, რომლებსაც აგდებით ხალხს ეძახიან და რომლებიც ყოველთვის უფრო ჭკვიანები, გამჭრიახები, თუ გნებავთ, უფრო ეშმაკებიც და, რაც მთავარია, უფრო საღები არიან, ვიდრე ისინი, ვინც საკუთარ თავს გურუებად და ქურუმებად მიიჩნევენ, რადგან ასე უფრო იოლად ეჩვენებათ, საკუთარი უმწეობისა და უსუსურობის გაძლება.

* * *

ხორხელ ლუის ბორხესი: - „არისტოკრატ, ეტა ტოტ კტო მოჟეტ დრატსა ზა უჟე პროიგრანნოე ძელო“

სერგეი დოვლატოვი: - „ზლაგაროდსტო — ეტო გოტონოსტ დეისტვოვატ ნაპერეკორ სობსტვენნიმ ინტერესამ“...

დავიჯერო, ეს სისულელეა და „ეხლა ეგრეა საჭირო“, „სიტუაციის აღქმის უნარი“, „ჩემთვის ეხლა ასე სჯობს“ – ჭკვიანური? ბორხესი და დოვლატოვი ცდებიან და ესენი არიან მართლები? . .

* * *

გაგა ნახუცრიშვილი – ნახცო, ღამის ოთხის ნახევარზე მირეკავს:

– ჰა, ბიჭო, ხო მშვიდობაა? . .

– კი ტო, რა იყო მოსაკლავად დამდევეს ვინმე?..

– ნუ გეშინია, იმას მე მოვკლავ...

– ვისა ტო?

– რა ვიცი...

„ნო ონ ვსიო ტაკი გენიი“, – სერგეი დოვლატოვისა არ იყოს. იოსიფ ბროცკიზე იგონებს, რალაც მსგავს ოინს და ბოლოს ამბობს:

„ნო ონ ვსიო ტაკი გენიი“ თუ „ ი ვსიო ტაკი, ონ გენიი“...

ქორი

ბინა ნუცუბიძის პლატოზე დავიქირავე. IV მიკრორაიონი, 24-ე კორპუსი, მე-16 სართული. აივანზე სიგარეტს ვენევი და, როგორც ყოველთვის, ათასი სისულელე მომდის თავში. ვდარდობ. ნისლი ახალი აშლილია. აქ ნისლი იცის, ორ მეტრში ველარაფერს ხედავ, როგორც კოსმიური ხომალდით უცხო პლანეტაზე მოხვდე, ხარ გამოხვეული ცისფერ მასაში და მორჩა...

ნისლი ახალი აწმენდილია. ცა ლურჯად კრიალებს, ძალიან კარგად მოჩანს ქართლის ზეგანი. სიშორეში იძირებიან მთები. „მინდვრები, ქართლის მინდვრები.“ . რამდენჯერაც აივანზე გამოვალ და ამ რბილად მოხაზულ მთაგორებს გავხედავ, სულ ეგ მახსენდება: – „მინდვრები, ქართლის მინდვრები.“ მაგრამ ახლა სასწრაფოდ გავიქინე თავი და დავივინყე. ისედაც ვდარდობდი.

ვხედავ, წინა ორ კორპუსს შორის გაბმულ კაბელზე, ერთი გამხდარი, ჟღალი ქორი ზის ჩემსკენ ზურგით და ისიც ქართლის მთებს უყურებს თავისი ყვითელი მრგვალი თვალებით.

დიდი ექსპერტი არა ვარ, მაგრამ ცხონებული რეზო არჩემაშვილის წყალობით, ქორებს და მიმინოებს კარგად ვარჩევ. აქ ქორს რა უნდა, მაგრამ ვუყურებ და ნამდვილად ქორია, მოყვითალო, ოქროსფერი, ჭროლა, როგორც ფშავლები იტყოდნენ, მხრებანეული ქორი. ოდნავ მობრუნდა, მოკაუჭებული ნისკარტი გამოაჩინა და დაჰკვივლა. მერე ისევ შორს, სივრცეში გაიბრუნა თავი.

კარგა ხანს ვუყურებ მე და ქორმა ქართლს. მე ვენეოდი, ის დროდადრო დაჰკვივლებდა. მერე, აიშალა ის თავისი ანეული გამხდარი მხრები და გაჰკრა ჰაერში, მცხეთისკენ, შიდა ქართლისკენ გაეშვა, გაფრინდა და დაიკარგა.

ერთი ორჯერ კვილილა მოვიდა.

* * *

რატი ქართველიშვილი ჩემს ნაწერებს არჩევს. ძალიან მკაცრად, პრინციპულად და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, საოცრად დამაბნეველი არგუმენტებით მაკრიტიკებს. უმთავრესად კი იმას მიპროტესტებს, რომ ჩემს ნაწერებში არ იხატება არანაირი პათოლოგია, არ ჩანს ის სიმახინჯე, გადახრა, ანომალია, მარაზმი და უბედურება, რომლითაც სავსეა თანამედროვე ლიტერატურა და არა მხოლოდ ლიტერატურა, არამედ მთელი სამყარო და მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველო; არ მინდა ჩავენდე ფსიქიურად დაავადებული ადამიანის სულს, ვერ ვახერხებ და არ ძალმიძს, თავი წარმოვიდგინო მანიაკალური დეპრესიით, უსასობითა და სასწრაფო კვებით სუიციდის პირას მისული ადამიანის ადგილზე. და თვითონვე ასკვნის, რომ შეუძლებელს ითხოვს ჩემგან, რადგან პათოლოგიის მისხალიც კი არ არის ჩემში და საერთოდ, მეტისმეტად სალი ვარ! . .

მე, რა თქმა უნდა, ძალიან მრცხვენია ამ ჩემი ბედუკუდმართი „სიჯანსაღის“, რაც რატის ენაზე სხვას არაფერს ნიშნავს,

თუ არა იმას, რომ მარტივი იდიოტი ვარ და ხშირად „სტიქიურ მოვლენას“ ვაგონებ...

უცებ, მეთქი, აბა, მაიცა:

– ე, რატი, საშინელი სიმთვრალე რომ მაქვს... პათოლოგიური, რო მერე რალაცა საშინელებებს მიყვებიან ხოლმე, მთელ ქალაქს ზედ ვიშობ, ვაქცევ ყველაფერს და მერე პატრულის ორი მანქანა დამატრევს ზევით-ქვევით. ეგ არ ითვლება?..

– არა! ... ეგ არ ითვლება – რატი როგორც ყოველთვის, მკაცრი და შეუვალია – ალკოჰოლური თრობის დროს ნებისმიერი ადამიანის ფსიქიკა ირყევა და ინჯღრევა, აქედან გამომდინარე, არც მაგ შენ ყოვლად იდიოტურ დებოშებში არ არის რაიმე პათოლოგიური.

ვაახ, რა დღეში ვარ, ტო?... საიდან მოვუტანო რატი ქართველიშვილს მისთვის მოსაწონი, ჭეშმარიტი და მაღალხარისხოვანი პათოლოგია?..

„რატი, პათოლოგიუ ხოჩემ? ... ნეთუ!“

რთული და სადა

ეს რატი ქართველიშვილის ლექსის სათაურია, რომელიც მის პირველ წიგნში „წვიმა ზამთარში“ გამოქვეყნდა. მაგარი ლექსია. საერთოდ, რატის პოეზია ძალიან მიყვარს. მით უმეტეს, ეს ლექსი. თან მე მიძღვნება. მიძღვნა არა აქვს, უბრალოდ უხერხული იყო. ამ წიგნში რამდენიმე ლექსი აქვს მიძღვნილი ოთარ ჭილაძისადმი, მერაბ მამარდაშვილისადმი, ჰაიდგერი-სადმი, რავი ზევსისადმი და მარიამ მეკეპასადმი და ამ დროს „ბექა ქურხულს“ მართლა ტეხავდა.

მაგარი ლექსია. ეგრე იწყება: „რთული და სადა ძმები არიან“ და მიდის, მიერეკება. მაგარია.

ყველაზე საინტერესო ის არის, „რთული“ მე ვარ და რატია „ს ა დ ა“. ეს ჭკუიდან შეშლილი ჩამოსახრჩობი გიჟი, რომელსაც ნებისმიერი ხელისუფლება, მეფე იქნებოდა, დიქტატორი, პრეზიდენტი თუ გამოქლიავებული, უკეთეს შემთხვევაში, ზუსტად ისე მოექცეოდა, როგორც ახლა ექცევა – სახლში გამოკეტავდა, გაინაპირებდა და თავის აფრენილ და გენიალურ აზრებთან მარტო დატოვებულს გაარეკინებდა და უარეს შემთხვევაში მოკლავდა – არის სადა! სადა რატი ისეთივე შეუძლებელია, როგორც ზებრა ზოლების გარეშე, იმიტომ, რომ ზებრა ზოლების გარეშე ვირია და მეტი არაფერი.!

თუმცა, ალბათ, საკუთარ მესთან მარტო დარჩენილს, მართლა სადად, მარტივად და ნორმალურად გეჩვენება თავი...

მერე აღარ, მერე ისევ... და ჯოჯოხეთის ცხრა კარი სხვა რამე კი არ არის, როცა არ იცი, ვერაფრით გადაგინწყვეტია, ღირს თუ არა ამაღამ გათენებას დაელოდო...

* * *

რატი ქართველიშვილი: სიყალბე საშინელებაა... სიყალბით იწყება სიკვდილი!...

* * *

ნახევრად ჩამოშლილ გვირაბში მივდიოდი. მინა შხრიალით იშლებოდა. გვირაბი თანდათან ვინროვდებოდა, ბოლოს სულ ჩაიკეტა. უკან მოვბრუნდი. შორს სინათლის შუქი ილანდებოდა. „ჩამოიშლება“, გავიფიქრე თუ არა, მინა ჩამოიშალა და უკან გამოსასვლელი გზაც მომეჭრა. ცოცხლად ჩავიმარხე. ხელებით დავინყე მიწის თხრა. დიდხანს ვთხრიდი, მაგრამ მინა



ანდრია დოლიძე
ZEBRA, 55x50, ტუში, ქალაქი, 2010

ისევ იშლებოდა. არც ერთი წამით არ მიფიქრია დანებება. წარმოდგენაც კი მზარავდა, რომ აქ, ამ ჯურღმულში უნდა ამომსვლოდა სული და გამეფებოდა ფეხები. გამოვთხრიდი – გამომჩნდებოდა შუქი, ისე, რომ დიდ ლურჯ სატვირთო „ზილ-საც“ კი ვხედავდი. ისმოდა ვერტმფრენის გუგუნის, მაგრამ ჩამოიშლებოდა მინა და ბნელდებოდა. ხელები სულ ტალახიანი მქონდა.

გამეღვიძა. ახლა ისევ უნდა დავიძინო. მაინტერესებს რითი დამთავრდება სიზმარი. გამოვალწვევ, თუ ვერა.

* * *

შპალერს ვაკრავთ. სანდრო უყურებს. – „ნეტა, ამ შპალერს იქით რა იქნება? ყურადღება არავინ მიაქცია. ცოტა ხანში, გამარჯვებულის ყიჟინა დასცა – „ეე, მე ვიცი, რაც იქნება მაგ შპალერს ქვეშ, დაჟღანული კედელი“...

* * *

ეზოში კალათბურთს ვთამაშობთ. სანდროს ცხვირი აქვს გაკანწული და ზედ, სისხლია მიმხმარი. წინა დღეს გაიკანწრა. უცებ, სირბილით წამოვიდა.

– ბექა, შეხედე რა, რა მაქვს ცხვირზე, თვალებს რო ვხუჭავ, ჩნდება–ქრება, ჩნდება–ქრება. გამანვალა.

– არაფერია. გაკანწული გაქვს, ხომ იცი. ყურადღებას ნუ მიაქცევს.

– კაი რა ბექა, რანაირად იცი, აბა, ჩემს საკუთარ ცხვირს ყურადღება როგორ არ უნდა მივაქციო?..

* * *

სანდრომ ძალიან ადრე გაიღვიძა.

– დაიძინე, სანდრო, ჯერ ძალიან ადრეა.


– მეც ძალიან მეძინება, მაგრამ სამყარო ცუდ დროს მალვიძებს ხოლმე, რომ ქვეყნიერება დავიცვა.

თან თვალებს ძლივს ახელს, ისევ ძილ–ბურანშია.

ვერც ეს ბავშვი ვერ არის კარგად! . .

* * *

2011 წლის 9 იანვარს მეორე შვილი მეყოლა. ფეფო, ეფემია ქურხული.



„ბილა“ (1927)
კინოფოტოფონო დოკუმენტების სინგულური არქივი
საპარტოვოლო ეროვნული არქივი

ფერი შავ-თეთრ ქართულ კინოში

ავტორები: ნინო ძანდია, ლაშა ბაქრაძე

კინოფოტოფონო დოკუმენტების ცენტრალურ არქივში, რომელიც ეროვნული არქივის ნაწილია, ათი ათასობით ფილმი, ფოტო და აუდიო ერთეული ინახება. მათ შორისაა ადრეული ქართული კინემატოგრაფიის შესასწავლად ფასდაუდებელი რამდენიმე კადრი, რომელიც არქივის დირექტორის მაშინდელ მოადგილეს, ზეინაბ ხინტკირიას 70-იან წლებში გადასცეს.

როდესაც დღეს მუხჯ ფილმზე ვსაუბრობთ, წარმოგვიდგენია, რომ ყველა ეს ფილმი შავ-თეთრი იყო. სინამდვილეში კი ზოგ ფილმში შავ-თეთრი გამოსახულება საერთოდ არ გვხვდება, ფერადი კინოფირის გაჩენამდე შავ-თეთრ ფირს სხვადასხვა ტექნიკით აფერადებდნენ.

ქართულ კინოში ფერის დამუშავების საკითხი სრულიად შეუსწავლელია. ეს სამი კადრი კი იმის საბუთია, რომ, როგორც საბჭოთა პერიოდში, ისე მანამდეც, ქართულ კინოშიც, იმ დროს მსოფლიოში

გავრცელებული გაფერადების ტექნოლოგიას იყენებდნენ.

კინოში ფერის ფენომენზე საუბრისას, ალბათ, ყველა კინომოყვარულს ახსენდება ფრანგი რეჟისორის, ჟორჟ მელიესის მიერ ფილმების ხელით გაფერადების პროცესი; ასევე, სერგეი ეიზენშტეინის „ჯავშნოსანი პოტიომკინის“ (1925) ბოლო ეპიზოდში აღმართული წითლად შეღებილი დროშა და თბილისში დაბადებული ამერიკელი რეჟისორის, რუბენ მამულიანის „ბეკი შარფის“ ეკრანებზე გამოშვება და შეცდომით ამ თარიღის, 1935 წლის, ფერადი კინოს დაბადების აღმნიშვნელ თარიღად მიჩნევა.


თუმცა, კინოში ფერი კინემატოგრაფის ჩასახვისთანავე გამოჩნდა. ფილმების ხელით გაფერადების შემდეგ ყველაზე გავრცელებული ტექნოლოგია იყო ვირირება, ტონირება და სტენსილი.

ვირირებისას გამოსახულების ემულსიას

ერთგვაროვანი ფერი ედებოდა. ტონირების დროს კი ფერის ნაწილაკებით (ან შესაბამისი მეტალის მარილებით) გამოსახულების ვერცხლის შემცველობის ჩანაცვლება მიმდინარეობდა. სტენსილის გამოყენებისას და ხელით დაფერვის პროცესში შავ-თეთრ გამოსახულებაზე ფერის დადება ლოკალურად ხდებოდა.

ვირირება ტექნოლოგიურად შედარებით მარტივ პროცესს წარმოადგენდა, მისი გამოყენება უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ტონირებისა და შესაბამისად, თავდაპირველად, ტონირებაზე პოპულარულიც იყო. თუმცა, ლაბორატორიული საქმის განვითარების შედეგად ტონირების მეთოდით სულ უფრო მეტ ფილმს ამუშავებდნენ.

ამ ორ პროცესს ცალ-ცალკეც მიმართავდნენ და კომბინირებულადაც. მაგალითად, ლამის ილუზიის შესაქმნელად მეტწილად ლურჯი ტონირება კეთდებოდა. ლურჯ ფერებს შორის კი ერთ-ერთი



„პრისტინე“ (1917/1918)
კინოფოტოფონო დოკუმენტების სანტრალური არქივი
საპარტიზელის არქივი

ყველაზე პოპულარული პრუსიული ლურჯი (Prussian Blue/Iron Blue) იყო. თუმცა, მზის ჩასვლის საჩვენებლად ლურჯ ტონს ვირირების მეშვეობით წითელს, ყვითელს ან ვარდისფერს უზავებდნენ და მონარინჯისფრო ეფექტებით გაჯერებულ ორფერიან გამოსახულებას იღებდნენ: ლურჯი ჩრდილებსა და შუა ტონებში და ვარდისფერი/ნარინჯისფერი – ანეულ ტონალობებში.

სტენსილის მეთოდით გაკეთებულ საპროექციო ასლებს ზოგჯერ ვირირებასაც უკეთებდნენ, ძირითადად ღია ყვითლად. მაგალითად, ჰიჩკოკის „მდგმურში“ (1926 წ.) ექსტერიერის სცენები პრუსიული ლურჯით იყო ტონირებული, რასაც ყვითელი ვირირება ერთვოდა ლონდონური ნისლის ეფექტის შესაქმნელად, ხოლო ინტერიერები მხოლოდ ყვითლად იყო ვირირებული.

რევოლუციამდე რუსეთში ფერადი ფილმების წარმოების შესახებ ინფორმაცია თითქმის არ არსებობს. ერთ-ერთი ფაქტი, რომელსაც რუსი კინომცოდნეები იუნყებინან, კინომენარმე ალექსანდრ ხანჟონკოვის მოღვაწეობას უკავშირდება. საქმიანობის ადრეულ ეტაპზე ხანჟონკო-

ვს მინიატურისტი მხატვარი ქალი დაუქირავებია ფირზე მამლების ბრძოლის ეპიზოდის ხელით შესაღებად. თუმცა, ფერი გაიღაბნა, ნახატმა კონტური დაკარგა და ლაქად იქცა. განავითარა თუ არა ხანჟონკოვმა მოგვიანებით ფირების დაფერვის ტექნიკა, უცნობია. თუმცა, არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ რუსეთში ფერთა სისტემის კომერციულ ექსპლუატაციას ურბან-სმიტის „კინემაკოლორი“ ეწეოდა. ძნელია რაიმეს თქმა იმაზე, ფერადი ფილმები ადგილობრივი წარმოების იყო თუ ევროპიდან სადისტრიბუციოდ ჩამოტანილი. არც ის ვიცით, რა ხდებოდა ამ დროს რუსეთის სამხრეთში მდებარე კავკასიაში.

წარმოდგენილი ღია ვარდისფერი კადრები ამოღებულია „ქრისტინე“-დან, რომელიც პირველ ქართულ მხატვრულ ფილმდაა მიჩნეული (1917/18). ესაა ჩვენთვის ცნობილი ორადორი ფერადი კადრი, რომელიც ამ ფილმიდან შემოგვრჩა. ქალბატონ ზეინაბ ხინტიკიას ამ კადრებთან ერთად შავ-თეთრი კადრებიც გადასცეს, სადაც პატარა მონაკვეთზე ყვითლად გაფერადებული ტიტრების წარჩენია. ტიტრების ყვითლად დაფერვა ამ დროს

ძალიან გავრცელებული იყო. ეს გვაფიქრებინებს, რომ „ქრისტინეში“ მინიმუმ ორი ფერი იყო გამოყენებული.

ვინაიდან ფერის მიღების პროცედურა ძვირადღირებული სიამოვნება იყო, ხშირად ერთი და იგივე ფილმის როგორც შავ-თეთრი, ასევე ფერადი ვერსია მზადდებოდა. ფერად ვერსიას უფრო პომპეზური პრემიერებისთვის ბეჭდავდნენ. არ არის გამოცხადებული, „ქრისტინეს“ ფერადი კადრები სწორედ საპრემიერო ასლიდან იყოს.

მკვეთრ ცისფერში (turquoise) ვირირებული კადრი კი არის ვლადიმერ ბარსკის ფილმიდან „ბელა“, რომელიც ეკრანებზე 1927 წელს გამოვიდა. კადრში ჩანს ქალის მთავარი როლის შემსრულებელი თინათინ მაჭავარიანი.

კინოფოტოფონო დოკუმენტების ცენტრალურ არქივში დაცული ეს კადრები ქართული და საბჭოთა კინოს ისტორიის შესწავლისთვის უაღრესად მნიშვნელოვან არტეფაქტებს წარმოადგენენ. მათი არსებობა ადასტურებს, რომ 10-იან და 20-იან წლებში საქართველოში ფერადი პროცესის მინიმუმ ერთი მეთოდით (ვირირება) წარმოებულ ეროვნულ კინოპროდუქციას აჩვენებდნენ.



ლიტერატურული ფოქსტროტი

ავტორი პაატა შამუგია

ორი ათას რომელიღაცა წელს „თხა და გიგო“ ვიყიდე, ოღონდ უკულმა არ დამიჭერია (როგორც იმ ცნობილ ამბავშია) და არც ის „თხა და გიგო“, სკოლაში რომ გაგვივლია. თუმცა კი, რეცენზიის დაწერა ნამდვილად უკულმა დავიწყე და საერთოდაც, არაა ეს რეცენზია. და მით უმეტეს, არაა რეცენზია „თხა და გიგო“-ს შესახებ.

ერთი კია – მწერალი ზურაბ ქარუმიძე „თხა და გიგო“-თი გავიცანი, ეს იყო მომცრო წიგნი, ზღვა ცოდნითა და ინფორმაციით, რამდენიმე ჟანრის მიჯნაზე, მეტიც – რამდენიმე მიმდინარეობის მიჯნაზე. რთულიც ეთქმოდა და მარტივიც, დრამატულიც და კომიკურიც. ოქსიმორონივით.

შემდეგ იყო „ღვინომუქი ზღვა“, რომელიც სათაურიდანაც ჩანს, რომ ჯოისთან, შესაბამისად კი, ჰომეროსთან და საერთოდაც, მთელ პოსტ და პრე მოდერნულ გამონწვევებთან შეთამაშება იყო.

რამდენიმე ხნის წინ კი მქონდა საშუალება, წიგნად გამოცემამდე, ხელნაბეჭდში (შდრ: ხელნაწერი) გავცნობოდი ქარუმიძის ახალ რომანს „მელია-ტულეფია – Fox-trot“.

ჩემთვის, როგორც ფილოლოგისთვის (ანუ სიტყვის მოყვარულისთვის) ამ ტიპის ტექსტი/ტექსტურა პირდაპირ მისწრება აღმოჩნდა, ამიტომაც ერთხელ კი არ წავიკითხე, როგორც ამას ნორმალური (ანუ არაფილოლოგი) ადამიანი იზამდა, არამედ რამდენჯერმე, კერძოდ კი – ორჯერ.

ასეთ რომანს სიუზან სონტაგი ულტრალიტერატურას უწოდებს და ამით, გარკვეულწილად, ხაზს უსვამს მის დროულობას ტრადიციულ, სიუჟეტურ ლიტერატურასთან შედარებით. თუმცა, ამ შემთხვევაში, სიუჟეტიც გვაქვს და თანაც საკმაოდ დამინტრიგებელი და მოულოდნელი სასპენსით – სამყაროს მართვას დეკადენტი პოეტებისა და მხატვრების ჯგუფი ეპირება (ღმერთო, ამისგან მაინც დაგვიფარე!)...

მაგრამ მაინც... აქ მთავარი არის ენა და მისი შესაძლებლობები, თუ როგორ იყენებს ავტორი ენას, როგორც სამუშაო პრაქტიკას. იშვიათია მწერალი, რომელიც ენას ასე ღრმად შეიგრძნობდეს და მის ფსკერზე ასე თამამად შეეძლოს ჩასვლა. ავტორს შემოჰყავს ენა, როგორც უხილავი გმირი, ის, ფაქტობრივად, ღვთის ფიქციითაა დატვირთული – არ ჩანს, მაგრამ მისი ძალა(უფლება) ყველა ნაბიჯზე შეიგრძნობა, ის წარმართავს მოქმედებას. ერთი სიტყვით, ის არის პირველადი სიტყვა, ანუ „თეოლომერთმადლოგოსი“, როგორც ამას დიდი მისტაგოგი და დემაგოგი გურჯივი ამბობს თავად ამ რომანში.

როგორც ცნობილია, ენა მწერლისთვის ან მიზანია, ან საშუალება, ან ორივე ერთად (არაფერი დაშავდება, თუ ამას ლინგვისტურ დუალიზმს დავარქმევთ. მით უფრო, რომ ასეც ჰქვია). ვთქვათ, შექსპირის შემთხვევაში, ენა საშუალებაა, რათა ავტორმა გადმოსცეს ღრმა (ან ღრმად მოსაწყენი) ადამიანური ტრაგედიები და მკითხველი სახიფათო კათარზისში შეიტყუოს, დადაისტ-ფუტურისტ-აკმეისტ-იმაჟისტებისთვის კი ენა უტყუარი მიზანი იყო, მიზანი, რითაც უნდა შემზადებულიყო თავად ენის დეკონსტრუქცია, სინტაქსის აყირავება და ლინგვისტურ/მენტალური ბაკქანალია, „ენობრივ-დიონისური ორლიაო“, – იტყოდა ამაზე „მელია ტულეფიას“ პერსონაჟი.

მაგრამ დგება მომენტი, როცა ენა არც მიზანია და არც საშუალება, ის

მიზეზია. ისევე, როგორც, მეტნაკლებად, ბორის ვიანისთან, ნაწილობრივ, ფოლკნერთან, უფრო მეტად კი ჯოისთან, „მელია-ტულეფიაში“ მთავარი გმირი და მიზეზთა მიზეზი არის ენა, ის არის სიუჟეტის განვითარების, პერსონაჟთა ხასიათის ჩამოქნის, სექსის, ადიულტერის, ოკულტურ-შამანური რიტუალების, პოეტთა სიგაჟის, საბჭოთა შიშებისა თუ ბურგუნდიელი რაინდების გურიაში გამოჩენის მიზეზი.

როდესაც ავტორი მეოცე საუკუნის ავანგარდისტების ხასიათების გამოკვეთას იწყებს, ის მათ ხშირად არცკი ასახელებს, უბრალოდ, მათ სტილს იხმობს, როგორც ნივთმტკიცებას კონკრეტული დროის ან სულაც პერსონის შესახებ (რა უნდა იყოს სტილზე უფრო სახიფათო ნივთმტკიცება?! ამიტომაც არის „ტულეფიას“ ენა არაერთგვაროვანი, ეკლექტური და ხშირად – ავტოფიქციური.

„საბანი გადაიხადა და წამომდგარ სირს დახედა: დასაბამიერი, თაურ-მდგომი ასო, ჭეშმარიტი „ალფა“, ხოლო ყვერები – „ომეგასაებრ“ მომრგვალებულნი: ალფა და ომეგა! დასაბამი და დასასრული! ნაწილი (სირი), რომელიც მთელს (შაქროს) მოიცავს და მთელი (შაქრო), რომელიც ნაწილში (სირში) განსრულდება იდუმალის დიალექტიკით! რამეთუ იყო იგი სხვა მისი... არა – ერთადერთი და მისი საკუთრება, როგორც იტყოდა მაქს შტირნერ...“

ამ რომანში წინადადება თითქმის არასდროს არის მხოლოდ წინადადება, ის, რა თქმა უნდა, არის წინადადება და ამავე დროს, ლინკია სხვა წინადადებების შესახებ, ხსოვნაა სხვა ფრაზების, საყოფაცხოვრებო ამბების თუ მითების შესახებ, ერთგვარი ინტერწინადადება, სინტაქსური ხიდი სიტყვებსა და ხსოვნას შორის („ჩემში რაცა სჩქეფს, კარგად „წავაკითხე“... სიტყვის (სიტყვის!) განსაკუთრებული გრძობით...“). გრიგოლ რობაქიძის პომპეზური ენობრივი კონსტრუქციის გადათამაშებას ხან იმდროინდელი ყვითელი (რომელიც, ამავდროულად, წითელიც იყო) პრესის ნიუსებისა და ჰედლაინების კასკადი, ხან კი ავანგარდისტების ჯგუფის (H2SO4) თითქმის ყველა წევრის ციტირება მოსდევს:

„ჟანგო დადა: ქალია მშვენიერი ტრიბუნა, მე კი მგონია ამ დროს საჭირო ლაპა-

რაკია...

და-და, და-და-და-და, და!“

როგორც ერთი ჭკვიანი ფრანგი ამბობს, მედია-ხატებმა გაანადგურეს რეალობა. რა თქმა უნდა, დარტყმა პირველ რიგში, ლიტერატურულ რეალობას მიაღება, მისი ფლანგები მოირყა, რადგან მედიამ სწორედ მისი, ამდენი ხნის ნალოლიავები, ნიშა დაიკავა და წარმატებითაც ჩააჩოჩა. გამოსავალი ისაა, რომ მწერალი „მტრის“ მოედანზე უნდა გადავიდეს და თვითონ იქცეს მონომედიად ისევე, როგორც „მელია-ტულეფიას“ ავტორი. ეს რომანი ხომ სავსეა მედია ხატებით – ე.წ. cut-up-ის მეთოდით კომუნისტური პრესის ვრცელი არქივია „ჩადგმული“, რაც მეტად მეტყველ, თითქმის ვიზუალურ პროექციას ქმნის, აქვეა Live-ჩართვა კომუნისტური საქართველოდან (ამხ. ფილიპე მახარაძის გამოსვლა), მორბენალი სტრიქონი („ამ დღეებში, საუკეთესო სურათი: „ჯავშნოსანი პოტიომკინი“. უკრავს გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი“), ხოლო დადასტურების შიზოლირიკა ერთგვარი სარეკლამო პაუზაა („და-და, და-და-და-და, და!“).

რაც მეტს ნაკვითხავთ „მელია-ტულეფიას“, მით უფრო მეტი ალუზიები, ილუზიები, მეტა, ინტერ და ჰიპერტექსტები გაიჩითება. ზოგან კი სულაც სხვადასხვა მხატვრული ტექსტი თავიდან ბოლომდე ჩაუმონტაჟებია ავტორს. ლიტერატურა ლიტერატურაში.

თუმცა, მთლად მხატვრული ლიტერატურაც არ ეთქმის, ეს ხომ ერთგვარი კულტუროლოგიური ტექსტია, ლიტერატურის, მედიის, პოპულარული თუ აკადემიური მეცნიერების ნაზავი, როგორც, ვთქვათ, ემპედოკლეს პოეტური კოსმოლოგია ან სულბასუტრას მაგიური გეომეტრია.

და, ყველაფრის მიუხედავად, მოუხერხებელია, ერთი წინადადებით (თუნდაც, ერთი რეცენზიით) სრულყოფილად შეაფასო ტექსტი, რომელიც ქართული სალიტერატურო ტრადიციებიდან უკიდურესად „გადახრილია“, ოღონდ არა მარგინალისკენ, არამედ – ცენტრისკენ. მე მჯერა, რომ „მელია-ტულეფია – fox-trot“ თანამედროვე ქართული პროზის ცენტრალური ტექსტია.

კარგი, ჯანდაბას – ერთ-ერთი ცენტრალური ტექსტი.



Occupy Walden!

ავტორი ალექს ჩილვინაძე

„გამოცემიდან საუკუნენახევრის შემდეგ უოლდენი ბუნებისკენ მიბრუნების, მისი დაცვის, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის, ბიზნესის სულის საწინააღმდეგო მუხტის ისეთ ტოტემურ წიგნად იქცა, თორე კი – როგორც დაუმორჩილებელი მემამბოხე, როგორც ახირებული განდეგილი და წმინდანი დღეს ისეთი ცოცხალი და აქტუალურია, რომ დიდია საშიშროება, „უოლდენიც“ ისეთ თავყვანსაცემ, მაგრამ წაუკითხავ წიგნად იქცეს, როგორც ბიბლია.“ (ჯონ აბლაიკი)

2007 წელს შონ პენმა გადაიღო ფილმი „ველურ პირობებში“ (Into the wild) კრისტოფერ მაკკენდლესის რეალურ ისტორიაზე, ყველაფრით უზრუნველყოფილ ახალგაზრდაზე, რომელმაც უარყო თანამედროვე საზოგადოების მატერიალური ღირებულებები, მთელი თავისი ფული ქველმოქმედებაში დახარჯა, გახდა სუპერმანანა და სიცოცხლე ალიასკაზე, მიტოვებულ ძველ ავტობუსში დაასრულა.

ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ეს ფილმი ჰენრი დევიდ თოროს წიგნის პირდაპირ „გაგრძელებას“ წარმოადგენს, თუმცა კი რეალურ ფაქტებს ეფუძნება. რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი ნაწარმოების გახსენება შეგვიძლია, რომელიც მეოცე საუკუნის ამ ნაღმ-ნაშრომს უკავშირდება. თუნდაც


ჯეკ კერუაკის „უკაცრიელის ანგლოზები“ რად ღირს.

„უოლდენი ანუ ტყეში ცხოვრება“ იმ წიგნთაგანია, რომლის აღმოჩენისა და პირველივე ფურცლების ნაკითხვის შემდეგ, იმ არქეოლოგის განცდა გუფდება, რომელიც მოულოდნელად გადაწყდება რაიმე უძველეს ნივთს, რომელმაც შესაძლოა რადიკალურად შეცვალოს წარმოდგენები გარკვეულ ისტორიულ ეპოქაზე. ენობრივი სიზუსტითა და უბრალოებით, თორე ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია ამერიკული რეალისტური პროზისა.

ერთი შეხედვით, ეს არის ტყეში, ტბის პირას განმარტოებული ადამიანის დღიური, რომელსაც ანუხებს იმ დროინდელი ამერიკელების სოციალური პრობლემები. ასევე გამორჩეული ტემპერამენტის მქონე პუბლიცისტის ჩანაწერები, რომელიც წარმოგვიდგენს ანტიკაპიტალისტურ, რომანტიკულ უტოპიას, სადაც ინდივიდუალისტი-გმირი, წინ აღუდგება ყველაფერს რაც ადამიანის თავისუფლებას ზღუდავს, იქნება ეს სახელმწიფოს იდეა თუ სოციალური ინსტიტუტები.

„კანონს ადამიანი უფრო სამართლიანი ვერ არასდროს გაუხდია; პირიქით, მისდამი მორჩილებით ყველაზე თვალსაჩინო ადამიანებიც კი ყოველდღიურად უსამართლობას ამრავლებენ. კანონის გადამეტებული მორჩილების ბუნებრივი შედეგი კი ისაა, რომ ჯარისკაცები და მათზე მაღლა მდგომი სამხედრო პირები, რიხიანად მიაბიჯებენ საომრად, საკუთარი ნების წინააღმდეგ, საღ აზრზე და სინდისზე გადაბიჯებით. ეგ სამწყობრო სიარული გაუგონარ რამედ მეჩვენება და მის შემხედვარეს გული მეკუმშება. იმათ ხომ ეჭვიც არ ეპარებათ, რომ დაწყვეტილ საქმეში მონაწილეობენ. სათითაოდ ყველა მათგანს ხომ მშვიდობა ურჩევნია. მაშ, რა გამოდის, ვინ ან რანი არიან? არიან კი ადამიანები? თუ პატარ-პატარა მოძრავი ციხე-სიმაგრეები და საწყობები, რომლებიც ხელისუფლებაში მოკალათებულ სინდისდაკარგულ კაცს ემსახურება?“ (სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მოვალეობაზე).

წიგნი გამოსცა გამოცემლობა „სიეს-ტამ“, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით. ინგლისურიდან თარგმნა ქეთი ქანთარია.



მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერების ტოპოლოგია

ნინო ჩიმაკაძე

„ჩვენ იმდენ ხანს ვთვლემდით, ისე გავიყინეთ, რომ დღეს ხელახლა უნდა ვისწავლოთ სიცოცხლის გარჩევა სიკვდილისგან, ოცნების – რეალობისგან“ – მერაბ მამარდაშვილი, 1990 წელი

„ცნობიერების ტოპოლოგია“ – ასე ჰქვია ნინოს, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება: პირველი და ყველაზე დიდი ნაწილი მამარდაშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მარსელ პრუსტის შესახებ ნაკითხულ ლექციებს უკავია. მეორე ნაწილში მისი ფრანგული არქივიდან ნაკითხავთ მასალებს, რომელიც 1989/90 წლებში საფრანგეთში ნაკითხულ ლექციებს, მოხსენებებსა და ჟურნალ-გაზეთებისთვის მიცემულ ინტერვიუებს აერთიანებს. მესამე ნაწილში კი, სტატიებსა და მოხსენებებს გაეცნობით, სადაც მამარდაშვილი, ცნობიერებისა და კულტურის პრობლემებს იკვლევს.

მარსელ პრუსტის შესახებ ნინოში მამარდაშვილის 7 ლექციაა შესული. აქ ის მწერლის ცნობილ რომანზე – „დაკარგული დროის ძიებაში“ საუბრობს და მისი საშუალებით, ადამიანის სურვილებს, მოტივებსა და შთაბეჭდილებებს განიხილავს; იკვლევს ადამიანის იდენტობის, საკუთარი „მე“-ს ფენომენს და მის მიმართებას გარე სამყაროსთან, ასევე, საუბრობს რეალობის

აღქმაზე და იმ ცდომილებებზე, რაც ჩვენს წარმოსახვაში შეიძლება არსებობდეს: „ის, რაც ჩემს თავს ნამდვილად ხდება, შეიძლება განსხვავებოდეს იმისგან, რაც ჩემს თვალწინ ხდება“, – ამბობს მამარდაშვილი და პრუსტის რომანის გმირების მაგალითზე, ადამიანის მიერ გარემოსა და სიტუაციების აღქმის სუბიექტურობაზე ამახვილებს ყურადღებას. ადამიანის აღქმის შეზღუდულობასთან დაკავშირებით, მას თევზის და აკვარიუმის მაგალითი მოჰყავს: „თევზი კედელს ვერ ხედავს, ის უსასრულო წყალს ხედავს მხოლოდ, მას რომ კედელი დაენახა, იმასაც დაინახავდა, რომ აკვარიუმშია. მან კი არ იცის, რომ აკვარიუმშია და მისთვის, ეს სამყარო ერთადერთია“, – აღნიშნავს მამარდაშვილი და დასძენს, რომ ეს სამყარო, თევზისთვის მხოლოდ მაშინ ვლინდება, როცა აკვარიუმში ხელს ჰყოფენ და ის წყლიდან ამოჰყავთ. შესაბამისად, ადამიანიც მხოლოდ რაიმე ძლიერი ზეგავლენის, ან სულაც, საკუთარ თავთან ჩაღრმავებით, „საკუთარ თავთან მისვლით“ თუ მოახერხებს გამოფხიზლებას და რეალობის უფრო ადეკვატურად აღქმას.

ფრანგულ ჩანაწერებში, რომელიც ქართულ ენაზე პირველად გამოიცა და მათი უმეტესობა რუსულადაც არ არის ნათარგმნი, მამარდაშვილი ისეთ თემებს ეხება, როგორებიცაა დემოკრატია, მოდერნიზაცია, ნაციონალიზმი, სამოქალაქო საზოგადოება და სხვ. თავის მოხსენებებსა თუ ინტერვიუებში, ის ძალიან ხშირად საუბრობს საქართველოზე, აქ არსებულ ვითარებაზე და ქვეყნის მომავალზე. ის, ერთი მხრივ, აკრიტიკებს საბჭოთა მსოფლმხედველობას და ჩვენს ზნეში მის მიერ დატოვებული წყვილიადის და უვიცობის განდევნის აუცილებლობაზე საუბრობს, მეორე მხრივ კი, 80-იანი წლების ბოლოს, საქართველოში გააქტიურებულ „აგრესიულ ნაციონალიზმს“ აკრიტიკებს და აღნიშნავს, რომ დემოკრატიული მოძრაობისთვის, მხოლოდ ეროვნული ლოზუნგებით შემოფარგვლა და პოლიტიკური ბრძოლის ასე წარმოება, არასწორი და არასაკმარისია, რადგან ნამდვილი დემოკრატია პიროვნების თავისუფლებიდან იწყება: „სოვეტიზმს“ მხოლოდ ჩვენი ეროვნული ვინაობა არ უარუყვია, მისგან თავსმოხვეულმა ცხოვრების წესმა ღრმად ჩრდილობა მიაყენა ჩვენს პიროვნულ ღირსებას“, – ამბობს ფილოსოფოსი და დასძენს, რომ ეროვნულმა მოძრაობამ

„დამოუკიდებლობის, თუ ეროვნული ინტერესის სახელით, ჩაგვრის ერთი ფორმა, სხვა ფორმით არ უნდა შეცვალოს.“

ნინოს მესამე ნაწილში, მამარდაშვილი ცნობიერების, ცივილიზაციისა და კულტურის ცნებებს და მათ ურთიერთდამოკიდებულებას განიხილავს. აქ, ის, ცნობიერების ძალაზე და ცივილიზაციის საფუძვლების ნგრევაზე საუბრობს, რაც მისი აზრით, შესაძლოა, ეკოლოგიურ კატასტროფებზე, ომებსა თუ დაავადებებზე სამიმ მოვლენად იქცეს, თუ ეს დესტრუქციულობა არ გავაანალიზებთ და საკუთარი თავის და სამყაროს შეცნობას არ შევეცადეთ. ფილოსოფოსი, კულტურის არსზე და მასში აზრის მდგომარეობაზეც დაგვაფიქრებს. ის, კულტურას ცოცხალ ორგანიზმად მიიჩნევს და არა ამალღებული ცნებების და მაღალი ფასეულობების ერთობლიობად, რადგან: „მოცემულ შემთხვევაში, არავითარი ღირებულებები, არავითარი მიღწევები და არავითარი მექანიზმები არ არის გარანტია. კულტურის ნებისმიერი სიმალლიდან შეიძლება უფსკრულში გადავშავთ“-აღნიშნავს მამარდაშვილი და ე.წ. ამალღებული ცნებებით ოპერირებას ადამიანის ყველაზე დიდ ცდუნებას უწოდებს.



„ცხოვრება წინაა“
რომანი
რომენ გარი
გამომცემლობა აგორა
მთარგმნელი თინათინ ღარიბაშვილი
ფასი 6,60 ლარი

ფრანგი დიპლომატისა და მწერლის რომენ გარის პირველი თარგმანი ქართულ ენაზე. „ცხოვრება წინაა“ არაბი მოზარდისა და მისი ებრაელი აღმზრდელის ურთიერთობის სულისშემძვრელი ამბავია. უკიდურ

რეს გაჭირვებაში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანებს ძალას მხოლოდ მოყვასის სიყვარული აძლევთ, რომელსაც ვერაფერი აკნინებს – ვერც სიღატაკე, ვერც ჭუჭყი, ვერც გაუნათლებლობა, ვერც სამარცხვინო ხელობა. მოყვასის სიყვარულია ის, რისთვისაც ღირს ცხოვრება.



მოთხრობები („კაპიტანის ქალიშვილი“, „დუბროვსკი“, „ბელკინის მოთხრობები“, „პიკის ქალი“)


ალექსანდრე პუშკინი
მთარგმნელი თამარ ბერიძე
გამომცემლობა ელფი
ფასი 15 ლარი

არმიის ოფიცრები, ქალაქის წვრილი ხელოსნები, ღარიბი მოხელეები, გლეხები, სადგურის ზედამხედველი – ესენი ის „პატარა ადამიანები“ არიან, რომლებიც ალექსანდრე პუშკინმა დიდ ლიტერატურულ გმირებად აქცია. მათ ყველას ერთად მოუყარა თავი და „ბელკინის მოთხრობების“ სათაურით გააერთიანა. მოთხრობებში ასახულია პროვინციის ყოველდღიური ცხოვრება, იქაური მოსახლეობის ზნეჩვეულება, ხასიათი. მწერალი წერს: „დედაქალაქის აზრგაფანტულ მცხოვრებლებს წარმოდგენაც არა აქვთ მრავალ ისეთ გრძნობაზე, რომელიც ცნობილია სოფლისა და პატარა ქალაქის მცხოვრებთათვის“.

„აპოკალიფტური მხეცი“
 გიორგი მაისურაძე
გამომცემლობა სიესტა
ფასი 10 ლარი

„ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა მე დიდი ვიყავი.“

აპოკალიფტური მხეცი ჩვენს ქალაქს ესტუმრა და მდინარეში დაიხრჩო. ამიტომაც, სცენარი იცვლება და განკითხვის ჟამიც აღარასდროს მოვა. გადავრჩით! და ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ სამყარო ზღაპარია, რომელსაც იდიოტი გვიყვება“.



„ექსპერიმენტული განცდები“
 პაატა ქურდაძე
გამომცემლობა სიესტა
ფასი 12 ლარი

„ყველა თაობას კი თავისი ვაშლი აქვს მოსაწყვეტი – რომ მის ადგილზე ახალი გაიზარდოს. და ეს სამყაროსავით ძველი ლოგიკა დამყაყებულ დოგმად არ აქციოს, რომ ღმერთი ცოცხლების ღმერთად დარჩეს და არ მოკვდეს, რადგან ღმერთის უკვდავების შანსი ჩვენ, ადამიანები ვართ, და მას ეს კარგად ესმის“.



„სიამაყე და მცდარი აზრი“
 რომანი
 ჯეინ ოსტინი
მთარგმნელი ანა მაყაშვილი
გამომცემლობა არეტი
ფასი 22 ლარი

„სიამაყე და მცდარი აზრი“ ჯეინ ოსტინის პირველი რომანია, რომელიც მან 21 წლის ასაკში დაწერა. გამომცემლების მიერ დაწინაურებული რომანი მხოლოდ 15 წლის შემდეგ გამოიცა, როცა ოსტინმა სხვა ნაწარმოებებით გაითქვა სახელი.

XIX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ჯეინ ოსტინი, განურჩევლად ასაკისა და სქესისა, დღემდე უამრავი ადამიანის საყვარელ მწერლად რჩება.

მისი ნაწარმოებები ათეული მილიონობით ტირაჟით გამოიცემა მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე, ხოლო კინო-ეკრანიზაციების რიცხვი, ლამის, ყოველწლიურად მატულობს. „სიამაყე და მცდარი აზრი“ ერთხმად არის აღიარებული ოსტინის საუკეთესო ნაწარმოებად, რასაც თავად ოსტინიც ეთანხმებოდა.



ნისლებში და ნისლებს მიღმა
 ავტორი ნატო დავითაშვილი
გამომცემლობა ლოგოს პრესი
ფასი 19,90ლ

გალას გამარჯვებული ნომინაციაში „წლის საუკეთესო საბავშვო წიგნი“

როცა ცა და დედამიწა გაყრილები არიან, გზა არ გზობს და კაცთა მოდგმა მტერსაც კი აღარ მიაჩნია მეტოქედ, სამყაროს უკანასკნელ იმედად მთებში ჩაკარგული პატარა სოფელი, უტეხი სულის მოხუცი მუსიკოსი და გულადი ბიჭი დარჩენია – ნისლებშიც და ნისლებს მიღმაც, მხოლოდ რჩეულებს უწერიათ ადამიანთა გადარჩენაზე ზრუნვა. ქართულ მითოლოგიაზე დაფუძნებული ფენტეზის ჟანრის წიგნი.



თოვლი რომანი

ორპან ფამუქი
მთარგმნელი ნანა ჯანაშია
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
 ფასი 14,90 ლარი

გერმანიიდან 12 წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული პოეტი კა თვითმკვლელი გოგონების შესახებ რეპორტაჟის მოსამზადებლად საზღვრისპირა ქალაქ ყარსში ჩადის. ყარსში გადაუღებლად თოვს და გზები იკეტება. კა ქუჩა-ქუჩა, დუქნიდან დუქანში დადის და ცდილობს, გაიცნოს ქალაქი და მისი მოსახლეობა. ყარსის ჩაიხანები უსაქმურებიტაა სავსე. საინტერესო თითქოს არაფერი ხდება, მაგრამ მოულოდნელად ვითარება იცვლება – ანკარიდან ჩამოსული პატარა თეატრალური დასი, თავგადაკლული ისლამისტები, სასულიერო სასწავლებლის სტუდენტები, პოლიტიკური დაჯგუფებების წევრები, სასტუმრო „ქარპალასის“ მეპატრონე და მისი ქალიშვილები, კასთან ერთად, სისხლიანი გადატრიალების მონაწილენი ხდებიან.



ახალგაზრდა შერლოკ ჰოლმსი – სიკვდილის ღრუბელი
 ენდრიუ ლეინი
მთარგმნელი ციცო ხოცუაშვილი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
 ფასი 7,90 ლარი

შერლოკ ჰოლმსი – ამ სახელის გაგონებისას უთუოდ წარმოგიდგებათ ლაბადა-მოსხმული ახოვანი მამაკაცი ინგლისური ქუდითა და პირში ჩიბუხით. ართურ კონან დოილმა შერლოკ ჰოლმსის შესახებ 56 მოთხრობა და 4 რომანი დაწერა. პირველ მოთხრობაში ჰოლმსი 33 წლისაა, უკვე დეტექტივი, ჩამოყალიბებული უნარჩვევების მქონე, ბოლო მოთხრობაში – დაახლოებით სამოციისა, საგამომძიებლო საქმეს აღარ ეწევა და სასექსის სანაპიროზე ფუტკრები ჰყავს მოშენებული. თანამედროვე ინგლისელმა მწერალმა, ენდრიუ ლეინმა კი შექმნა მთელი სერია წიგნებისა, რომლებშიც მოთხრობილია, როგორ იყო შერლოკ ჰოლმსი მანამ, სანამ ართურ კონან დოილი გააცნობდა მას მსოფლიოს; რომელ სკოლაში დადიოდა; ვინ იყვნენ მისი მეგობრები; სად და როდის ისწავლა ის ყველაფერი, რასაც მოგვიანებით ავლენდა – ლოგიკური აზროვნება, კრივი, ფარიკაობა, ვიოლინოზე დაკვრა; როდის იმოგზაურა უცხოეთში; რის ეშინოდა და ვინ უყვარდა... „სიკვდილის ღრუბელი“ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი დეტექტივის პირველი „საქმეა“, რომლის გახსნასაც 14 წლის შერლოკ ჰოლმსი თავის თანატოლ ბიჭთან, მეთიუ არნეტთან ერთად ცდილობს.



აფხაზი თავადის ქალის მოგონებები
პარამხანაზე
 ავტორი ლეილა აჩბა-ანჩაბაძე
ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2011
 ფასი 10 ლარი

ლეილა აჩბა-ანჩაბაძე (10 აგვისტო, 1898, კონსტანტინოპოლი – 6 ნოემბერი, 1931, სივასი) ერთ-ერთ პირველ აფხაზ მუჰა-

ჯირთა შთამომავალია. 1919 წელს ლეილა აჩბა ფადიშაჰის სასახლეში აიყვანეს და ოსმალეთის ბოლო სულთნის, მეჰმედ VI-ის ცოლის, ემინე ნაზიქედას, სეფექალი გახდა. მართალია, ამ დროს ფადიშაჰის სასახლე და ჰარამხანა ძველებური ტრადიციებითა და წესებით აღარ ცხოვრობს, მაგრამ ლეილა აჩბას ჩანაწერები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი ერთადერთი ქალია, რომელიც ჰარემში ცხოვრობდა და ამის შესახებ მოგონებები აქვს დაწერილი. ის არის თვითმხილველი ოსმალეთის იმპერიის დაცემის, ასევე სულთანათისა და ხალიფატის გაუქმებისა, რაზეც, ის, სასახლის სეფექალის პოზიციიდან საუბრობს. ლეილა აჩბას მემუარები საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ შეიცავს ბევრ ცნობას თურქეთში მცხოვრები აფხაზების შესახებ.



რაზიკაშვილების მიმონრა
ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2011
 ფასი 10 ლარი

ვაჟა-ფშაველას, ნიკო (ბაჩანა), თედო, სანდრო და მიხა რაზიკაშვილების მიმონრა თავისთავად საინტერესოა და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის, როგორ ცხოვრობდა ვაჟა-ფშაველას ოჯახი. წიგნში დაბეჭდილი წერილების უმრავლესობა ლიტერატურის მუზეუმში ინახება. ოთხი წერილი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში, სხვები – საქართველოს ეროვნულ არქივში, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.



www.radiokalaki.ge



იაქტიურად, მიიღეთ მონაწილეობა

RADIOKALAKI.GE-ს გაშოქითხვებში

მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები და რჩევები
მისამართზე

INFO@RADIOKALAKI.GE

CHÂTEAU MUKHRANI



Variety: Shavkapito
Vintage 2009
100% Oaked - 12 Months

Variety: Saperavi
Vintage 2007
20% Oaked - 14 Months

Latest news:
Chateau Mukhrani's
Paulsen Collection
Chacha wins
gold medal
at the Hong Kong
International
Wine & Spirits
competition



JSC Chateau Mukhrani
Mtskheta, 3308, Georgia - Tel./Fax: + (995 32) 220 18 78
info@mukhrani.com - www.mukhrani.com